

# ეკონომიკა

ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და  
რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი  
„ЭКОНОМИКА“ - Ежемесячный международный  
рецензируемый и реферируемый научный журнал  
“ECONOMICS” - Monthly International reviewed  
and refereed scientific journal

№ 34, 2017

ჟურნალი გამოდის 1918 წლიდან  
Journal published since 1918

რ. შენგელია (მთ. რედაქტორი)

ი. არჩვაძე; ა. აბრალავა; ნ. აბესაძე; თ. ბაბუნაშვილი; ნ. ბაკაშვილი; ე. ბარათაშვილი; რ. გოგონია; ვ. დათაშვილი; მ. კაკულია; დ. კარბონი (იტალია); პ. კოლუაშვილი; ა. კურატაშვილი; ზ. ლიპარტია; გ. მალაშხია; ე. მექვაბინაშვილი; ქ. მარშავა; ს. პავლიაშვილი; ვ. პაპავა; მ. როკეტლიშვილი (აშშ); უ. სამადაშვილი; ა. სილაგაძე; ა. სიჭინავა; ო. სოლდატენკო (უკრაინა); ა. სხირტლაძე; ტ. ფედოროვა (რუსეთი); დ. ყავთარაძე (რუსეთი); ა. ქუთათელაძე; რ. ქუთათელაძე; კ. ლურწყაია; გ. ლავთაძე; გ. ყუყუგუბია; ნ. შენგელია; გ. შუბლაძე; თ. შენგელია; ნ. ჩხლაძე; ჟ. წიკლაური; ნ. ჭითანავა; მ. ჯიბუტი; გ. ჯოლია

## ШЕНГЕЛИЯ Р. (ГЛ. РЕДАКТОР)

Арчвадзе И., Абралова А., Абесадзе Н., бабунашвили Т., Бараташвили Е., Бакашвили Н., Гавтадзе Г., Гогохия Р., Гурцкая К., Даташвили В., Джибути М., Джолия Г., Кавтарадзе Д. (Россия), Какулия М., Карбон Д. (Италия), Когуашвили П., Купуния Г., Кураташвили А., Курателадзе А., Курателадзе Р., Липартия З., Малашхия Г. Меквабিশвили Э., Маршавა К., Папавა В., Павлиашвили С., Рокетлишвили М. (США), Силагадзе А., Сичинава А., Сольдатенко О. (Украина), Схиртладзе А., Самадашвили У., Федорова Т. (Россия), Читанавა Н., Чихладзе Н., Шенгелия Н., Шенгелия Т., Шубლაძე Г., Цикლაური Ж.

## REVAZ SHENGELIA (EDITOR IN CHIEF)

I. ARCHVADZE; A. ABRALAVA; N. ABESADZE; T. BABUNASHVILI; E. BARATASHVILI; N. BAKASHVILI; N. CHIKHLADZE; G. GHAVTADZE; R. GOGOKHIA; V. DATASHVILI; M. KAKULIA; D. KARBON (ITALY); P. KOGHUASHVILI; A. KURATASHVILI; Z. LIPARTIA; G. MALASHKHIA; E. MEKVABISHVILI; K. MARSHAVA; S. PAVLASHVILI; V.PAPAVA; M. ROKETLISHVILI (USA); U. SAMADASHVILI; N. SHENGELIA; A. SILAGADZE; A. SICHINAVA; O. SOLDATENKO (UKRAINE); A. SKHIRTLDZE; T. FEDOROVA (RUSSIA); D. QAVTARADZE (RUSSIA); A. QUTATELADZE; R. QUTATELADZE; K. GHURTSKAIA; G. KUPUNIA; G. SHUBLADZE; T. SHENGELIA; ZH. TSIKLALURI; N. CHITANAVA; M. JBUTI; G. JOLIA.

# შინაარსი

## ეკონომიკური რეფორმა: ანალიზი, პრობლემატი და პერსპექტივები

<b>დიანა უგლავა</b> - საქართველოში მიმდინარე საპენსიო რეფორმა-----6	
<b>ნაზი ჭიკაიძე</b> - დაგროვებითი პენსიის სოციალურ-ეკონომიკური პერსპექტივები ----- 18	18
<b>ნათელა ვაშაკიძე, დეზდემონა მალაქელიძე</b> - დამატებული ღირებულების გადასახადით მიღებული ავანსის დაბეგვრის თავისებურებები----- 28	28

## ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემატი

<b>გოდერძი ტყეშელაშვილი, ხათუნა გიორგაძე, მანუჩარ მერებაშვილი</b> - საქართველოს შრომითი რესურსები და მათი ეფექტიანი გამოყენების პრობლემები----- 41	41
<b>გიორგი გოგუაძე</b> - მონეტარული პოლიტიკის ალტერნატივები --- 51	51
<b>მერი დაუშვილი</b> - საბაჟო სტატისტიკის მეთოდოლოგიური საკითხები----- 63	63

## შინაგადასახადო პოლიტიკა, ბანკები, ბირჟები

<b>გიორგი გოგუაძე</b> - ცენტრალური ბანკის დილემა: მონეტარული პოლიტიკა თუ ზედამხედველობა----- 79	79
<b>გიორგი სუბელიანი, ლევან ბოგვერაძე</b> - კომერციული ბანკის საიმედოობის ანალიზისა და საინვესტიციო მიმზიდველობის მაჩვენებლების სისტემა, ეკონომიკური შინაარსი და გაანგარიშების მეთოდი----- 94	94
<b>ნიკოლოზ ნაცვლიშვილი</b> - კომერციული ბანკების საინვესტიციო საქმიანობა საქართველოში----- 106	106
<b>ნინო ხიდირბეგიშვილი, რატი ბურდიაშვილი</b> - სქორინგი იურიდიულ პირთა დაკრედიტებაში----- 115	115

## რეგიონული ეკონომიკა

<b>ბექა ბიბილური</b> - იმერეთის რეგიონის ეკონომიკური განვითარებისა და საგადასახადო შემოსავლების ურთიერთკავშირის ანალიზი --- 122	122
--	-----

## დარგობრივი ეკონომიკა

<b>ბადრი დავითაია</b> - კონტროლის ფუნქციის მეთოდოლოგიური ასპექტები საბაზრო ეკონომიკის პირობებში ----- 131	131
--	-----

<b>ლელა ინასარიძე - ჯანმრთელობის დაცვის სისტემები -----</b>	<b>140</b>
<b>ნინო შაფათავა, ლელა ხარტიშვილი - აგროტურიზმი -</b>	
<b>სოფლის მულტიფუნქციური განვითარების გზა -----</b>	<b>147</b>

**ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი**

<b>ბადრი დავითაია - მენეჯმენტის კომუნიკაციური</b>	
<b>პროცესების მეთოდოლოგიური ასპექტები-----</b>	<b>156</b>
<b>ნანო ნინუა - ადამიანური რესურსების მართვის</b>	
<b>თეორიული ასპექტები-----</b>	<b>165</b>
<b>ნინო ხიდირბეგიშვილი, რატი ბურდიაშვილი - სარეიტინგო</b>	
<b>კომპანიები და რეიტინგული შეფასების მეთოდები -----</b>	<b>180</b>
<b>სალომე ჯინჯოლია - კორპორაცია და კორპორაციული მართვა -</b>	<b>192</b>
<b>სანდრო ყანდაშვილი - მარკეტინგული კომუნიკაციების</b>	
<b>არსი და მნიშვნელობა -----</b>	<b>206</b>

**მსოფლიო ეკონომიკა**

<b>ასიე ცინცაძე, ლილით მელიანი-ფუტკარაძე - განვითარებული</b>	
<b>ქვეყნების სამედიცინო დაზღვევის მოდელის ემპირიული</b>	
<b>ანალიზი და მათი გამოყენების შესაძლებლობა საქართველოში --</b>	<b>213</b>
<b>სერგო ჭიჭაღუა - ბუნებრივი რესურსები, როგორც</b>	
<b>ისლამური სახელმწიფოს დაფინანსების წყაროები,</b>	
<b>ძლიერება და სისუსტეები -----</b>	<b>229</b>

**ეკონომისტი აუდიტორიზმი**

<b>ანზორ აბრალავა, ზურაბ ჯორბენაძე - ეკონომიკური</b>	
<b>ანალიზის სწავლების სრულყოფის საკითხისათვის -----</b>	<b>245</b>
<b>ყუყუნა ნიკლაური-შენგელია, ნათია შენგელია, მეგი ანანიძე,</b>	
<b>რევაზ შენგელია -საქართველოს საინვესტიციო მიმზიდველობა:</b>	
<b>ანალიზი, პრობლემები, პერსპექტივები-----</b>	<b>256</b>

**გილოცვა**

<b>ახალგზარდა მეცნიერ-ეკონომისტის ნათია შენგელიას</b>	
<b>წარმატება ოქსფორდის უნივერსიტეტში (დიდი ბრიტანეთი) -----</b>	<b>272</b>

<b>სამეცნიერო სტატიის წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი ---</b>	<b>273</b>
---	------------

# CONTENTS

## ECONOMIC REFORMS: ANALYSIS, PROBLEMS AND PERSPECTIVES

<b>Diana Uglava</b> - Current Pension Reform in Georgia -----	6
<b>Nazi Chikaidze</b> - Socio-Economic Perspectives of Cumulative Pension -----	18
<b>Natela Vashakidze, Dezdemonia Maglakelidze</b> , - Taxation Peculiarities of Advance Payments of the Value Added Tax -----	28

## MODERN PROBLEMS OF ECONOMICS

<b>Goderdzi. Tkeshelashvili, Khatuna Giorgadze, Manuchar Merebashvili</b> - GEORGIA'S LABOR RESOURCES AND PROBLEMS OF THEIR APPLICATION EFFECTIVENESS -----	41
<b>George Gogvadze</b> - Alternatives of Monetary Policy -----	51
<b>Meri Daushvili</b> - Methodology of Customs Statistics -----	63

## FINANCES, BANKS AND EXCHANGE MARKETS

<b>George Gogvadze</b> - The Central Bank's Dilemma: monetary policy or supervision -----	79
<b>Giorgi Subeliani; Levan Bogveradze</b> - Commercial Bank reliability analysis and investment attractiveness indicators system. Economic content and the method of calculation -----	94
<b>Nikoloz Natsvlisvili</b> - Investment Activity of Commercial Banks in Georgia -----	106
<b>Nino Khidirbegishvili, Rati Burdiashvili</b> - Scoring in Credit Provision to Legal Entities -----	115

## REGIONAL ECONOMY

<b>Beqa Bibiluri</b> - Analysis of the Relationship between Economic Development and Tax Incomes in Imereti Region -----	122
---	-----

## SECTORAL ECONOMY

<b>Badri Davitaia</b> - Methodological Aspects of Control Function in the Conditions of Market Economy -----	131
<b>Lela Inasaridze</b> - Health Care Systems -----	140

**Nino Shapatava , Lela Khartishvili** - Agritourism - The Way  
of Multifunctional Development of Rural Communities ----- 147

### **BUSINESS, MANAGEMENT, MARKETING**

**Badri Davitaia** - Methodological Aspects  
of Communication Processes of Management ----- 156

**Nano Ninua** -Theoretical Aspects of Human Resource Management 165

**Nino Khidirbegishvili, Rati Burdiashvili** -  
Rating Companies and their Assessment Methods ----- 180

**Salome Jinjolia** - Corporation and Corporative Governance----- 192

**Sandro kandashvili** - The Meaning and Significance  
of Marketing Communications----- 206

### **WORLD ECONOMY**

**AsieTsintsadze, Lilit Meloyan-Phutkaradze** - Empirical Analysis  
of The Health Insurance Models of Developed Countries and The  
Possibility of Their Usage in Georgia ----- 213

**Sergo Tchitchagua** - Natural Resources as the Financial  
Sources of IS, Strengths and Weaknesses----- 229

### **THE ECONOMIST IN THE AUDITORIUM**

**Anzor Abralava, Zurab Jorbenadze** - The Issue For  
improvement of Teaching Economic Analysis ----- 245

**Jujuna Tsiklauri-Shengelia, Natia Shengelia, Megi Ananidze ,  
Revaz Shengelia** - Investment Attractiveness of Georgia:  
Analysis, Problems, Perspectives----- 256

### **CONGRATULATIONS**

Young scientist Natia Shengelia's success  
at Oxford University (Great Britain)----- 272

**PUBLICATION REQUIREMENTS** ----- 273



## **საქართველოში მიმდინარე საპენსიო რეფორმა**

**დიანა უგლავა,**  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
დოქტორანტი

### **რეზიუმე**

ეფექტიანი და სამართლიანი საპენსიო პოლიტიკის შემუშავება, მიმდინარე ეტაპზე, მსოფლიოს ბევრი სახელმწიფოსთვის ძირითად გამოწვევას წარმოადგენს. არაერთი განვითარებული თუ განვითარებადი ქვეყანა ჯერ კიდევ საპენსიო სისტემების მოდიფიცირების პროცესშია, რომლის მიზანია ადეკვატური საპენსიო შემოსავლის უზრუნველყოფა, საპენსიო ხარჯების ფისკალური მდგრადობა და მოსახლეობის დემოგრაფიული ცვლილებების მიმართ უფრო ეფექტიანი რეაგირება. სწორედ ამ ფონზე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში, შეიქმნა საპენსიო რეფორმის სამსახური, რომელმაც შეიმუშავა საპენსიო რეფორმის სტრატეგია, რაც ითვალისწინებს სოციალური პენსიის ზრდის მექანიზმის შემუშავებას (ინდექსაციას) და დამატებითი საპენსიო სისტემის კომპონენტის - კერძო დაგროვებითი საპენსიო მოდელის დანერგვას.

საქართველოშიც, ისევე როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნებში რეფორმის ძირითადი ამოცანებია: სოციალური პენსიის მსყიდველუნარიანობის შენარჩუნება და გაუმჯობესება; საპენსიო შემოსავლის თანაფარდობის ზრდა ხელფასთან მიმართებაში; და სოციალური საპენსიო მოდელის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა.

**საკვანძო სიტყვები:** საპენსიო სისტემა, სახელმწიფო პენსია, საპენსიო რეფორმა, დაგროვებითი საპენსიო სისტემა, საპენსიო ფონდი, საპენსიო დანაზოგი.

## **შესავალი**

საპენსიო სისტემის რეფორმის საჭიროება თანამედროვე ეტაპზე საქართველოში გამომდინარეობს შემდგომი გარემოებებიდან:

- ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვნად შეიცვალა საქართველოს დემოგრაფიული შემადგენლობა.

- არსებული სოციალური საპენსიო სქემა წარმოადგენს სიღარიბესთან ბრძოლის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, თუმცა ამ მიზნის მისაღწევად გასათვალისწინებელია ქვეყანაში მიმდინარე ინფლაცია.

- ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საპენსიო ხარჯები მნიშვნელოვნად გაიზარდა.

- იმისათვის, რომ სამუშაო ასაკში მყოფმა მოსახლეობამ მიიღოს ადეკვატური საპენსიო შემოსავალი, რომელიც პირდაპირპროპორციული იქნება მოქალაქის მიერ გამომუშავებული ხელფასისა, საჭიროა დანაზოგების ფორმირების ხელშეწყობის დამატებითი მექანიზმების შემუშავება.

- გრძელვადიანი საპენსიო დანაზოგების დანერგვა ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდას, კაპიტალის ბაზრის განვითარების მეშვეობით.

მთავრობის მიერ კერძო საპენსიო სისტემის დანერგვა წარმოადგენს ყველაზე ოპტიმალურ გადაწყვეტილებას, გრძელვადიანი საპენსიო უზრუნველყოფის გაუმჯობესების კუთხით. კერძო საპენსიო სისტემის დანერგვა შესაძლებელს გახდის, სოციალური საპენსიო სისტემა ეტაპობრივად იქცეს სიღარიბის დაძლევის ინსტრუმენტად. კერძო საპენსიო სისტემა დაეფუძნება „განსაზღვრული შენატანების“ (Defined contribution) პრინციპს. ამ პრინციპის მიხედვით, კერძო პენსიის ოდენობა დაეფუძნება საპენსიო ფონდში განხორციელებულ შენატანებს, ფონდის ამონაგებსა და მუშაობის ხანგრძლივობას (რაც უფრო ხანგრძლივი ვადით ინვესტირდება პორტფელი, მით უფრო მაღალი ფინანსური შედეგი დადგება).

შენატანების ოდენობა განაწილდება დამსაქმებელს, დასაქმებულსა და მთავრობას შორის. შემოთავაზებული კერძო საპენსიო

სისტემა გავრცელდება ფორმალურ სექტორში დასაქმებული პირების მიმართ შემდეგი პრინციპით 2%+2%+2%. სისტემის სამი მონაწილე მხარე - მთავრობა, დამსაქმებელი და დასაქმებული ყოველთვიურად ახორციელებს 2%-იან შენატანს დასაქმებულის პერსონალურ საპენსიო ანგარიშზე, რაც საბოლოო ჯამში უტოლდება 6%. საპენსიო ანგარიში გაიზრდება შენატანებისა და ფონდის მოგების მიხედვით. უნდა აღინიშნოს, რომ კონტრიბუციის კოეფიციენტს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გრძელვადიანი დაგროვების შემთხვევაში. ამრიგად, წახალისებული უნდა იქნას 6%-ის ზევით, დამატებითი, ნებაყოფლობითი შენატანი.

### ძირითადი ტექსტი

საქართველოში ამჟამად არსებული საპენსიო სისტემა ფინანსდება ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ბიუჯეტის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს დასაქმებული მოქალაქეების მიერ ყოველთვიურად გადახდილი საშემოსავლო გადასახადი. აპრობირებული საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად, დასაქმებული მოქალაქეები იხდიან კონკრეტულ სოციალურ გადასახადს, რომელიც ირიცხება სახელმწიფო საპენსიო ფონდში და ხმარდება არსებულ საპენსიო ვალდებულებებს. 2008 წლამდე მსგავსი მოდელი არსებობდა საქართველოში, თუმცა სოციალური გადასახადი გაერთიანდა საშემოსავლო გადასახადის სტრუქტურაში. საგადასახადო რეფორმის შედეგად, საპენსიო ფონდის ნაცვლად, საპენსიო ვალდებულებების დაფინანსება დაეკისრა ცენტრალურ ბიუჯეტს.

ასაკობრივი პენსია ატარებს სოციალური დახმარების ხასიათს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოს მსგავსი სოციალური ტიპის საპენსიო სისტემა ბევრ ქვეყანაში ფუნქციონირებს. სოციალური პენსიის როლი საპენსიო ასაკში მყოფი მოსახლეობის სიღარიბესთან ბრძოლის კუთხით ძალიან მნიშვნელოვანია. თუმცა სოციალურ პენსიას არ შეუძლია ჩანაცვლების მაღალი კოეფიციენტის გენერირება. არსებულ საპენსიო სისტემას არ გააჩნია სამართლებრივი და განერილი კრიტერიუმები, რომელიც განსაზღვრავს, თუ რა შემთხვევაში



და რა ოდენობით გაიზრდება სოციალური პენსია. თუ პენსია არ გაიზრდება რეგულარულად, ცვალებადი გარემო პირობების შესაბამისად, არსებობს პენსიის რეალური ღირებულებისა და მსყიდველუნარიანობის შემცირების საფრთხე, განსაკუთრებით მაღალი ინფლაციის შემთხვევაში.

საჭიროა სოციალური პენსიის ინდექსაცია ინფლაციასთან, რაც სიღარიბესთან ბრძოლის კუთხით გააძლიერებს პენსიის ეფექტურობასა და მნიშვნელობას, და ამავდროულად, გაამყარებს სისტემის ფისკალურ მდგრადობას. არსებული სოციალური პენსიის ფარგლებში არ არსებობს მექანიზმი, რომელიც იცავს პენსიონერს ინფლაციური მოვლენებისგან. მსგავსი მექანიზმის არ არსებობის შემთხვევაში პენსიის მსყიდველუნარიანობა დროთა განმავლობაში დაეცემა, რაც საპენსიო ასაკში მყოფი მოსახლეობის სიღარიბესთან ბრძოლის ამოცანის შესრულებას გაართულებს.

კერძო საპენსიო სისტემა შესაძლებლობას მისცემს მოქალაქეს შექმნას დანაზოგი, რომელიც პირდაპირპროპორციული იქნება წლების განმავლობაში დასაქმებულის მიერ გამომუშავებული ხელფასის და საშუალებას მისცემს მიიღოს უფრო მაღალი ჩანაცვლების კოეფიციენტი. ფისკალური სტაბილურობის გათვალისწინებით, კერძო დაგროვებითი პენსია ყველაზე ოპტიმალურ მოდელს წარმოადგენს საპენსიო უზრუნველყოფის ადეკვატურობის გაუმჯობესების კუთხით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მხოლოდ სოციალური პენსიის მეშვეობით ჩანაცვლების კოეფიციენტის ზრდა, ან თუნდაც შენარჩუნება, არარეალისტური იქნება.

კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვა წარმოადგენს ყველაზე ოპტიმალურ რეფორმის ვარიანტს, რომელიც გრძელვადიანად უზრუნველყოფის საპენსიო შემოსავლის გაუმჯობესებას. არსებული სისტემის ანალიზი ცხადყოფს, რომ ჩანაცვლების კოეფიციენტის ზრდა შეუძლებელია მხოლოდ სახელმწიფო დაფინანსების ხარჯზე. ამიტომ, საჭიროა ფინანსურ ნახალისებაზე და მონაწილეთა შენატანებზე დაფუძნებული კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვა, რო-

მელიც მომავალი თაობის პენსიონერებისათვის დამატებითი მნიშვნელოვანი შემოსავლის წყარო გახდება. განსაზღვრული შენატანების პრინციპის თანახმად, მოქალაქის მიერ სამომავლოდ მისაღები სარგებელი პირდაპირ დაკავშირებულია პირის მიერ წლების განმავლობაში გამომუშავებულ ხელფასსა და შენატანებზე. ამრიგად, კერძო საპენსიო სისტემა ბევრად უფრო სამართლიან მიდგომას სთავაზობს მოქალაქეებს, რომელიც ამ მიმართულებით მათი პასუხისმგებლობის ზრდასაც უწყობს ხელს. მსგავსი მიდგომის დანერგვის მოთხოვნა არაერთხელ ყოფილა გაჟღერებული საზოგადოების მხრიდან.

კერძო დაგროვებითი სისტემის მონაწილეები იმავდროულად მიიღებენ არსებულ სოციალურ პენსიას. სოციალური პენსია კერძო პენსიასთან ერთად, უზრუნველყოფს ბევრად უფრო ადეკვატურ ჩანაცვლების კოეფიციენტს. თუ გავითვალისწინებთ კერძო დაგროვებითი საპენსიო სქემით განსაზღვრულ შენატანის საკმაოდ მოკრძალებულ 6%-იან განაკვეთს, საშუალო ხელფასის მქონე პირები, ორი საპენსიო სისტემის მეშვეობით დაახლოებით 30%-იან ჩანაცვლების კოეფიციენტს მიიღებენ, გრძელვადიანი დანაზოგის შემთხვევაში. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სოციალურ პენსიაზე ხელმისაწვდომობა კერძო დაგროვებითი სისტემის მონაწილეთათვის უფრო მეტად შეუწყობს ხელს ახალ სისტემაში განევრიანებას.


კერძო დაგროვებითი სისტემის სარგებლის ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორია ყოველთვიური შენატანების პროცენტული მაჩვენებელი ხელფასთან მიმართებაში. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური გარემოს გათვალისწინებით, საპენსიო ფონდში ყოველთვიური შენატანების ოდენობა განისაზღვრა 6%-ით. რეკომენდირებულია, რომ შენატანების კოეფიციენტი საშუალო ვადიანი პერიოდში 8%-ს მიაღწიოს. საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე, არ არსებობს სტანდარტული ფორმულა საპენსიო სისტემაში შენატანების კოეფიციენტის განსაზღვრასთან დაკავშირებით. მაგალითისთვის, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, სადაც მსგავსი საპენსიო მოდელები დაინერგა შენატანების კოეფიციენტი მერყეობს 3%-

**მკონსტრუქციული რაზორბა: ანალიზი, პრობლემაი, პერსპექტივაი**

იდან 9%-მდე, თუმცა ლათინური ამერიკის ქვეყნებში იგივე კოეფიციენტი 10%-იდან 16%-ის ფარგლებშია.

საპენსიო სარგებლის ოდენობაზე, შენატანების კოეფიციენტის გარდა, ასევე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს შენატანების ანუ დასაქმების ხანგრძლივობას. კონსერვატიული საინვესტიციო და ამონაგების სცენარის პირობებში 6%-იან შენატანს, ზომიერი სარგებელი მოაქვს. თუმცა, 2%-ით მეტი შენატანის შემთხვევაში განსაკუთრებით მათთვის, ვინც 20 წლის განმავლობაში მაინც ახორციელებს შენატანებს საპენსიო სარგებელი გაცილებით მაღალი იქნება. დიაგრამა 1 გვიჩვენებს 6% და 8%-იანი შენატანების გავლენას და წლების სენსიტიურობას საპენსიო სარგებელზე. აღნიშნული დიაგრამა ნათლად წარმოაჩენს დამატებითი 2%-იანი შენატანის მნიშვნელობას. შესაბამისად, უნდა ნახალისდეს დამატებითი ნებაყოფლობითი შენატანები.

**დიაგრამა 1 : შენატანების ხანგრძლივობა და კერძო დატოვებითი საპენსიო სისტემის სარგებელი (რეალური და ნომინალური ღირებულება ლარებში)\***



*წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამსახურის*

\*დიაგრამაზე მოცემული გათვლები ეფუძნება 1000 ლარის ყოველთვიურ შემოსავალს.

გრძელვადიან პერიოდში, კერძო დაგროვებითი პენსია სოციალურ პენსიასთან ერთად ორჯერ მეტად გაზრდის პენსიის ჩანაცვლების კოეფიციენტს. საშუალო ზრდის დაშვების პირობებშიც კი სოციალური პენსიის ჩანაცვლების კოეფიციენტი, კერძო დაგროვებითი პენსიის გარეშე, 15%-ზე დაბალი იქნება. თუმცა, თუ მოხდება სოციალური პენსიის კერძო დაგროვებით პენსიასთან კომბინაცია, ჩანაცვლების კოეფიციენტი 30%-ს გადააჭარბებს იმ მოქალაქეებისთვის, რომლებიც 30 წელზე მეტი მონაწილეობენ კერძო დაგროვებით საპენსიო სისტემაში.

შენატანების პროცენტული ოდენობა (6%) დამსაქმებელს, დასაქმებულსა და მთავრობას შორის გადანაწილდება. საპენსიო სისტემაში, როგორც შენატანები, ისე ამონაგები და გასაცემი საპენსიო თანხები, დაბეგვრისაგან გათავისუფლებული იქნება. საჯარო სექტორი და სახელწიფო საკუთრებაში მყოფი კომპანიები თანამშრომლებს დააფინანსებენ იგივე წესით, როგორც კერძო სექტორის შემთხვევაში.

სამომავლოდ მისაღები კერძო დაგროვებითი პენსიის სარგებელი სენსიტიურია ფონდის მომგებიანობასთან მიმართებაში, განსაკუთრებით, როდესაც ინვესტირება ხორციელდება გრძელვადიანი პერიოდით. სისტემის მიზანია წარმოქმნას ყოველწლიური ამონაგები, რომელიც ინფლაციის დონეზე მაღალი იქნება. რაც უფრო მაღალ რეალურ მოგებას წარმოქმნის სისტემა მით უფრო მაღალი ჩანაცვლების კოეფიციენტი მიიღწევა. მთავრობის მიერ შემუშავებულ საინვესტიციო პარამეტრებს და რეგულაციებს საპენსიო ფონდის მომგებიანობაზე მნიშვნელოვანი გავლენა ექნება. ინვესტირების კონსერვატიული მოთხოვნები და მოკლევადიან ინსტუმენტებში ინვესტირება საპენსიო ფონდისთვის ნაკლები მოგების მომტანი იქნება. საინვესტიციო პოლიტიკისა და ფონდის გრძელვადიან მომგებიანობას შორის ბალანსის შესანარჩუნებლად, აუცილებელია რისკების მართვის და საინვესტიციო პარამეტრების სწორად შემუშავება.

კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვა ნებაყოფლობითი მონაწილეობის საფუძველზე მოხდება. თუმცა,

მნიშვნელოვანია სავალდებულო პრინციპის არსებობა დამსაქმებელსა და სახელმწიფოს მიმართ.

ნებისმიერ საპენსიო ასაკამდე მყოფ პიროვნებას ექნება სისტემაში მონაწილეობის შესაძლებლობა. პენსიაზე გასვლის დროს იარსებებს ორი სახის არჩევანი: ანუიტეტი, რომელიც გულისხმობს ფიქსირებული ოდენობის თანხის შემოსავალს პენსიონერისათვის დარჩენილი ცხოვრების მანძილზე ან დაგროვებული თანხის გადანაწილებას პენსიონერის ცხოვრების ასაკის ხანგრძლივობის მიხედვით. ანუიტეტის პროდუქტების შეთავაზებისათვის მნიშვნელოვანია სადაზღვეო ბაზრის განვითარება. მოქალაქეს ასევე შეეძლება დაგროვილი თანხის გარკვეული პროცენტის ერთჯერადად გამოტანა შესაბამისი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში (დანაზოგის რაოდენობიდან გამომდინარე).

მონაწილეებს ნაადრევად პენსიაზე გასვლის შესაძლებლობა ექნებათ, იმ შემთხვევაში თუ დაუგროვებთ გარკვეული ოდენობის აქტივები. ასევე, შესაძლებელი იქნება პენსიაზე გასვლის რამდენიმე წლით გადადება.

საპენსიო დანაზოგის საპენსიო ასაკის მიღწევამდე გამოტანა გამონაკლისების გარდა აკრძალული იქნება. ასევე, შესაძლებელია მაღალი საჯარიმო სანქციის გადახდის შემთხვევაში ნაადრევად გამოტანა, თუმცა აღნიშნული საკითხი მოითხოვს დამატებით შესწავლას. ცხადია, გარდაცვალების შემთხვევაში დაგროვებული თანხა მემკვიდრეს სრულად გადაეცემა.

საპენსიო დანაზოგები პარლამენტის მიერ დაარსებულ არაკომერციულ საპენსიო ფონდში იქნება მიმართული. იგივე მოდელი ფუნქციონირებს დიდ ბრიტანეთში, სახელმწიფო დასაქმების დანაზოგების ფონდის სახით (**National Employment Savings Trust-NEST**). ფონდს ეყოლება პროფესიული ნიშნით არჩეული დირექტორთა საბჭო, რომელიც პასუხისმგებელი იქნება საინვესტიციო სტრატეგიის განსაზღვრასა და დამტკიცებაზე. საპენსიო ფონდის აქტივების აქტიური მართვის პროცესში ფონდის ხელმძღვანელობა არ იქნება ჩართული.

აქტივების მართვა ტენდერის საფუძველზე გადაეცემა აქტი-

ვების მართველ კომპანიებს (Asset Management Companies). ფონდის ხელმძღვანელობა, რომელიც პასუხისმგებელია მის ფუნქციონირებასა და სტრატეგიის შემუშავებაზე, მონიტორინგს გაუწევს კომპანიის მიერ აქტივების განთავსებას და საინვესტიციო სტრატეგიის განხორციელებას. ფონდის თანხების გადაცემა სამართავად აქტივების მართვის კომპანიისათვის გაზრდის აქტივების მართვის ეფექტიანობას და ამავდროულად შეამცირებს ადმინისტრირების და მენეჯმენტის ხარჯებს. არაკომერციული ფონდი იფუნქციონირებს როგორც პროფესიული ფინანსური ორგანიზაცია და მნიშვნელოვანია მისი დაცვა პოლიტიკური ზეგავლენისგან. ამავდროულად, ფონდი ანგარიშვალდებული იქნება პარლამენტის წინაშე.

საპენსიო აქტივების განთავსების პარამეტრებს და რეგულაციებს განსაზღვრავს მარეგულირებელი ორგანო. რეგულატორი განსაზღვრავს საინვესტიციო ინსტრუმენტების ნუსხას და ასევე დაადგენს თუ მთლიანი აქტივების რამდენი პროცენტია შესაძლებელი განთავსდეს თითოეულ ინსტრუმენტში.

საპენსიო ფონდის მიერ აკუმულირებული თანხების ინვესტირება მოხდება ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე. საინვესტიციო სტრატეგია დაეფუძნება ასაკობრივი ალოკაციის (life-cycle approach) მართვის მიდგომას. საინვესტიციო რეგულაციასა და დივერსიფიკაციასთან ერთად, მსგავსი მიდგომა თამაშობს მნიშვნელოვან როლს საპენსიო ფონდის მონაწილის საინვესტიციო რისკის დაცვის კუთხით და ასევე, ხელს უწყობს საინვესტიციო პორტფელის გრძელვადიან მომგებიანობას.

კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემაში დროის შედარებით მოკლე პერიოდში დიდი რაოდენობით აქტივები აკუმულირდება. დაგროვებული თანხების ოდენობა დამოკიდებულია შენატანების კოეფიციენტზე, ფონდის მოგებასა და მონაწილეთა რაოდენობაზე. ნავარაუდევია, რომ სისტემის გააქტიურებიდან პირველი წლის თავზე სისტემა მოიზიდავს ფორმალურ სექტორში დასაქმებულთა 45-50%.

მიმდინარე რეფორმის სამოქმედო გეგმა განერილია შემდეგნაირად:

2017 წლის იანვარ-თებერვალში საპენსიო ფონდების შექმნა და კანონების დამტკიცება. აქტივების მმართველი კომპანიების მიმართ მოთხოვნების შემუშავება უკვე დასრულებულია, ხოლო რაც შეეხება აქტივების მმართველი კომპანიების შერჩევის პროცესს - დაგეგმილია მარტის თვიდან. საპენსიო ფონდის დირექტორთა საბჭოს და გენერალური დირექტორის შერჩევა/დანიშვნა, ორგანიზაციული სტრუქტურის შემუშავება და განვითარების სტრატეგიის მომზადება ამა წლის აპრილისა და მაისის თვეში. ამავე პერიოდში უნდა მოხდეს ბიზნეს პროცესების და ოპერირების წესების შემუშავება (SOPs); IT სისტემის დანერგვა და განვითარება. ვებ-გვერდის შექმნა და ონლაინ სერვისების დანერგვა, ასევე IT სისტემის ტესტირება; პერსონალური ანგარიშების აღრიცხვიანობის სისტემის შექმნა მოხდება 2017 წლის ივნისიდან აგვისტოს თვემდე, ხოლო რეფორმირებული საპენსიო სისტემის საქართველოში დანერგვა - 2017 წლის 1 ოქტომბრიდან.

## **დასკვნა**

ამრიგად, საპენსიო რეფორმის კონცეფცია წარმოადგენს მთავრობის გეგმას საპენსიო უზრუნველყოფის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, რომელიც ასახავს გრძელვადიან რისკებს და ითვალისწინებს ქვეყანაში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ რეალობას. რეფორმის მიზანია:

1. არსებული პენსიონერების უკეთ დაცვა სიღარიბისგან, ინდექსაციის მეშვეობით, რაც გარანტირებულად უზრუნველყოფს პენსიონერის მსყიდველუნარიანობის დონის შენარჩუნებას;

2. მომავალი პენსიონერების უზრუნველყოფისათვის უკეთესი პირობების შექმნა, რომელიც პირდაპირპროპორციულად იქნება დაკავშირებული დასაქმების პერიოდში მიღებულ შემოსავალთან და საპენსიო ფონდის მოგებასთან.

კერძო საპენსიო სისტემა საშუალებას მისცემს ფორმალურ სექტორში დასაქმებულ მოქალაქეებს, უკეთ დაგეგმონ საპენსიო ასაკი და არ იყვნენ დამოკიდებული მხოლოდ სახელმწიფო დაფინანსებაზე.

**ლიტერატურა:**

1. საქართველოს კანონი სახელმწიფო პენსიის შესახებ [http://ssa.gov.ge/files/01\\_GEO/JAN\\_PROG/Brdzanebebi-Kanonebi/8.pdf](http://ssa.gov.ge/files/01_GEO/JAN_PROG/Brdzanebebi-Kanonebi/8.pdf)
2. საქართველოს კანონი არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ [http://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/dazghveva/\\_\\_\\_\\_.pdf](http://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/dazghveva/____.pdf)
3. დ. დევდარიანი, სტატია „საპენსიო სისტემის რეფორმის მიმდინარეობის ანალიზი“ 22.01.2016 <https://idfi.ge/ge/analysis-of-pension-system-reform>
4. დ. დევდარიანი, სტატია „დაგროვებითი საპენსიო სისტემის რეფორმის ანალიზი“ 05.02.2016 <https://idfi.ge/ge/analysis-of-accumulative-pension-system>
5. Pensions at a Glance, OECD <http://www.oecd.org/finance/private-pensions/39665492.pdf>
6. Global Pension Systems and Their Reform: Worldwide Drivers, Trends, and Challenges <http://ftp.iza.org/dp6800.pdf>
7. ინტერნეტიდან მოძიებული მასალების საიტები: <http://www.economy.ge> <https://eprc.ge> <http://www.ssa.gov.ge> <http://www.matsne.gov.ge> <http://forbes.ge> <https://www.nbg.gov.ge>

**REFERENCES:**

1. The Law of Georgia on State Pensions [http://ssa.gov.ge/files/01\\_GEO/JAN\\_PROG/Brdzanebebi-Kanonebi/8.pdf](http://ssa.gov.ge/files/01_GEO/JAN_PROG/Brdzanebebi-Kanonebi/8.pdf)
2. The Law of Georgian on Non-State Pension Insurance and Security [http://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/dazghveva/\\_\\_\\_\\_.pdf](http://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/dazghveva/____.pdf)
3. D. Devdariani, article, ‘Analysis of Pension System Reform’ 22.01.2016 <https://idfi.ge/ge/analysis-of-pension-system-reform>
4. D. Devdariani, article, ‘Accumulative Pension System Analysis’ 05.02.2016 <https://idfi.ge/ge/analysis-of-accumulative-pension-system>



5. Pensions at a Glance, OECD <http://www.oecd.org/finance/private-pensions/39665492.pdf>

6. Global Pension Systems and Their Reform: Worldwide Drivers, Trends, and Challenges <http://ftp.iza.org/dp6800.pdf>

7. Internet resources: <http://www.economy.ge>; <https://eprc.ge>; <http://www.ssa.gov.ge>; <http://www.matsne.gov.ge>; <http://forbes.ge>; <https://www.nbg.gov.ge>;

## **CURRENT PENSION REFORM IN GEORGIA**

**Diana Uglava**

Akaki Tsereteli State University

PhD Student

### **RESUME**

At the current stage developing an efficient and fair pension policy is the main challenge for many countries in the world. A number of developed and developing countries are still in the process of modifying the pension system, which aims to ensure the adequate retirement income, fiscal sustainability of pension costs and a more efficient manner of reaction towards demographic changes. With this background, in the Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia the pension reform service was set up. It has developed a pension reform strategy, which implies working out mechanism (indexation) for social pension growth and the introduction of an extra component of the pension system \_ a private accumulative pension model.

In Georgia like in other countries of the world the main objectives of the reform are as follows: maintaining pension purchasing power and its improvement; increasing the ratio of pension income to the salaries; ensuring financial sustainability of the social pension model.

**Key words:** pension system, state pension, pension reform, accumulative pension system, pension fund, pension savings.

# დაგროვებითი პენსიის სოციალურ- ეკონომიკური პარსპექტივები

ნაზი ჭიკაიძე

ეკონომიკის დოქტორი,  
სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

## რეზიუმე

საპენსიო რეფორმის კონცეფცია წარმოადგენს მთავრობის გეგმას საპენსიო უზრუნველყოფის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, რომელიც ასახავს გრძელვადიან რისკებს და ითვალისწინებს ქვეყანაში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ რეალობას. საპენსიო რეფორმის ერთ-ერთი ამოცანაა არსებული სოციალური სისტემის ფისკალური მდგრადობის შენარჩუნება, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში მნიშვნელოვანი გამოწვევაა.

რეფორმის საჭიროება გამომდინარეობს ნეგატიური ფაქტორებიდან, როგორცაა: საპენსიო ასაკში მყოფი მოსახლეების რაოდენობრივი ზრდა, შობადობის კოეფიციენტის შემცირება, სამუშაო ასაკში მყოფი მოსახლეების კლება, მიგრაციული პროცესები და ა.შ.

კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვა წარმოადგენს ყველაზე ოპტიმალურ რეფორმის ვარიანტს, რომელიც გრძელვადიანად უზრუნველყოფს საპენსიო შემოსავლის გაუმჯობესებას. კერძო საპენსიო სისტემა „განსაზღვრული შენატანის“ პრინციპს დაეფუძნება. ასეთი სისტემის თანახმად, კერძო საპენსიო ფონდში დაგროვებული თანხა დამოკიდებულია ინდივიდუალურ შენატანებზე, საპენსიო ფონდის ამონაგებსა და დასაქმების ხანგრძლიობაზე,

შენატანების პროცენტული ოდენობა (6%) დამსაქმებელს, დასაქმებულსა და მთავრობას შორის გადანაწილდება.

გარდა ამისა, კერძო დაგროვებით საპენსიო სისტემას გააჩნია ეკონომიკის მასტიმულირებელი ეფექტი. კერძო დანაზოგების ზრდა, რაც ნიშნავს გრძელვადიანი ფინანსური რესურსის მობილიზებას, მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს ადილობრივი კაპი-

ტალღური ბაზრის განვითარებას და საბოლოო ჯამში დადებითად აისახება ეკონომიკურ ზრდაზე.

**საკვანძო სიტყვები:** რეფორმა, სოციალური პენსია, დაგროვებითი პენსია, შენატანი. დაზღვევა, ეკონომიკური ზრდა

## **შესავალი**

საპენსიო პოლიტიკის შემუშავება მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მიმდინარე დებატების ფუნდამენტურ კომპონენტს წარმოადგენს. არაერთი განვითარებული თუ განვითარებადი ქვეყანა ჯერ კიდევ საპენსიო სისტემების მოდიფიცირების პროცესშია, რომლის მიზანია ადეკვატური საპენსიო შემოსავლის უზრუნველყოფა, საპენსიო ხარჯების ფისკალური მდგრადობა და მოსახლეობის დემოგრაფიული ცვლილებების მიმართ უფრო ეფექტიანი რეაგირება. ნებისმიერი ტიპისა და მასშტაბის რეფორმა დგას გარკვეული რისკებისა და გამოწვევების წინაშე, რომელიც მოითხოვს რეფორმის კონცეფციის ღრმა ანალიზს, შესაძლო შედეგების გათვალისწინებას, საფრთხეების კომპლექსურ გააზრებასა და ამ საფრთხეების თავიდან ასაცილებლად ეფექტური მექანიზმების შემუშავებას.

## **ძირითადი ტექსტი**

საპენსიო სისტემის რეფორმა, თავისი არსით, ფართომასშტაბიანი ეკონომიკური პროექტია, რომელსაც მაღალი სოციალური მნიშვნელობა აქვს, მოწყვლადია ქვეყნის ფინანსური შესაძლებლობების მიმართ და ხასიათდება მაღალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინტერესით.

საქართველოში საპენსიო რეფორმის სტრატეგია ითვალისწინებს სოციალური პენსიის ზრდის მექანიზმის შემუშავებას (ინდექსაციას) და დამატებითი საპენსიო სისტემის კომპონენტის - კერძო დაგროვებითი საპენსიო მოდელის დანერგვას.

რეფორმის ძირითადი ამოცანებია სოციალური პენსიის მსყიდველუნარიანობის შენარჩუნება და გაუმჯობესება; საპენსიო შემოსავლის თანაფარდობის ზრდა ხელფასთან მიმართებაში; და სოციალური საპენსიო მოდელის ფინანსური მდგრადობის უზ-

რუნველყოფა. საპენსიო რეფორმის საჭიროება გამომდინარეობს შემდგომი გარემოებებიდან:

- ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვნად შეიცვალა საქართველოს დემოგრაფიული შემადგენლობა. შობადობის შემცირებისა და მიგრაციის ფონზე მნიშვნელოვნად შემცირდა შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობა. ამავდროულად, გაიზარდა პენსიონერთა რიცხვი და მოიმატა საპენსიო ასაკის ხანგრძლივობამ, რაც იმას ნიშნავს, რომ შემცირებადმა სამუშაო ასაკის მოსახლეობამ, რომელიც სულ უფრო მცირდება, უნდა იტვირთოს მზარდი პენსიონერთა სოციალური უზრუნველყოფა.

- არსებული სოციალური საპენსიო სქემა წარმოადგენს სიღარიბესთან ბრძოლის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, თუმცა ამ მიზნის მისაღწევად გასათვალისწინებელია ქვეყანაში მიმდინარე ინფლაცია.

- ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საპენსიო ხარჯები მნიშვნელოვნად გაიზარდა

- იმისათვის, რომ სამუშაო ასაკში მყოფმა მოსახლეობამ მიიღოს ადეკვატური საპენსიო შემოსავალი, რომელიც პირდაპირპროპორციული იქნება მოქალაქის მიერ გამოქვამებული ხელფასისა, საჭიროა დამატებითი დანაზოგების მექანიზმების შემუშავება.

- გრძელვადიანი საპენსიო დანაზოგების დანერგვა ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდას, კაპიტალის ბაზრის განვითარების მეშვეობით.

მთავრობის მიერ კერძო საპენსიო სისტემის დანერგვა წარმოადგენს ყველაზე ოპტიმალურ გადაწყვეტილებას, გრძელვადიანი საპენსიო უზრუნველყოფის გაუმჯობესების კუთხით. არსებული სისტემის ანალიზი ცხადყოფს, რომ ჩანაცვლების კოეფიციენტი ვერ გაუმჯობესდება მხოლოდ მთავრობის დაფინანსებით. სოციალური პენსიისა და საშუალო ხელფასის თანაფარდობა შეადგენს 18%-ს, რომელიც მოკრძალებული მაჩვენებელია საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით; თუმცა, ეს ერთადერთი მექანიზმია, რომელიც საშუალებას იძლევა საპენსიო ასაკში მყოფ-

ფი მოსახლეობის დიდი ნაწილი დაიცვას სიღარიბისგან. საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზის თანახმად, არასწორია მოლოდინი, რომ სოციალურ საპენსიო სისტემას მაღალი ჩანაცვლების კოეფიციენტი ჰქონდეს; ჩანაცვლების კოეფიციენტის გაუმჯობესებისათვის საჭიროა ისეთი დამატებითი მექანიზმების დანერგვა, როგორცაა კერძო საპენსიო დანაზოგები.

კერძო საპენსიო სისტემის დანერგვა შესაძლებელს გახდის, სოციალური საპენსიო სისტემა ეტაპობრივად იქცეს სიღარიბის დაძლევის ინსტრუმენტად. არსებული სისტემა საშუალებას იძლევა, საპენსიო ასაკში მყოფი მოქალაქეები დაიცვას სიღარიბისაგან, თუმცა ამ მიზნის მისაღწევად აუცილებლობას არ წარმოადგენს მაღალი ჩანაცვლების კოეფიციენტი. ამგვარად, კერძო საპენსიო სისტემა, შესაძლებელს გახდის სოციალური პენსია მიზანმიმართული იყოს საპენსიო ასაკში სიღარიბის დასაძლევად და არა მაღალი ჩანაცვლების კოეფიციენტის უზრუნველსაყოფად.

კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვა წარმოადგენს ყველაზე ოპტიმალურ რეფორმის ვარიანტს, რომელიც გრძელვადიანად უზრუნველყოფს საპენსიო შემოსავლის გაუმჯობესებას. არსებული სისტემის ანალიზი ცხადყოფს, რომ ჩანაცვლების კოეფიციენტის ზრდა შეუძლებელია მხოლოდ სახელმწიფო დაფინანსების ხარჯზე. თუნდაც ისეთი სცენარის დროს, როცა სოციალური პენსია ნომინალურ მშპ-სთან არის ინდექსირებული, ჩანაცვლების კოეფიციენტი მცირდება, მიუხედავად იმისა, რომ ფისკალური ხარჯები საგრძნობლად იზრდება. ამიტომ, საჭიროა ფინანსურ ნახალისებაზე და მონაწილეთა შენატანებზე დაფუძნებული კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვა, რომელიც მომავალი თაობის პენსიონერებისათვის დამატებითი მნიშვნელოვანი შემოსავლის წყარო გახდება.

კერძო საპენსიო სისტემა „განსაზღვრული შენატანის“ პრინციპს დაეფუძნება (Defined Contribution). ასეთი სისტემის თანახმად, კერძო საპენსიო ფონდში დაგროვებული თანხა დამოკიდებულია ინდივიდუალურ შენატანებზე, საპენსიო ფონდის ამონაგებსა და დასაქმების ხანგრძლიობაზე (რაც უფრო დიდი ხნის მანძილზე

მოხდება პორტფელში ინვესტირება, მით უფრო მაღალი ფინანსური შედეგი დადგება). განსაზღვრული შენატანების პრინციპის თანახმად, მოქალაქის მიერ სამომავლოდ მისაღები სარგებელი პირდაპირ დაკავშირებულია პირის მიერ წლების განმავლობაში გამოიმუშავებულ ხელფასსა და შენატანებზე. ამრიგად, კერძო საპენსიო სისტემა ბევრად უფრო სამართლიან მიდგომას სთავაზობს მოქალაქეებს. მსგავსი მიდგომის დანერგვის მოთხოვნა არაერთხელ ყოფილა გაჟღერებული საზოგადოების მხრიდან.

კერძო დაგროვებითი სისტემის მონაწილეები იმავდროულად მიიღებენ არსებულ სოციალურ პენსიას. სოციალური პენსია კერძო პენსიასთან ერთად, უზრუნველყოფს ბევრად უფრო ადეკვატურ ჩანაცვლების კოეფიციენტს. თუ გავითვალისწინებთ კერძო დაგროვებითი საპენსიო სქემით განსაზღვრულ შენატანის საკმაოდ მოკრძალებულ 6%-იან განაკვეთს, საშუალო ხელფასის მქონე პირები, ორი საპენსიო სისტემის მეშვეობით დაახლოებით 30%-იან ჩანაცვლების კოეფიციენტს მიიღებენ, გრძელვადიანი დანაზოგის შემთხვევაში. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სოციალურ პენსიაზე ხელმისაწვდომობა კერძო დაგროვებითი სისტემის მონაწილეთათვის ხელს შეუწყობს ახალ სისტემაში განევრიანებას.

კერძო დაგროვებითი სისტემის სარგებლის ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორია ყოველთვიური შენატანების პროცენტული მაჩვენებელი ხელფასთან მიმართებაში. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური გარემოს გათვალისწინებით, საპენსიო ფონდში ყოველთვიური შენატანების ოდენობა განისაზღვრა 6%-ით. შენატანების ოდენობა განაწილება დამსაქმებელს, დასაქმებულსა და მთავრობას შორის. შემოთავაზებული კერძო საპენსიო სისტემა გავრცელდება ფორმალურ სექტორში დასაქმებული პირების მიმართ შემდეგი პრინციპით 2%+2%+2%. სისტემის სამი მონაწილე მხარე - მთავრობა, დამსაქმებელი და დასაქმებული ყოველთვიურად ახორციელებს 2%-იან შენატანს დასაქმებულის პერსონალურ საპენსიო ანგარიშზე, რაც საბოლოო ჯამში უტოლდება 6%. რეკომენდირებულია, რომ შენატანების კოეფიციენტმა საშუალო ვადიანი პერიოდში 8%-ს მიაღწიოს. საერთაშორისო

პრაქტიკიდან გამომდინარე, არ არსებობს სტანდარტული ფორმულა საპენსიო სისტემაში შენატანების კოეფიციენტის განსაზღვრასთან დაკავშირებით. მაგალითისთვის, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, სადაც მსგავსი საპენსიო მოდელები დაინერგა შენატანების კოეფიციენტი მერყეობს 3%-იდან 9%-მდე, თუმცა ლათინური ამერიკის ქვეყნებში იგივე კოეფიციენტი 10%-იდან 16%-ის ფარგლებშია.

საპენსიო სარგებლის ოდენობაზე, შენატანების კოეფიციენტის გარდა, ასევე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს შენატანების ანუ დასაქმების ხანგრძლივობას. კონსერვატიული საინვესტიციო და ამონაგების სცენარის პირობებში 6%-იან შენატანს, ზომიერი სარგებელი მოაქვს. თუმცა, 2%-ით მეტი შენატანის შემთხვევაში განსაკუთრებით მათთვის, ვინც 20 წლის განმავლობაში მაინც ახორციელებს შენატანებს საპენსიო სარგებელი გაცილებით მაღალი იქნება გრძელვადიან პერიოდში, კერძო დაგროვებითი პენსია სოციალურ პენსიასთან ერთად ორჯერ მეტად გაზრდის პენსიის ჩანაცვლების კოეფიციენტს. საშუალო ზრდის დაშვების პირობებშიც კი სოციალური პენსიის ჩანაცვლების კოეფიციენტი, კერძო დაგროვებითი პენსიის გარეშე, 15%-ზე დაბალი იქნება. თუმცა, თუ მოხდება სოციალური პენსიის კერძო დაგროვებით პენსიასთან კომბინაცია, ჩანაცვლების კოეფიციენტი 30%-ს გადააჭარბებს იმ მოქალაქეებისთვის, რომლებიც 30 წელზე მეტი მონაწილეობენ კერძო დაგროვებით საპენსიო სისტემაში.<sup>1</sup>

რაც შეეხება კერძო დაგროვებითი საპენსიო აქტივების მართვას, საპენსიო დანაზოგები პარლამენტის მიერ დაარსებულ არაკომერციულ საპენსიო ფონდში იქნება მიმართული. იგივე მოდელი ფუნქციონირებს დიდ ბრიტანეთში, სახელმწიფო დასაქმების დანაზოგების ფონდის სახით. საპენსიო ფონდის მიერ აკუმულირებული თანხების ინვესტირება მოხდება ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე. საინვესტიციო ინსტრუმენტები და განთავსების პარამეტრები განისაზღვრება როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო ბაზრებისთვის. მნიშვნელოვანია, აკუმუ-

---

**1 საქართველოს საპენსიო რეფორმა-საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, გვ.27.**

ლირებული კაპიტალის დივერსიფიკაცია, განსაკუთრებით შეზღუდული და არალიკვიდური ადგილობრივი კაპიტალური ბაზრის პირობებში. საერთაშორისო ბაზრებზე ინვესტირება ასევე დაიცავს ფონდში აკუმულირებულ თანხებს სავალუტო რისკისგან, რომელსაც შესაძლოა გავლენა ქონდეს ადგილობრივ ფასებზე. საერთაშორისო დივერსიფიკაცია, გრძელვადიან პერსპექტივაში, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ჩანაცვლების კოეფიციენტს.

საპენსიო რეფორმას მნიშვნელოვანი გავლენა ექნება ეკონომიკის სტიმულირების კუთხით. კერძო დაგროვებითი სისტემა ხელს შეუწყობს ეკონომიკის ზრდას კაპიტალის ბაზრის განვითარების მეშვეობით. ასევე, დანაზოგების ზრდა, რაც ნიშნავს ადგილობრივ ვალუტაში გრძელვადიანი ფინანსური რესურსის შექმნას, გააუმჯობესებს მაკროეკონომიკურ პარამეტრებს. აკუმულირებული თანხები, კაპიტალური ბაზრის მეშვეობით ინვესტირდება ეკონომიკაში, რაც ხელს შეუწყობს ფასიანი ქაღალდების, კორპორატიული ობლიგაციების და სხვა საინვესტიციო ინსტრუმენტების შექმნას. გარდა ამისა, გაიზრდება მოთხოვნა ფინანსური აქტივების პროფესიულად მართვის კუთხით, რაც საბოლოო ჯამში კიდევ უფრო ხელს შეუწყობს აქტივების მართვის ინდუსტრიის განვითარებას და შესაბამისად, ფინანსური ინსტიტუტების გაძლიერებას.

კერძო დაგროვებითი სისტემის არსებობა შესაძლებელს გახდის უკეთ განისაზღვროს სოციალური პენსიის ფუნდამენტური პრინციპი, რაც გულისხმობს საპენსიო ასაკში მყოფი მოსახლეობის სიღარიბისგან დაცვას. აღნიშნული მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანია, სოციალური პენსია არ ჩამოუვარდებოდეს საარსებო მინიმუმს და ასევე, პენსია გაიზარდოს მინიმუმ ინფლაციის პარალელურად ან ინფლაციაზე მეტად მაღალი ეკონომიკური ზრდის შემთხვევაში.

მიუხედავად იმისა, რომ გამწევ ძალად საპენსიო დაზღვევის შემოღების შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს კერძო ფონდები, სახელმწიფო არ შეიძლება იყოს წარმოდგენილი როგორც მეორეხარისხოვანი მოთამაშე. სახელმწიფომ პირველ რიგში უნდა შექმნას საკანონმდებლო ბაზა სავალდებულო საპენსიო დაზ-



ღვევისთვის, რომლითაც განისაზღვრება კერძო ფონდების ქცევის ნორმები, მათი უფლებები და ვალდებულებები, ასევე ის გარანტიები, რომლითაც საკანონმდებლო დონეზე დაცული იქნებიან საპენსიო დაზღვევით მოსარგებლე პირები. უმნიშვნელოვანესია სახელმწიფომ აქტიურად შეასრულოს კერძო ფონდების მაკონტროლებლის ფუნქცია, ადვენოს თვალყური მათ ყოველდღიურ საქმიანობას და შეიმუშავოს სპეციალური რეგულაციები, რომლებიც შეამცირებენ რისკებს (მაგალითად დაწესდეს სარეზერვო მოთხოვნა მოზიდულ ფულად სახსრებზე, როგორც ეს ხდება ეროვნული და კომერციული ბანკების შემთხვევაში). ასევე აუცილებელია საპენსიო დაზღვევის სქემაში მონაწილე ნებისმიერ პირს მიეცეს დამატებითი შენატანების განხორციელების და სასურველი ფონდის თავისუფლად არჩევის შესაძლებლობა.

სახელმწიფომ უნდა გასცეს გარანტიები, რომ ყველა საპენსიო დაზღვევით მოცულ პროვინებას ხანდაზმულობის შემდეგ არ დაემუქრება სიღარიბეში ცხოვრება და თავისი შენატანების მეშვეობით შეეძლება შეინარჩუნოს პენსიამდელი ცხოვრების დონის ნაწილი მაინც;

რეფორმისათვის სერიოზულ გამოწვევას ქმნის საზოგადოების ცნობიერების ამაღლების საკითხი სისტემური ცვლილებების შესახებ, რომელიც შეგვიძლია ვთქვათ, რომ არც თუ წარმატებით ხორციელდება, რადგან მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილი (დარგის სპეციალისტები) ფლობს ადეკვატურ ინფორმაციას რეფორმის თაობაზე. ვფიქრობ, სერიოზული გამოწვევის წინაშე დგას საპენსიო რეფორმის სამსახური, რომელმაც უნდა შეძლოს საზოგადოების სწორი ინფორმირებულობა რეფორმის აუცილებლობის, სარგებლისა და რისკების შესახებ.

უნდა გამოინახოს იმ ეკონომიკური პრობლემის (უმუშევრობა, დაბალშემოსავლიანობა, სიღარიბე) დაძლევის გზები, რომელმაც შეიძლება საპენსიო რეფორმის ჯეროვნად განხორციელების მნიშვნელოვანი შემაფერხებელი გახდეს. ასევე უნდა მოხდეს გააზრება იმისა, თავის მხრივ როგორ შეიძლება დაგროვებითი პენსია გამოყენებულ იქნას ზემოთხსენებული ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის გზაზე;

## დასკვნა

კერძო დაგროვებით საპენსიო სისტემას გააჩნია ეკონომიკის მასტიმულირებელი ეფექტი. კერძო დანაზოგების ზრდა, რაც ნიშნავს გრძელვადიანი ფინანსური რესურსის მობილიზებას, მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს ადილობრივი კაპიტალური ბაზრის განვითარებას და საბოლოო ჯამში დადებითად აისახება ეკონომიკურ ზრდაზე.

დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვისათვის აუცილებელია მთავრობის ეკონომიკური გუნდის მხრიდან გააქტიურდეს შესაბამისი სამუშაოები ქვეყანაში ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებისათვის, გრძელვადიანი ინვესტიციების მოსაზიდად, რომელიც შეამცირებს უმუშევრობის დონეს და გაზრდის მოსახლეობის ეკონომიკურ პოტენციალს, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს როგორც ქვეყანაში, ასევე მოსახლეობაში დანაზოგების გაჩენას.

## გამოყენებული ლიტერატურა :

1. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია. საქართველო 2020;
2. ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი 2016-2019 წლებისათვის;
3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საპენსიო რეფორმის სამსახური, თბ.2016
4. Mitchell, Olivia (1998), Building an Environment for Pension Reform in Developing Countries, Human Development Network, Social Protection Group, World Bank. 2014
5. [www.insurance.org.ge](http://www.insurance.org.ge) 6. <http://www.economy.ge> 7. <http://geostat.ge>

## REFERENCES:

1. Georgian strategy of socio-economic development, Georgia 2020;
2. Document of country's basic indicators and trends for 2016-2019;
3. Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia, agency of pension reform, Tbilisi, 2016.

4. Mitchell, Olivia (1998), Building an Environment for Pension Reform in Developing

Countries, Human Development Network, Social Protection Group, World Bank. 2014

5. [www.insuranse.org.ge](http://www.insuranse.org.ge) 6. <http://www.economy.ge> 7. <http://geostat.ge>

## **SOCIO-ECONOMIC PERSPECTIVES OF CUMULATIVE PENSION**

**Nazi Chikaidze** Doctor of Economics, *Associate Professor of GTU*

### **RESUME**

The concept of a pension reform is government's plan to improve the system of pension guarantees that reflects long-term risks and country's socio-economic reality. One of the main goals of pension reform is to maintain fiscal sustainability of a social system and it is a significant challenge in the long-term perspective.

The necessity of a reform is related to the negative factors, such as growth of number of retired-age pensioners, decline of birth rate, decline of number of workforce, migration processes, etc.

The establishment of a private cumulative pension system is the optimal reformative solution that guarantees pension income in long-term perspective. The private pension system will be based on the principle of "determined fee". According to such system, the private pension fund will accumulate the amount on the basis of individual fees, profit of pension fund and duration of employment. Percentage of fees (6%) will be distributed among employer, employee and state.

Besides, the private pension system has a stimulating impact on economy. Growth of private deposits implies the accumulation of long-term financial resources, facilitates the development of capital market and generally has a positive impact on economic growth.

**Keywords:** Reform, social pension, accumulative pension, fee, insurance, economic growth.

# დამატებული ღირებულების გადასახადით მიღებული ავანსის დაბეგვრის თავისებურებაები

**ნათელა ვაშაკიძე**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესორი

**დებდემონა მალაქელიძე**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესორი

## რეზიუმე

დღგ, როგორც არაპირდაპირი გადასახადი, არის საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის, სამუშაოს, მომსახურების, ნარმოების და მიმოქცევის პროცესში შექმნილი ღირებულების ნაწილის, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანილი ყველა დასაბეგრი საქონლის ღირებულების ნაწილის ბიუჯეტში სავალდებულო შენატანი. გადამხდელისათვის დღგ, დგინდება მიწოდებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ან განუული მომსახურების ფასზე დანამატის სახით და რომელსაც იხდის მომხმარებელი მათი შეძენისას. 2017 წლის 1 იანვრიდან აღნიშნული წესი შეიცვალა. კერძოდ ახალი საკანონმდებლო ცვლილებით „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის #996 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნა ცვლილება და დაემატა 48<sup>1</sup> მუხლი - მისაწოდებელი საქონლის/გასაწვევი მომსახურების საკომპესაციო თანხა ექვემდებარება დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრას ავანსის თანხის მიღების მომენტში. მიღებული ავანსის დღგ -ით დაბეგვრისას აუცილებელია განისაზღვროს მყიდველიდან წინასწარ გადახდილი თანხა ჩაითვლება თუ არა ავანსად, რადგან იგი ყოველთვის არ დაიბეგრება. კერძოდ, პირის მიერ გადახდილი თანხა ჩაითვლება საკომპესაციო თანხად და ოპერაცია დაიბე-

გრება დღე - ით, თუ თანხის მიღების მომენტში სახეზეა საგადასახადო ცვლილებით დადგენილი ყველა პირობა.

**საკვანძო სიტყვები:** დამატებული ღირებულების გადასახადი, დაბეგვრა, საგადასახადო კოდექსი, ავანსი, დასაბეგრი ოპერაცია, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

## **შესავალი**

საქართველოში მოქმედი საგადასახადო კოდექსის მიხედვით დამატებული ღირებულების გადასახადი საერთო-სახელმწიფოებრივი, არაპირდაპირი გადასახადია, რომელიც წარმოადგენს საქონლის/მომსახურების, წარმოებისა და განაწილების ყველა სტადიაზე დამატებული ღირებულების ნაწილის ბიუჯეტში ამოღების ფორმას. დღე წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთ ძირითად წყაროს. ამჟამად დღე შემოღებულია დაახლოებით 137 სახელმწიფოში, თუმცა განვითარებული ქვეყნებიდან მათში არ შედის აშშ და იაპონია, სადაც დღე ის ნაცვლად მოქმედებს გადასახადი გაყიდვებიდან (3% დან 15% მდე). საგულისხმოა, რომ ჩვენი ქვეყნის საგადასახადო სისტემაში დღე-ს არსებობა ევროკავშირში შესვლის სავალდებულო წინაპირობაა.

დღე-ს გადამხდელები არიან ფიზიკური და იურდიული პირები, რომლებიც სავალდებულო წესით ან ნებაყოფლობით რეგისტრირებულნი არიან დღე-ს გადამხდელებად. საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, დღე-ს გადამხდელებად პირების რეგისტრაცია წარმოებს დღე-თი დასაბეგრი ოპერაციის განსაზღვრულ ოდენობამდე მიღწევის მომენტიდან არა უგვიანეს მეორე დღისა.

დღე-თი დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი ოპერაცია და დასაბეგრი იმპორტი, გამონაკლისი შემთხვევის გარდა, როცა საქონლის, მომსახურების მიწოდების ან იმპორტის ოპერაციები განთავისუფლებულია დღე-ს გადახდისაგან, რაც დაშვებულია საგადასახადო კოდექსით. დღე-ს განაკვეთი შეადგენს დასაბეგრი ბრუნვის ან დასაბეგრი იმპორტის თანხის 18 პროცენტს და მისი გადახდა ხდება ყოველთვიურად დადგენილ ვადაში.

დღგ-ს გადახდის ვალდებულება წარმოიქმნება საქონლის ან მომსახურების მიწოდებისთანავე.

საწარმოსათვის დამატებული ღირებულების გადასახადი დგინდება მიწოდებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ან განუული მომსახურების ფასზე დანამატის სახით და რომელსაც იხდის მომხმარებელი მათი შეძენისას. 2017 წლის 1 იანვრიდან აღნიშნული წესი შეიცვალა. კერძოდ ახალი საკანონმდებლო ცვლილებით „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის #996 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნა ცვლილება და დაემატა 48<sup>1</sup> მუხლი - მისაწოდებელი საქონლის/გასაწევი მომსახურების საკომპესაციო თანხა ექვემდებარება დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგრას თანხის მიღების მომენტში.

### ძირითადი ტექსტი

საგადასახადო კოდექსით ცვლილება უკვე განხორციელებულია, ამიტომ დღგ-ით დაბეგრას დაექვემდებარა საქონლის მიწოდებამდე ან/და მომსახურების განევაამდე მყიდველისაგან მიღებული ავანსის თანხები, რა დროსაც დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის თანხას წარმოადგენს მიღებული ავანსის თანხა დღგ-ს გარეშე, ხოლო დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროა ავანსის მიღების მომენტი (საგ. კოდ.მუხლი 161.1.ა.ბ.დ.).

საწარმოსათვის მიღებული ავანსის დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგრისას აუცილებელია განისაზღვროს მყიდველიდან წინასწარ გადახდილი თანხა ჩაითვლება თუ არა ავანსად. საქართველოს ფინანსთა მინისტრის #996/48<sup>1</sup> მუხლის 2-ე პუნქტით პირის მიერ გადახდილი თანხა ჩაითვლება საკომპესაციო თანხად და ოპერაცია დაიბეგრება დღგ - ით, თუ თანხის მიღების მომენტში სახეზეა ყველა შემდეგი პირობა:

ა) განსაზღვრულია მისაწოდებელი საქონელი/გასაწევი მომსახურება,

ბ) განსაზღვრულია მისაწოდებელი საქონლის/გასაწევი მო-

მსახურების რაოდენობა/მოცულობა,

გ) განსაზღვრულია მისანოდებელი საქონლის/გასანევი მომსახურების ღირებულება,

დ) განსაზღვრულია მისანოდებელი საქონელი/გასანევი მომსახურება წარმოადგენს დღგ - ით დასაბეგრ თუ გათავისუფლებულ ოპერაციას.

იმ შემთხვევაში, თუ სახეზე არ არის ზემოთ აღნიშნული დადგენილი პირობები, მაგრამ მხარეთა შეთანხმებით საქონლის მიწოდებამდე/მომსახურების განევაამდე განხორციელდა საკომპესაციო თანხის გადახდა და ამ თანხის მიღების საანგარიშო პერიოდზე გამონერილია ავანსის დღგ-ის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, დღგ-ით დაბეგრის დრო არის საკომპესაციო თანხის მიღების მომენტი და ასევე დღგ-ით რეგისტრირებულ გადამხდელს უფლება აქვს გადახდილ ავანსის თანხაზე კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაითვალოს მისანოდებელ სასაქონელზე/გასანევი მომსახურებაზე გადახდილი დღგ-ის თანხა.

განვიხილოთ როგორ შეიძლება აღნიშნული პირობების მიხედვით მიღებული ავანსის დაბეგრა:

**მაგალითი N1:**

შპს „გრილსერვისმა“ (შემდეგში - გამყიდველი) სავაჭრო კომპანია - შპს „მზიურს“ (შემდეგში - მყიდველი) 2017 წლის 2 მარტს გაუფორმა ხელშეკრულება, რომლის შესაბამისადაც გამყიდველს 2017 წლის აპრილის თვეში (30 აპრილამდე) მყიდველისათვის უნდა მიეწოდებინა 30 ცალი 30 000 ლარის (დღგ-ს ჩათვლით) ღირებულების სამსუნგის მარკის (მოდელი - RL34ECSW1/BWT) მაცივრები. შპს „მზიურმა“ შპს „გრილსერვისს“ მისანოდებელი მაცივრების ღირებულება, ავანსის სახით, სრულად გადაუხადა ხელშეკრულების გაფორმების დღეს (2017 წლის 2 მარტს). მაცივრების მიწოდება კი განხორციელდა 2017 წლის 20 აპრილს.

ავანსის თანხების დღგ-ით დაბეგრის ახალი რეგულაციის შესაბამისად, პირის მიერ მისანოდებელი საქონლის ან/და გა-

სანევი მომსახურების ღირებულების, ავანსის სახით, მიღების შემთხვევაში, ავანსის მიღების საანგარიშო პერიოდში დღე-ით დაბეგვრას დაექვემდებარება მიღებული ავანსის თანხა (საქონლის/მომსახურების ღირებულება), გამყიდველმა, შპს „გრილსერვისმა“ დასაბეგრ ოპერაციაზე დარიცხული დღგ-ს - 4567,27 ლარის ( = 30 000 \* 18/ 118 ) დეკლარირება უნდა მოახდინოს 2017 წლის მარტის თვის (ავანსის თანხის მიღების საანგარიშო პერიოდის) დღგ-ს დეკლარაციაში, ამავე თვეში შპს „გრილსერვისი“ შპს „მზიურს“ გამოუწერს ავანსის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას (მყიდველს აღნიშნული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე დღგ-ს ჩათვლის მიღების უფლება აქვს მარტის თვეშივე).

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 31 დეკემბრის #996 ბრძანებით დამტკიცდა ავანსის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის ახალი ფორმა, რომელიც გამოიწერება საკომპესაციო თანხის დღგ-ით დაბეგვრისას.

- თუ ერთ საანგარიშო პერიოდში ხორციელდება საკომპესაციო თანხის მიღება და საქონლის/მომსახურების მიწოდებაც, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა გამოიწერება საქონლის/მომსახურების მიწოდებისას.

- თუ საკომპესაციო თანხის მიღება და საქონლის/მომსახურების მიწოდება სხვადასხვა საანგარიშო პერიოდში ხორციელდება, გადასახადის გადამხდელი უფლებამოსილია საკომპესაციო თანხაზე გამოწერილი ავანსის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის მონაცემების მიხედვით, შეამციროს მიწოდებულ საქონელზე/განეულ მომსახურებაზე გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით დარიცხული დღგ-ის თანხა.

აღნიშნული რეგულაციით შპს „გრილსერვისმა“ მაცივრების მიწოდებისას 2017 წლის 20 აპრილს უნდა გამოწეროს სასაქონლო ზედნადები სრულ საკომპესაციო თანხაზე და თვის ბოლოს აღნიშნული ზედნადების საფუძველზე საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა. იგი უფლებამოსილია აპრილის თვის



დღგ-ის დეკლარაციის დანართში მიწოდების საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის მონაცემებთან ერთად ასახოს ამავე საქონლის საკომპესაციო თანხაზე გამონერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის მონაცემები, რომლის მიხედვითაც შეიმცირებს მიწოდებულ საქონელზე გამონერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით დარიცხულ დღგ-ის თანხას. მოცემულ შემთხვევაში შპს „გრილსერვისს“ აპრილის თვეში დღგ-ის დეკლარაციით დაერიცხება დღგ  $4567,27 - 4567,27 = 0$ .

მაგალითი N2:

შპს „გრილსერვისმა“ (შემდეგში - გამყიდველი) სავაჭრო კომპანია - შპს „მზიურს“ (შემდეგში - მყიდველი) 2017 წლის 2 მარტს გაუფორმა ხელშეკრულება, რომლის შესაბამისადაც გამყიდველს 2017 წლის აპრილის თვეში (30 აპრილამდე) მყიდველისათვის უნდა მიეწოდებინა 30 ცალი 30 000 ლარის (დღგ-ს ჩათვლით) ღირებულების სამსუნგის მარკის (მოდელი - RL34ECSW1/BWT) მაცივრები. შპს „მზიურმა“ შპს „გრილსერვისს“ მისაწოდებელი 10 ცალი მაცივრების ღირებულება, ავანსის სახით, 10000 ლარი გადაუხადა ხელშეკრულების გაუფორმების დღეს (2017 წლის 2 მარტს). 20 ცალი 20000 ლარის ღირებულების მაცივრების მიწოდება კი განხორციელდა 2017 წლის 20 აპრილს.

დღგ-ით ავანსის თანხების დაბეგვრის ახალი რეგულაციის შესაბამისად, პირის მიერ მისაწოდებელი საქონლის ან/და გასაწევი მომსახურების ღირებულების მხოლოდ ნაწილის, ავანსის სახით, მიღების შემთხვევაში, ავანსის მიღების საანგარიშო პერიოდში დღგ-ით დაბეგვრას დაექვემდებარება მხოლოდ მიღებული ავანსის თანხა (საქონლის/მომსახურების ღირებულების ნაწილი), საქონლის/მომსახურების ღირებულების დარჩენილი ნაწილი დღგ-ით დაბეგვრას დაექვემდებარება საქონლის მიწოდების ან/და მომსახურების გაწევის საანგარიშო პერიოდში (საგ. კოდ. მუხლი 161.1.ა.).

გამყიდველმა, შპს „გრილსერვისმა“ მიღებულ ავანსზე დარიცხული დღგ-ს - 1525,42 ლარის (  $= 10\ 000 * 18 / 118$  ) დეკ-

ლარირება უნდა მოახდინოს 2017 წლის მარტის თვის (ავანსის თანხის მიღების საანგარიში პერიოდის) დღგ-ს დეკლარაციაში, ამავე თვეში შპს „გრილსერვისი“ შპს „მზიურს“ გამოუწერს ავანსის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას. მაცივრების მიწოდებისას 2017 წლის 20 აპრილს უნდა გამოწეროს სასაქონლო ზედნადები სრულ საკომპესაციო თანხაზე და თვის ბოლოს აღნიშნული ზედნადების საფუძველზე საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა. იგი უფლებამოსილია აპრილის თვის დღგ-ის დეკლარაციის დანართში მიწოდების საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის მონაცემებთან ერთად ასახოს ამავე საქონლის საკომპესაციო თანხაზე გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის მონაცემები, რომლის მიხედვითაც შეიმცირებს მიწოდებულ საქონელზე გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით დარიცხულ დღგ-ის თანხას. მოცემულ შემთხვევაში შპს „გრილსერვისს“ აპრილის თვეში დღგ-ის დეკლარაციით დაერიცხება დღგ 4567,27- 1525,42 = 3041,85 ლარის ოდენობით.

ავანსის თანხების დღგ-ით დაბეგვრის ახალი წესი ვრცელდება უძრავი ქონების მიწოდების დაბეგვრაზეც, იმ განსხვავებით, რომ დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროდ (გარდა ავანსად გადახდილი თანხებისა) ითვლება საკუთრების უფლების რეგისტრაციისათვის მარეგისტრირებულ ორგანოში წარსადგენი საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის შედგენის თარიღი (საგ. კოდ. კანონპრ. §161.8.).

### მაგალითი N3:

სამშენებლო კომპანია - შპს „მშენებელმა“ (შემდეგში - სამშენებლო კომპანია) ქუთაისში თამარ მეფის ქუჩაზე საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა დაიწყო 2017 წლის თებერვლის თვეში. 2017 წლის მარტის თვეში (15 მარტს) სამშენებლო კომპანია ფ/პ ანდრია .მალაკელიძეს (შემდეგში - მყიდველი) გაუფორმა ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ივალდებულა 2017 წლის 15 ოქტომბრამდე ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულების გაფორმება და წლის ბოლომდე მყიდველი-

სათვის 70000 ლარის ღირებულების (70კვ.მ.) ფართის გადაცემა (საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების რეგისტრაცია), ხოლო თავის მხრივ მყიდველმა წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე 2017 წლის 10 მაისს გადაუხადა 20 000 ლარი, ხოლო 2017 წლის 20 ივლისს 40 000 ლარი.

2017 წლის 15 ოქტომბერს შპს „მშენებელმა“ მყიდველს გაუფორმა ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულება (რომელიც დამონმდა ნოტარიული წესით), რომლის საფუძველზეც 2017 წლის 3 დეკემბერს მყიდველს საკუთრებაში გადასცა (დაურეგისტრირა) 70 კვ.მ. საცხოვრებელი ფართი. უძრავი ქონების ღირებულების დარჩენილი ნაწილი 10 000 ლარი მყიდველმა სამშენებლო კომპანიას გადაუხადა 8 დეკემბერს.

ავანსის თანხების დღგ-ით დაბეგვრის ახალი რეგულაციით, შპს „მშენებელმა“ ამ დასაბეგრ ოპერაციაზე დარიცხული დღგ-ს ნაწილის - 3050,85 ლარის ( = 20 000 \* 18/ 118 ) დეკლარირება უნდა მოახდინოს 2017 წლის მაისის თვის (ავანსის პირველი ნაწილის მიღების საანგარიშო პერიოდის) დღგ-ს დეკლარაციაში, ამავე თვეში სამშენებლო კომპანია მოთხოვნის შემთხვევაში ფ/პ ანდრია მალლაკელიძეს (20 000 ლარზე) გამოუწერს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას. დასაბეგრი ოპერაციის მეორე ნაწილზე (40 000 ლარზე) დარიცხული დღგ-ს თანხა - 6101,69 ლარი ( = 40 000 \*18/118) სამშენებლო კომპანიამ უნდა დაადეკლარიროს 2017 წლის ივლისის (ავანსის მეორე ნაწილის გადახდის საანგარიშო პერიოდის) დღგ-ს დეკლარაციით. ამავე (ივლისის) თვეში სამშენებლო კომპანია ფ/პ ანდრია მალლაკელიძეს მყიდველს, მისი მოთხოვნის შემთხვევაში, (40 000 ლარზე) გამოუწერს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას. დასაბეგრ ოპერაციაზე ბოლო ნაწილზე (10 000 ლარზე) დარიცხული დღგ-ს თანხა - 1525,42 ლარი ( = 10 000 \*18/118) სამშენებლო კომპანიამ უნდა დაადეკლარიროს 2017 წლის ოქტომბრის თვეში (ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულების ე.ი. მარეგისტრირებელ ორგანოში წარსადგენი საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის შედგენის თარიღი) დღგ-ს დეკლარაციით. ამავე (ოქტომბრის) თვეში სამშენებლო

კომპანია მყიდველს, მისი მოთხოვნის შემთხვევაში, (10 000 ლარზე) გამოუწერს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას.

ავანსის თანხების დღგ-ით დაბეგვრის ახალი წესი არ მოქმედებს საქონლის(გარანტირებული სიმძლავრის, ელექტრო - ან თბოენერჯის, გაზის ან წყლის) ან მომსახურების რეგულარულად ან უწყვეტად მიწოდების/განევის შემთხვევებზე (საგ. კოდ. კანონპრ. §§161.1.ა.ბ.ბ.; 161.1.ა.ბ.გ. ).

**მაგალითი N4:**

ფ/პ ანდრია მერკვილაძემ სატელევიზიო კომპანიას - შპს „სატელიტს“ (შემდეგში - სატელევიზიო კომპანია) 5 თვის (2017 წლის იანვრის, თებერვლის, მარტის, აპრილის და მაისის) ინტერნეტ სატელევიზიო მომსახურების ღირებულება 100 ლარი ( = 20 ლარი \* 5) გადაუხადა წინასწარ, ავანსის სახით 2017 წლის 10 იანვარს.

ავანსის თანხების დღგ-ით დაბეგვრის ახალი რეგულაცია, იანვრის თვეში გადახდილი ავანსის მიუხედავად, დასაბეგრი ოპერაციის დროის ცვლელებას არ იწვევს, რადგან სატელევიზიო მომსახურების განევა განიხილება რეგულარულად და უწყვეტად მომსახურებად, რომელზეც ავანსის თანხების დღგ-ით დაბეგვრის ახალი წესი არ მოქმედებს, შესაბამისად სატელევიზიო კომპანია დასაბეგრ ოპერაციებზე დარიცხულ დღგ-ს დაადეკლარირებს „ძველი პრინციპით“: იანვრის (მომსახურების განევის პერიოდის) დღგ - 3,05 ლარი (=20\*18/118), თებერვლის - 3,05 ლარი (=20\*18/118), მარტის - 3,05 ლარი (=20\*18/118), აპრილი - 3,05 ლარი (=20\*18/118), მაისი - 3,05 ლარი (=20\*18/118),

ავანსის თანხების დღგ-ით დაბეგვრის ახალი წესი არ მოქმედებს ასევე 2017 წლის 1 იანვრამდე დადებულ გარიგებებზე, თუ ავანსის თანხა (ან მისი რალაც ნაწილიც) მიღებული იქნა 2017 წლის 1 იანვრამდე (საგ. კოდ. კანონპრ. §309.98).

**მაგალითი N5:**

შპს „კომფორტი“ (შემდეგში - მყიდველი) და შპს „ავეჯის საბლს“ (შემდეგში - გამყიდველი) შორის 2016 წლის 20 დეკემბე-

რს გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის ძალითაც გამყიდველი ვალდებულია 2017 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 მარტამდე მყიდველისათვის მიეწოდებინა სხვადასახვა დასახელების საოფისე ინვენტარი, სულ 30 000 ლარის ღირებულების. შპს „ავეჯის სახლს“ შპს „კომფორტმა“ 2016 წლის 25 დეკემბერს ავანსის სახით გადაუხადა 8 000 ლარი, 2017 წლის 20 იანვარს 24000 ლარი. საქონლის მიწოდება გამყიდველმა განახორციელა 2017 წლის 27 მარტს.

მოცემულ შემთხვევაში, ავანსის თანხა გადახდილი იქნა 2017 წლის 1 იანვრამდე, ავანსის თანხის დღგ-ით დაბეგვრის ახალი წესი აღნიშნული გარიგების საფუძველზე განხორციელებულ ოპერაციებზე არ გამოიყენება და დღგ-ით დაბეგვრა მოხდება „ძველი პრინციპით“ ე.ი. შპს „ავეჯის სახლი“ დასაბეგრ ოპერაციაზე დარიცხულ დღგ-ს თანხას 4576,27 ლარი ( $=30000 \cdot 18/118$ ), უნდა დაადეკლარირებს 2017 წლის მარტის (საქონლის მიწოდების საანგარიშო პერიოდის) თვის დღგ-ს დეკლარაციით.

მიღებული ავანსის თანხა არ დაიბეგრება დღგ-ით, თუ საქონლის მიწოდება ან მომსახურების განწევა, რომლის ღირებულების ნაწილსაც წარმოადგენს მიღებული ავანსი, გათავისუფლებულია დღგ-ით დაბეგვრისაგან.

საქონლის/მომსახურების შემძენისაგან მიღებული თანხა ჩაითვლება ავანსად და დაიბეგრება დღგ-ით იმ შემთხვევაშიც, როცა საქონლის/მომსახურების შემძენს მომწოდებლის მიმართ თანხის გადახდის მომენტში ერიცხება დავალიანება, თუმცა მხარეთა შეთანხმებით გადახდილი თანხა ჩაითვლება არა ძველი, უკვე არსებული დავალიანების გასტუმრების ანგარიშში, არამედ განხილული იქნება მომავალში მისაწოდებელი საქონლის ან გასანევი მომსახურების ღირებულებად (ან მის ნაწილად).

თუ ავანსის გადახდა არ ხორციელდება კონკრეტული, თანხის გადახდის მომენტამდე შეთანხმებული საქონლის ან მომსახურების შესაძენად და შესაბამისად თანხის მიღების მომენტში, შეუძლებელია მოხდეს მისაწოდებელი საქონლის ან

გასანევი მომსახურების იდენტიფიცირება ან თუ ვერ დგინდება მისანოდებელი საქონლის/ გასანევი მომსახურების რაოდენობა/მოცულობა ან ფასი, მიღებული ავანსის თანხა არ ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას, რადგან ასეთ შემთხვევაში არ არსებობს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული დღგ-ით დასაბეგრი ოპერაცია. როგორც წესი, ასეთ ავანსის თანხას წარმოადგენს დებიტორებისაგან ზედმეტად მიღებული ფულადი სახსრები.

### დასკვნა

ამრიგად, დღგ-ს ახალი საკანონმდებლო ცვლილება მონესრიგებს პრაქტიკაში ისეთ შემთხვევებს, როდესაც ავანსის გადახდა წინ უსწრებს თვითონ საქონლის/მომსახურების მიწოდებას და ეს თანხა დახარჯულია მიწოდების/მომსახურების გასანევის მომენტისათვის, რაც ართულებს შემდგომ დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციას დეკლარირებისას. ანალიზი ცხადყოფს, რომ დღგის მდგომარეობით კომპანიებს ერიცხებათ ასობით მილიონი ლარის საგადასახადო დავალიანება, რომელიც წარმოშობილია იმ მიზეზით, რომ დაბეგვრის მომენტში გადასახადის თანხა კომპანიებს აღარ გააჩნდათ, რის გამოც მისი ადმინისტრირება ფაქტობრივად შეუძლებელია, რაც ასევე იწვევს ბაზარზე არათანაბარი კონკურენციის პირობებს.

### ლიტერატურა:

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსი ცვლილებებით და დამატებებით 2016 წლის 15 ნოემბრამდე გამომცემლობა „ბონა კაუზა“ თბილისი 2016
2. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება # 49 „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის # 966 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, თბილისი 2017 წლის 15 თებერვალი
3. ინტერნეტიდან მოძიებული მასალების საიტები: <http://www.rs.ge> <https://matsne.gov.ge> <http://www.nplg.gov.ge> <http://www.in->

vestinestonia.com <http://forbes.ge> <http://www.bbi.ge> <http://www.doingbusiness.org> <http://rs.ge>

**REFERENCES:**

1. The Tax Code of Georgia with changes and amendments (November 15, 2016), the publishing house “Bona Causa”, Tbilisi 2016;
2. Decree #49 “About Tax Administration” issued by the Minister of Finance concerning the amendments to be made in decree #966 issued by the Minister of Finance in December 31, 2010, Tbilisi, February 13, 2017;
3. Internet resources: <http://www.rs.ge>; <https://matsne.gov.ge>; <http://www.nplg.gov.ge>; <http://www.investinestonia.com>; <http://forbes.ge>; <http://www.bbi.ge>; <http://www.doingbusiness.org>; <http://rs.ge>;

**TAXATION PECULIARITIES  
OF ADVANCE PAYMENTS OF THE VALUE ADDED TAX**

**Natela Vashakidze,**  
Associate Professor, Akaki Tsereteli State University

**Dezdemonia Maglakelidze,**  
Associate Professor, Akaki Tsereteli State University

**RESUME**

The Value Added Tax (VAT), as an indirect tax is a mandatory contribution to the budget that is collected incrementally based on the surplus value, added to the price on goods, work, services, production and circulation process within the territory of Georgia as well as on all types of taxable imported goods within the territory of Georgia. For a taxpayer VAT is determined as the additional charge on the price of the provided commodity or service that is paid by the consumer during its purchase. On January 1, 2017 the abovementioned rule was changed. In particular, according to a

new amendment \_ „About Tax Administration” some changes were introduced to the instruction that was due to the decree #966 issued by the Minister of Finance in December 31, 2010 and 48<sup>1</sup> article was added \_ compensatory amount of goods/services to be provided is subject to value added tax at the moment of receiving advance payments. When levying VAT on the advances received it is necessary to identify whether the amount of money paid beforehand by the buyer is considered to be advance or not as VAT does not always apply. In particular, the amount paid by a person will be considered to be a compensatory amount and the operation will be the VAT taxable if at the moment of receiving the sum all the conditions determined by the taxation amendments are met.

Key words: value added tax, levy of taxes, the tax code, advance, taxable operation, tax invoice.





**ეკონომიკური თეორიის  
თანამედროვე პრობლემები**



**საქართველოს შრომითი რესურსები  
და მათი ეფექტიანი  
გამოყენების პრობლემები**

**გოდერძი ტყეშელაშვილი**  
ემდ, სტუ პროფესორი;

**ხათუნა გიორგაძე**  
ეკონომიკის დოქტორი, სტუ უ/მასწავლებელი;

**მანუჩარ მერებაშვილი**  
სტუ დოქტორანტი.

**რეზიუმე**

საქართველო, თავისი მცირე ქვეყნის სტატუსის მიუხედავად, ვერ ახერხებს არსებული შრომითი რესურსების ეფექტურად გამოყენებას, ამიტომაც ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მესამედი თუ არის დაქირავებული შრომით დასაქმებულები. რაც შეეხება თვითდასაქმებულებს, ისინი შეიძლება უფრო განვიხილოთ, როგორც უმუშევრები.

შრომითი რესურსების გამოყენების ეფექტურად გამოყენების გაუმჯობესებისათვის აუცილებელია ისეთი მაკროეკონომიკური ფაქტორების სრულყოფა, როგორებიცაა: საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარება; ფულად-საკრედიტო და საგადასახადო პოლიტიკა; სამეურნეო სამართლებრივი უზრუნველყოფა. მიკროეკონომიკის ფაქტორებიდან კი ყურადღება გამახვილებულია შემდეგ ფაქტორებზე: მოსახლეობის განათლება და სპეციალობათა ბაზრის მოთხოვნილობებთან შეუსაბამობა; ქვეყნის სასარგებლო წიაღისეული რესურსები და მისი ათვისების დონე; წარმოების შიდა მენეჯმენტის შესაბამისობა თანამედროვე მოთხოვნებთან და მათი კრეატიულობა; საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში ფირმის მონაწილეობის შესაძლებლობა და ა.შ.

ჩამოთვლილი ძირითადი მიკრო- და მაკროფაქტორების რაციონალურ მიმართულებებში ჩაყენება უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკის დაჩქარებულ განვითარებას და არსებული შრომითი რესურსების ეფექტურ გამოყენებას.

**საკვანძო სიტყვები:** მრეწველობა, შრომითი რესურსები, შრომითი რესურსების ეფექტურობა.

## შესავალი

საქართველო ეკონომიკურად განვითარებად ქვეყანას მიეკუთვნება. საკმარისია ითქვას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით მშპ საქართველოში 3715 \$-ია, მაშინ როცა მონაკოში–17337 \$, ნორვეგიაში–13566 \$, აშშ-ში–52352 \$, ავსტრიაში–50420 \$ და ა.შ.<sup>1</sup>

თუ გავითვალისწინებთ, რომ იგივე გაეროს მონაცემებით, ჩვენ მოსახლეობის მიხედვით მსოფლიოში 104-ე ადგილზე ვართ, ხოლო ტერიტორიით - 107-ე ადგილზე, გამოდის, რომ საქართველო ეკონომიკურად საშუალო მსოფლიო მაჩვენებლებსაც ჩამოუვარდება. ანალოგიური მდგომარეობაა მეზობელ მოსაზღვრე სახელმწიფოებთან მიმართებაშიც. ფარდობითი ეკონომიკური მაჩვენებლებით, მხოლოდ სასომხეთს თუ შევედრებით, ხოლო რუსეთი, თურქეთი და აზერბაიჯანი გაცილებით უკეთ გამოიყურებიან ვიდრე საქართველო.

## ძირითადი ნაწილი

აღნიშნული მდგომარეობა თავის გამოხატულებას ჰპოვებს შრომითი რესურსების გამოყენებაში. ოფიციალური სტატისტიკით, საქართველოს მოსახლეობა 3720.4 კაცია, საიდანაც მიჩნეულია, რომ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა 2 მილიონს აჭარბებს. საიდანაც ჩვენი სტატისტიკა 1779.9 კაცს თვლის დასაქმებულად. რამდენადაც ამ დასაქმებულებში იგულისხმება ე.წ. თვითდასაქმებულნი, რომელიც განისაზღვრება ასე: „მე-საკუთრე, რომლის საქმიანობის მიზანს საანგარიშო პერიოდში

---

1 ობ. საიტი: [https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A1%D0%BF%D0%B8%D1%81%D0%BE%D0%BA\\_%D1%8](https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A1%D0%BF%D0%B8%D1%81%D0%BE%D0%BA_%D1%8). გადამონმეზულია 07.03.2017.

**პროგნოზური თარიღის თანამართლვა პრობლემაში**

წარმოადგენს მოგების ან ოჯახური შემოსავლის (ფულით ან ნატურით) მიღება, აგრეთვე ოჯახურ სანარმოში მეურნეობაში უსასყიდლოდ მომუშავე პირი”. ასეთი განმარტებით ძნელია პიროვნება თვითდასაქმებულად არ მიიჩნიო. ამდენად ასეთი სტატისტიკა ნორმალური ეკონომიკური ანალიზისთვის გამოუსადეგარია. იგივე ოფიციალური სტატისტიკა უმუშევრად თვლის პიროვნებას, რომელიც ბოლო 4 კვირის განმავლობაში აქტიურად ეძებდა სამუშაოს, მაგრამ ვერ იპოვა. რამდენადაც საქართველოში არ არსებობს შრომის ბირჟები, რაც თავის მხრივ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნისთვის ნონსესია, ძნელია შრომის მაძიებელთა ციფრის განსაზღვრა. ამიტომაცაა, რომ ჩვენთან ოფიციალურად ფიქსირდება უმუშევრობის 12 % დონე, რაც უკეთესი მაჩვენებელია, ვიდრე ევროკავშირის სახელმწიფოებში და მიუხედავად ამისა, ქართველი შრომით მიგრანტები მრავლად არიან რუსეთსა და თურქეთში, საბერძნეთსა და იტალიაში და სხვა ქვეყნებში.

**ცხრილი 1**

**ცხრილი: დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით. (ლარი).**

სექტორები	2011 წ.	2012 წ.	2013 წ.	2014 წ.	2015 წ.
სულ	636.0	712.5	773.1	818.0	900.4
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა	392.6	424.6	495.0	504.3	578.2
თევზჭერა, მეთევზეობა	271.1	388.9	587.1	503.3	849.5
სამთომოპოვებითი მრეწველობა	838.6	874.5	893.1	902.8	1047.4
დამამუშავებელი მრეწველობა	552.2	623.0	683.0	714.0	767.1
ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	877.0	919.9	967.6	1039.1	1117.2

მშენებლობა	738.5	890.8	868.2	942.8	1182.0
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოსხარების საგნების რემონტი	548.9	650.0	692.5	702.1	783.9
სასტუმროები და რესტორნები	342.4	397.5	437.1	477.5	563.0
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	873.8	943.4	1058.6	1074.7	1189.4
საფინანსო საქმიანობა	1386.3	1402.3	1505.8	1590.3	1691.4
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისთვის მომსახურების გაწევა	674.3	843.5	848.2	911.2	975.0
სახელმწიფო მმართველობა	998.8	1031.2	1152.1	1232.2	1342.7
განათლება	319.6	355.1	422.9	456.7	483.3
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	522.9	599.5	667.9	741.8	844.6
კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	511.5	602.1	680.8	687.2	785.1

გამომდინარე აქედან, დასაქმებულების რიცხვს ყველაზე უკეთ გამოხატავს დაქირავებული შრომით დაკავებულნი, ეს ციფრი 2015 წელს 753.4 ათასი კაცი იყო, რომლის მიხედვით გამოდის, რომ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მხოლოდ 37.3%-ია დასაქმებული, დანარჩენი – 62.7% უმუშევარი.<sup>1</sup> ამ მცირე ექსკურ-

<sup>1</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს სტატისტიკური წელიწადური 2016წ. გვ. 19,41.

სიითაც ნათელია საქართველოს შრომითი რესურსების გამოყენების არაეფექტიანობა.

პრობლემატურია დაქირავებული შრომით დასაქმებულთა სახელფასო შემოსავლებიც. სტატისტიკით განსაზღვრულ მინიმალურ საარსებო კალათას რეალობასთან არავითარი კავშირი არ აქვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორ შეიძლება გერმანიისთვის მინიმალური სამომხმარებლო კალათა იყოს 1200 ევრო, ხოლო ქართველისთვის - 70 ევრო. სექტორულ ჭრილში დასაქმებულთა ნომინალური ხელფასი მოცემულია ცხრილში.

მონაცემები სექტორულ ჭრილში არათანაბარია. შედარებით მაღალი ანაზღაურებით გამოირჩევა საფინანსო საქმიანობა (1691.4 ლარი/თვეში), სახელმწიფო მმართველობა (1342.7 ლარი/თვეში), ხოლო ყველაზე დაბალი ანაზღაურება განათლების სფეროშია (483.3 ლარი/თვეში). აღნიშნული მიუთითებს, ხელისუფლების მიერ განათლების სისტემის პრიორიტეტულად დეკლარირების მიუხედავად, ამ სფეროში არსებულ პრობლემებზე.

ქვეყნის შრომითი რესურსების ეფექტურად გამოყენების უზრუნველყოფისათვის აუცილებელია მაკრო- და მიკროეკონომიკური პრობლემების დიფერენცირება.

მაკროეკონომიკური პრობლემებიდან ფაქტორები შეიძლება დაჯგუფდეს შემდეგ სახეობად:

- საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარება;
- ფულად-საკრედიტო პოლიტიკა;
- საგადასახადო პოლიტიკა;
- სამეურნეო სამართლებრივი უზრუნველყოფა.

მიკროეკონომიკური ფაქტორებიდან შეიძლება გამოვყოს შემდეგი:

- მოსახლეობის განათლება და სპეციალობათა ბაზრის მოთხოვნილობებთან შეუსაბამობა;
- ქვეყნის სასარგებლო წიაღისეული რესურსები და მისი ათვისების დონე;
- წარმოების შიდა მენეჯმენტის შესაბამისობა თანამედროვე მოთხოვნებთან და მათი კრეატიულობა;
- საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში ფირმის მონაწილეობა.

ილეობის შესაძლებლობა და ა.შ.

საბაზრო ინფრასტრუქტურა გამოვლინდება უპირველესად ე.წ. მონესრიგებული ბაზრის, ანუ ბირჟების სახით. ცნობილია ბირჟების შემდეგი სახეობები: სასაქონლო, საფონდო, სავალუტო და შრომის. ამათგან საქართველოში ფუნქციონირებადია მხოლოდ სავალუტო ბირჟა, რომელიც არსებობს ეროვნული ბანკის ეგიდით და ვალუტით ვაჭრობას ონლაინ რეჟიმში ეწევა.

არასრულყოფილად და დიდი შეფერხებით ფუნქციონირებს საფონდო ანუ ფასიანი ქაღალდების ბირჟა. რაც შეეხება სასაქონლო ბირჟას, რომელიც ყველაზე უკეთ ასახავს საბაზრო მექანიზმის ფუნქციონირების დონეს, საქართველოს ტერიტორიაზე ისინი ვერ ფუნქციონირებენ. ამ სახის ბირჟის ისტორია ასეთია: გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ისინი მრავლად დაფიქსირდა, როგორც უნივესრალური, ისე სასაქონლო ბირჟების სახით. მათი უმრავლესობა არასიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა. შედარებით ავტორიტეტული გახდა „კავკასიის უნივერსალური სასაქონლო ბირჟა“, მაგრამ ისიც მალე გადაიქცა ვალუტით სპეკულაციის ადგილად, რასაც ხელი შეუწყო დიდმა რხევებმა სავალუტო პოლიტიკაში – კუპონის არნახულმა ინფლაციამ და ეკონომიკის მონოპოლიზაციისაკენ სწრაფვამ. ამის შემდგომ, რამდენჯერმე გაცხადდა, რომ შეიქმნებოდა სასაქონლო ბირჟები, მაგრამ უშედეგოდ, მაგალითად 2010 წელს გამოცხადდა რეგიონალური უნივერსალური ბირჟის გახსნის შესახებ, რასაც რეზონანსმა მიუძღვნა სტატია სათაურით: „სასაქონლო ბირჟა მონოპოლიურ ბაზრებს ძირს გამოუთხრის“, მაგრამ ამ მიზანს ასრულება არ ეწერა.<sup>1</sup> მსგავსი განცხადება გაკეთდა 2012-2014 წლებშიც, მაგრამ შედეგი ჯერჯერობით არ ჩანს, რისი მთავარი მიზეზიც საქართველოს ეკონომიკის მონოპოლიზაციაში უნდა ვეძებოთ.

დასკვნა

საბაზრო ეკონომიკის პირობებში შრომა გამოდის, როგორც ჩვეულებრივი საქონელი და ამავე დროს განსაკუთრებული

---

1 იხ. გაზეთი რეზონანსი. 29.05.2010 წ. ავტორი-მაკა ხარაზიშვილი. სტატია: „სასაქონლო ბირჟა მონოპოლიურ ბაზრებს ძირს გამოუთხრის“.

საქონელი და ამიტომაც შრომის ბირჟა ორგანიზებულ უნდა იქნას სახელმწიფოს მიერ. 2004 წლიდან არსებული შრომის ბირჟები, რომელიც ძალიან დიდი ნაკლოვანებებით ფუნქციონირებდა, შეიცვალა საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომითი ურთიერთობების დასაქმების დეპარტამენტით, რამაც აღნიშნულ ბაზარზე მდგომარეობა კიდევ უფრო გააუარესა.

საქართველოში ფულად-საკრედიტო პოლიტიკა არამყარი და არაპროგნოზირებადია. აღნიშნული გამოვლინდება, ერთი მხრივ, კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთით და, მეორე მხრივ, - ლარის ფარდობით კონვერტირებულ ვალუტებთან. ორივე მიმართულებით საქართველოში მდგომარეობა, რბილად რომ ვთქვათ, არასახარბიელოა. მაგალითისთვის ისიც კმარა, რომ თუ 2014 წლის დასაწყისში 1 დოლარის გაცვლითი კურსი ლართან მიმართებაში 1.75 იყო, 2015 წლის დასაწყისისთვის 1 დოლარის შეძენა 1.88 ლარად შეიძლებოდა, 2016 წლის იგივე პერიოდისთვის - 2.40 ლარად, 2017 წლის დასაწყისისთვის კი - 2.75 ლარად.<sup>1</sup> დღეისათვის ლარი თითქოს მყარდება დოლართან მიმართებაში, მაგრამ კურსი არაპროგნოზირებადია. რასაც უპირველეს ყოვლისა ეროვნული ბანკის მიერ გაცემული რეფინანსირების სესხების მოცულობის რხევის მაღალი ამპლიტუდა, ფინანსთა სამინისტროს მიერ სახელმწიფო ობლიგაციების და სახაზინო ვალდებულებების ხშირი ცვლილებები განაპირობებს.

ქვეყნის საგადასახადო პოლიტიკა საგადასახადო კოდექსით და გადასახადების განაკვეთებით განისაზღვრება. საერთოთ მიჩნეულია, რომ თუ გადასახადების მობილიზაცია მთლიანი შიდა პროდუქტის 25% აჭარბებს, საგადასახადო სისტემა არაეფექტურია და ხელს არ უწყობს ეკონომიკის განვითარებას. მიუხედავად ამისა, ხელისუფლება ყოველთვის დაინტერესებულია გადასახადების ზრდით, ხოლო ბიზნესი და მოსახლეობა - მათი

---

<sup>1</sup> ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი უცხოური ვალუტის მიმართ, 2001-2016. ეროვნული ბანკის მონაცემები. იხ. საიტი: <http://www.nbg.gov.ge/index.php?m=304>. გადამოწმებულია 07.03.2017.

შემცირებით. საქართველოს საგადასახადო კოდექსით განისაზღვრება შემდეგი ძირითადი გადასახადების განაკვეთები: დღგ - 18%, საშემოსავლო - 20%, მოგების გადასახადი - 15%, ქონების გადასახადი - 1%, აქციზის გადასახადი, რომელიც დიფერენცირებულია სააქციზო საქონლის სახეობების მიხედვით და საქართველოში ერთ დასაქმებულზე საშუალოდ შემოსავლების 15% იჭერს.<sup>1</sup> ამ განაკვეთების უბრალო ანალიზითაც ცხადია, რომ დასაქმებულის შემოსავლების ნახევარზე მეტი ბიუჯეტში მობილიზდება. არანაკლებ კაბალურ პირობებშია ბიზნესიც. ამიტომ ეკონომიკის დაჩქარებული განვითარებისთვის, შესაბამისად, შრომითი რესურსების დასაქმებისთვის მიზანს უნდა წარმოადგენდეს საგადასახადო განაკვეთების შემცირება. ამის გამოცდილება არსებობს აღმოსავლეთ აზიის ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა: სინგაპური, ახალი ზელანდია, ტაილანდი და სხვ. მათმა დროის უმოკლეს მონაკვეთში არნახულ ეკონომიკურ წარმატებებს მიაღწიეს.<sup>2</sup>

ბიზნესის წარმატებული ფუნქციონირებისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამეურნეო სამართლიანობის უცილობელ უზრუნველყოფას. ჩვენთან საარბიტრაჟო სასამართლოები არ არსებობს, ამიტომ სამეურნეო დავები განიხილება საერთო სასამართლოების სამოქალაქო კოლეგიების მიერ, რომლებიც საქმეების განიხილვას ჩვეულებრივ 3-4 წელი უნდებიან. მხოლოდ ასეთი ხანდაზმულობა აშკარად მიუთითებს სამეურნეო სამართლებითი დეფექტებზე.

მიკროეკონომიკური ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორებიდან წარმატებით თითქმის ვერცერთი ვერ ვლინდება. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს და მოსახლეობის განათლება სპეციალურად დეგრადირდება. ქვეყნის სასარგებლო წიაღისეული კლანებს აქვთ გადანაწილებული. წინააღმდეგობებია მენეჯმენტის თანამედროვე მიდგომებთან და საგარეო- ეკონომიკურ ურთიერთობებშიდაც.

1 იხილეთ საქართველოს საგადასახადო კოდექსი.

2 იხ. საიტი: <https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A1%D0%B8%D0%BD%D0%B3%D0%B0%D0%BF%D1%83%D1%80#.D0.AD.D0.BA.D0.BE.D0.BD.D0.BE.D0.BC.D0.B8.D0.BA.D0.B0>. გადამონჭებულია 02.02.2017.



ჩამოთვლილი ძირითადი მიკრო- და მაკროეკონომიკური რაციონალურ მიმართულებებში ჩაყენება უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკის დაჩქარებულ განვითარებას და არსებული პრობლემების ეფექტურ გამოყენებას.

**გამოყენებული ლიტერატურა და რესურსები:**

1. [https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A1%D0%BF%D0%B8%D1%81%D0%BE%D0%BA\\_%D1%8](https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A1%D0%BF%D0%B8%D1%81%D0%BE%D0%BA_%D1%8). გადამოწმებულია 07.03.2017.
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს სტატისტიკური წელიწადური 2016წ. გვ. 19,41.
3. გაზეთი რეზონანსი. 29.05.2010 წ. ავტორი-მაკა ხარაზიშვილი. სტატია: „სასაქონლო ბირჟა მონოპოლიურ ბაზრებს ძირს გამოუთხრის“.
4. ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი უცხოური ვალუტის მიმართ, 2001-2016. ეროვნული ბანკის მონაცემები. იხ. საიტი: <http://www.nbg.gov.ge/index.php?m=304>. გადამოწმებულია 07.03.2017.
5. საქართველოს საგადასახადო კოდექსი.
6. <https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A1%D0%B8%D0%BD%D0%B3%D0%B0%D0%BF%D1%83%D1%80#.D0.AD.D0.BA.D0.BE.D0.BD.D0.BE.D0.BC.D0.B8.D0.BA.D0.B0>. გადამოწმებულია 02.02.2017.

**REFERENCES:**

1. [https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A1%D0%BF%D0%B8%D1%81%D0%BE%D0%BA\\_%D1%8](https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A1%D0%BF%D0%B8%D1%81%D0%BE%D0%BA_%D1%8). Checked 07.03.2017. (In Russian)
2. National Statistics Office of Georgia, Georgia statistics annul 2016. pp. 19,41. (In Georgian)
3. Newspaper Resonance. 29.05.2010. Author – Maka Kharazishvili. Article: `Commodity exchange to knock the bottom out of monopoly markets`. (In Georgian)
4. Lari official rate related to foreign currency, 2001-2016. Data of national bank. See site: <http://www.nbg.gov.ge/index.php?m=304>. Checked 07.03.2017. (In Georgian)
5. Tax Code of Georgia.
6. <https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A1%D0%B8%D0%BD%D0%B3%D0%B0%D0%BF%D1%83%D1%80#.D0.AD.D0.BA.D0.BE.D0.BD.D0.BE.D0.BC.D0.B8.D0.BA.D0.B0>. Checked 02.02.2017. (In Georgian).

**GEORGIA'S LABOR RESOURCES AND PROBLEMS  
OF THEIR APPLICATION EFFECTIVENESS**

**Goderdzi Tkeshelashvili,**

Doctor of Economic Sciences, Professor of GTU;

**Khatuna Giorgadze,**

Doctor of Economics, Senior Teacher of GTU;

**Manuchar Merebashvili,**

PhD Student of GTU

**RESUME**

Georgia, despite of its small country status, is unable to effectively apply existing labor resources, so only a third of the economically active population is employed by hired labor. As for self-employed, they may be more likely to be considered as unemployed.

To improve the efficient use of labor resources, it is necessary to improve such macroeconomic factors as: development of market infrastructure; monetary and tax policy; economic legal provision. From microeconomic factors focus is attended on the following factors: education of the population and the discrepancy with specialty market requirements; country's minerals and its level of exploitation; compliance of internal management of production with modern requirements and their creativity; opportunity to participate of firm in foreign economic relations, etc.

The ensuring of listed main micro-and macro-factors in the rational directions will provide the speedy development of the country's economy and effective application of existing labor resources.

**Key words:** industry, labor resources, efficiency of labor resources.

## მონეტარული პოლიტიკის ალტერნატივები

გიორგი გოგუაძე

საქართველოს წმიდა ანდრია  
პირველწოდებულის სახელობის  
ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი

### რეზიუმე

სტატიაში განხილულია მონეტარული პოლიტიკის ალტერნატივები, დახასიათებულია მათი მიზნობრიობა სხვადასხვა ქვეყანაში და აღნიშნულია, რომ ცალკეული ქვეყნის ცენტრალური ბანკები განვითარების სხვადასხვა პირობების შესაბამისად განსაზღვრავენ მონეტარული რეგულირების სისტემებს და ირჩევენ მყარი ან ცვალებადი სავალუტო გაცვლითი კურსის, ინფლაციის თარგეთირების რეჟიმებს ან ე.წ. „შერეულ პოლიტიკას“, რომელიც დაბალი ინფლაციის შენარჩუნებასთან ერთად გაცვლითი კურსის ოპტიმიზაციაზე არის ორიენტირებული. დახასიათებულია ამ ალტერნატივების უარყოფითი მხარეები და აღნიშნულია, რომ მათი გამოყენების საკითხი წყდება იმის მიხედვით, თუ რა ეკონომიკური ორიენტირები აქვს ქვეყანას, რა არის მათი მიმდინარე და სტრატეგიული პრიორიტეტები, რომელი პოლიტიკა იქნება რაციონალური და ოპტიმალური კონკრეტული ამოცანების გადასაწყვეტად.

**საკვანძო სიტყვები:** მონეტარული პოლიტიკა, გაცვლითი კურსი, ინფლაცია

### ძირითადი ტექსტი

ეკონომიკური ლიტერატურაში მონეტარული პოლიტიკის შესახებ არ არსებობს ერთიანი შეხედულება. ყველაზე გავრცელებულია შეხედულება, რომლის თანახმად, ცენტრალურმა ბანკმა უნდა შეასრულოს ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფის ფუნქცია. ამასთან, იგი უნდა იყოს დისკრეციული, რათა ეფექტურად მოახდინოს გავლენა ეკონომიკურ რყევებზე. შესაბამისად ინფლაციის თარგეთირება პოლიტიკის ძირი-

თადი მიზანია. ბუნებრივია, რომ იგი მინიმალურ დონეზე უნდა განისაზღვროს. ეს მიდგომა გამომდინარეობს მილტონ ფრიდმანის თეორიიდან, რომელიც ასაბუთებდა, რომ გრძელვადიან პერიოდში მონეტარულ პოლიტიკას შეუძლიან ზემოქმედება მხოლოდ ინფლაციაზე.<sup>1</sup> ამასვე აღიარებენ სხვა წამყვანი ეკონომისტებიც.<sup>2</sup>

80-იან წლებში გავრცელდა მონეტარიზმი. შემდგომ მოხდა მისი დისკრედიტაცია და რეგულირების შესახებ საკითხები დაისვა სხვადასხვა ასპექტით. ძირითადი პრობლემა გახდა **მიზნობრივი ინფლაციის მიზანშეწონილობა**.<sup>3</sup> ამ პოლიტიკის დადებითი მხარე იყო ის, რომ იგი ტრანსფარენტულია და ადვილად შეიძლება მისი შეფასება. ამ პოლიტიკამ წარმატება მოიპოვა ინგლისში, შვედეთში, ისრაელში, კანადაში. პოპულარული გახდა ლათინურ ამერიკაში, კორეაში თურქეთში და სხვ ქვეყანაში. იგი აშშ-ს ფედერალური სარეზერვო სისტემის და ევროპის ცენტრალური ბანკის არსებითი პოლიტიკაა. საქართველოში დაიგეგმა 2009 წლიდან.<sup>4</sup>

დღეს საქართველოში კონსტიტუციით სწორედ ინფლაცია და ფასების სტაბილურობა არის ეროვნული ბანკის ძირითადი ფუნქცია. იგი მონეტარული პოლიტიკის რეჟიმია, რომლის თანახმად, გრძელვადიან პერიოდში ფასების ცვლილების სასურველ დონედ განიხილება წლიური ინფლაცია 3 პროცენტის ოდენობით. განვითარების არსებულ ეტაპზე, ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი საშუალოვადიან პერიოდში, 2016 წლისათვის 5 პროცენტს, ხოლო 2017 წლისათვის 4 პროცენტს უნდა შეადგენდეს. 2018 წლისათვის საქართველოს ეროვნული

1 Bernanke B., Laubach T., Mishkin F., Posen A. (1999), *Inflation Targeting. - Lessons from International Experience.* - Princeton University Press. New Jersey. გვ. 2-3.

2 Fisher S. (1993), *The Role of Macroeconomic Factors in Growth*, *Journal of Monetary Economics*. N32 (3). 1993. გვ. 485-512.

3 Stiglitz, J. (2008), *The Failure of Inflation Targeting*, Project syndicate, May 6, 2008. <https://www.project-syndicate.org/commentary/the-failure-of-inflation-targeting?barrier=accessreg>

4 საქართველოს კანონი ეროვნული ბანკის შესახებ, 24 სექტემბერი, 2009. მუხლი 3.

ბანკის ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი მის გრძელვადიან დონემდე, 3 პროცენტამდე უნდა შემცირდეს.

2008 წლის მსოფლიო საფინანსო კრიზისის შედეგად ინფლაციის თარგეთირების პოლიტიკის მართებულობის შესახებ გაჩნდა ეჭვები.

ინფლაციის თარგეთირების თეორიის თანახმად, თუ ფასები იზრდება დაგეგმილზე ზემოთ, მაშინ გაიზრდება საპროცენტო განაკვეთი. ეს დასკვნა მხოლოდ ემპირიულ მონაცემებს ემყარება, რადგან ინფლაციის გამომწვევი მიზეზები მრავალმხრივია. იგი შეიძლება გამომწვეული იყოს ა/. მოთხოვნით, როდესაც ერთობლივი მოთხოვნა აჭარბებს არსებულ მიწოდებას (ე.წ. მონეტარული ინფლაცია); ბ) ხარჯებით, როდესაც საქონელსა და მომსახურებაზე ფასები იზრდება ტექნოლოგიებზე, ნედლეულ მასალებზე და შრომის ანაზღაურების ზრდის შედეგად; გ/. როდესაც ბაზარი მონოპოლიური ან ოლიგოპოლიურია და ცალკეულ პროდუქტებზე ფასების ფორმირება დაკავშირებულია ე.წ. კარტიელურ გარიგებებთან და დ/. იმპორტირებული ინფლაციით, რომელიც საქონლისა და მომსახურების იმპორტთან არის დაკავშირებული.

მონეტარული პოლიტიკა ინფლაციის თარგეთირების მექანიზმად ეფექტიანია როდესაც, ინფლაცია მოთხოვნის ზრდით არის განპირობებული. ხოლო თუ ინფლაცია იმპორტის გაძვირებით არის გამოწვეული, მონეტარული ინტერვენციები და ინფლაციის შენარჩუნება გამოიწვევს საპროცენტო განაკვეთის გაზრდას, ეროვნული ვალუტის გამყარებასა და კონკურენტუნარიანობის შემცირებას.

დღემდე მიიჩნეოდა, რომ ყველაზე უკეთესი რეაგირება ინფლაციის ზრდაზე საპროცენტი განაკვეთებს აქვს. ალტერნატივა იყო გაცვლითი კურსის თარგეთირება, მაგრამ ამ პოლიტიკის განხორციელებისას მრავალი სპეკულაციური ზენოლა ხდება.

1980-იან წლებში, მანამ სანამ გაცვლითი კურსის თარგეთირება გავრცელდებოდა, აქცენტი აღებული იყო ფულის მიწოდების თარგეთირებაზე, მაგრამ მალევე მან განიცადა ფიასკო

ფულზე მოთხოვნის შოკების წარმოშობის გამო. ასე რომ მ. ფრიდმანის მონეტარული პოლიტიკის ძირითადი არგუმენტი, რომელიც ეხებოდა დაბალი ინფლაციის შენარჩუნების მოთხოვნას და რომელიც ფიქსირებულად უნდა რეგულირებულიყო, ვერ ახდენდა საკმარის გავლენას ამ მოთხოვნის შესრულებაზე.<sup>1</sup> ეს კი ნიშნავს ინფლაციის თარგეთირების, როგორც სტრატეგიის ფიასკოს.<sup>2</sup>

საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი, რომელიც დაფუძნდა ჯერ კიდევ 30-იან წლებში და დაახლოებით 60-მდე ცენტრალურ ბანკს აერთიანებს,<sup>3</sup> ხშირად ასაბუთებდა იმას, რომ ინფლაციის თარგეთირება და ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა არ არის ურთიერთთავსებადი. ასეთ პოლიტიკა მხედველობაში არ იღებს ფინანსურ ციკლებს და ხშირად აწარმოებს გადაჭარბებულ ექსპანსიონისტურ და ასიმეტრიულ მონეტარულ პოლიტიკას. ამასთან, საკითხი, თითქოს ასეთი მონეტარული პოლიტიკა ინვეს ინფლაციის შემცირებას, ასევე საეჭვო გახდა თუ 90-იანი წლებიდან მსოფლიოს ინფლაციის დინამიკას განვიხილავთ. ყოველივე ამის შედეგად, ეკონომისტები სთავაზობენ პოლიტიკოსებს მოქნილი თარგეთირებული ინფლაციის განხორციელებას.<sup>4</sup>

როგორც ევროპის ცენტრალური ბანკის ყოფილი წევრი და დოიჩე ბანკის პრეზიდენტი, ალექს ვებერი წერს, მართალია, ცენტრალურ ბანკებს არ სურთ გაზარდონ ინფლაცია, მაგრამ მათ არც იმის ინსტრუმენტი არ გააჩნიათ, რომ შეამცირონ

---

1 Freankel J., (2012), *The Death of Inflation Targeting*, Project syndicate, MAY 16, 2012, 8, <https://www.project-syndicate.org/commentary/the-death-of-inflation-targeting?barrier=accessreg>

2 Leijonhufvud Axel, „Central Banking Doctrine in Light of the Crisis,“ [www.voxEU.org](http://www.voxEU.org), posted May 13, 2008. <http://voxeu.org/article/central-banking-doctrine-light-crisis>

3 საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის მიზანია კაპიტალის ადეკვატურობისა და სარეზერვო მოთხოვნების განსაზღვრა და ტრანსფარენტულობის უზრუნველყოფა წევრ ქვეყნებში. მის ფარგლებში ხორციელდება ბაზელის პრინციპები.

4 Woodford M., (2012), *Inflation Targeting and Financial Stability*, NBER Working Paper, No. 17967, April 2012. <http://www.nber.org/papers/w17967>

იგი.<sup>1</sup>

დღეს ფულის ღირებულების თემა კვლავ სადისკუსიო გახდა და მოსალოდნელია, რომ ინფლაციის თერგეტირების პოლიტიკის მიმართ პოზიტიური განწყობა ჩავარდეს, რადგან განვითარდება ქვეყნებში მაღალი ინფლაციის საშიშროებები მუდმივად არსებობს, არა იმიტომ რომ იგი არასწორად იმართება, არამედ იმიტომ, რომ მსოფლიო პროდუქტების ფასები იცვლება და დაბალგანვითარებულ ქვეყნებში მათი ზემოქმედების ეფექტი მაღალია. გარდა ამისა, დაბალგანვითარებული ქვეყნებისთვის, მ.შ საქართველოში, ინფლაციის მაღალი დონე შრომის მწარმოებლურობის ზრდის შედარებით მაღალ ტემპებს უკავშირდება. ეს ნიშნავს თუ არა იმას, რომ განვითარებად ქვეყნებში საპროცენტო განაკვეთი უნდა გაიზარდოს და მაღალი იყოს, ვიდრე აშშ-შია. - კითხულობს ჯ. სტიგლიცი.<sup>2</sup>

ჯეფრი ფრანკელი, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი, შენიშნავს: „ძალიან ვნუხვართ, რომ მიზნობრივი ინფლაცია გამოვაცხადეთ, რადგან გაჩნდა იმის შიში, რომ მონეტარული პოლიტიკის უკეთესი ღერძი არ არსებობს“.<sup>3</sup>

ევროპის ცენტრალური ბანკი არსებითად ყურადღებას ინფლაციას უთმობს. ანალოგიურია სხვა ბანკებიც. ერთი რომელიმე მიზნის განხორციელება ყოველთვის დგას ხოლმე იმის საშიშროების წინაშე, რომ სხვა მაჩვენებლები შეიძლება გაუარესდეს, ამიტომ ოპონენტები საკითხს სვამენ იმის შესახებ, რომ ცენტრალური ბანკების საქმიანობა მაჩვენებლების სპექტრს უნდა გულისხმობდეს.

ტრადიციულად ერთ-ერთი პრობლემაა ინფლაციისა და გაც-

---

1 Weber A., Rethinking Inflation Targeting, Project Syndicate, June, 8 2015. <https://www.project-syndicate.org/commentary/rethinking-inflation-targeting-price-stability-by-axel-weber-1-2015-06?barrier=accessreg>

2 Stiglitz Joseph E., The Failure of Inflation Targeting, , Project syndicate MAY 6, 2008 . <https://www.project-syndicate.org/commentary/the-failure-of-inflation-targeting?barrier=accessreg>

3 Freankel J. (2012), The Death of Inflation Targeting, Project syndicate, MAY 16, 2012. <https://www.project-syndicate.org/commentary/the-death-of-inflation-targeting?barrier=accessreg>

ვლითი კურსის მიმართება. მათ შორის ალტერნატიული მიდგომები ყოველთვის დისკუსიის საგანია. შესაბამისად ინფლაციის თარგეთირების გვერდით სხვა მაჩვენებლებს - საპროცენტო განაკვეთს, გაცვლით კურსს, საგადაამხედლო ბალანსს და სხვ. - ასახელებენ ცენტრალური ბანკის მონეტარული მოქმედების ძირითად სფეროდ.

მრავალი ბანკი, განსაკუთრებით დაბალგანვითარებულ ქვეყნებში, რომლებიც ანხორციელებენ ბაზრების ლიბერალიზაციის პოლიტიკას, აქცენტს საპროცენტო განაკვეთებზე აკეთებდა, როგორც ლიკვიდობის მართვის მნიშვნელოვან ბერკეტზე (მექსიკა, ჰონგ კონგი 90-იან წლებში). თუმცა შემდგომ პერიოდში გრძელვადიან ინსტრუმენტებზე გამახვილდა ყურადღება. ამ შემთხვევაში გრძელვადიანი საპროცენტო განაკვეთებზე ორიენტირება შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან მასზე კონტროლი იყო რთული. საპროცენტო განაკვეთებზე ზემოქმედება და კონტროლი რთულია, რამდენადაც არ შეიძლება იმის განსაზღვრა, თუ რამდენი უნდა იყოს საპროცენტო განაკვეთის რაციონალური ზომა მოკლევადიან პერიოდში.

ცენტრალური ბანკების გარკვეული ნაწილი საპროცენტო განაკვეთების სიდიდის კორექტირებას განსაზღვრავს ინფლაციის თარგეთირების მიმდინარეობით. ასეთი პოლიტიკის გატარება ცენტრალური ბანკისგან მოითხოვს დამოუკიდებლობას და შეთანხმებულ საქმიანობას ფისკალურ ხელისუფლებასთან. ეს გარემოება არ გამორიცხავს იმას, რომ შუალედურ მიზნებად გაცვლით კურსზე ზემოქმედება, ფულის მიწოდება ან საერთაშორისო რეზერვების შექმნა შეადგენდეს.

არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმად, მაღალდოლარიზებულ ეკონომიკაში შესაძლებელია მიზანშეწონილი იყოს გაცვლით კურსზე ორიენტაცია, რომელიც შეამცირებს ეროვნული ვალუტის ინფლაციურ ეფექტს.<sup>1</sup> რამდენადაც საქართველო მაღალდოლარიზებულია, ამიტომ ერთის მხრივ, მისი მიზმა

1 Sahay R., Vegh C. (1995), Dollarization in transition economies: Evidence and policy implications, IMF Working paper, 95/96. <https://www.imf.org/en/Publications/WP/Issues/2016/12/30/Dollarization-in-Transition-Economies-Evidence-and-Policy-Implications-1905>



დოლართან ერთის შეხედვით, ანტიინფლაციური ღონისძიების კარგი საშუალება უნდა იყოს, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ საგადასახდელი ბალანსი მკვეთრად დეფიციტურია და იმპორტზე მოთხოვნა უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე ექსპორტი ანიეიტრალებს იმპორტის შედეგად სავალუტო მოთხოვნის ზრდას, შესაძლებელია ეკონომიკა კრიზისში აღმოჩნდეს. ეს ვითარებაა სხვა გარდამავალ, დაბალ და ზომიერად განვითარებულ ქვეყნებშიც. ამიტომ ცენტრალური ბანკების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ასეთ პირობებში მიზანშეწონილია მცურავი კურსის გატარება. შესაბამისად ძირითადი მიზანი ხდება ინფლაციაზე ზემოქმედება. სწორედ ასეთი პოლიტიკის არჩევანი გახდა იმის განმსაზღვრელი, რომ გაცვლითი კურსის რეჟიმების არჩევისას სულ უფრო მეტად მატულობს მცურავი კურსის პოპულარობა. ასეთ პირობებში იზრდება ცენტრალური ბანკის დამოუკიდებელი მონეტარული პოლიტიკის მნიშვნელობა.

ფიქსირებული კურსის პოლიტიკას ჰყავს მიმდევრები და საკმარისი საერთაშორისო რეზერვების არსებობის პირობებში ისინი აქცენტს ეროვნული ვალუტის კურსის მიბმაზე ახდენენ, რაც ასევე ინფლაციაზე ზემოქმედების ერთ-ერთი გზაა. ამ შემთხვევაში ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობა მნიშვნელოვნად შეზღუდულია. ეს განსაკუთრებით სავალუტო საბჭოს მსგავსი რეჟიმების დროს ვლინდება.

არგენტინაში, სინგაპურსა და ჰონგ კონგში საპროცენტო განაკვეთები მიბმული იყო გაცვლითი კურსს. ეს გარემოება განპირობებულ იყო გაცვლითი კურსის განსაკუთრებული რეჟიმის დანერგვით. სავალუტო საბჭოს დროს მონეტარული ხელისუფლებას მოეთხოვება უზრუნველყოს უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში ქვეყნის გაცვლითი კურსი. პოლიტიკის ასეთი მიზანი მოითხოვს ცენტრალური ბანკის ჩვეულებრივი მიზნების გაცვლითი კურსის თარგეთიერებისადმი დამორჩილებას. ამ დროს საზღვარგარეთული ვალუტის რეზერვები საკმარისი უნდა იყოს იმის უზრუნველსაყოფად, რომ მისი ადგილობრივი ვალუტის ყველა მფლობელს ჰქონდეს მისი

კონვენტაციის საშუალება სარეზერვო ვალუტაში. სავალუტო საბჭო არ მოქმედებს კომერციული ბანკებისათვის „ბოლო ინსტანციის გამსესხებლის“ ფუნქციით და არ არეგულირებს სარეზერვო განაკვეთების დაწესებით. იგი არ ცდილობს მანიპულირებას საპროცენტო განაკვეთებით, რომ დააწესოს უფრო დაბალი განაკვეთი, როგორც ცენტრალური ბანკი. სარეზერვო ვალუტასთან „მიბმა“ ძირითადად უზრუნველყოფს საპროცენტო განაკვეთებისა და ინფლაციის დონეს მიახლოებას ამ მაჩვენებლებთან სარეზერვო ვალუტის ქვეყანაში. ამ სისტემის დადებითი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ სავალუტო სტაბილურობის საკითხები მოხსნილია. უარყოფითი ის არის, რომ ქვეყანას აღარ შეუძლია გაატაროს მონეტარული პოლიტიკა სხვა შიდა გარემოებების გათვალისწინებით და ფიქსირებული გაცვლითი კურსი ასევე დიდწილად დააფიქსირებს ქვეყნის სავაჭრო პირობებს მიუხედავად ეკონომიკური განსხვავებებისა მას და მის სავაჭრო პარტნიორებს შორის. როგორც წესი, სავალუტო საბჭოებს უპირატესობა აქვთ პატარა და ღია ტიპის ეკონომიკებისათვის, რომლებისთვისაც ძნელია გაატარონ დამოუკიდებელი მონეტარული პოლიტიკა. სწორედ ამიტომ იგი შეიქმნა თავდაპირველად მე-19 საუკუნის დასაწყისში ინგლისის კოლონიებსა და მეტროპოლიებში. სავალუტო საბჭოს ასევე შეუძლია შექმნას სანდო ვალდებულება დაბალი ინფლაციის შენარჩუნებაზე.

ცნობილია, რომ ჰონგ კონგში წარმატებით ფუნქციონირებს სავალუტო საბჭო. ესტონეთმა 1992 წელს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ შექმნა სავალუტო საბჭო და „მიბმა“ თავისი ვალუტა გერმანულ მარკას და ეს პოლიტიკა მიიჩნეოდა ამ ქვეყნის ეკონომიკური წარმატების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად. ირლანდიური ფუნტი სტერლინგთან მიბმული იყო დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 1979 წლამდე.

წარუმატებელი იყო ეროვნული ვალუტის მიბმა არგენტინაში. არგენტინამ უარი თქვა სავალუტო საბჭოზე 2002 წლის იანვარში ძლიერი რეცესიის შემდეგ. ზოგიერთისათვის ეს ფაქტი ადასტურებს იმას, რომ სავალუტო საბჭოები არც თუ მყარი

ინსტიტუტებია და მათი გაუქმება შესაძლებელია, როდესაც უცხოური ვალუტით მოვაჭრეები სპეკულაციას მიმართავენ.

ფიქსირებული მიზმა უცხოური ვალუტისადმი ადვილად ასამოქმედებელია. იგი ხელს უწყობს ეკონომიკურ ინტეგრაციას იმ ქვეყანასთან, რომლის ვალუტაც ალიარებულია საგადასახდელო საშუალებად. ეს განსაკუთრებით გამოიხატება საბანკო სისტემის ინტეგრაციაში, მაგრამ სამაგიეროდ, ეს ქვეყნები ფულად-საკრედიტო პოლიტიკაზე კონტროლს კარგავენ და საგადასახდელო სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებას ვერ უზრუნველყოფენ.

საქართველოში პერიოდულად იდგა სავალუტო საბჭოს მსგავსი სისტემის შემოღების მიზანშეწონილობის საკითხი და იგი პოლიტიკოსებს შორის დღესაც გაისმის, თუმცა ექსპერტების აზრით, ამ შეთხვევაში მოსალოდნელია, რომ საქართველოს მწირი საექსპორტო პოტენციალის გათვალისწინებით, სავალუტო რეზერვები მყისიერად დაიცალოს, რაც მძიმე საფინანსო კრიზისის მიზეზი გახდება.<sup>1</sup>

საკითხი დგას ასევე იმის შესახებ, რომ საქართველომ უარი თქვას ლარზე და დაიწყოს ევროზე გადასვლა, თუმცა ოპონენტების აზრით, საქართველოს ფულად-საკრედიტო სისტემის საფუძვლის - ლარის ევროში კონვერსია დღეისათვის შეუძლებელია და მოკლებულია რაციონალიზმს. ევროსკენ სვლა მხოლოდ ეროვნული ფულად საკრედიტო პოლიტიკის განმტკიცების გზით, ეროვნული ბანკის ავტორიტეტის ზრდით და ლარის კურსის განმტკიცებითაა შესაძლებელი. მხოლოდ ეროვნული საფინანსო ინსტიტუტებია ქვეყნის განვითარების მდგრადობის გარანტია.<sup>2</sup> გაცვლითი კურსის შესახებ დისკუსიები ახალი არ არის და იგი ყოველთვის პრობლემურ საკითხს წარმოადგენდა.

საერთაშორისო სავალუტო ქვეყნებიდან (188 ქვეყანა) აშშ

---

1 გ. პაპავა (2007). „სავალუტო ფარი“ „ჰოლანდიური სენის ფონზე“. საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები, ოქტომბერი. გვ. 8.

2 დავით იაკობიძე: არც ევრო გვიშველის, არც დოლარი... საქართველო და მსოფლიო. 28.09.2009. <http://www.geworld.ge/View.php?ArtId=1669&lanq=ge&Title=daviT+iakobiZe:+arc+evro+gviSvelis,+arc+dolari...>

დოლართან მიბმული ქვეყნების რაოდენობა ყველაზე მეტია. აღნიშნულ წლებში ამ ქვეყნების წილი შემცირდა 33-დან 22 პროცენტამდე, ასევე შემცირდა 8 პროცენტიდან 6 პროცენტამდე მრავალვალუტიანი ქვეყნების რაოდენობა და მცირედით გაიზარდა ევროსთან მიბმული ქვეყნების რაოდენობა. აშშ დოლართან მიბმული ქვეყნების შემდეგ ყველაზე მრავალრიცხოვანია ინფლაციაზე თარგეთირებული ქვეყნების რაოდენობა. ისინი შეადგენენ 17.8 პროცენტს. მათი წილი კიდევ უფრო მეტი იყო 2008 წელს.<sup>1</sup> აღნიშნულ წლებში გლობალურმა კრიზისმა, როგორც ჩანს, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მონეტარული პოლიტიკის და გაცვლითი კურსის არჩევანში. რადიკალურად გაიზარდა იმ ქვეყნების რაოდენობა, რომლებსაც არ აქვთ გამოკვეთილი მონეტარული პოლიტიკის ორიენტირები. ეს ქვეყნები განსხვავებულად განსაზღვრავენ თავიანთ პოლიტიკას სხვადასხვა ეკონომიკურ პირობებში, ატარებენ მოქნილ საქმიანობას და ცვლიან მათ პრობლემების შესაბამისად. მათი რაოდენობა ამჟამად თითქმის მეოთხედს აღწევს. ეს გარემოება მიგვანიშნებს იმაზე, თუ რამდენად რთული გახდა მონეტარული პოლიტიკის სტრატეგიის განსაზღვრა თანამედროვე პერიოდში.

თუ ყოველივე ამას შევადარებთ 90-იან წლებს, მაშინ დავინახავთ, რომ 1991 -2002 წლებში გაიზარდა თავისუფალი ცურვის რეჟიმის მქონე ქვეყნების რაოდენობა 22 პროცენტიდან 42 პროცენტამდე. 18 პროცენტიდან 28 პროცენტამდე გაიზარდა იმ ქვეყნების რაოდენობა, რომლებიც ირჩევდნენ ფიქსირებულ კურსს, ხოლო მკვეთრად (2- ჯერ) შემცირდა იმ ქვეყნების რაოდენობა, რომლებიც შერეულ რეჟიმს აძლევდნენ უპირატესობას. თუ 1991 წელს მათი წილი 60 პროცენტი იყო, 2002 წლისათვის მან შეადგინა 30 პროცენტი და მას გაუსწრო იმ ქვეყნებმა, რომლებმაც აირჩიეს თავისუფალი ცურვა.<sup>2</sup> ამ

1 წყარო: Annual Report on Exchange Arrangements and Exchange Restrictions. 2014, IMF, გვ.15. <http://www.imf.org/external/pubs/nft/2014/areaers/ar2014.pdf>.

2 შედგენილია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემების საფუძველზე: IMF Exchange Rate Arrangements (სხვადასხვა წელი);

პერიოდის გამოცდილება ავტომატური სტაბილიზატორების მოქმედების უპირატესობას ავლენს და ქვეყნების ცენტრალურ ბანკებს მათზე აქცენტირებაზე მიუთითებს .

ერთ-ერთ კვლევაში, რომელიც აფრიკის ქვეყნებს ეხებათ, გამოვლენილია, რომ 1980-2006 წლებში სულ უფრო მცირდებოდა გაცვლითი კურსის, როგორც ნამყვანი პოლიტიკის წილი და იზრდებოდა მონეტარულ აგრეგატებზე დაფუძნებული მართვის როლი, ხოლო მხოლოდ 2000 წლების შემდგომ თანდათანობით პოპულარული გახდა ინფლაციის თარგეთირების პოლიტიკა.<sup>1</sup>

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ რიგი მკვლევარები, მიუხედავად იმისა, რომ 90-იან წლებში შერეული და მრავალვალუტიანი გაცვლითი კურსი არ წარმოადგენდა მნიშვნელოვან თემას, სწორედ ამ საკითხს მიიჩნევენ აქტუალურად და აღიარებენ, რომ მხოლოდ ერთვალუტიანი გაცვლითი კურსი არ არის საკმარისი უსაფრთხოებისათვის, ამიტომ მულტივალუტიანი ზონების თემის გარშემო დისკუსიებს, განსაკუთრებით კი იმ ქვეყნებში, რომლებიც მოქნილად და დროის ცვლილებების შესაბამისად ახდენენ მონეტარული პოლიტიკის განხორციელებას, ანიჭებენ პერსპექტივას 21 საუკუნეში.<sup>2</sup>

---

**Classification of Exchange Rate Arrangements and Monetary Policy Frameworks, 2004.** <https://www.imf.org/external/np/mfd/er/2004/eng/0604.htm>;

1 Christopher Adam (2008), Factors in the Choice of Monetary Policy Regime University of Oxford, UK September 2008 გვ.9. [http://users.ox.ac.uk/~cadam/pdfs/CBN\\_Factors%20in%20the%20Choice%20of%20Monetary%20Policy%20Regime\\_Sept\\_13\\_2008.pdf](http://users.ox.ac.uk/~cadam/pdfs/CBN_Factors%20in%20the%20Choice%20of%20Monetary%20Policy%20Regime_Sept_13_2008.pdf)

2 A New Study of De Facto Regime Classification Moving to Multilateral Exchange Rate Arrangement\_based on scheme Wei HUANG Research Center for International Finance, Institute of World Economics and Politics, Chinese Academy of Social Sciences, Fukino Project Discussion Paper Series No.025, February 2011, გვ 18. [http://www.hit-u.ac.jp/ijrc/pdf/files/Fukino\\_DP\\_25\\_iRbtbk.pdf](http://www.hit-u.ac.jp/ijrc/pdf/files/Fukino_DP_25_iRbtbk.pdf)

## დასკვნა

ამდენად, ორიენტაცია ინფლაციაზე ან გაცვლით კურსზე განსხვავებულ მიდგომას მოითხოვს, რომლის არჩევანიც დაკავშირებულია ქვეყნების წინაშე არსებული პრობლემების გამოვლენაზე, პრიორეტიზაციაზე და გადაჭრის ეფექტიანი ინსტრუმენტების არსებობაზე.

ცალეული ქვეყნის ცენტრალური ბანკები განვითარების სხვადასხვა პირობების შესაბამისად განსაზღვრავენ მონეტარული რეგულირების სისტემებს: მყარი სავალუტო, ფიქსირებული კურსის შენარჩუნებას, ინფლაციის თარგეთირებას, სავალუტო საბჭოს მსგავსი რეჟიმების ჩამოყალიბებას ან ე.წ. „შერეულ პოლიტიკას“, რომელიც დაბალი ინფლაციის შენარჩუნებასთან ერთად გაცვლითი კურსის ოპტიმიზაციაზე არის ორიენტირებული. ყველა ეს თემა დისკუსიის საგანია და მათი რაციონალობისა და ოპტიმალობის საკითხი წყდება იმის მიხედვით, თუ რა პოლიტიკურ ორიენტირებს განსაზღვრავს ქვეყანა ეკონომიკაში და რა არის მათი მიმდინარე და სტრატეგიული პრიორიტეტი.

## ALTERNATIVES OF MONETARY POLICY

**George Gogvadze**

The St. Andrews the First-Called  
Georgian University, PhD Student

### RESUME

The article examines the alternatives of the monetary policy, characterizes its advisability in different countries, and notes that some central banks, due to the various conditions of their economic development, choose various types of regulation of the monetary system: either fixed or variable exchange rate, inflation targeting regimes or the so-called “Policy mix”, which is oriented to maintain low inflation and optimization of exchange rate. The article also describes disadvantages of these alternatives, and points out that their usage depends on economic and strategic priorities of the country, and on defining of rational and optimal policies for achieving of specific tasks.

**Key words:** monetary policy, exchange rate, inflation.

# საბაჟო სტატისტიკის მეთოდოლოგიური საკითხები

მერი დაუშვილი  
თსუ დოქტორანტი

## შესავალი

მსოფლიოში გლობალიზაციის ფონზე მიმდინარე ინტეგრაციული პროცესები დიდ გავლენას ახდენენ ოფიციალურ სტატისტიკაზე. სტატისტიკის ამოცანები სცილდება ეროვნული მოთხოვნილებების საზღვრებს, რადგან ყველა სტატისტიკური მონაცემი შესადარი უნდა იყოს საერთაშორისო დონეზე და შესაბამისი უნდა იყოს საერთაშორისო სტანდარტებთან. ამ მოთხოვნების გათვალისწინებით სტატისტიკური სისტემები ფაქტობრივად ინტეგრირებული სუბიექტების ეკონომიკის მართვის აუცილებელი წინაპირობა ხდება.

საბაჟო სტატისტიკა საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სტატისტიკის შემადგენელი ნაწილია, რომელიც უზრუნველყოფს არა მარტო საბაჟო სამსახურის, არამედ საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების ინფორმაციულ უზრუნველყოფას საქართველოს საგარეო ვაჭრობისა და საბაჟო ორგანოების საქმიანობის შესახებ. ამის შესაბამისად, საბაჟო სტატისტიკა, როგორც სტატისტიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, შეისწავლის არა მარტო საგარეო ვაჭრობაში მიმდინარე მოვლენების რაოდენობრივ მხარეს, არამედ საბაჟო საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებებს, რომლებიც დაკავშირებულია საბაჟო გადასახადების კუთხით შემოსული თანხების აღრიცხვასა და ანალიზთან, კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლასთან და საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევასთან. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ **საბაჟო სტატისტიკა შედგება ორი ნაწილისაგან: საგარეო ვაჭრობის სტატისტიკისა და სპეციალური საბაჟო სტატისტიკისაგან.** საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა შეისწავლის ექსპორტის, იმ-

პორტის და საგარეო სავაჭრო ბრუნვის სტატისტიკას. ისინი ასახავენ ნატურალურ და ღირებულებით გამოსახულებაში საქონლის მოძრაობას სასაქონლო ჯგუფების, საბაჟო პროცედურების და სხვა ნიშნების მიხედვით. ხოლო სპეციალური საბაჟო სტატისტიკა მოიცავს დეკლარირების სტატისტიკას, საბაჟო გადასახადების სტატისტიკას, საგადასახადო კანონმდებობის დარღვევებს, კონტრაბანდის, კონფისკაციის, საერთაშორისო გადაზიდვების, საერთაშორისო საფოსტო გზავნილების სტატისტიკასა და სხვ.

**საკვანძო სიტყვები:** მეთოდოლოგია, სტატისტიკა, საბაჟო, ანალიზი, აღრიცხვა, ზოგადი, სპეციალური.

### ძირითადი ტექსტი

საბაჟო სტატისტიკის ბაზის ფორმირებისათვის ამოსავალს წარმოადგენს, სასაქონლო დეკლარაციებში ასახული მონაცემები და იმ სხვა დოკუმენტაციების მასალები, რომლებიც წარედგინება საბაჟო ორგანოებს.

საბაჟო სტატისტიკის წარმოების ძირითად ნორმატიულ-სამართლებრივ დოკუმენტს მიეკუთვნება საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკის წარმოების ერთიანი მეთოდოლოგია. საგარეო ვაჭრობის საქმიანობის მეთოდოლოგიური კონცეფციები, პრინციპები, წესები და კრიტერიუმები თავმოყრილია სამ ძირითად საერთაშორისო სტანდარტში: „საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკა“ (ნიუ იორკი, 2004 წ.)<sup>1</sup> და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, უახლესი რეკომენდაციები „საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკა, კონცეფციები და განსაზღვრებები 2010 წ.“ (ნიუ იორკი, 2011 წ.)<sup>2</sup> და საერთაშორისო სავაჭრო მომსახურების სახელმძღვა-

1 International Merchandise Trade Statistics. Compilers Manual. New York.2004.

[http://geostat.ge/cms/site\\_images/\\_files/georgian/methodology/macro/International%20Merchandise%20Trade%20Statistics.pdf](http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/methodology/macro/International%20Merchandise%20Trade%20Statistics.pdf)

2 Статистика международной торговли товарами: концепции и определения, 2010 год.– Нью-Йорк, Организация Объединенных Наций, 2011. – URL: [http://unstats.un.org/unsd/publication/SeriesM/SeriesM\\_52rev3r.pdf](http://unstats.un.org/unsd/publication/SeriesM/SeriesM_52rev3r.pdf)



ნელო.<sup>1</sup>

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სხვადასხვა ქვეყნებს შორის პარტნიორების სტატისტიკა ეფუძვნება საბაჟო დეკლარაციების ელექტრონულ ასლებს, სადაც წარმოდგენილია სტატისტიკური აღრიცხვისათვის აუცილებელი საქონლის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მონაცემები. ამ უკანასკნელის, აგრეთვე საზღვარგარეთ გაწეული მომსახურებისა და უცხოეთიდან მიღებული მომსახურების მონაცემების საფუძველზე ფორმირდება ერთიანი ინფორმაციული ბაზა, რომლის ანალიზის საფუძველზე მიიღება ინფორმაცია ბაზრის შესაბამისი სეგმენტის მოცულობისა და სტრუქტურის, საგარეო ვაჭრობის სასაქონლო და რეგიონალური სტრუქტურის, აგრეთვე იმპორტისა და ექსპორტის საერთო მოცულობაში ცალკეული სახის საქონლის წილების შესახებ. ყოველივე ამის საფუძველზე კი საბაჟო სტატისტიკა ავლენს ახალ, პერსპექტიულ საბაზრო ნიშებს, საჭირო ბაზრის სეგმენტზე განსაზღვრავს უცხოელ პარტნიორებთან მუშაობის შედარებით ხელსაყრელი პირობებს. ზისიცი ფაქტია, რომ **ცალკეული ქვეყნების საგარეო ვაჭრობის აღრიცხვის სტატისტიკის მეთოდოლოგიური თავისებურებების გამო ფიქსირდება ქვეყნებს შორის საგარეო ვაჭრობის სტატისტიკურ მონაცემებს შორის ცდომილობები**. ამის გათვალისწინებით, საქონლის არასაიმედო დეკლარირების რისკების შეფასებისას მიზანშეწონილია იმ ქვეყნების საგარეო ვაჭრობის „ალტერნატიული“ სტატისტიკური მონაცემების შედარება, რომელთა შორისაც განხორციელდა საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობა. ეს მეთოდი ე.წ. სარკისებური სტატისტიკის“ სახელწოდებითაა ცნობილი, რომლის მეშვეობითაც უნდა განხორციელდეს შეუსაბამომების გამოვლენა და ემპირიული მონაცემების საფუძველზე მოხდეს მათი განაწილება წარმოქმნის მიზეზების მიხედვით (რეექსპორტი, განსხვავება მეთოდო-

---

1 Руководство по статистике международной торговли услугами, 2010 год. Нью-Йорк, Организация Объединенных Наций, 2011

2 Терехов В.А. Таможенная статистика в условиях функционирования Таможенного союза. учебное пособие/ М.: Юрайт, 2013. – 359 с.

ლოგიაში და სხვა). ზემოთქმულიდან გამომდინარე, დასკვნა ერთია, საბაჟო მოვლენების სტატისტიკური ანალიზის დროს გამოვლენილი ძირითადი პრობლემები სხვადასხვა ქვეყნების სტატისტიკური აღრიცხვის განსხვავებულ მეთოდოლოგიაში მდგომარეობს, გასათვალისწინებელია აგრეთვე საგარეო სავაჭრო ურთიერთობაში ჩართული მხარეების მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევები.

**საბაჟო სტატისტიკის მეთოდოლოგიური საფუძველი განსაზღვრავს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში სტატისტიკური დაკვირვების ობიექტს, აღრიცხვის წესებსა და მეთოდებს.** ამის შესაბამისად, საქართველოში საბაჟო სტატისტიკის ბაზის ფორმირებისას ამოსავალ მონაცემებს წარმოადგენს შემოსავლების სამსახურის სასაქონლო დეკლარაციების მონაცემები და საბაჟო ორგანოებისადმი წარდგენილი სხვა დოკუმენტების მასალები. გასათვალისწინებელია, რომ საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკაში წყლის, სარკინიგზო, საავტომობილო, საჰაერო გადაზიდვებისას დეკლარირების დროს იმპორტისა და ექსპორტის აღრიცხვა ხორციელდება სასაქონლო დეკლარაციაში საქონლის გამოშვების თარიღის მიხედვით. რაც შეეხება იმ საქონლის ექსპორტისა და იმპორტის აღრიცხვას, რომლის გადატანა ხდება მილსადენებისა (ნავთობი, გაზი, და ა.შ.) და ელექტრო გადამცემი საშუალებებით, ის ხორციელდება მათი ტრანსპორტირებისა და დეკლარირების თავისებურებების გათვალისწინებით.

ოფიციალური სტატისტიკა საქართველოში საგარეო ვაჭრობის სტატისტიკური მონაცემების ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს 1995 წლიდან. საქსტატი ამუშავებს მონაცემებს როგორც ქვეყნების მიხედვით, ისე სასაქონლო ჭრილში. ხოლო 2012 წლიდან კი აქვეყნებს საგარეო ვაჭრობის აგრეგირებულ მონაცემებს. ყოველივე ამის უზრუნველსაყოფად სტატისტიკის ეროვნული სამსახური საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკის წარმოებას ახდენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ზემოთხსენებული სახელმძღვანელების შესაბამისად.

ცნობილია, რომ საქონლის ექსპორტ-იმპორტის აღრიცხვის

ძირითადი კრიტერიუმია მის მიერ ქვეყნის ეკონომიკური ტერიტორიის გადაკვეთა. ექსპორტში იგულისხმება როგორც ეროვნული წარმოშობის პროდუქციის გატანა საზღვარგარეთ, ისე იმპორტირებული საქონლის რეექსპორტი. იმპორტში იგულისხმება ქვეყანაში პროდუქციის შემოტანა და ექსპორტირებული საქონლის რეიმიპორტი. ექსპორტი აღრიცხულია FOB, ანუ ექსპორტიორი ქვეყნის ფრანკო-საზღვრის ფასებში (მოიცავს ექსპორტიორი ქვეყნის საზღვრამდე ტვირთის ტრანსპორტირებისა და სატრანსპორტო საშუალების ბორტზე დატვირთვის ხარჯებს), ხოლო იმპორტი CIF, ანუ იმპორტიორი ქვეყნის ფრანკო-საზღვრის ფასებში (გარდა ფასისა მოიცავს საერთაშორისო ფრახტს და დაზღვევის ხარჯებს).<sup>1</sup>

საგარეო ეკონომიკურ კავშირურთიერთობათა სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანია საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ერთიანი სასაქონლო ნომენკლატურა (სეს ესნ). გარკვეული ნიშნების მიხედვით კლასიფიცირებული სხვადასხვა დასახელების საქონლის ბაზაზე შექმნილია ესნ-ის სისტემა, რომელიც გამოიყენება ექსპორტ-იმპორტის სტატისტიკურ აღრიცხვისას. საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ რეკომენდირებულია მისი განახლება ხუთ წელიწადში ერთხელ.

საინტერესოა როდის **განახლდა სეს ესნ და** მისი რომელი **ვერსია** მოქმედებს დღეს **საქართველოში**.

2012 წლამდე მოქმედებდა 2006 წლის სექტემბრიდან საქართველოში ამოქმედებული სეს ესნ-ის 2002 წლის ვერსია, რომლის დეტალიზაცია მოხდა 11 ნიშნა დონეზე 2012 წლის 1 მაისიდან მოხდა გადასვლა საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის ახალ 2012 წლის ჰარმონიზებულ ვერსიაზე. ახალ ვერსიაში ზოგიერთი საქონელი უფრო დეტალურად არის წარმოდგენილი, ხოლო ზოგიერთი (დიდი ნაწილი) – გამსხვილებული სახით. მასში ქვეყნების ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით აისახა მსოფლიო ბაზარზე როგორც

<sup>1</sup> საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოების მოკლე მეთოდოლოგია. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

ექსპორტში, ისე იმპორტში გამოვლენილი ტენდენციები და სასაქონლო ჯგუფების სტრუქტურაში მიმდინარე ცვლილებები.

**საბაჟო სტატისტიკის ნარმოებისას მიზანშეწონილია საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში აღირიცხოს ყველა საქონელი, რომელიც გადაკვეთს ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიას.** ცხადია, ქვეყნის მატერიალური რესურსების მარაგები გაიზრდება იმპორტის, ხოლო შემცირდება ექსპორტის შემთხვევაში. რაც შეეხება სატრანზიტო ან დროებითი ტვირთებს, მათი ასახვა საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში არ ხდება, გარდა გადასამუშავებლად შემოტანილი საქონლისა.

ცნობილია, რომ საერთაშორისო სტატისტიკურ პრაქტიკაში არსებობს საგარეო ვაჭრობის აღრიცხვის ორი საყოველთაოდ აღიარებული სისტემა: „სპეციალური“ და „ზოგადი.“ საგარეო ვაჭრობის აღრიცხვის „ზოგადი“ მეთოდის დროს ექსპორტის და იმპორტის აღრიცხვა ხორციელდება საქონლის სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის მომენტში, და „სპეციალური „ მეთოდის დროს - ქვეყნის საბაჟო საზღვრის გადაკვეთის მომენტში. ეს განსხვავება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შემთხვევებში, როდესაც საქონელი გადის თავისუფალი საბაჟო ზონებისა და თავისუფალი სანჯობების გავლით, რომლებიც სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილია, სადაც ისინი საბაჟო ტერიტორიის გარეთ მდებარეობენ და არ ექვემდებარებიან საბაჟო კონტროლს. აქ აუცილებლად გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ ზოგადი მეთოდით აღრიცხვისას სავაჭრო სასაქონლო ნაკადები აღირიცხება საზღვრის გადაკვეთის მომენტში, ხოლო სპეციალური მეთოდით აღრიცხვისას კი საზღვრის გადაკვეთა, შეიძლება ითქვას, გარკვეულწილად არაარსებითია, რადგან საქონლის ექსპორტი რეგისტრირდება მაშინ, როდესაც ის ტოვებს ექსპორტიორი ეკონომიკური ერთეულის სანჯობს. მაშინ როდესაც იმპორტის დროს საქონელი უშუალოდ გადადის იმპორტიორი ეკონომიკური ერთეულის განკარგულებაში, როდესაც საქონელი გადაკვეთს იმპორტიორი ქვეყნის საბაჟო საზღვარს ან გადადის პირდაპირ საბაჟო სათავსოდან, სადაც ის განთავსდა იმპორტიორი ქვეყნის საზღვრის გადაკვეთამდე.

საერთაშორისო სტანდარტებთან მაქსიმალური ჰარმონიზაციის უზრუნველსაყოფად რეკომენდებულია, რომ საქართველოში გამოყენებული იყოს საგარეო ვაჭრობის აღრიცხვის ზოგადი მეთოდი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქონლის ექსპორტ-იმპორტის აღრიცხვის ძირითადი კრიტერიუმია მის მიერ ქვეყნის ეკონომიკური ტერიტორიის გადაკვეთა. ზოგადი მეთოდი უზრუნველყოფს უფრო მეტ მიახლოებას საქონლის მფლობელის ცვლილების კრიტერიუმთან, რომელიც რეკომენდებულია საერთაშორისო მეთოდოლოგიებში. ამ მეთოდის თანახმად პარტნიორი ქვეყნის დადგენის ძირითადი კრიტერიუმებია: საქონლის წარმოშობის ან გამომგზავნი ქვეყანა-იმპორტის დროს, ხოლო საბოლოო დანიშნულების ქვეყანა-ექსპორტის დროს. საქართველოში საბაჟო სტატისტიკის ინფორმაციული უზრუნველყოფის ძირითად წყაროს წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის სატვირთო-საბაჟო დეკლარაციების მონაცემთა ბაზა. გარდა ამისა ინფორმაციის შევსება ხორციელდება შსს-ის მომსახურების სააგენტოდან მიღებული მონაცემების (სატრანსპორტო საშუალებებით ვაჭრობის შესახებ), შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიისა“ (ბუნებრივი აირი) და შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ (ელექტროენერჯის ექსპორტ-იმპორტი) მონაცემების საფუძველზე.

შემოსავლების სამსახურიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე საქსტატი ახორციელებს: სატვირთო-საბაჟო დეკლარაციების მონაცემთა ბაზის კონტროლს სხვადასხვა ნიშნის: საქონლის კოდის, ფასის, წონის, დამატებითი ზომის ერთეულის, გამგზავნი/მიმღები ქვეყნის მიხედვით, ბაზების კორექტირებას, საჭიროების შემთხვევაში საქონლის ღირებულების, რაოდენობის, ან დამატებითი ზომის ერთეულის კორექტირებას, ბაზიდან იმ საქონლის ამოღებას, რომელიც არ განეკუთვნება საქონლით საგარეო ვაჭრობას (დროებით შემოტანილი და გატანილი საქონელი; დიპლომატიური და სხვა სახის ტვირთები, მიმოქცევაში მყოფი ფასიანი ქალაქები, ბანკნოტები და მო-

ნეტები და ა.შ).<sup>1</sup>

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ეყრდნობა რა საქონლის ექსპორტ-იმპორტის აღრიცხვის „საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურას“ სტატისტიკური ღირებულების გაანგარიშებას ახორციელებს აშშ დოლარებში საბაჟო ორგანოების მიერ სატვირთო-საბაჟო დეკლარაციების გაფორმების მომენტში თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით.

უნდა აღინიშნოს, რომ საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკის წარმოებისას ემპირიული მონაცემები გარკვეული ცდომილებით ხასიათდებიან, რადგან საგარეო სავაჭრო ოპერაციების ნაწილი აღურიცხავი რჩება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რეგისტრირებული ექსპორტ-იმპორტის მოცულობა არ შეესაბამება რეალური ნაკადების სიდიდეს. ეს გამოწვეულია იმით, რომ რომ არასრულყოფილად ხდება სატვირთო-საბაჟო დეკლარაციაში საქონლის წარმოშობის ქვეყნის დაფიქსირება; აგრეთვე ველის - „სატრანსპორტო საშუალება საზღვარზე“ – შევსება; შსს-ის მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზებში არ ხორციელდება იმპორტირებული ავტომობილების შესახებ მიახლოებითი საბაზრო ღირებულების მითითება და შესაბამისი კოდების მინიჭება; არასრულყოფილად ხდება გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის შევსება ქვეყნების, თერთმეტნიშნა დონეზე საქონლის კოდების, ღირებულების მითითებით და სხვა.

ვაჭრობის ზოგადი სისტემის შემთხვევაში საიმპორტო ნაკადების გადაადგილება ქვეყანაში ხორციელდება დანარჩენი მსოფლიოდან ან საბაჟო ტრანზიტის (როცა ტრანზიტული საქონელი რჩება ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე) შედეგად.

საიმპორტო საქონელში გამოიყოფა უცხოური საქონელი (გარდა მაკომპენსირებელი პროდუქციისა, მიღებული გარე გადამუშავების შედეგად), რომელიც შედგება მაკომპენსირებ-

**1** საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოების მოკლე მეთოდოლოგია. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

ლი პროდუქციისგან მიღებული გარე გადამუშავების შედეგად, ადრე ექსპორტირებული ეროვნული წარმოების საქონელი (იმავე მდგომარეობაში, როგორშიც იყო ექსპორტირებული).<sup>1</sup>

**აღრიცხვის „ზოგადი“ სისტემით, იმპორტის სტატისტიკური შესწავლისას მხედველობაში მიიღება შემდეგი კატეგორიის საქონელი:**

- თავისუფალი მიმოქცევის იმპორტირებული საქონელი.
- საბაჟო ტერიტორიაზე გადამუშავების მიზნით რეიმპორტირებული საქონელი;
- საბაჟო ტერიტორიის გარეთ გადამუშავების შემდეგ იმპორტირებული საქონელი;
- საბაჟო კონტროლის ქვეშ გადამუშავებული საქონელი;
- რეექსპორტის რეჟიმით შემოტანილი საქონელი;
- საქართველოს ტერიტორიაზე თავისუფალი საბაჟო ზონებსა და თავისუფალ სანჯობებში შემოტანილი საქონელი;
- შემოტანილი საქონელი, რომელზეც პირი უარსაცხადებს სახელმწიფოს სასარგებლოდ;
- დუტი ფრის მაღაზიებში შემოტანილი უცხოური საქონელი;
- ერთი წლის ან მეტი ვადით იჯარით აღებული საქონელი.

ზოგადად, იმპორტი მოიცავს შემდეგ სასაქონლო ნაკადებს:

- უცხოური საქონლის იმპორტს თავისუფალი მიმოქცევის, შიდა გადამუშავების ან თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში დანარჩენი მსოფლიოდან ან საბაჟო ტრანზიტიდან;
- უცხოური საქონლის იმპორტს (გარდა გარე გადამუშავების შედეგად მიღებული მაკომპენსირებელი პროდუქციისა) საბაჟო სანჯობში ან თავისუფალი ვაჭრობის ზონაში, დანარჩენი მსოფლიოდან ან საბაჟო ტრანზიტიდან;
- უცხოური საქონლის იმპორტს, რომელიც შედგება გარე გადამუშავების შედეგად მიღებული მაკომპენსირებელი

---

<sup>1</sup> ო.აბესაძე ევროკავშირთან საქართველოს ეკონომიკური ინტეგრაციის სტატისტიკური ანალიზი. [https://tsu.ge/data/file\\_db/library/otar-abesadze-disertacia.pdf](https://tsu.ge/data/file_db/library/otar-abesadze-disertacia.pdf)

პროდუქციისგან, თავისუფალი მიმოქცევის, შიდა გადამუშავების ან თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში დანარჩენი მსოფლიოდან ან საბაჟო ტრანზიტიდან;

➤ უცხოური საქონლის იმპორტს, რომელიც შედგება გარე გადამუშავების შედეგად მიღებული მაკომპენსირებელი პროდუქციისგან, საბაჟო სანჯობში ან თავისუფალი ვაჭრობის ზონაში, დანარჩენი მსოფლიოდან ან საბაჟო ტრანზიტიდან;

➤ ეროვნული წარმოების საქონელს იმავე მდგომარეობაში, როგორშიც ისინი ადრე იყვნენ ექსპორტირებული, თავისუფალი მიმოქცევის, შიდა გადამუშავების ან თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში დანარჩენი მსოფლიოდან ან საბაჟო ტრანზიტიდან;<sup>1</sup>

➤ ეროვნული წარმოების საქონელს იმავე მდგომარეობაში, როგორშიც ისინი ადრე იყვნენ ექსპორტირებული, საბაჟო სანჯობში ან თავისუფალი ვაჭრობის ზონაში, დანარჩენი მსოფლიოდან ან საბაჟო ტრანზიტიდან.

**აღრიცხვის „ზოგადი“ სისტემით ექსპორტის სტატისტიკური შესწავლისას მხედველობაში მიიღება შემდეგი კატეგორიის საქონელი:**

➤ თავისუფალი მიმოქცევის ზონიდან, შიდა გადამუშავების ტერიტორიიდან ან თავისუფალი ინდუსტრიული ზონებიდან გადაადგილებული ნაკადები;

➤ საბაჟო სანჯობებიდან ან თავისუფალი ვაჭრობის ზონებიდან ექსპორტირებული საქონელი;

➤ ეროვნული საქონელი, რომელიც წარმოებულია თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში ან გადაადგილებულია თავისუფალი მიმოქცევის ზონიდან;

➤ ეროვნული წარმოების საქონელი შიდა გადამუშავების შემდეგ, რომელიც შედგება მაკომპენსირებელი პროდუქციისგან, ანუ პროდუქცია მიღებულია დამუშავების, გადამუშავების ან შეკეთების შედეგად;

➤ თავისუფალი მიმოქცევის, შიდა გადამუშავებისა და

---

1 International Merchandise Trade Statistics. Compilers Manual. New York.2004.pp.36



თავისუფალი ინდუსტრიული ზონებიდან, თავისუფალი ვაჭრობის ან საბაჟო სანჯობის ზონიდან უცხოური წარმოების საქონლის რეექსპორტი იმავე მდგომარეობაში, როგორშიც ადრე იყო იმპორტირებული.

➤ უშუალოდ დანარჩენ მსოფლიოში უცხოური წარმოების საქონლის რეექსპორტი იმავე ფორმით, როგორც იყო იმპორტირებული;<sup>1</sup>

➤ აღსანიშნავია, რომ არსებობს ზოგიერთი კატეგორიის საქონელი, რომლებიც საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში აღრიცხვას არ ექვემდებარება. ასეთის სატვირთო-საბაჟო დეკლარაციების მონაცემთა ბაზაში გამოვლენის შემთხვევაში საქსტატის მიერ როგორც უკვე აღვნიშნეთ **Exორციელდება** ბაზების კორექტირება. ასეთი ტიპის საქონელს მიეკუთვნება:

➤ მონეტარული ოქრო, როგორც საფინანსო აქტივი;

➤ მიმოქცევაში მყოფი ბანკნოტები, ფასიანი ქაღალდები და მონეტები;

➤ დროებით შემოტანილი და გატანილი საქონელი. (მაგ. გამოფენებზე გატანილი ხელოვნების ნიმუშები, საწარმოო ნიმუშები, სადემონსტრაციო მონყობილობები და სამეცნიერო-მეთოდური მასალები, აგრეთვე შეჯიბრებაზე გაყვანილი ცოცხალი ცხოველები და სხვ.)

➤ ტერიტორიული ანკლავებიდან მიღებული ან გაგზავნილი საქონელი. მას მიეკუთვნება ე.წ. დიპლომატიური ტვირთები, რომელიც განიხილება როგორც შიდა სავაჭრო ნაკადები;

➤ სატრანზიტო ტვირთები, რომლებიც გადაადგილდებიან საბაჟო ტერიტორიის გავლით მხოლოდ ტრანსპორტირების მიზნით (კიოტოს კონვენცია);

➤ რეზიდენტების მიერ არარეზიდენტის საკუთრებაში არაფინანსური აქტივების გადაცემა საზღვრის გადაკვეთის გარეშე. ეს აქტივები მოიცავს: მიწას, დანადგარებს და მატერიალურ მარაგებს, მონყობილობებს. არაფინანსურ აქტივებ-

---

**1** ძევისაური, ლ. საქართველოს საგარეო-სავაჭრო ურთიერთობების სტატისტიკური შესწავლა. დისერტაცია. თბილისი, 2012, გვ. 28-30

ზე ასეთი სახის საკუთრების ცვლილება ითვლება ფინანსურ ოპერაციად;

➤ საქონელი, რომელიც განიხილება, როგორც მომსახურებით ვაჭრობა. ეს მოიცავს: ა) ყველა კატეგორიის (მათ შორის მომუშავე არარეზიდენტების) ჩამოსული მგზავრის მიერ შექენილ და საზღვარზე გადატანილ საქონელს, რომლებიც არ აღემატება ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს; ბ) პირდაპირი გამონერის წესით გაგზავნილი გაზეთები და პერიოდული გამოცემები. გ) უცხოური სახელმწიფოების ანკლავებისა (საელჩოები, სამხედრო და სამეცნიერო ბაზები და ა.შ.) და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მონოდებული საქონელი, რომლებიც განლაგებულია მიმღები ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე. დ) ინფორმაციის მატარებლები, რომლებზეც ჩანერილია ინდივიდუალური დაკვეთით შექმნილი პროგრამული უზრუნველყოფა;<sup>1</sup>

➤ შემდგომი გადაყიდვისათვის შექენილი საქონელი. (გადაყიდვის ქვეშ იგულისხმება, სტატისტიკური აღრიცხვის ქვეყნის რეზიდენტის მიერ ამავე ქვეყნის არარეზიდენტისგან საქონლის ყიდვა, საზღვრის გადაკვეთის გარეშე სხვა არარეზიდენტისათვის ამავე საქონლის მიყიდვის მიზნით);

➤ ექსპორტიორი ქვეყნის ეკონომიკური ტერიტორიის საზღვრებს გარეთ გზაში დაკარგული ან განადგურებული საქონელი, იმპორტიორი ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე შეტანამდე, ეს საქონელი არ აისახება იმპორტიორი ქვეყნის იმპორტში, მაგრამ უნდა აისახოს ექსპორტიორი ქვეყნის ექსპორტის სტატისტიკაში. მაშინ როდესაც იმპორტიორ ქვეყანას აქვს ასეთი სახის საქონელზე საკუთრების უფლება, საჭიროა მისი ღირებულება ცალკე აღრიცხოს იმპორტიორი ქვეყნის მიერ საქონლის მთლიანი იმპორტის გაანგარიშების დროს საგადასახდლო ბალანსისა და ეროვნული ანგარიშების წარმოების მიზნებიდან გამომდინარე;

➤ ტვირთების ტრანსპორტირებისათვის გამოყენებული

---

<sup>1</sup> საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა, ცნებები და განმარტებები 2010, გაერო, ნიუ-იორკი, 2011, გვ. 22-25.

საქონელი, მასში შედის ხომალდები, საფრენი აპარატები, კონტინერები და ასევე ხელახალი გამოყენებისათვის დაბრუნებული ცარიელი ბოთლები,

➤ სარემონტოდ განკუთვნილი და სხვა სახის საქონელი.<sup>1</sup>

მართალია საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში, აისახება სხვადასხვა კატეგორიის საქონელი, მაგრამ საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის 2010 წლის რეკომენდაციების მიხედვით ზოგიერთი კატეგორიის საქონელი, მაგალითად, საქონელი, რომელიც განკუთვნილია გადამუშავებისათვის (საკუთრების უფლების ცვლილების გარეშე) და საქონელი, რომელიც საზღვარს კვეთს ორ მხარეს შორის განხორციელებული ოპერაციების საფუძველზე, აუცილებელია ცალკე აღირიცხოს საგადასახდლო ბალანსისა (BPM6) და ეროვნული ანგარიშების (SNA-2008) წარმოების მიზნებისა და საჭიროებიდან გამომდინარე. გარდა ამისა უნდა გამოიყოს ის საქონელი, რომელიც ცალკე აღირიცხება და არ აისახება საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკაში. მას მიეკუთვნება: ტექნიკური მომსახურების მიზნით ან სარემონტოდ გადატანილი საქონელი; ჯართი და ნარჩენები; საზღვარზე არალეგალურად გადაადგილებული საქონელი; საქონელი, რომელიც განადგურდა ან დაიკარგა იმპორტიორზე საკუთრების უფლების გადასვლის შემდეგ.<sup>2</sup>

## **დასკვნა**

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ცხადი ხდება, რომ ზოგადი მეთოდით საგარეო ვაჭრობის აღრიცხვის არეალი ფართეა და მისი გამოყენება საქონლის მფლობელის ცვლილების კრიტერიუმთან უფრო მეტად მიახლოებას უზრუნველყოფს.

მნიშვნელოვანია სრულყოფილი ინფორმაციული ბაზების არსებობის საკითხიც. გასათვალისწინებელია, რომ განვითარებულ ქვეყნებში საბაჟო სტატისტიკის ინფორმაციის წყაროს

---

1 იქვე.

2 საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა, ცნებები და განმარტებები 2010, გაერო, ნიუ-იორკი, 2011, გვ. 22-25

ძირითადი ოფიციალური სტატისტიკის გარდა, პერმანენტული კვლევები წარმოადგენს, ხოლო საქართველოში მთავარი ინფორმაციული რესურსი ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან მიღებული სატვირთო-საბაჟო დეკლარაციების მონაცემებია. ამასთან, ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკის მეთოდოლოგია და მისი გამოყენების მიდგომები. ყოველივე ეს კვეთავს მონაცემთა შეუსაბამობის პრობლემას, რომლის დაძლევა საერთაშორისო სტატისტიკის პრაქტიკაში ერთ-ერთი მნიშვნელოვან გადასაწყვეტ პრობლემას წარმოადგენს. ასევე მნიშვნელოვანია ხდებოდეს სარკისებური შედარება სხვა ქვეყნის საგარეო ვაჭრობის სტატისტიკურ მონაცემებთან, სწორედ ეს საკითხი წარმოადგენს ევროსტატის ექსპერტების ერთ-ერთ რეკომენდაციას, დაფინანსების წყაროების არსებობის შემთხვევაში საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან ერთად განახორციელებს შესაბამის ქმედებებს ამ პროცედურებთან დაკავშირებით.

### ლიტერატურა

- 1.[https://tsu.ge/data/file\\_db/library/otar-abetesadze-disertacia.pdf](https://tsu.ge/data/file_db/library/otar-abetesadze-disertacia.pdf)
2. გ. ურიდია, ფ. რუხაია, საბაჟო საქმის თეორია. 2009.
- 3.<http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000614/Dzebisauri%20L.pdf>
- 4.[www.geostat.ge](http://www.geostat.ge)
- 5.[http://geostat.ge/cms/site\\_images/\\_files/georgian/methodology/macro/International%20Merchandise%20Trade%20Statistics.pdf](http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/methodology/macro/International%20Merchandise%20Trade%20Statistics.pdf)
6. International Merchandise Trade Statistics. Compilers Manual. New York.2004.
7. Бондаренко А.В. Вопросы информационного взаимодействия участников ВЭД и уполномоченных государственных органов. учебное пособие/ М. 2014. – 643 с.
- 8.URL: <http://unstats.un.org/unsd/publication/SeriesM/>

SeriesM\_52rev3r.pdf

9. Руководство по статистике международной торговли услугами, 2010 год. Нью-Йорк, Организация Объединенных Наций, 2011.

10. [http://unstats.un.org/unsd/publication/Seriesm/series-M\\_86Rev1r.pdf](http://unstats.un.org/unsd/publication/Seriesm/series-M_86Rev1r.pdf) 10

**REFERENCES:**

1. [https://tsu.ge/data/file\\_db/library/otar-abetesadze-disertacia.pdf](https://tsu.ge/data/file_db/library/otar-abetesadze-disertacia.pdf)

2. გ. ურიდია, ფ. რუხაია, საბაჟო საქმის თეორია. 2009.

3. <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000614/Dzebisauri%20L.pdf>

4. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

5. [http://geostat.ge/cms/site\\_images/\\_files/georgian/methodology/macro/International%20Merchandise%20Trade%20Statistics.pdf](http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/methodology/macro/International%20Merchandise%20Trade%20Statistics.pdf)

6. International Merchandise Trade Statistics. Compilers Manual. New York. 2004.

7. Бондаренко А.В. Вопросы информационного взаимодействия участников ВЭД и уполномоченных государственных органов. учебное пособие/ М. 2014. – 643 с.

8. URL: [http://unstats.un.org/unsd/publication/SeriesM/Series-M\\_52rev3r.pdf](http://unstats.un.org/unsd/publication/SeriesM/Series-M_52rev3r.pdf)

9. Руководство по статистике международной торговли услугами, 2010 год. Нью-Йорк, Организация Объединенных Наций, 2011.

10. [http://unstats.un.org/unsd/publication/Seriesm/series-M\\_86Rev1r.pdf](http://unstats.un.org/unsd/publication/Seriesm/series-M_86Rev1r.pdf) 10

## METHODOLOGY OF CUSTOMS STATISTICS

**Meri Daushvili**

PhD student

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

### RESUME

The methodology of producing Customs Statistics has been discussed in the article, analyzed the main indicators of Foreign Trade Statistics and the Special Customs Statistics.

It has also been discussed the special and general systems of Foreign Trade registration in the field of distinctive features. The paper deals with the classification of import and export commodity category.

The focus is on comprehensive information bases necessity. Varied of foreign trade customs statistics methodology and approaches to its use, raises the problem of data inconsistency, the reduction of its in international practice is one of the important tasks of the tackling.

**Keywords:** Methodology, statistics, customs, analysis, accounting, general, special.



**ცენტრალური ბანკის დილემა: მონეტარული  
პოლიტიკა თუ ზედამხედველობა**

**გიორგი გოგუაძე**  
საქართველოს წმიდა ანდრია  
პირველწოდებულის სახელობის  
ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი

**რეზიუმე**

სტატიაში განხილულია პრობლემა - ფინანსურ სექტორს უნდა ჰყავდეს ერთი ზედამხედველი, რომელიც განახორციელებს ასევე მონეტარულ პოლიტიკას, თუ ბანკების ზედამხედველობა გამოყოფილი უნდა იყოს მონეტარული პოლიტიკისაგან. აღნიშნულია, რომ ამ პრობლემის გადაწყვეტა დამოკიდებულია ქვეყნის განვითარების თავისებურებებზე და ინსტიტუციურ მიზნებზე. განხილულია საქართველოს და სხვა ქვეყნების მაგალითი და დამტკიცებულია, რომ ცენტრალური ბანკის როგორ ერთიანი რეგულატორის არსებობა მნიშვნელოვანია, რამდენადაც, დღეს ფინანსური ინსტიტუტები არიან ფართო კონგლომერატები და ახდენენ რისკების ურთიერთსექტორებზე გადაცემას. დაქსაქსული ინსტიტუტები საფინანსო სისტემას ერთ ორგანიზმად ვერ მართავს. ცენტრალური ბანკი უნდა იყოს პრუდენციული და ეფექტიანი. მისი ძალაუფლება კი უნდა იყოს საკმარისი იმისათვის, რომ შეძლოს განახორციელოს ქმედითი ცვლილებები, როდესაც ბანკების მდგომარეობა უარესდება და სტაბილურობა დგება რისკების ქვეშ. მას უნდა შეეძლოს წინ აღუდგეს ბანკების მიერ საკანონმდებლო დარღვევებს, ამიტომ უნდა ჰქონდეს საკმარისი დისკრეცია, იმისათვის რომ ამ ქმედებებზე მოახდინოს რეაქცია.

**საკვანძო სიტყვები:** ცენტრალური ბანკი, ზედამხედველობა, კომერციული ბანკები.

ეკონომისტებსა და პოლიტიკოსებში დიდი წინააღმდეგობა იქმნება იმასთან დაკავშირებით, ცენტრალური ბანკი აქცენტირებული უნდა იყოს მხოლოდ მონეტარულ პოლიტიკაზე თუ მასთან ერთად მან კომერციული ბანკების რეგულირებისა და ზედამხედველობის ფუნქცია უნდა შეასრულოს. ეს საკითხი ყოველთვის იდგა დღის წესრიგში. იგი საქართველოშიც აქტიური გახდა.

საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ კანონში ორჯერ იქნა შეტანილი ცვლილებები, რომლის თანახმად, ეროვნულ ბანკს ფინანსური ზედამხედველობის სამსახური გამოეყო. 2008 წელს შეიქმნა „მეგარეგულატორი“, რომელშიც, გარდა ეროვნული ბანკის ზედამხედველობის სამსახურისა, გაერთიანდა ფასიანი ქაღალდების კომისია, დაზღვევის ზედამხედველობის და საპენსიო ზედამხედველობის სამსახურები. ეროვნული ბანკი კი დაასუსტდა.

საბანკო და არასაბანკო ზედამხედველობის სააგენტო 2009 წელს ისევ შეურთდა ეროვნულ ბანკს, მაგრამ 2014 წელს პარლამენტის გადაწყვეტილებით, კვლავ გამოეყო, მართალია კანონს ვეტო დაადო საქართველოს პრეზიდენტმა, მაგრამ უმრავლესობამ ვეტო დაძლია. ვეტოდაძლიეულ კანონს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა.

ასეთი ცვლილებები იმაზე მეტყველებს, რომ პოლიტიკური სპექტრი არ არის ჩამოყალიბებული მონეტარული ხელისუფლების ინსტიტუციურ მონყობაში და პრობლემების მიზეზებს ეროვნული ბანკის ორგანიზაციაში ან ხელმძღვანელობაში ეძებს.

ეს თემა აქტიურია არა მარტო პოლიტიკოსებს, არამედ ეკონომისტებს შორისაც.

მსოფლიო ფინანსურ კრიზისამდე აკადემიურ წრეებში გავრცელებული იყო მოსაზრება, რომ მონეტარულ პოლიტიკასა და პრუდენციულ პოლიტიკას შორის არსებობს კონფლიქტი (ინფლაცია/ ფინანსური სტაბილურობა), რაც ამართლებს მონეტარული და პრუდენციული ფუნქციების გაყოფას, თუმცა მსოფლიო ფინანსური კრიზისის შემდეგ, ნათლად გამოჩნდა



ამგვარი მიდგომის ნაკლოვანებები, კონფლიქტი კიდევაც რომ არსებობდეს, ინსტიტუტების განცალკევებით ეს პრობლემა არ გადაიჭრება. რადგან კონფლიქტის მოგვარება კიდევ უფრო რთულდება. თითოეულ ინსტიტუტს უჩნდება თავისი „ვიწრო მიზანი“. „ერთი ქოლგის“ ქვეშ რეგულირება იძლევა შესაძლებლობას გამოყენებული იქნეს სპეციალიზაციის და მასშტაბის ეკონომია.<sup>1</sup> ცენტრალური ბანკების „ინსტიტუციონალური მონელების შესახებ მნიშვნელოვანი არგუმენტების განხილვა ცხადყოფს, რომ სხვადასხვა მნიშვნელოვანი სინერგია არსებობს, რომლის გამოყენება ინტეგრირებული მიდგომის შემთხვევაშია შესაძლებელია. გაერთიანების სანინაალმდეგო მთავარი არგუმენტი მასშტაბის დისეკონომიის, ნაკლები ორგანიზაციული მოქნილობისა და არაეფექტიან ბიუროკრატიის შექმნის რისკია“.<sup>2</sup>

დისკუსიისას ორი ძირითადი ფუნდამენტური მიმართულება გამოიკვეთება: კეინსელების და მონეტარისტების. კეინსური თეორიის თანახმად, ვალუტა რეალურად ზემოქმედებს ეკონომიკაზე, საქონლისა და მომსახურების მითხოვნის ფორმირებაზე და დამოკიდებულია მონეტარული ხელისუფლების დისკრეციონისტულ პოზიციებზე. ცენტრალურ ბანკს უნდა ჰქონდეს დისკრეცია იმისთვის, რომ არეგულიროს მოთხოვნა. მონეტარული თეორია კი, რომელიც ასოცირებულია მილტონ ფრიდმანის სახელთან, აღიარებს, რომ ფულის მიწოდებას აქვს არსებითი როლი ეკონომიკის ზრდაში და ფასების ფორმირებაში ხანგრძლივადიან პერიოდში. ამ თეორიის მიმდევრებს სჯერავთ, რომ ფულის მიწოდების რეგულირებით შესაძლებელია ეკონომიკის განვითარება. მ. ფრიდმანის „ფიქსირებული მონეტარული წესის“ კონცეფციის თანახმად, ცენტრალური მარეგულირებელი ორგანოები უნდა იყვნენ ორიენტირებულნი ფულის მიწოდების მიზნობრიობაზე, რათა ფასები შეინა-

---

1 გორგოძე ო., (2013), ფინანსური ზედამხედველობის ინსტიტუციური არქიტექტურა და მისი სრულყოფის გზები, ეკონომიკა და საბანკო საქმე, ტომი I, N 1, გვ. 11-12.

2 იქვე, გვ. 19-20.

რუნონ უვცვლელნი. რა პროპორციითაც გაზრდიან ფულის მიწოდებას, იმ პროპორციით გაიზრდება ფასებიც. ხოლო დისკრეციონისტული პოლიტიკა კი არის ეკონომიკის მადესტაბილიზირებელი ფაქტორი.<sup>1</sup> შესაბამისად საკითხი, რეგულაცია თუ დისკრეციონისტული პოლიტიკა - იყო და დარჩა დისკუსიების საგნად.

მას შემდეგ, რაც ოქროს სტანდარტის ერა დამთავრდა, ეს პრობლემა - ცენტრალური ბანკის პოლიტიკა ავტონომიური და დისკრეციული უნდა ყოფილიყო თუ რეგულირების განმახორციელებელი ინსტიტუტის როლი უნდა შეესრულებინა - კიდევ უფრო გამწვავდა. ამ კითხვებზე ერთმნიშვნელოვანი პასუხები არ ყოფილა. ცნობილია, რომ თეორიულად არსებობდა უპირატესად მონეტარული პოლიტიკის განხორციელების სასარგებლო არგუმენტი, მაგრამ არ არსებობდა მონეტარული წესის ზუსტი იდენტიფიკაცია. არსებობს თანხმობა ცენტრალური ბანკების ავტონომიურობის აუცილებლობის შესახებ, მაგრამ არ არსებობს თანხმობა ინსტიტუციური ავტონომიურობის ფორმატის შესახებ.

ცნობილია, რომ ფულის მიწოდება უნდა ხდებოდეს ეკონომიკის განვითარების შესაბამისად. ამასთან ცნობილია ისიც, რომ მონეტარული სტაბილურობა ხანგრძლივი პერიოდით არის ეკონომიკის ზრდის წინაპირობა და ინფლაცია უნდა ხდებოდეს რეგრესულად. ამ პოსტულატებზე დარყრდნობით, მონეტარული პოლიტიკის ავტონომიურობა და დისკრეციულობა განსაზღვრავს ამ მიზნების განხორციელებას, თუმცა ეს საკითხებიც საკამათოდ იქცევა, როდესაც აღნიშნულ მიზნების განხორციელებას დაემუქრება საგარეო და საშინაო შოკები და ქვეყანა ფინანსურად კრიზისულ და წინაკრიზისულ გარემოში აღმოჩნდება ხოლმე. ასეთ პირობებში ბანკების ავტონომიურობა იზღუდება მონეტარული პოლიტიკით და მას შეფარდებითი ხასიათი ენიჭება, რამდენადაც ფინანსური ბაზრები

---

1 Sarwat Jahan, Chris Papagerotgiou, (2014), What is Monetarism? Finance & Development, March, 2014, Vol. 51. No.1. <http://www.imf.org/external/pubs/ft/fandd/2014/03/basics.htm>

ერთმანეთზეა დამოკიდებული და სხვადასხვა იმანენტური და არაიმანენტური, ეგზოგენური და ენდოგენური პირობები და ფაქტორები განსაზღვრავენ ფინანსური სტაბილურობის ციკლებს, მათ აღდგენასა და რღვევებს.

თუ რამდენად საკმარისია მონეტარული ხელისუფლების ავტონომიურობა ამ გამონწვევების გასამკლავებლად და რა ზომით მიეცემა მას სტაბილურობის განხორციელების მანდატი, საკამათო საგანია.

მონეტარული პოლიტიკა ცენტრალური ბანკის ავტონომიასთან არის გაიგივებული. თუ რამდენად სწორად განსაზღვრავს იგი მოქმედების არეალს და ობიექტებს, არის მნიშვნელოვანი ამ გამონწვევების გასამკლავებლად. ცენტრალური ბანკი რაც უფრო მეტად აიღებს პასუხისმგებლობას მონეტარულ პოლიტიკაზე, მით უფრო მეტად სჭირდება მას ავტონომიურობა.

მიდგომა, რომელიც აღიარებს ზედამხედველობის დამოუკიდებელი ინსტიტუტების არსებობას, ამოდის იქიდან, რომ მხოლოდ მათი დამოუკიდებლობის პირობებში იქმნება საბაზრო და პოლიტიკური ჩავარდნების დაბალანსების საშუალება. ეს მოსაზრება ემყარება იმ არგუმენტს, რომ მხოლოდ დამოუკიდებელი კერძო ინსტიტუტი შესძლებს შეამციროს ბანკების ბარიერები და გააძლიეროს მათი კორპორატიული მართვა. ამასთან გაანეიტრალოს პოლიტიკური ზენოლა და გადალახოს ინფორმაციული ასიმეტრია. ეს თეორიები აქცენტს აკეთებენ კრედიტების განაწილების ეფექტიანობაზე და ზედამხედველობის ფუნქციას განიხილავენ ამ მიზნის მიღწევის თვალსაზრისით. ამასთან მიიჩნევენ, რომ ცენტრალური ბანკებისათვის ისეთი ფუნქციების დაკისრება, როგორცაა ბანკების ზედამხედველობა, არის მონატრული პოლიტიკის სანინაალმდეგო ინსტიტუციური ქმედება, რამდენადაც საქმე ეხება სავალუტო სტაბილურობას.

ასევე სადისკუსიო ხდება საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად აუცილებელია საბანკო ზედამხედველობა მონეტარული პოლიტიკის განსახორციელებლად, რაციონალური იქნება თუ არა, რომ ცენტრალურმა ბანკმა გაუწიოს ზედამხედველობა

ბანკებს მონეტარული პოლიტიკის განხორციელებისას, საგადასახდლო ბალანსის სტაბილურობის და მაკროეკონომიკური ნონასწორობის უზრუნველყოფასთან ერთად.

სულ უფრო მეტი მკვლევარი ემხრობა აზრს, რომ ცენტრალური ბანკის მიერ ორივე ფუნქციის - საბანკო ზედამხედველობისა და მონეტარული პოლიტიკის - განხორციელებით უფრო ეფექტიანი ხდება ცენტრალური ბანკის საქმიანობა, რადგან ზედამხედველობას არ აქვს მაკროეკონომიკური პასუხისმგებლობა, ხოლო მაკროეკონომიკურ პოლიტიკას კი არ აქვს ბანკების ტრანსაქციებზე უშუალო ზემოქმედება. მათი კომბინირებული გამოყენება ცენტრალური ბანკების როლს და რაციონალიზმს მნიშვნელოვნად ზრდის.<sup>1</sup>

ცენტრალურ ბანკს უნდა ჰქონდეს სრული ინფორმაცია კომერციული ბანკების შესახებ. მათი სტაბილურობის შეფასებით იგი აიცდენს მონეტარულ პოლიტიკაზე არასასურველი ფაქტორების ზემოქმედებას, რადგან ბანკების პრობლემები ეკონომიკაზე უშუალოდ აისახება. შესაბამისად, მკვლევარების უმრავლესობა თანხმდება იმაში, რომ ცენტრალური ბანკების მიერ კომერციული ბანკების ინფორმაციისადმი წვდომა და ზემოქმედება არის სასარგებლო მაკროეკონომიკური ბალანსისათვის. თუმცა არსებობს მათი სეპარატიზაციის არგუმენტებიც.

ლიტერატურაში არ არსებობს ერთიანი მიდგომა იმის შესახებ, თუ ზედამხედველობის ფუნქცია როგორ უნდა იყოს იდენტიფიცირებული. საბანკო სისტემის ფუნქციონირება და ეროვნული ვალუტის წარმოება არის ერთმანეთის შემავსებელი საქმიანობა, რომლებიც, ზოგიერთი პოზიციით, შესაძლებელია ერთმანეთის დამოუკიდებლად სხვადასხვა ინსტიტუტმა აწარმოოს. ცენტრალურმა ბანკმა უნდა შეასრულოს მხოლოდ კომერციული ბანკების „უკანასკნელი იმედის“ ფუნქცია. ეს არგუმენტი, რომლსაც ასახელებენ ხოლმე საბანკო ზედამხედველობის ცალკე გამოყოფის მიზნით, ასევე წარმატებით შეიძლე-

---

1 აშშ-ში ფედერალური სარეზერვო სისტემის ყველა პერეზიდენტი ამ ფუნქციების ერთობლივ გამოყენებაზე აკეთებს აქცენტს.

ბა გამოყენებული იქნეს იმის დასამტკიცებლად, თუ რამდენად საჭიროა შენარჩუნდეს ცენტრალური ბანკის, როგორც ერთიანი ინსტიტუტის მნიშვნელობა.

კომერციული ბანკები არიან არა მარტო საგადასახდელი სისტემის ნაწილები, არამედ ეკონომიკის აგენტებისათვის კრედიტის და ეროვნული ვალუტის მიმწოდებლები, რომლის მეშვეობითაც ხდება საპროცენტო განაკვეთების ფორმირება. არსებობს კორელაცია ეკონომიკურ სტაბილურობასა და ფინანსური სისტემის მდგრადობას შორის. მაკროეკონომიკური პრობლემები ზემოქმედებას ახდენს ბანკების ლიკვიდურობაზე და გადახდისუნარიანობაზე, ხოლო ბანკების გადახდისუნარიანობის პრობლემები კი ქმნის ეკონომიკის ფუნქციონირების და მონეტარული პოლიტიკის რისკებს. შესაბამისად, ბანკების ცუდად მართვა ხდება ამ პრობლემების წარმოშობის ერთ-ერთი პირობა, რაც თავის მხრივ, წარმოშობს ინვესტირებაში წინააღმდეგობებს, სესხების და კრედიტების პორტფელში ცვლილებებს და იგი სენსიტიურად ზემოქმედებს მთელს ეკონომიკაზე.

ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკა კი ზემოქმედებს საბიუჯეტო და მონეტარული ცვლილებებით, რომელზეც რეაქციას ახდენს კომერციული საბანკო სისტემა. ეს ორი პოლიტიკა ერთმანეთთან წინააღმდეგობებში ექცევა და როდესაც კომერციული ბანკები ეკონომიკისაგან ვერ სარგებლობს სტიმულებით, მაშინ ისინი ნეგატიურად რეაგირებენ არსებულ ვითარებაზე და პირიქით, კომერციული ბანკების არამდგრადი მდგომარეობა კი ხდება ეკონომიკური განვითარების შემაფერხებელი ფაქტორი, ზრდის სარგებლის განაკვეთს, აძვირებს ინვესტიციებს და აფერხებს ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებას. საერთაშორისო ბაზრებზე არსებული მდგომარეობა გადაედინება ყველა ქვეყანაში, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან ფულადი და სასაქონლო/მომსახურების ნაკადებით. ქვეყნები ხდებიან ერთმანეთზე დამოკიდებულნი.

ცენტრალური ბანკი, როგორც ეროვნული ვალუტის მიმწოდებელი და მისი ღირებულების უზრუნველყოფი ინსტი-

ტუტის ფუნქცია რეალურად წინააღმდეგობაშია მის მიერ ბანკების ზედამხედველობის ფუნქციასთან, რამდენადა ეს ორი ქმედება - ვალუტის ღირებულების უზრუნველყოფა და ბანკების რეგულირება შესაძლებელია ერთმანეთის საპირისპირო ინტერესს გულისხმობდეს. როდესაც ცენტრალური ბანკი უპირატესობას ანიჭებს, მაგალითად, კომერციული ბანკების დაცვას, მაშინ მას უხდება სხვა განზომილების დათმობა, როგორცაა სარგებლის განაკვეთი, ან ინფლაცია, რადგან მათზე აქცენტირება პირობითად, მტკივნეულად იმოქმედებს ბანკების საქმიანობაზე.

იმ შემთხვევაში, თუ ცენტრალურ ბანკს არ ექნება ზედამხედველობის ფუნქცია, მაშინ მან შესაძლებელია უგულებელყოს კომერციული ბანკების ინტერესები. საერთოდ კი კომერციული ბანკების მდგომარეობის იმანენტური ფაქტორებია აქტივების ხარისხი, კაპიტალის ადექვატურობის მაჩვენებელი და სხვ. მათთვის დამახასიათებელია სისტემური რისკები, რომლებიც გადაედინება ეკონომიკაში, ამიტომ მათზე ზედამხედველობა ხდება აუცილებელი. ხოლო საფინანსო კრიზისების დროს კი ცენტრალური ბანკების მიერ „უკანასკნელი იმედის“ შესრულება სასიცოცხლოდ აუცილებელი ფუნქციაა, რომლის განხორციელება ცენტრალურ ბანკს შეეძლება მხოლოდ მაშინ, თუ ეცოდინება, რომ კომერციულ ბანკებს რეალურად სჭირდებათ ცენტრალური ბანკის მხარდაჭერა. ყოველივე ეს კიდევ ერთხელ ამართლებს ცენტრალური ბანკის მიერ ზედამხედველობის განხორციელების აუცილებლობას.

ზოგიერთი ავტორი ზედამხედველობას მხოლოდ მცირე ბანკების მიმართ მიიჩნევს მიზანშეწონილად, რამდენადაც მცირე ბანკების ლიკვიდობის პრობლემებს შეუძლიან წარმოშვას სისტემური კრიზისები.<sup>1</sup> როგორც 2008-09 წლების გლობალურმა ფინანსურმა აჩვენა, ეს მდგომარეობა მსხვილ ბანკებს

---

**1 Francisco Jose De Siquera (2006), Should Central Banks be also Banking Supervisors? Banco Central Do Brasil, Seminar on Central Developments in Monetary and financial Law, Washington, D.C. October 24, 2006, გვ.14. <http://www.imf.org/external/np/seminars/eng/2006/mfl/index.htm>**

მეტად შეეხო და ცენტრალური ბანკები იძულებულნი გახდნენ შეემუშავებინათ დახმარებების მრავალწლიანი პროგრამები.

ცენტრალურ ბანკს აქვს ბანკების საგადასამხდლო ვალდებულებების უზრუნველყოფის ფუნქცია, მაგრამ მისი რეპუტაცია ხშირად სასწორზე დგას, როდესაც იგი ერევა ბანკების ლიკვიდობაში და ბაზრების ინტერვენციას ანხორციელებს. ამიტომ ზოგიერთი მკვლევარი სწორედ ცენტრალური ბანკის ამ ორი ფუნქციის გამიჯვნას თხოულობს.

ცენტრალური ბანკის ფუნქციების დანაწევრება და ზედამხედველობის გამოყოფა არ გულისხმობს იმას, რომ მორალური რისკები არ იარსებებს. კომერციულ ბანკებს ყოველთვის აქვთ ცენტრალური ბანკის იმედი, ამიტომ შეიძლება უგულვებელყონ საბაზრო რეგულაციები. რაც უფრო დიდია ბანკი, მით უფრო მაღალია მორალური რისკები და ცენტრალური ბანკის ჩარევის ხარჯები. ეს გარემოება მინიმუმირებულია დეპოზიტების დაზღვევის დროს, მაგრამ არც ეს ღონისძიება წყვეტს პრობლემას.

მსოფლიო პრაქტიკა იცნობს განსხვავებულ ინსტიტუტებს, სადაც ცენტრალური ბანკის ფუნქციები დანაწევრებულია სხვადასხვა სპეციალიზირებულ ინსტიტუტს შორის და ისეთსაც, სადაც ისინი აგრეგირებულნი არიან ცენტრალურ ბანკში.

ევროკავშირის ქვეყნებში ცენტრალური ბანკები ევროპის ცენტრალური ბანკების ნაწილია და ამდენად მათ მონეტარული პოლიტიკის გატარება დამოუკიდებლად არ შეუძლიათ.

გერმანიაში ბანკებზე ზედამხედველობას აწარმოებს ფედერალური საბანკო ზედამხედველობის ოფისი.

ესპანეთში ცენტრალურ ბანკზე არის დაკისრებული ზედამხედველობისა და მონეტარული პოლიტიკის გატარების ფუნქციები, ხოლო საფრანგეთში კი დანაწევრებულია და ბანკებზე და საფონდო ბირჟებზე ზედამხედველობას აწარმოებს მარეგულირებელი კომიტეტი (Banking and Financial Regulatory Committee (BC)/Credit Institutions and Investment Firms Committee/ Banking Commission (BC).

ინგლისში 1997 წლიდან არის დანაწევრებულია ფუნქციები

და მონეტარულ პოლიტიკას ატარებს ინგლისის ბანკი, ხოლო საბანკო, სადაზღვევო და საფონდო ბირჟებზე ზედამხედველობას კი აწარმოებს ფინანსური ხელისუფლება (Financial Services Authority). 1998 წელს, ინგლისის ცენტრალურ ბანკს ჩამოაცილეს საბანკო ზედამხედველობა. ამ უკანასკნელს დაემატა საფინანსო სფეროს სხვა მარეგულირებელი სამსახურები და შეიქმნა ერთიანი უწყება. 2007-2008 წლის კრიზისში ყველზე მეტად ბრიტანული ბანკები დაზარალდნენ. ზოგიერთი გაკოტრდა კიდევ. 2013 წელს ინგლისის ცენტრალურ ბანკს ზედამხედველობის ფუნქცია დაუბრუნდა და კვლავ მოხდა მონეტარული ფუნქციების და ფინანსური ზედამხედველობის გაერთიანება.

2008 წლის ფინანსური კრიზისის შემდეგ საბანკო სექტორის ზედამხედველობის ფუნქცია დაემატა ევროპის ცენტრალურ ბანკსაც.

ირლანდიაში, ისევე როგორც იტალიაში, პორტუგალიაში, ლუქსემბურგში, ცენტრალურ ბანკს ეკისრება მონეტარული პოლიტიკის გატარებისა და ზედამხედველობის ფუნქციები.

მონეტარული პოლიტიკისა გატარების და ზედამხედველობის ფუნქციები გაყოფილია შვეიცარიის ეროვნულ ბანკსა და ფედერალურ საბანკო კომისიას შორის (Federal Banking Commission Federal Banking Commission).

ლათინური ამერიკის რიგ ქვეყნებში კომერციული ბანკები არ იყვნენ ცენტრალური ბანკების ზედამხედველობის ქვეშ. ბანკების ფუნქციები იყო დეცენტრალიზებული, ევროპული ქვეყნებისაგან განსხვავებით. თუმცა შემდგომ, მეოცე საუკუნის დასაწყისში, ეროვნული ვალუტის რყევებმა, ინფლაციამ და საკრედიტო გადარიცხვების სირთულეებმა დღის წესრიგში დააყენა ბანკების საქმიანობაზე ზედამხედველობა ცენტრალურ ბანკებს გაენათ.<sup>1</sup> 20-30-იან წლებში ჩამოყალიბდა ცენტრალური ბანკები თითქმის

**1** გამონაკლისს შეადგენდა ურუგვაი, რომელიც ინგლისის ცენტრალური ბანკის გავლენას ექვემდებარებოდა. Francisco Jose De Siquera (2006), *Should Central Banks be also Banking Supervisors? Banco Central Do Brasil, Seminar on Central Developments in Monetary and financial Law, Washington, D.C. October 24*, <http://www.imf.org/external/np/seminars/eng/2006/mfl/index.htm>



ყველა ლათინური ამერიკის ქვეყანაში. ისინი ძირითადად აშშ-ს ფედერალური სარეზერვო სისტემის გავლენის ქვეშ იყვნენ და რეგულირდებოდნენ ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით. 70-80-იან წლებში სავალო მდგომარეობის გაუარესების გამო ცენტრალური ბანკის როლი განსაკუთრებით გაიზარდა მექსიკასა და ბრაზილიაში. ცენტრალური ბანკები ატარებდნენ მონეტარულ პოლიტიკას და ზოგიერთი მათგანი ასრულებდა ზედამხედველობის ფუნქციას. ეს ორი ფუნქცია განსხვავებული ხარისხით მოქმედებდა. მონეტარულ პოლიტიკას ეძლეოდა განსაკუთრებული როლი, ხოლო ზედამხედველობა კი მოიცავდა როგორც ბანკების, ასევე დაზღვევის სფეროსა და საფონდო ბირჟებს, თუმცა ყოველთვის იდგა დღის წერიგში საკითხი, თუ ფინანსური ჯგუფების ზედამხედველობა რამდენად უნდა ყოფილიყო ცენტრალური ბანკის ფუნქცია.

სისტემური მიდგომის აუცილებლობა განპირობებული იყო იმით, რომ ცენტრალურ ბანკს შეესრულებინა ზედამხედველობა ეფექტიანად ყველა სეგმენტის დაკვირვებისა და რეგულირების გზით. მიუხედავად ამისა, დღემდე ეს საკითხი ყველგან ერთნაირად არ არის გადაწყვეტილი.

არგენტინაში მონეტარულ პოლიტიკას აწარმოებს ცენტრალური ბანკი, ხოლო ბანკებზე და სადაზღვევო ბაზრებზე კი საფინანსო და სავალუტო დანესებულებების ზედამხედველი სხვა ინსტიტუტია (**Superintendencia de Entidades Financieras y Cambiarias**), საფონდო ბირჟაზე ზედამხედველობის ფუნქცია ეკისრება ეროვნულ კომისიას (**Comisión Nacional de Valores**).

ბოლივიაში, ჩილეში, კოლუმბიაში, ჰონდურასში ბანკების ზედამხედველობა და მონეტარული ფუნქციები გამიჯნულია და მას სხვადასხვა ინსტიტუტი აწარმოებს.

მექსიკაში, ისევე როგორც პარაგვაიში და ვენესუელაში, მონეტარულ პოლიტიკას აწარმოებს ცენტრალური ბანკი, ხოლო სხვა დანარჩენი ფუნქციები კი შეთვისებული აქვს ეროვნულ კომისიებს. ურუგვაიში, ისევე როგორც პანამაში, ზედამხედველობა და მონეტარული პოლიტიკის გატარება ცენტრალური ბანკების უფლებამოსილებაა.

სხვა ქვეყანაში, მაგალითად ავსტრალიაში მონეტარულ პოლიტიკას და ბანკების საგადამხდელო სისტემაზე ზედამხედველობას აწარმოებს ავსტრალიის სარეზერვო ბანკი, ხოლო ბანკებზე და საფონდო ბირჟაზე ზედამხედველობას კი - ავსტრალიის პრუდენციული მარეგულირებელი ხელისუფლება (Australian Prudential Regulation Authority-(APRA).

კანადაში კანადის ბანკი დამოუკიდებელი ინსტიტუტია და განაგებს მონეტარულ პოლიტიკას და საგადამხდელო სისტემას, ხოლო ბანკებზე, დაზღვევასა და საფონდო ბირჟაზე ზედამხედველობას აწარმოებს საფინანსო ინსტიტუტების ოფისი (Office of the Superintendent of Financial Institutions).

ისრაელში ცენტრალური ბანკი დამოუკიდებელია და მას ეკისრება ზედამხედველობისა და პოლიტიკის წარმართვის ფუნქციები.

იაპონიაში ფუნქციები დანაწევრებულია. მონეტარულ ხელისუფლებას წარმოადგენს იაპონიის ბანკი, რომელიც ზედამხედველობას უწევს საგადამხდელო სისტემასაც, ხოლო ბანკების, სადაზღვევო ბაზრებისა და საფონდო ბირჟებზე ზედამხედველობა კი დაკისრებული აქვს საფინანსო სააგენტოს (Financial Supervisory Agency).

ჰონგკონგში მონეტარულ პოლიტიკას, ისევე როგორც ბანკებისა და საგადამხდელო სისტემის ზედამხედველობას აწარმოებს მონეტარული ხელისუფლება.

ახალ ზელანდაში და პანამაში ზედამხედველობა და მონეტარული პოლიტიკის გატარება ცენტრალური ბანკების უფლებამოსილებაა. ამდენად, საბანკო სისტემის დილემისადმი - ცენტრალური ბანკის მონეტარული პოლიტიკა თუ რეგულირება და ზედამხედველობა - განსხვავებული მიდგომები არსებობს.

როგორც ერთ-ერთ კვლევაშია მოცემული, ბანკის ზედამხედველობის ფუნქცია ცენტრალურ ბანკს გააჩნია 125 ქვეყნიდან 75 პროცენტს, 18 პროცენტი არის სახელმწიფო მთავრობის ქვეშ, ხოლო 27 პროცენტი არის დამოუკიდებელი

საგანგებო სახით <sup>1</sup>

ამასთან საინტერესოა, რომ დამოუკიდებელი სააგენტოს სახით ზედამხედველობის ფუნქციის მატარებელი სააგენტოები 1987-2006 წლებში გაიზარდა 2 ჯერ და შემცირდა სახელმწიფო ზედამხედველობის ქვეშ არსებული სააგენტოების რაოდენობა.

ფინანსურმა კრიზისებმა გამოავლინეს ცენტრალური ბანკების სუსტი რგოლები ზედამხედველობაში და ეს პრობლემა კიდევ უფრო განსაკუთრებული გახდა დღეს, ახალი საბანკო რისკების მოლოდინში. ამიტომ ცენტრალური ბანკების ზედამხედველობის ფუნქციას მიენიჭა დიდი როლი და გაიზარდა ამ სფეროში საერთაშორისო კოორდინაცია ბაზელის პრინციპების შესაბამისად. ამასთან დაკავშირებით წარმოიშვა დებატები ცენტრალური ბანკის მასში ჩართულობის დონის შესახებ, ძალაუფლების კონცენტრაციის შესახებ და სხვ.

ბაზელის ძირითადი პრინციპები საბანკო ზედამხედველობაში გულისხმობს ოპარაციული დამოუკიდებლობას ეფექტიანი ზედამხედველობის განსახორციელებლად. მაგრამ როდესაც ცენტრალური ბანკი არ არის პასუხისმგებელი ზედამხედველობაზე, მაშინ ძირითადი კითხვა იბადება, თუ როგორ უნდა იყოს პასუხისმგებელი ფინანსურ სტაბილურობაზე, ან რატომ უნდა შეასრულოს უკანასკნელი იმედის ფუნქცია, თუკი ინფორმაციულ ასიმეტრიას აქვს ადგილი. ეს პრობლემა ტიპიურია თითქმის ყველა ქვეყანაში.

ქვეყნების პრაქტიკაში პრობლემა - ფინანსურ სექტორს უნდა ჰყავდეს ერთი ზედამხედველი თუ ყოველ ფინანსურ სექტორს - საბანკოს და არასაბანკოს - სჭირდება თავისი დამოუკიდებელი ზედამხედველი, - დამოკიდებულია ქვეყნის განვითარების თავისებურებებზე და ინსტიტუციურ მიზნებზე.

დღეს საქართველოში ეროვნულ ბანკს აქვს დაკისრებული

---

1 Archer D., (2009), Roles and objectives of modern central banks. In the: Issues in the Governance of Central Banks, Chairs Guillermo Ortiz, Joseph Yam, Bank for International Settlements, Chapter 2, გვ. 53, [http://www.bis.org/publ/othp04\\_2.pdf](http://www.bis.org/publ/othp04_2.pdf)

მონეტარული პოლიტიკისა და ზედამხედველობის ფუნქცია. ამით იგი ძლიერ ზედამხედველ ინსტიტუტად წარმოდგა. ეს კი მნიშვნელოვანია, რამდენადაც, დღეს ფინანსური ინსტიტუტები არიან ფართო კონგლომერატები და ახდენენ რისკების ურთიერთსექტორებზე გადაცემას.<sup>1</sup> ამიტომ ცხადია, რომ დაქსაქსული ინსტიტუტები საფინანსო სისტემას ერთ ორგანიზმად ვერ მართავდა. ეროვნული ბანკი უნდა იყოს პრუდენციული და ეფექტიანი. მისი ძალაუფლება კი უნდა იყოს საკმარისი იმისათვის, რომ შეძლოს განახორციელოს ქმედითი ცვლილებები, როდესაც ბანკების მდგომარეობა უარესდება და სტაბილურობა დგება რისკების ქვეშ. მას უნდა შეეძლოს წინ აღუდგეს ბანკების მიერ საკანონმდებლო დარღვევებს, ამიტომ უნდა ჰქონდეს საკმარისი დისკრეცია, იმისათვის რომ ამ ქმედებებზე მოახდინოს რეაქცია.

## **THE CENTRAL BANK'S DILEMMA: MONETARY POLICY OR SUPERVISION**

**George Gogvadze**

PhD Student of The St. Andrews  
the First-Called Georgian University

### **RESUME**

The article deals with the following problem: the financial sector should have a supervisor, who also carries out monetary policy, or supervision of banks should be separated from monetary policy. It is noted that this solution depends on the country's development and the institutional peculiarities. The article discusses the cases of Georgia and other countries and approves that the central bank as a single regulator is important, as far as the financial institutions

---

1 E Philip Davis and Ugochi Obasi, (2009), *The Effectiveness of Banking Supervision*, Working Paper, No. 09-27, June, Brunel University and NIESR, London, გვ 5-6. <http://www.brunel.ac.uk/about/acad/sss/depts/economics>

are wide conglomerates and they mutually transfer the risk to each other. The fragmented system of the financial institutions cannot manage the whole system of banks and macro economy. The central bank should be prudential and effective. Its power should be sufficient to enable it to carry out effective changes, when the banks are getting worse and stability comes under risk. It should be able to stand against the banks violations of rule, so it must have enough discretion.

**Key words:** central bank, supervision, commercial banks.

**კომერციული ბანკის საიმედოობის ანალიზისა და  
საინვესტიციო მიზნით ფინანსური მართვა-მეთვლები  
სისტემა, ეკონომიკური შინაარსი და  
ბაზანბარიშების მეთოდები**

**გიორგი სუბელიანი  
ლევან ბოგვერაძე**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დოქტორანტიები

**შესავალი**

თანამედროვე პირობებში მოსახლეობის ბანკების მიმართ ნდობისა და პასუხისმგებლობის მექანიზმის ამაღლებისათვის, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საიმედოობისა და მდგრადობის განმსაზღვრელი ფაქტორების და პირობების გამოკვლევა, რაც, თავის მხრივ, საშუალებას მოგვცემს, რომ განვსაზღვროთ სხვადასხვა ფაქტორები, მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ურთიერთქმედების ზეგავლენა მთელი საბანკო სისტემის მდგრადობაზე.

საბანკო სისტემაში უკანასკნელ პერიოდში არასაიმედო აქტივების მქონე ბანკებში ჩატარებული რეფორმები რეფორმებმა და ისეთი ბანკების დახურვამ, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს დადგენილი მინიმალური სანესდებო კაპიტალის შექმნა, რამაც, თავის მხრივ, ნაწილობრივ, ხელი შეუწყო საბანკო სისტემის საიმედოობისა და მდგრადობის განმტკიცებას. მიუხედავად ამისა, აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ჩვენს ქვეყანაში თანამედროვე პირობებში ბანკების საქმიანობის კონტროლის სისტემა შემდგომ სრულყოფას მოითხოვს. გარდა აღნიშნულისა, კომერციული ბანკების საქმიანობის ფინანსური ზედამხედველობის ამაღლების მიზნით, აუცილებლად მიგვაჩნია, რომ განხორციელდეს ნორმატიული ბაზის შემდგომი განმტკიცება, რომელიც მიმართული იქნება კომერციული ბანკების ზედამხედველობისა და რეგულირების წესის სრულყოფისაკენ. ასევე სრულყოფას მოითხოვს ზედამხედ-

ველობის მიზნით განსაზღვრული „რისკის მიხედვით შენონილი აქტივები“, რაც შესაძლებლობას მოგვცემს ჩვენი აზრით, რომ ზუსტად დადგინდეს კომერციული ბანკების აქტივების მგრძობელობა საკრედიტო რისკის მიმართ და ამასთან უფრო სრულყოფილად განისაზღვროს კომერციული ბანკებისათვის მთავარი მაჩვენებელი - **ბანკის კაპიტალის საკმარისობა**.

**საკვანძო სიტყვები:** ბანკის კაპიტალის საკმარისობა, აქტივების და პასივების ხარისხი, საკრედიტო პორტფელი, საინვესტიციო პორტფელი, დეპოზიტები, ფინანსური აქტივები.

### **ძირითადი ტექსტი**

კლასიფიკაციის ფაქტორების განხილვისას, შეგვიძლია გამოვყოთ რამდენიმე ძირითადი ფაქტორი, რომელიც ახდენს პირდაპირ გავლენას ბანკის საიმედოობასა და საინვესტიციო მიმზიდველობაზე. ესენია: ბანკის ფინანსური მდგომარეობა, საიმედოობა, მსესხებელ კლიენტების მდგრადობა და ბანკის ძირითადი სტრატეგია.

მაჩვენებლების სისტემა, რომელიც განკუთვნილია ბანკის საიმედოობის ანალიზისა და საინვესტიციო მიმზიდველობის ანალიზისთვის, მოიცავს სამ ჯგუფს:

1. მაჩვენებლები, რომელიც გამოსახავს ბანკის ფინანსურ მდგომარეობას (აქტივების, პასივების მაჩვენებლები, კაპიტალის ოდენობა, შემოსავლები და ლიკვიდურობა).

2. მაჩვენებლები, რომელიც გამოსახავს ბანკის მეთოდის ხარისხს კლიენტ-მსესხებლების შერჩევისას.

3. მაჩვენებლები, რომელიც აღწერს ბანკის სტრატეგიის დაცვას.

როგორც წესი, საბანკო სტრატეგიები გარკვეული პერიოდისთვის (მაგალითად 1 წელი) მიმართულია:

- შემოსავლების ზრდისკენ;
- კლიენტების რაოდენობის ზრდისკენ ( როგორც მსესხებლების, ასევე ინვესტორების)
- ბანკის მხრიდან დავალიანების არსებობის შემთხვევაში მისი შემცირებისკენ;

• საკუთარი კაპიტალის ზრდისკენ.

განვიხილოთ თითოეული მაჩვენებელი სათითაოდ:

**ბანკის კაპიტალის საკმარისობა**

**ბანკის კაპიტალის საკმარისობა** არის მაჩვენებლების სისტემის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი, რომელიც ასახავს კომერციული ბანკის საიმედოობასა და საინვესტიციო მიმზიდველობას.

საკმარისი კაპიტალი, როგორც ცნობილია, ქმნის ერთგვარ „ბუფერს“, რომელიც საშუალებას აძლევს ბანკს დარჩეს გადახდისუნარიანი და გააგრძელოს თავისი საქმიანობა მიუხედავად სხვადასხვა მოვლენებისა. მაშინ როდესაც არასაკმარისი კაპიტალის მქონე ბანკი მაკროეკონომიკური ფაქტორების გაუარესების შემთხვევაში იმყოფება გაკოტრების მაღალი რისკის ქვეშ. ბანკები, ტრადიციულად ცდილობენ რომ შეინარჩუნონ კაპიტალი ეფექტურობის გაზრდის მიზნით, ოპერაციების მასშტაბზე ეკონომიის გზით და ინვესტიციების შემოსავლების გაზრდის მიზნით. დაზვერვის ორგანოები კი პირიქით, უპირატესობას ანიჭებენ საბანკო სისტემების მდგრადობის ზრდას.

განვიხილოთ „საკმარისი კაპიტალი“-ს რამდენიმე განმარტება.

„კომერციული ბანკები“-ის წიგნის ავტორები ე.რიდ, რ.კოტტერ, ე.გილლ და რ.სმიტ შემდეგ განმარტებას გვთავაზობენ: „კაპიტალის საკმარისობა - ეს არის ბანკის უნარი დააკომპენსიროს დანაკარგები და განსაზღვროს გაკოტრება“. მსგავს მოსაზრებას იზიარებს გ.გ.ფეტისოვი თავის ნაშრომში და განსაზღვრავს საკმარის კაპიტალს როგორც ბანკის უნარს გააგრძელოს სტანდარტული საქმიანობა იმის მიუხედავად, რომ შესაძლოა ამა თუ იმ მიმართულებით განიცდიდეს დანაკარგებს.

გ.გ. ფეტისოვი ასევე გამოყოფს საკმარისობის ფაქტორებს: პირველ რიგში, კაპიტალის საკმარისობა დამოკიდებულია ჩადებული ოპერაციების მოცულობაზე, რომელსაც ახორციელებს ბანკი, ან ბანკის მიერ შესრულებული ოპერაციების მოცულობაზე დროებით თავისუფალი რესურსების მოსაზიდად



იურიდიული თუ ფიზიკური პირების სახით. მეორე ფაქტორია, რისკების სიდიდე, რომელსაც იღებს თავის თავზე ბანკი, როდესაც ახორციელებს აქტიურ ოპერაციებს. ოპტიმალური საბანკო პოლიტიკა კაპიტალიზაციის კუთხით შედგება იმაში, რომ შეინარჩუნო მისაღები რისკის დონე საკუთარი კაპიტალის ეტაპობრივი ზრდით.

ა.დ.შერემეტი და გ.ნ.შერბაკოვა თავის ნიგნში „ფინანსური ანალიზი კომერციულ ბანკებში“ საკმარისობაზე აღნიშნავენ: „**ბანკის კაპიტალის საკმარისობის** (ან ადეკვატურობის) ცნება მოიცავს თავის თავში ისეთ თვისებებს, როგორიცაა საიმედოობა, ბანკის მდგრადობა, მისთვის არასასურველი ფაქტორების მიმართ დაპირისპირება, ზარალის მხრიდან დანაკარგების შთანთქვის უნარი“.

ზემოაღნიშნული განმარტებებიდან ჩანს, რომ კაპიტალის საკმარისობასთან დაკავშირებით სხვადასხვა ავტორების მიერ მოყვანილ განმარტებებს შორის მკვეთრი სხვაობა არ აღინიშნება. მაშასადამე, **ბანკის კაპიტალის საკმარისობა** არის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი საიმედოობისა და სანდოობისა, რაც განაპირობებს რომ ბანკი დარჩეს გადახდისუნარიანი, გააჩნდეს დანაკარგების კომპენსაციის უნარი, განსაზღვროს გაკოტრების საშიშროებები, იმის მიუხედავად თუ როგორი სახის დანაკარგები ან პრობლემა შეიძლება ჰქონდეს.

საკმარისობის მაჩვენებლები, რომელსაც იყენებენ დაზვერვის ორგანოები, სარეიტინგო კომპანიები, უშუალოდ ბანკები შესაძლოა პირობითად დავყოთ ორ ჯგუფად:

- პირველი ჯგუფი შედგება საკუთარი კაპიტალის და სხვადასხვა ფონდების დამოკიდებულებისგან სხვადასხვა ტიპის ვალდებულებებისადმი;

- მეორე ჯგუფი დამყარებულია **ბანკის კაპიტალისა** და მისაღები აქტივების დამოკიდებულებაზე;

საკუთარი კაპიტალი და შენატანი (ბანკის ვალდებულება) დამყარებულია კაპიტალის განხილვაზე მსესხებულების (ინვესტორების) დაცვის მიზნით. კაპიტალისა და აქტივების დამოკიდებულება კი გვიჩვენებს, რომ კაპიტალის საკმარისობა

უნდა აჩვენებდეს როგორი ზარალები შეიძლება ქონდეს ბანკს შემომტანების და ინვესტორების ინტერესებისთვის ზიანის არ მიყენებით. ანუ, კაპიტალი განიხილება ამორტიზატორის როლში, რომელიც გვეხმარება ხელი შევეშალოთ აქტივების რეალური ღირებულების ვარდნას. პრაქტიკული გადმოსახედიდან ეს მოსაზრება სწორია, რადგან ზარალის წარმოშობის შემთხვევაში ზარალი იფარება არა მოზიდული რესურსების ხარჯზე, არამედ საკუთარი კაპიტალის ხარჯზე.

**ბანკის კაპიტალის საკმარისობის** შეფასების ზემოაღწერილი მეთოდები ზოგჯერ ხდება ხოლმე კრიტიკის მსხვერპლი ეკონომიკურ ლიტერატურაში, რადგან შეუძლებელია მათ საფუძველზე დამაკმაყოფილებელი ხარისხით გათვალთ ბანკის გაკოტრების საკითხი, ასევე სუბიექტური შეფასების მქონე კრიტერიუმების გამო. დღეისათვის, მიღებულად ითვლება ფორმულა, რომლის მიხედვითაც კაპიტალის საკმარისობა ითვლება როგორც შეფარდება საკუთარი კაპიტალის აქტივების ჯამთან.

შემდეგი მაჩვენებლების გამოყენება რეკომენდებული **ბანკის კაპიტალის საკმარისობის** შეფასებისას: საკუთარი კაპიტალის საკმარისობის კოეფიციენტი ჯამური ვალდებულებებით, საკუთარი კაპიტალის საკმარისობის კოეფიციენტი მომგებიანი აქტივებით და საკუთარი კაპიტალის საკმარისობის კოეფიციენტი აქტივებით, რომელიც შეფასდება რისკის დონით.

საკუთარი კაპიტალის საკმარისობის კოეფიციენტის ჯამური ვალდებულებებით შეფასების ეკონომიკური შინაარსი მდგომარეობს იმაში, რომ მისი დახმარებით შესაძლებელია დავადგინოთ, როგორია საკუთარი კაპიტალით დაფარული ჯამური ვალდებულებების წილი და შევადაროთ სხვა ბანკების ანალოგიურ მაჩვენებლებს. ის გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

**საკუთარი კაპიტალის საკმარისობის კოეფიციენტი = საკუთარი კაპიტალი / ბანკის ჯამური ვალდებულებები კლიენტების წინაშე.**

საკუთარი კაპიტალის საკმარისობის კოეფიციენტი მომგებიანი აქტივებით საშუალებას გვაძლევს შევადაროთ საკუთარი კაპიტალის სიდიდე მის აქტივებთან, რათა განვსაზღვროთ როგორია საკუთარი კაპიტალის საკმარისობის დონე ფინანსური ვალდებულებების დასაფარად კლიენტებისთვის ყველა გაცემული სესხის დაუბრუნებლობის შემთხვევაში.

აღნიშნული კოეფიციენტი ითვლება შემდეგი ფორმულით:

**საკმარისობის კოეფიციენტი აქტივებით = საკუთარი კაპიტალი / მომგებიანობის მომტანი აქტივები ( ფასიანი ქაღალდები, გაცემული კრედიტები, ბანკის ინვესტიცია და ა.შ.)**

მესამე მაჩვენებლის - საკუთარი კაპიტალის რისკების დონეზე შეფასებული აქტივების საკმარისობის ეკონომიკური შინაარსი მდგომარეობს იმაში, რომ გამოსახოს ბანკის საკუთარი კაპიტალის და სხვადასხვა მომგებიანი აქტივების დამოკიდებულება, იმ ვალდებულებების ჩათვლით, რომელიც დიდი ალბათობით შეიძლება ვერ დაიბრუნოს ბანკმა მიუხედავად სხვადასხვა ტიპის შეთანხმებების არსებობისა.

**აქტივებისა და პასივების ხარისხი ( ბანკის ფინანსური სტაბილურობა).**

კაპიტალის საკმარისობის გარდა, საიმედოობის ანალიზისას ძალიან დიდ როლს თამაშობს აქტივებისა და რესურსული ბაზის ხარისხი, ანუ კომერციული ბანკის ფინანსური სტაბილურობა.

ტრადიციულად, პასივების ხარისხი ხასიათდება რესურსების ბაზის სტაბილურობით, მოზიდვის ხარჯებით, პროცენტული მაჩვენებლების ცვლილებებისადმი მგრძობიარებლობით და გარე დაფინანსების წყაროებზე დამოკიდებულებით, ისეთების, როგორიცაა მოკლევადიანი კაპიტალის ბანკთაშორისი ვაჭრობა.

სასწრაფო და შემნახველი **დეპოზიტები** ქმნიან მოზიდული რესურსების ნაწილს, რომელიც დამოკიდებულია პროცენტული მაჩვენებლების ცვლილებებზე. მაგრამ ყველაზე მეტად მგრძობიარე ცვლილებებისადმი არის ბანკთაშორისი კრედიტები, რომელიც განიხილება როგორც მნიშვნელოვანი, მაგრამ დროებითი დაფინანსების წყარო.

**აქტივების ხარისხის** ანალიზისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეთმობა სასესხო ოპერაციებს და ფასიან ქალაქებში ინვესტიციას. გამოიყოფა შემდეგი ფაქტორები, რომელიც გავლენას ახდენს **აქტივების ხარისხზე**. **აქტივების ხარისხზე** გავლენას ახდენს კომერციული ბანკის საინვესტიციო პოლიტიკა, კრედიტების და ინვესტიციების დივერსიფიკაციის ხარისხი, პრობლემური სესხების ეფექტური მართვის სისტემა, ინსაიდერებთან გაფორმებული შეთანხმებების მოცულობა და ხასიათი, კრედიტუნარიანობისა და მსესხებლების სანდოობის კუთხით ჩატარებული ანალიზის სისწორე.

ბანკის **აქტივების ხარისხი**, როგორც წესი, იზომება მათი ლიკვიდურობის, რისკიანობის და შემოსავლიანობის კუთხით. კლასიკური ანალიზის სისტემა შემდეგნაირად გამოიყურება: თავდაპირველად აქტივებს ყოფენ ლიკვიდურობის, საბრუნავი საშუალებების და არალიკვიდური საშუალებების მიხედვით. ითვლება, რომ დაბანდებები ბანკში უნდა ინარმოებოდეს საკუთარი სახსრების ხარჯზე, რადგან გრძელვადიანი დაბანდებები განსხვავდება მცირეხნიანი მოზიდული საკრედიტო რესურსებისგან. შემდეგ უკვე ხდება გარკვეული პერიოდის განმავლობაში აქტივების სტრუქტურის ანალიზი. ამ ეტაპზე განგაშის სიგნალი ტყდება ისეთ შემთხვევაში როდესაც იკლებს საბრუნავი საშუალებების ოდენობა და იმატებს არალიკვიდური სესხების წილი. მესამე ეტაპზე ხდება მოქმედ აქტივებზე ანალიზის ჩატარება. ამ ეტაპზე საკვანძო მომენტს წარმოადგენს საბრუნავი საშუალებების რისკიანობის ანალიზი და შეფასება. ეს ანალიზი საჭიროა შექმნილი რეზერვების საკმარისობის დასადგენად და აქტიური ოპერაციების მართვის ეფექტურობის დასადგენად.

საბრუნავი საშუალებების მთავარ კომპონენტს წარმოადგენს სესხები. შესაბამისად, **საკრედიტო პორტფელის** ანალიზი არის ამ ეტაპის მთავარი ნაწილი. კერძოდ კი ხდება იმ პრობლემური სესხების ანალიზი, რომელთა პროცენტის ან ძირითანხის გადახდის საკითხი ეჭვქვეშ დგას ან სულაც შეწყვეტილია, რის შემდეგაც მიმდინარეობს პრობლემური სესხების შემცირებისკენ მიმართული გეგმების შემუშავება.

საკრედიტო პორტფელის კლასიფიკაცია და პრობლემური სესხების გამოყოფა საკრედიტო რისკის კონცეფციებზე აწყობილი. პრაქტიკაში, კრედიტის მიკუთვნება ამა თუ იმ ჯგუფისთვის ხდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ასრულებს მსესხებელი იმ ვადებსა და პირობებს, რომელიც შეთანხმების მიხედვით ეკისრება.

კომერციული ბანკის აქტივების დიდ ნაწილს შეადგენს ფასიანი ქაღალდებში ინვესტიციები. ამიტომაც არის მარეგულირებელი ორგანოების და ხელმძღვანელობის ინტერესი **საინვესტიციო პორტფელის** კარგ მარჯვენებლესამდე მიყვანა. საკრედიტო ფორტფელის ანალიზის ანალოგიურად მიმდინარეობს ფასიანი ქაღალდების პორტფელის ანალიზიც. თუმცა, ამ ინსტრუმენტის სპეციფიურობის გამო **საინვესტიციო პორტფელის** ანალიზს ახალიათებს თავისებურებებიც.

საბრუნავ საშუალებებს აკავშირებენ შემდეგ ფაქტორებთან: სასხესხო პორტფელის ხარისხი, აქტივების მომგებიანობა, აქტივების რისკიანობის ხარისხი, საბრუნავი აქტივების წილი, აქტივების დივერსიფიკაცია, ვადაგადაცილებული სესხების წილი.

ცხადია, რომ **აქტივებისა და პასივების ხარისხი** სხვა არაფერია, თუ არა კომერციული ბანკების ფინანსური მდგრადობის მაჩვენებელი.

მაშასადამე, ბანკის ფინანსური მდგრადობის ანალიზისთვის, მე გთავაზობთ შემდეგი კოეფიციენტების გამოყენებას: პასივების ხარისხის კოეფიციენტი მიმდინარე გაანგარიშებებით დათვლილი, პასივების კოეფიციენტი **სადეპოზიტო** ოპერაციების მიხედვით, პასივების კოეფიციენტი შემომავალი აქტივებით, **აქტივების ხარისხის** კოეფიციენტი საბრუნავი საშუალებების მიხედვით, **აქტივების ხარისხის** კოეფიციენტი გაცემული სესხების მიხედვით.

პასივების ხარისხის კოეფიციენტი მიმდინარე გაანგარიშებებით დათვლილი მდგომარეობს იმაში, რომ რაც უფრო დიდია კლიენტების მიერ მიმდინარე საბანკო ანგარიშები და ვალდებულებები ბანკის მიმართ, მით უფრო დიდი დროებით თავისუფ-

ფალი რესურსები აქვს ბანკს, რომელსაც გასცემს კლიენტების სასარგებლოდ მინიმალურ პროცენტში. გარდა აღნიშნულისა, ვინაიდან სახსრების ზრდა მიმდინარე ანგარიშებზე მონაშობს ან სახსრების ზრდაზე უკვე არსებული კლიენტების ანგარიშებზე, ან კლიენტების რიცხვის ზრდაზე. ასევე, აღნიშნული სახსრების გამოყენების ფორმები შესაძლოა იყოს მხოლოდ მცირეხნიანი, რადგან ნებისმიერ დროს შეიძლება მოითხოვოს კლიენტმა აღნიშნული სახსრები. პასივების ხარისხის კოეფიციენტის გამოსათვლელად გამოიყენება შემდეგი ფორმულა:

**პასივების კოეფიციენტი მიმდინარე სახსრების მიხედვით = კლიენტების სახსრები მიმდინარე ანგარიშებზე / ჯამურ საბანკო ვალდებულებაზე კლიენტების მიმართ.**

პასივების ხარისხის მაჩვენებელი სადეპოზიტო ოპერაციების კუთხით გამოხატავს დამოკიდებულებას სადეპოზიტო ანგარიშებზე არსებული თანხებისა ბანკის ჯამურ ვალდებულებებთან მიმართებით. სადეპოზიტო ანგარიშებზე თანხები წარმოდგენილია კლიენტების სახსრებით, რომელიც გადაცემულია ბანკისთვის სასწრაფო მოხმარებისთვის, საიდანაც ბანკი სარგებლობს გარკვეული შესაძლებლობით ამ სახსრების გამოსაყენებლად.

**პასივების ხარისხის კოეფიციენტი სადეპოზიტო ოპერაციებით = სადეპოზიტო ანგარიშებზე ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ არსებული შენატანები / კლიენტების წინაშე ბანკის ჯამური ვალდებულებები.**

პასივების ხარისხის კოეფიციენტების ერთობლივი მოქმედება აღწერს ბანკის კლიენტების ბაზის დივერსიფიკაციის ხარისხს. დივერსიფიკაციის ქვეშ ამ შემთხვევაში იგულისხმება დამოკიდებულება დროებით დავისუფალი ფულადი სახსრების და კლიენტების სახსრებისა.

საბრუნავი საშუალებების მიხედვით პასივების ხარისხის კოეფიციენტი მდგომარეობს იმაში, რომ ფორმულაში ასახული დამოკიდებულება ჯამური ვალდებულებების და აქტივების სიდიდის პროპორცია აჩვენებს : 1. ბანკის მიერ მოზიდული სახსრების ეფექტურად გამოყენების დონეს, 2. საბანკო სისტემის

სტრუქტურის მიმართ მოზიდული სახსრების დამოკიდებულება ( ჯამური ვალდებულებები) და ბანკის დამოკიდებულება მსესხებელ-კლიენტების არსებობაზე. იდეალური მნიშვნელობა ამ კოეფიციენტის ახლოსაა ერთთან. თუ ის ერთზე მეტია, ეს ნიშნავს რომ ბანკმა არ გამოიყენა ყველა სახსრები კრედიტისთვის, ანუ არ მუშაობს ეფექტურად. ერთზე ნაკლები მნიშვნელობის არსებობის შემთხვევაში ეს მაჩვენებელი აღნიშნავს რომ ბანკი იზიდავს საკუთარი კაპიტალის ნაწილს საკრედიტო ოპერაციებისთვის, რაც რეალურად ეწინააღმდეგება საბანკო კანონმდებლობის პრინციპებს.

**შემოსავლის მქონე ფინანსური აქტივები ( ისეთი აქტივები რომლებიც შემოსავალს გამოიმუშავენ) = ბანკის ჯამური ვალდებულებები კლიენტების წინაშე / საბრუნავ საშუალებებზე**

შემოსავლის მქონე ფინანსური აქტივების კოეფიციენტის განხილვისას , შეგვიძლია შემდეგი დასკვნის გამოტანა: აღნიშნული კოეფიციენტი გვიჩვენებს, აქტივების რომელი ნაწილი გამოიყენება ბანკის ძირითადი საქმიანობისთვის - შემოსავლის მიღება საკრედიტო ოპერაციების ხარჯზე. ეს კოეფიციენტი მნიშვნელოვანია ბანკის საქმიანობის ეფექტურობის დასაზუსტად, ვინაიდან აქტივები, რომელიც არ გამოიყენება შემოსავლების სახით, წარმოადგენენ როგორც წესი ბანკის საკუთრებას, რომელსაც პირდაპირი შემოსავალი ბანკისთვის არ შემოაქვს.

**აქტივების ხარისხის კოეფიციენტი = შემოსავლის მქონე აქტივები / ყველა აქტივზე.**

გაცემული სესხების მიხედვით აქტივების კოეფიციენტი გამოხატავს დამოკიდებულებას გაცემულ სესხებსა და შემოსავლის მქონე აქტივებს შორის, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს კოეფიციენტი გვიჩვენებს რა წილს შეადგენს კლიენტებზე გაცემული სესხები მთლიან შემოსავლების მქონე აქტივებში და საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ ბანკის საქმიანობა საკრედიტო ბაზარზე.

**აქტივების ხარისხის კოეფიციენტი (კრედიტორების წილი) = კლიენტებზე გაცემული კრედიტები (ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე) / ყველა შემოსავლის მქონე აქტივებზე.**

## დასკვნა

იმისათვის, რომ სწორად გავაკეთოთ კომერციულ ბანკებში ინვესტიცია, აუცილებელია მათი საიმედოობისა და საინვესტიციო მიმზიდველობის შეფასება. სწორედ ამ მიზნით არის სტატიაში განხილული ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენს კომერციული ბანკების საიმედოობასა და საინვესტიციო მიმზიდველობაზე. განმარტებულია **ბანკის საკუთარი კაპიტალის** არსი - როგორ გამოითვლება მისი საკმარისობის მნიშვნელობა. რა თამაშობს კომერციული ბანკების საიმედოობის ანალიზისას დიდ როლს და რითი ხასიათდება იგი. რითი იზომება კომერციული ბანკების აქტივების ხარისხი და როგორ გამოიყურება კლასიკური ანალიზის სისტემა. რა წარმოადგენს საბრუნავი საშუალებების მთავარ კომპონენტს და რატომ არის საკრედიტო ფორტფელის ანალიზი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი. რა შეადგენს კომერციული ბანკების აქტივების დიდ ნაწილს და რატომ არის მარეგულირებელი ორგანოების და ხელმძღვანელობის ინტერესი საინვესტიციო ფორტფელის კარგ მარეგულირებლად მიყვანა. რომელი კოეფიციენტები გამოიყენება კომერციული ბანკების მდგრადობის ანალიზისთვის და რა მნიშვნელობა აქვს მათ გამოანგარიშებას.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. გამსახურდია გ., საქართველოს საფინანსო პოლიტიკის ძირითადი პრობლემები თანამედროვე ეტაპზე.
2. კაკულია რ, ხელაია გ, ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგადი თეორია.
3. ცაავა გ., საბანკო საქმე ;
4. <http://younggreens.ge>;
5. <http://greenalt.org>;
6. <http://www.nplg.gov.ge>.



**REFERENCES:**

1. G. Gamsakhurdia. The main problems of financial policy of Georgia at the modern stage (in Georgian Language);
2. R. Kakulia; G. Khelaia. Money circulation and the general theory of credit. (in Georgian Language);
3. G. Tsaava. Banking;  
<http://younggreens.ge>;  
<http://greenalt.org>;  
<http://www.nplg.gov.ge>.

**COMMERCIAL BANK RELIABILITY ANALYSIS AND INVESTMENT ATTRACTIVENESS INDICATORS SYSTEM. ECONOMIC CONTENT AND THE METHOD OF CALCULATION.**

**Giorgi Subeliani; Levan Bogveradze.**

PhD Students at the Faculty of  
Business Technology of GTU

**RESUME**

In order to make proper investment in a commercial bank, it is mandatory to measure their reliability and attractiveness. This article considers the main factors, which directly affects the reliability and investment attractiveness of commercial bank. There is explained: the essence of the bank's own capital, how it is calculated and its value sufficiency, furthermore what plays an important role in analyzing the reliability of commercial banks and how it is characterized; how is measured commercial banks' asset quality and classic look to the analysis system; what is the main component of working capital and why is one of the most important issues portfolio analysis; which parts consists commercial banks' assets and why the regulatory authorities and their management care the lead of portfolios higher index; which ratios are used for analyzing commercial banks stability and the importance of their calculation.

**Keywords:** bank capital sufficiency, quality of assets and liabilities, the credit portfolio, deposits, financial assets.

## კომერციული ბანკების საინვესტიციო საქმიანობა საქართველოში

ნიკოლოზ ნაცვლიშვილი  
საქართველოს ტექნიკური  
უნივერსიტეტის დოქტორანტი

### რეზიუმე

თანამედროვე საბანკო საქმე ადამიანური ბიზნესია როგორც მთლიანად მსოფლიოში, ასევე საქართველოშიც. საბანკო ბიზნესი თავისი მოცულობით, მთლიანობაში, ძალიან ახალგაზრდაა. მიუხედავად ამისა, მან უკვე მოასწრო საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებისათვის დამახასიათებელი განვითარების ყველა ძირითადი ფაზის გავლა. ბანკები დღესდღეობით პროდუქტის ფართო ასორტიმენტით და მომსახურების მაღალი ხარისხით აკმაყოფილებენ ევროპულ სტანდარტებს და ლიდერობენ საქართველოს ბიზნეს სფეროში, ახალისებენ მომხმარებლებს ახალი პროდუქტებითა და მომსახურების თანამედროვე ფორმებით. ბანკი არის განსაკუთრებული ეკონომიკური ინსტიტუტი, რომლის ძირითადი ფუნქციებია: ფულადი სახსრების თავმოყრა, კრედიტების გაცემა, ფულადი ანგარიშსწორებები, მიმოქცევაში განსაზღვრული სახეობისა და რაოდენობის ფულის გაშვება, ფასიანი ქაღალდების ემისია და სხვა. ბანკი საბაზრო სტრუქტურის ერთ—ერთი ცანტრალური რგოლია, რომლის არსი მის ძირითად ფუნქციებში ვლინდება. ბანკს, როგორც ნებისმიერ სხვა სანარმოს, თავისი პროდუქცია გააჩნია. დიდია კომერციული ბანკების როლი ინვესტიციების ზრდაში: არსებობენ მრავალგვარი საინვესტიციო კომპანიები, რომელთაგან არჩევანი უნდა გაკეთდეს კომერციულ ბანკებზე.

**საკვანძო სიტყვები:** საბანკო სისტემა, ინვესტიციური გარემო, საინვესტიციო საქმიანობა, საინვესტიციო პოლიტიკა, ინვესტიციური პროექტები, საფინანსო ინვესტიციები, შერეული ინვესტირება, ოფციონი, ფიუჩერსი, ფორვარდი.

## **შესავალი**

დღესდღეობით საქართველოს საბანკო სისტემა წარმოადგენს ერთ-ერთ უძლიერეს ინსტიტუტს ქართული ეკონომიკის განვითარებაში და მისი როლის გაზრდა სამენარმეო ბიზნესის დაკრედიტებაში პირდაპირ პროპორციულად აისახება ქართულ ეკონომიკაზე. საქართველოს უმთავრეს ამოცანას მენარმეობის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა წარმოადგენს. ჩვენს ქვეყანაში აუცილებელია გაუმჯობესდეს ინვესტიციური გარემო, რათა ადგილობრივმა და უცხოელმა ინვესტორებმა შეძლონ ყოველგვარი რისკის გარეშე გააფართოვონ საქმიანობა წარმოებისა და მომსახურების სფეროში.

საგულისხმოა, რომ 90-იან წლების დასაწყისიდან საქართველოში საინვესტიციო საქმიანობის მასშტაბები მკვეთრად შემცირდა. მწირი ფინანსური რესურსების პირობებში ქვეყანამ ვერ შეძლო სოლიდური ინვესტიციების განხორციელება ეკონომიკის პრიორიტეტულ დარგებში. ამ პერიოდის მიღწევად საინვესტიციო სფეროში შეიძლება ჩაითვალოს უცხოური ინვესტიციების მოცულობის უპირატესი ზრდა. საქართველოს აქტიურ ჩაბმას საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში მოყვა უცხოური ქვეყნების გააქტიურება ჩვენს საინვესტიციო ბაზარზე. თუ თავდაპირველად უცხოური ფირმები ინვესტიციებს მხოლოდ სტრატეგიულ მნიშვნელობის სფეროებსა და დარგებში აბანდებდნენ, ამჟამად მნიშვნელოვანი სოლიდური ინვესტიციები ჩაიდო საქართველოს ეროვნული მეურნეობის ისეთ დარგშიც კი, როგორცაა კვების მრეწველობა. საქართველოს ჩაბმამ მსოფლიო და რეგიონული მასშტაბის პროექტებში კიდევ უფრო გაზარდა უცხოელთა ინტერესი ჩვენი ქვეყნის საინვესტიციო პროექტების მიმართ.

## **ქირითადი ტექსტი**

თანამედროვე პირობებში ქვეყანაში, მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების გარკვეული წარმატების მიუხედავად, ეკონომიკაში შექმნილი მდგომარეობა კვლავ მძიმეა. საწარმოო და სამეურნეო სისტემაში სტაგნაციის და რღვევის პროცესი გრძელდება, უმრავლეს სამრეწველო საწარმოში მატერიალურ-

ტექნიკური საშუალებები როგორც ფიზიკურად, ისე მორალურად გაცვეთილია, ტექნიკური პროცესი, ინოვაციური პროცესი შეჩერებულია, დღითიდღე იზრდება საგარეო-ეკონომიკური დავალიანება, დიდია იმპორტის და მცირეა ექსპორტის მოცულობა, ვალუტის დევალვაცია ინფლაციური პროცესების გაუარესებას იწვევს, მაღალია უმუშევრობის დონე, არ არის სანარმოო პოტენციალის ამალღების საკმარისი ფინანსური რესურსები.

შექმნილმა კრიზისმა საბანკო დაკრედიტების სერვისი შეამცირა და სისტემა გადავიდა ახლი თამაშის წესებზე, გაიზარდა დაკრედიტების საგარანტიო ვალდებულებები, გაიზარდა დაკრედიტების საპროცენტო განაკვეთები. ამ მდგომარეობიდან გამოსვლა შესაძლებელია მხოლოდ სწორი სიანვესტიციო პოლიტიკის შემუშავების საფუძველზე, რაც თავისთავად გულისხმობს ბიზნესგეგმის სწორ შემუშავებას, რისკ-ფაქტორების მაქსიმალურ მინიმიზაციას, რომელიც შემდგომში საშუალებას მისცემს როგორც უცხოურ, ასევე ადგილობრივ მენარმეებს და, შესაბამისად, ბანკებს მეტი სითამამით მოახდინონ ინვესტირება, რაც წარიმართება სწორი, მიზანმიმართული და მომგებიანი საინვესტიციო პროექტების შემუშავების საფუძველზე.

იმის გათვალისწინებით, რომ მოცემულ ეტაპზე რეალურად არ არის ჩამოყალიბებული ქართველ ინვესტორთა მძლავრი ფენა, რომელიც მოახდენს მსხვილმასშტაბიანი საინვესტიციო პოლიტიკის წარმოებას საქართველოში, ადგილობრივმა კომერციულ ბანკებმა უნდა შეეძლონ როგორც ინვესტიციური პროექტების დაკრედიტება, ასევე საკუთარი ინვესტიციების განხორციელება. ამისათვის უნდა შეიქმნას სპეციალური პირობები, საკანონმდებლო დონეზე მკვეთრად უნდა გაინეროს მხარეთა ვალდებულებები და სხვა მასში შემავალი საკითხები. ეს მნიშვნელოვანია როგორც ადგილობრივი ინვესტორებისათვის, ასევე უცხოური ინვესტორებისათვის. ძალიან მნიშვნელოვანია უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, ადგილობრივი და უცხოური კაპიტალის შერწყმა და მათი ეფექტური განთავსების ორგანიზაცია, რაც შეუწყობს ხელს საქართველოში სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას და ეკონომიკურ ზრდას.

სიტყვა ინვესტიცია ლათინური წარმოშობისაა (ინვესტირე შე- მოსვა) და ნიშნავს კაპიტალის ხანგრძლივ დაბანდებას ეკონომიკის სხვადასხვა დარგის საწარმოებში. ინვესტიციები ბიზნესში თავის უმთავრეს მიზნად ისახავს მოგების მიღებას, რისთვისაც ხდება საწარმოო აქტივების შექმნა და გამოყენება. მაშასადამე, ინვესტიციების ასეთი ფორმის დროს იქმნება რეალური საწარმოო სამ- ძღაფრები. ეკონომიკური ინვესტირება ნიშნავს საწარმოო პროცე- სების ორგანიზებას მოგების მიღების მიზნით, ე.ი. ამ დროს ხდება წარმოების ფაქტორების (ძირითადი და საბრუნავი კაპიტალი და სამუშაო ძალა) შექმნა და სამენარმეო საქმიანობის განხორციელე- ბა. საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური ინვესტირე- ბა რეალურ აქტივებში სახსრების დაბანდებაა მოგების მიღების მიზნით, რომელიც დაკავშირებულია საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან „ნორმალური“ რისკის პირობებში.

საფინანსო ინვესტიციები ნიშნავს აქტივების შექმნას ფასიანი ქაღალდების სახით მოგების მიღების მიზნით, ამ სახის ინვესტიციებისათვის „ნორმალური“ რისკის პირობებში. ეკონომი- კური ინვესტიციებისაგან განსხვავებით, საფინანსო ინვესტიცი- ები არ საჭიროებს ახალი საწარმოო სიმძღაფრეების შექმნას და მათი გამოყენების კონტროლს. ამიტომ, საფინანსო ინვესტორი უშუალოდ არ მონაწილეობს მართვის პროცესში და წინასწარ ეგ- უება რეალური აქტივების სხვისგან მართვას. როგორც წესი, იგი უბრალოდ ყიდულობს უკვე არსებულ ფასიან ქაღალდებს. საფი- ნანსო ინვესტირების პროცესი ნიშნავს უბრალოდ საკუთრების უფლების გადაცემას: ინვესტორი გადასცემს ფულზე თავის სა- კუთრების უფლებას (აძლევს ფულს) და ამის სანაცვლოდ ღებუ- ლობს უფლებას მომავალ შემოსავალზე (იძენს ფასიან ქაღალდე- ბზე საკუთრების უფლებას).

საქართველოში ინვესტირება შეიძლება განხორციელდეს შემ- დეგი ფორმით:

- კერძო და კომერციული ინვესტირება, რომელსაც ახორ- ციელებენ მოქალაქეები, საზოგადოებები, ამხანაგობები და სხვა კერძო და კოლექტიურ საკუთრებაზე დაფუძნებული იურიდიული პირები;

- სახელმწიფო ინვესტირება, რომელსაც ახორციელებს საქართველოს მთავრობა, მასში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკების, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმნის ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების საბიუჯეტო, ბიუჯეტგარეშე ფონდების, აგრეთვე სახელმწიფო საწარმოები და ორგანიზაციები საკუთარი და ნასასხები სახსრების ხარჯზე;

- ერთობლივი ინვესტირება, რომელსაც ახორციელებენ საქართველოს და უცხოეთის მოქალაქეები, იურიდიული პირები, სახელმწიფოები;

- შერეული ინვესტირება, რომელიც შეიძლება განხორციელდეს ზემოთ ჩამოთვლილ ფორმათა კომბინირებით.

საქართველოში სამეურნეო გარდაქმნების პერიოდში საწარმოო სექტორის ფინანსური მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. შესაბამისად შემცირდა, რიგ შემთხვევაში საერთოდ შეწყდა ინვესტიციები. ინტენსიური ხასიათი მიიღო დაგროვების დეფიციტმა. საწარმოთა მოგებამ დაკარგა ინვესტიციური ფუნქცია მისი უმნიშვნელო მოცულობის გამო. მაღალი საპროცენტო განაკვეთის პირობებში, რომელსაც ძირითადად ზედმეტად მკაცრი ფულადსაკრედიტო პოლიტიკა განაპირობებს, საბანკო კრედიტი განსაკუთრებით ხელმიუწვდომელია წვრილი და საშუალო მენარმისათვის. ამასთან, კრედიტი ძირითადად მოკლევადიანია, რის გამოც იგი ხშირად გამოიყენება არა წარმოების სფეროში, არამედ სავაჭრო საშუაშავლო სექტორში.

კომერციული ბანკების ინვესტიციები საკრედიტო ოპერაციებისგან რიგი თავისებურებებით განსხვავდება. საკრედიტო სესხები სახსრების განსაზღვრული პერიოდის შედარებით მცირე დროის განმავლობაში გამოიყენებას ითვალისწინებს, მათი დადგენილ ვადაში დაბრუნებითა და სასესხო პროცენტის გადახდის პირობით. ინვესტიციები კი სახსრების დროის გრძელვადიანი პერიოდით დაბანდებას ითვალისწინებს მანამ, სანამ ბანკის მიერ დაბანდებას სახსრები თავის მფლობელს დაუბრუნდება. საბანკო დაკრედიტებისას სესხების ინიციატორად მსესხებელი გამოდის. ინვესტირებისას კი — ინიციატივა კომერციულ ბანკს ეკუთვნის, რომელიც მისწრაფვის აქტივები ფასიანი ქაღალდების ბაზარ-

ზე შეიძინოს. საბანკო დაკრედიტება ბანკი—მსესხებლის ურთიერთობებთან პირდაპირ არის დაკავშირებული. საინვესტიციო საქმიანობა კი — ბანკის გაუპიროვნებული საქმიანობაა<sup>1</sup>.

ჩვეულებრივ, კომერციული ბანკების ფასიან ქალაქებთან დაკავშირებული ოპერაციები განიხილება საკრედიტო ოპერაციებისაგან განცალკევებით, თუმცა მათი ეკონომიკური ეფექტი და სოციალური შედეგები მაინც არსებითად ერთნაირია. იმის გამო, რომ სახელმწიფოს ხარჯები ყოველთვის ვერ იფარება შემოსავლებით, კომერციული ბანკებისაგან დროებით სესხის აღება არც თუ ისე იშვიათია. მაშასადამე, ბანკის სესხები აადვილებენ მთავრობის ფინანსურ საქმიანობას. მთლიანობაში, მსხვილი სამთავრობო პროგრამების დაფინანსება ხორციელდება არა სახელმწიფოს შემოსავლების ხარჯზე, არამედ სესხის ობლიგაციების გამოშვების გზით. ბანკები, ყიდულობენ რა მუნიციპალური ორგანოების ფასიან ქალაქებს, აძლევენ მათ აუცილებელ სახსრებს სკოლების და საავადმყოფოების ასაშენებლად, ახალი სახანძრო მანქანების შესაძენად და ა.შ. მსგავსი დანახარჯები ხელს უწყობს ცხოვრების დონის ამაღლებას. სახელმწიფოს მიერ გამოშვებული ფასიანი ქალაქების შესყიდვისას მიღებული სახსრები გამოიყენება ისეთი მიზნებისათვის, როგორცაა ავტოსტრადების და კაშხალების მშენებლობა, ეროვნული თავდაცვა და ა.შ.

ბანკის საემისიო ოპერაციები - ეს არის ბანკის საქმიანობა საკუთარი ფასიანი ქალაქების გამოშვების მიზნით. კომერციული ბანკები უშვებენ შემდეგი სახის ფასიან ქალაქებს: აქციებს, ობლიგაციებს, ჩეკებს, თამასუქებს, სადეპოზიტო და საშემნახველო სერტიფიკატებს, წარმოებულ ფასიან ქალაქებს (ოფციონებს, ფიუჩერებს, ფორვარდებს). ობლიგაციების გამოშვებით კომერციული ბანკები მოიზიდავენ დამატებით სასესხო სახსრებს. თამასუქების, ჩეკების, სადეპოზიტო და საშემნახველო სერტიფიკატების ემიტირებით კომერციული ბანკები ასრულებენ თავის ერთ-ერთ ძირითად დანიშნულებას - ფულადი სახსრების აკუ-

---

<sup>1</sup> ძირითადი ფაქტორები, რომლებიც კომერციული ბანკების საინვესტიციო საქმიანობის ჩატარების მიზანს განსაზღვრავს, — არის მოთხოვნა შემოსავლის მიღებაში და მოთხოვნა საკუთარი აქტივების განსაზღვრული ჯგუფის ლიკვიდურობის უზრუნველყოფაში.

მულირებას და საგადასახდელო სახსრების შექმნას. აქციების გამოშვების მიზანს კი სანესდებო კაპიტალის ფორმირება წარმოადგენს. აქციონერული კომერციული ბანკების სანესდებო კაპიტალი არის აქციონერების მიერ შექმნილი მისი აქციების ნომინალური ღირებულების ჯამი. ყოველი კომერციული ბანკი დამოუკიდებლად განსაზღვრავს საკუთარი სახსრების სიდიდესა და მათ სტრუქტურას, გამომდინარე მის მიერ მიღებული განვითარების სტრატეგიიდან.

კომერციული ბანკების საქმიანობაში ოპერაციების არენდით, ანუ ლიზინგით განხორციელებამ საკმაო განვითარება მიიღო. ლიზინგური ოპერაციების განხორციელების მიზნით ბანკები აფინანსებენ შექმნას და შემდგომ სამრეწველო სანარმოებზე გრძელვადიან არენდით გასცემენ მანქანებს, მოწობილებებს, სატრანსპორტო საშუალებებს, სანარმოო დანიშნულების ნაგებობებს. აქედან გამომდინარე, აღნიშნული საშუალებების შესაძენად სანარმოებზე სესხების გაცემის სანაცვლოდ, ბანკი თვითონ იძენს და არენდაში გადასცემს მათ, თავისთავზე მესაკუთრის უფლების შენარჩუნებით. ამასთან, ბანკი საარენდო გადასახადს (ლიზინგური გადახები) და არა სასესხო პროცენტებს ლეზულობს. სანარმოებისთვის ლიზინგი ინვესტიციის დაფინანსების სპეციპიურ ფორმას წარმოადგენს.

კომერციული ბანკებისთვის ლიზინგური ოპერაციების მიმზიდველობა ამ საბანკო ოპერაციისათვის რეალური მატერიალური უზრუნველყოფის არსებობით აიხსნება. გარდა ამისა, ლიზინგური ბიზნესის განვითარება ბანკებს თავისი ოპერაციების წრის გაფართოების, კლიენტების მომსახურების ხარისხის ამაღლებისა და ამით მათი რაოდენობის გაზრდის, ტრადიციული კავშირების განმტკიცებისა და კლიენტებთან პარტნიორული ახალი ურთიერთობების დამკვიდრების შესაძლებლობას იძლევა. ლიზინგი არის უფრო მარტივი და ხელმისაწვდომი მომსახურება კომპანიებისათვის, როდესაც ისინი ვერ აკმაყოფილებენ საბანკო მოთხოვნებს, რათა მიიღონ სესხი. განსაკუთრებით მოსახერხებელია ახლად დაწყებული ბიზნესისთვის, როდესაც აქტივებში არ არის საკმარისი რესურსები, რომ სრული დატვირთვით დაინყოს მუშაობა.



## **დასკვნა**

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის ფინანსური სტრუქტურა ორ ძირითად საფუძველზე დგას: ფასიანი ქაღალდების ბაზარი და საბანკო სფერო. საბანკო სფერო დღესდღეობით საქართველოში საკმაოდ განვითარებულია, თუმცა სამწუხაროდ, სავალალო მდგომარეობაშია ფასიანი ქაღალდების ბაზარი და, შესაბამისად, საქართველოს საფონდო ბირჟა. ფასიანი ქაღალდების ბაზარი ქვეყნის ეკონომიკის ერთგვარი პულსის მზომია, სადაც პირველ რიგში აისახება ქვეყანაში მიმდინარე ნებისმიერი ცვლილება და რყევა.

## **ლიტერატურა:**

1. ასათიანი ვ., ცაავა გ. კომერციული ბანკების საქმიანობის ფინანსური ანალიზი (თეორია, მეთოდები და პრაქტიკა). - თბილისი, 2014.
2. კოვზანაძე ი., კონტრიძე გ. თანამედროვე საბანკო საქმე. სახელმძღვანელო. - თბილისი, 2014.
3. ფინანსები, ინვესტიციები, საბანკო საქმე. ენციკლოპედიური ტერმინოლოგია (ინგლისურ-რუსულ-ქართული). შემდგენელი პროფ. ლ. ქოქიაური. - თბილისი, 2009.
4. ინტერნეტიდან მოძიებული მასალების საიტები: <http://www.rs.ge>; <https://matsne.gov.ge>; <http://www.nplg.gov.ge>; <http://www.investinestonia.com>; <http://forbes.ge>; ; <http://www.doing-business.org>; <http://rs.ge>

## **REFERENCES:**

1. Asatiani V., Caava G. - Commercial banks, financial analysis (theory, methods and practices). - Tbilisi, 2014.
2. Kovzanaze I., Kontrize G. - Modern Banking. Manual. - Tbilisi, 2014.
3. Finance, Investments, Banking. Encyclopedic Terminology (English-Russian-Georgian). PRO compiler prof. L. Qoqiauri. - Tbilisi, 2009.
4. Internet resources: <http://www.rs.ge>; <https://matsne.gov.ge>;

<http://www.nplg.gov.ge>; <http://www.investinestonia.com>; <http://forbes.ge>; <http://www.bbi.ge>; <http://www.doingbusiness.org>;  
<http://rs.ge>.

## INVESTMENT ACTIVITY OF COMMERCIAL BANKS IN GEORGIA

**Nikoloz Natsvlishvili**

GTU, PHD Student

### RESUME

Modern banking business as a whole is dynamic in the world, also in Georgia. Today, a wide range of banking products and services meet the high quality standards and the leaders of the European business sector, are encouraging users of new products and services in modern forms. The bank is a special economic institute, whose main functions are: to collect funds, credits, cash payments, and the amount of money in circulation is determined by the type of set-up, and other securities are denominated. The bank market structure is one located in the central layer, the essence of its main functions are revealed. The bank, like any other industry, has its products. Large commercial banks' role in the growth of investments: There are a variety of investment companies, which choose in what commercial banks to invest in.

**Keywords:** banking system, investment environment, investment activity, investment policies, investment projects, financial investments, joint investments, option, futures, forward.

# სქორინგი იურიდიულ პირთა დაკრედიტებაში

ნინო ხიდირბეგიშვილი  
სტუ დოქტორანტი

რატი ბურდიაშვილი  
მეცნ. ხელმძღვანელი, სტუ პროფესორი

## რეზიუმე

ბანკებს იურიდიული პირების დაკრედიტებაში დავალიანების პრობლემების ზრდადი ტენდენციებიდან გამომდინარე ესაჭიროებათ კლიენტის კრედიტუნარიანობის შეფასების ისეთი ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფენ არამართო სწორი გადანყვეტილების მიღებას, არამედ დააჩქარებს გადანყვეტილების მიღების პროცესს.

სქორინგული მოდელებიდან, რომლებსაც იყენებენ წარმოებების კრედიტუნარიანობის შესაფასებლად ყველაზე მეტად ცნობილია ე. ალტმანის მოდელი, რომლის პირველი ვარიანტი შეიმუშავეს 1968 წელს. მოგვიანებით არსებული მოდელი იქნა სრულყოფილი არასაფარო კომპანიებისათვის.

2000 წელს ალმატმანის მიერ შექმნილი იქნა **Z** ანგარიშის მოდიფიცირებული მოდელი იმ კომპანიებისათვის, რომლებიც ფუნქციონირებდნენ ქვეყნებში განვითარებადი ბაზრებით. 1984 წელს დ. ფულმერის მიერ შეიქმნა სპეციალურად მცირე საწარმოებისათვის განკუთვნილი კრედიტუნარიანობის შესაფასებელი მოდელი. იურიდიული პირების შესაფასებლად სქორინგული მეთოდების გამოყენება არ მიმდინარეობს ისეთი ინტენსივობით, როგორც ფიზიკური პირების შემთხვევაში.

**საკვანძო სიტყვები:** იურიდიული პირები, დაკრედიტება, კრედიტუნარიანობა, სქორინგი, მოდიფიცირებული მოდელი.

## შესავალი

იურიდიული პირების დაკრედიტება წარმოადგენს საბანკო პროდუქტების ბაზრის განუყოფელ ნაწილს. ბანკების აქტიური ოპერაციების სფეროში პრიორიტეტული მიმართულების სახით ითვლება იურიდიული პირების დაკრედიტება. მაგრამ მსოფლიო ფინანსური და ეკონომიკური კრიზისი მკვეთრად აფერხებს საქართველოში ეკონომიკის განვითარებას და აღნიშნული მოვლენების შედეგები კი შესაბამისად აისახება ბანკების საკრედიტო პორტფელზე.

ბანკებს იურიდიული პირების დაკრედიტებაში დავალიანების პრობლემების ზრდადი ტენდენციებიდან გამომდინარე ესაჭიროებათ კლიენტის კრედიტუნარიანობის შეფასების ისეთი ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფენ არამართო სწორი გადაწყვეტილების მიღებას, არამედ დააჩქარებს გადაწყვეტილების მიღების პროცესს. ამასთანავე პროცესის შემუშავებამ არ უნდა დააზიანოს ბანკის საკრედიტო პორტფელის ხარისხი. საკრედიტო რისკის მინიმიზაციის ერთ-ერთი თანამედროვე მიდგომაა საკრედიტო ორგანიზაციების მოღვაწეობაში სქორინგული სისტემების დანერგვა.

## ძირითადი ტექსტი

სქორინგული სისტემების შესაქმნელად აუცილებელია რამოდენიმე შემადგენელის არსებობა. განვიხილოთ სქორინგული მოდელები, რომლებსაც იყენებენ წარმოებების კრედიტუნარიანობის შესაფასებლად. ამგვარი მოდელებიდან ყველაზე მეტად ცნობილია ე. ალტმანის მოდელი, რომლის პირველი ვარიანტი შეიმუშავეს 1968 წელს. აღნიშნული ეფუძნებოდა სამოცდაათამდე ამერიკული კომპანიის სტატისტიკურ მონაცემებს (ნახევარი გაკოტრებული იქნა). ამგვარი მოდელი განკუთვნილია ამერიკული ეკონომიკის დარგების მსხვილი საჯარო კომპანიების კრედიტუნარიანობის შესაფასებლად. ალტმანის მოდელის გამოყენება შეუძლებელია მცირე ბიზნესის კრედიტუნარიანობის შეფასებისათვის. ამიტომ 1984 წელს

დ. ფულმერის მიერ შეიქმნა სპეციალურად მცირე სანარმოე-ბისათვის (წლიური მიმოქცევით 0,5-1 მლნ.\$) განკუთვნილი კრედიტუნარიანობის შესაფასებელი მოდელი. მესამე მოდელი გახლავთ მოდელი, რომელიც შექმნილი იქნა მსოფლიოში ცნობილი ფირმის მიერ Fair Isaac, რომელიც აღიარებულია ფიზიკური პირებისათვის სქორინგული მოდელების შემუშავების უპირობო ლიდერად. შესაძლებელია თუ არა, რომ არსებობდეს ამ სამი განსახვავებული მოდელის (მსხვილი ბიზნესის, მცირე ბიზნესის და ფიზიკური პირების) დამაკავშირებელი ფაქტორი. შესაძლებელია, ამ სამი სახის მოდელის დამაკავშირებელი მომენტი არის ტოლობა:

$$Z = a_1 \times X_1 + a_2 \times X_2 + \dots + a_k \times X_k,$$

სადაც **Z** - სქორინგის შეფასების (სქორინგული ქულა) მნიშვნელობაა;

**a<sub>k</sub>** - წონითი კოეფიციენტებია, რომლებიც ახასიათებენ რისკის ფაქტორების მნიშვნელოვნებას;

**X<sub>k</sub>** - რისკის ფაქტორებია, რომლებიც განსაზღვრავენ მსესხებლის კრედიტუნარიანობას.

ეს ფორმულა განკუთვნილია საკრედიტო სქორინგის მნიშვნელობისა ან რიცხვითი მნიშვნელობის (რომელიც ახასიათებს მსესხებლის კრედიტუნარიანობას) დასაანგარიშებლად. ზუსტად ასეთი (ან ანოლოგიური) ფორმულა წარმოადგენს პრაქტიკულად ნებისმიერი სქორინგის სისტემის ბირთვის. კერძოდ ალტმანის მოდელში მას აქვს შემდეგი სახე:

$$Z = 1,2K_1 + 1,4K_2 + 3,3K_3 + 0,6K_4 + 1K_5,$$

სადაც მოდელის კოეფიციენტები ლებულობენ მნიშვნელობებს 1,2; 1,4; 3,3; 0,6; 1, რომლებიც განსაზღვრავენ რისკის ფაქტორის მნიშვნელოვანებას სიმბოლოები **K<sub>1</sub>**, **K<sub>2</sub>**, **K<sub>3</sub>** და ასე შემდეგ რისკის ფაქტორებია. მაგალითად **K<sub>1</sub>** საბრუნავი კაპიტალის შეფარდება მთლიან აქტივებთან; **K<sub>2</sub>** - გასული წლების გაუნაწილებელი მოგების შეფარდება მთლიან აქტივებთან; **K<sub>3</sub>**

- პროცენტებისა და გადასახადების გადახდამდე მოგების შეფარდება მთლიან აქტივებთან;  $K_4$  - საბაზრო კაპიტალიზაციის შეფარდება სავალო ვალდებულებების მთლიან საბალანსო ღირებულებასთან;  $K_5$  - რეალიზაციის მოცულობის შეფარდება მთლიან აქტივებთან. ალტმანის შეფასება:  $Z < 1,8$  - გაკოტრების ძალიან მაღალი ალბათობა,  $Z = 1,81-2,7$  - გაკოტრების მაღალი ალბათობა,  $Z = 2,71-2,99$  - გაკოტრების დაბალი ალბათობა,  $Z = 3,0$  - გაკოტრების ძალიან დაბალი ალბათობა.

მოგვიანებით არსებული მოდელი იქნა სრულყოფილი არასაფარო კომპანიებისათვის. დაანგარიშების მოდელში შეიტანეს შემდეგი ცვლილებები:

- სამრეწველო საწარმოებებისათვის  

$$Z = 0,717K_1 + 0,847K_2 + 3,107K_3 + 0,42K_4 + 0,998K_5;^1$$

- არასამრეწველო საწარმოებებისათვის  

$$Z = 6,56K_1 + 3,26K_2 + 6,72K_3 + 1,05K_4;^2$$

$K_4$  -საკუთარი კაპიტალის საბალანსო ღირებულება/ნასესხი კაპიტალი

2000 წელს ალტმანის მიერ შექმნილი იქნა  $Z$  ანგარიშის მოდიფიცირებული მოდელი იმ კომპანიებისათვის, რომლებიც ფუნქციონირებდნენ ქცევნებში განვითარებადი ბაზრებით. მან მიიღო დასახელება „განვითარებადი ბაზრების სქორინგის მოდელი“<sup>3</sup> მოდელის ფორმულაში დამატებულია კონსტანტა 3,25

ალტმანის  $Z$  მოდელის მაჩვენებლების დაანგარიშება:

$$EM Z = 6,56X1 + 3,26X2 + 6,72X3 + 1,05X4 + 3,25$$

$EM Z$  მნიშვნელობის ინტერპრეტაცია:

$EM Z$  მნიშვნელობა მეტია 2,60-ზე - გაკოტრების ალბათობა უმნიშვნელოა, კომპანია ფინანსურად მდგრადია.

1 აღნიშნული მოდელი გამოქვეყნებული იქნა 1983 წელს Altman E.I. Corporate Financial Distress-New York, John Wiley

2 1993 წელს ალტმანმა კვლევების შედეგად გამოაქვეყნა მდელი არასამრეწველო საწარმოებებისათვის

3 (Emerging Market Scoring, EM Z-score) (Altman E.I. (2003). Managing credit risk: a challenge for the new millennium. Economic Notes, Vol. 31, Issue 2 (December)).

**EM Z** მნიშვნელობა 1,1 მეტია, მაგრამ ნაკლებია 2,6-ზე - სიტუაცია არ არის განსაზღვრული.

**EM Z** მნიშვნელობა ნაკლებია 1,1-ზე - სიტუაცია კრიტიკულია, ახლო მომავალში გაკოტრების მაღალი ალბათობა.

ფულმერის მოდელში კრედიტუნარიანობის შეფასების ანოლოგიური ფორმულა ღებულობს შემდეგ სახეს:

$$Z = 5,528V_1 + 0,212V_2 + 0,073V_3 + 1,270V_4 - 0,120V_5 + 2,335V_6 + 0,575V_7 + 1,083V_8 + 0,849V_9 - 6,075$$

სადაც:

$V_1$  - წარსული წლების გაუნაწილებელი მოგების შეფარდება მთლიან აქტივებთან;

$V_2$  - რეალიზაციის მოცულობის შეფარდება მთლიან აქტივებთან;

$V_3$  - გადასახადების გადახდამდე მოგების შეფარდება მთლიან კაპიტალთან;

$V_4$  - ფულადი ნაკადის შეფარდება მთლიან დავალიანებასთან;

$V_5$  - ვალის შეფარდება მთლიან აქტივებთან;

$V_6$  - მიმდინარე ვალდებულებების შეფარდება მთლიან აქტივებთან;

$V_7$  - მატერიალური აქტივების ლოგარითმი;

$V_8$  - საბრუნავი კაპიტალის შეფარდება მთლიან დავალიანებასთან;

$V_9$  - პროცენტებისა და გადასახადების გადახდამდე მოგების შეფარდების ლოგარითმი გადახდილ პროცენტებთან.

ფულმერის მოდელის შეფასებით:

$Z < 0$  -საწარმოს გაკოტრების ალბათობა არსებობს

$Z > 0$  -საწარმოს გაკოტრების ალბათობა დაბალი

### **დასკვნა**

იურიდიული პირების შესაფასებლად სქორინგული მეთოდების გამოყენება არ მიმდინარეობს ისეთი ინტენსივობით, როგორც ფიზიკური პირების შემთხვევაში. აღნიშნული მეთოდები ითვალისწინებენ ისეთი წესების ფორმირებას (სქორინგული

კარტები), რომლებიც უზრუნველყოფენ კრედიტის გაცემაზე გადანყვეტილების მიღებას დაფარული კრედიტების შესახებ არსებული სტატისტიკის საფუძველზე. აღნიშნული სტატისტიკა დაკავშირებულია მსესხებლის დამახასიათებელ ნიშნებთან. სქორინგული კარტების შექმნის დროს როგორც წესი იყენებენ საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის დაკრედიტების შედეგების შესახებ მონაცემებს. ვინაიდან წინა წლებთან შედარებით დღევანდელი ეკონომიკური სიტუაცია არსებითად განსხვავებულია, მითითებული მონაცემები შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ არსებული სიტუაციისათვის დამახასიათებელი მონაცემებისაგან. ასეთი მონაცემების საფუძველზე მიღებული დასკვნები არ შეიძლება იყოს ადეკვატური დღევანდელ პირობებთან.

### **ლიტერატურა**

1. ინგოროკვა ა., ჩხაიძე ზ., ცაავა გ. საბანკო ინფორმაციული სისტემები და ტექნოლოგიები. თბილისი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2009, გვ. 400
2. <http://digitalcommons.fiu.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1424&context=hospitalityreview> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 02.07.2016
3. <http://universalrg.org/FullText/201419198.pdf> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 04.07.2016.
4. Хасянова С. Ю. Кредитный анализ в коммерческих банках. Москва: ИДФА-М 2016, ст. 196.
5. <http://jnasci.org/wp-content/uploads/2013/10/522-527.pdf> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 02.07.2016.

### **REFERENCES:**

1. Ingorokva A., Chkhaidze Z., Tsaava G. Banking information systems and technologies. Tbilisi: Georgia Tech University, 2009, p. 400.
2. <http://digitalcommons.fiu.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1424&context=hospitalityreview>



3. <http://universalrg.org/FullText/201419198.pdf>
4. Khasianova S. Credit analysis in commercial banks. Moscow: INFRA-M 2016, p 196.
5. <http://jnasci.org/wp-content/uploads/2013/10/522-527.pdf>

## **SCORING IN CREDIT PROVISION TO LEGAL ENTITIES**

**Nino Khidirbegishvili**

PhD student, GTU

**Rati Burdiashvili,**

Professor, GTU

### **RESUME**

Due to the increasing tendencies of problems in credit provision to the legal entities, the banks need to introduce and to elaborate new technologies for assessing the solvency, to ensure proper decision-making and to accelerate the process of making decisions.

From the scoring models, which are used to assess the solvency of the enterprises, the most famous is considered E. Altman's model. The first version of this model was developed in 1968. Later, this model was completed for non-public companies.

In 2000, Altman modified the Z-score model for companies which functioned in the countries with developed markets. In 1984, D. Pulmer created a specific model for small enterprises to assess their creditworthiness. The scoring methods are not used intensely to assess the legal entities, as they are used for individuals.

Key words: Corporate, lending, creditworthiness, scoring, modified model.



**იმაერთის რეგიონის ეკონომიკური  
განვითარებისა და საგადასახადო შემოსავლების  
ურთიერთკავშირის ანალიზი**

**ბექა ბიბილური**  
სტუდენტოვანი

**რეზიუმე**

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში, სახელმწიფო ბიუჯეტის ადგილისა და როლის განსაზღვრის საკითხზე მსჯელობისას, ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და გადასახდელების დინამიკაზე, რომელზედაც დაყრდნობით ნათლად და მარტივად გახდება შესაძლებელი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში არსებული, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ტენდენციების გაანალიზება-შეფასება. დღევანდელ პირობებში საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ძირითად მიზანს ბიუჯეტის როლის ზრდა, ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების რაციონალური განაწილება-გამოყენება და საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის თანამედროვე, საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების შესაბამისად ფორმირება-ფუნქციონირება წარმოადგენს.

**საკვანძო სიტყვები:** რეგიონული ეკონომიკა, სახელმწიფო ბიუჯეტი, საგადასახადო შემოსავლები, გადასახადები, ურთიერთკავშირი, კორელაციურ-რეგრესიული ანალიზი.

**ძირითადი ტექსტი**

საქართველოს სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაზე, ამ მიმართულების ეროვნული და რეგიონული მიზნობრივი პროგრამების დაფინანსებაზე და მთლიანობაში ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევაზე გავლენას ახდენს სახელმწიფო ბიუჯეტი, როგორც საბიუჯეტო სისტემის ცენტრალური რგოლი, რომელიც წა-

რმოადგენს სახელმწიფოს ფუნქციონირებისა და ეკონომიკის სტაბილური განვითარების ფინანსურ ბაზას. ქვეყნის საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას, ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდა და მისი განაწილება-გადანაწილების ეფექტიანი მექანიზმის შემუშავება წარმოადგენს. საბიუჯეტო შემოსავლები მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს რეგიონის, მათ შორის ჩვენი კვლევის ობიექტის იმერეთის - ტერიტორიული ერთეულის ეკონომიკურ-სოციალურ სტაბილურობას. იგი კი დამოკიდებულია მთლიანად ქვეყანაში გადასახადების ერთობლიობაზე.

სახელმწიფო ბიუჯეტის ადგილისა და როლის განსაზღვრის საკითხზე მსჯელობისას, ყურადღება გავამახვილეთ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების დინამიკაზე, რომელზედაც დაყრდნობით შესაძლებელია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში არსებული, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ტენდენციების გაანალიზება-შეფასება.

უკანასკნელ წლებში ქვეყანაში სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის მობილიზების მიმართულებით არსებულმა დადებითმა ტენდენციებმა განაპირობა სახელმწიფო ბიუჯეტიდან სოციალური სფეროს დარგების დაფინანსებაზე გამოყოფილი ასიგნებების ზრდის შესაძლებლობა, რაც რეგიონებზეც შესაბამისად აისახება.

საბიუჯეტო შემოსავლები მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს რეგიონის, მათ შორის იმერეთის - ტერიტორიული ერთეულის, ეკონომიკურ-სოციალურ სტაბილურობას, რაც დამოკიდებულია მთლიანად ქვეყანაში გადასახადების ერთობლიობაზე. ქვეყანაში მოქმედი არაპირდაპირი გადასახადებიდან, თავისი მოცულობით ერთ-ერთი წამყვანი ადგილი დამატებული ღირებულების გადასახადს (დღგ) უკავია.

ეფექტიანი საბიუჯეტო პოლიტიკის გატარებისთვის, ტერიტორიული დიფერენციაციის დონის დასადგენად საჭიროა მაქსიმალურად ობიექტური ანალიზური კვლევების, მრვა-ლგანზომილებიანი კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის, პროცესების მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა, რაც სა-

შუალეხას იძლევა მოხდეს რეგიონის ეკონომიკური კანონზომიერებების განსაზღვრა. იმერეთის მხარის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზისას მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა შემოსავლების დონისა და დინამიკის ანალიზს და მის კორელაციას მხარის მთლიან დამატებულ ღირებულებასთან. ამ მიზნით ჩავატარეთ კორელაციურ-რეგრესიული ანალიზი და დავადგინეთ, თუ როგორ მოქმედებს შემოსავლების ყოველწლიური მოცულობის ცვალებადობა რეგიონის მთლიანი დამატებული ღირებულების ცვალებადობაზე.

ურთიერთკავშირის გამოკვლევისას ძირითადი ყურადღება დავეთვოთ მოვლენათა თეორიულ და თვისებრივ ანალიზს. მისი დასკვნების დამტკიცებისთვის, ურთიერთკავშირის გამოვლენისა და რაოდენობრივი დახასიათებისთვის კი იყენებს თავის სპეციფიკურ ხერხებსა და მეთოდებს: პარალელური მწკრივების, ანალიზური დაჯგუფების, საბალანსო, კორელაციისა (ლათინური სიტყვა **correlation**-დან, რაც ნიშნავს ურთიერთდამოკიდებულებას, შეფარდებას) და რეგრესიული (ლათინური სიტყვა **regressus**-იდან, რაც ნიშნავს უკუსვლას, დაქვეითებას) ანალიზის მეთოდებს.

რეგრესიის ან სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების კავშირის სტატისტიკური მოდელი გამოიხატება შემდეგი ფორმული (ფუნქციით):

$$Y_x = f(x_1, x_2, \dots, x_k)$$

რეგრესიული განტოლების პარამეტრების შეფასება ( $a_0, a_1$ ) ხორციელდება უმცირეს კვადრატთა მეთოდით, რომლის საფუძველშიც დევს: მოსაზრება გამოსაკვლევი ერთობლიობის დაკვირვებების დამოუკიდებლობის შესახებ და მოდელის ( $a_0, a_1$ ) პარამეტრების მოძებნა, რომლის დროსაც ემპირიული მნიშვნელობების თეორიულისაგან გადახრების კვადრატების ჯამი მინიმუმამდე დადის.

$$\Sigma(y - y_x)^2 \rightarrow \min$$

თუ მოვლენებს შორის კავშირი ნრფივი ფორმისაა

$y_x = a_0 + a_1x$ , პარამეტრების გაანგარიშება ხდება ნორმალურ განტოლებათა სისტემის საფუძველზე:

$$\begin{cases} na_0 + a_1x = \sum y \\ a_0\sum x + a_1\sum x^2 = \sum xy \end{cases}$$

განტოლებათა სისტემის ამოხსნით მივიღებთ  $a_0$  და  $a_1$  პარამეტრების მნიშვნელობებს, მათი დახმარებით კი - ემპირიულ განტოლებას. ეკონომიკური თვალსაზრისით,  $a_0$  არის საშუალო მოვლენის რალაც საწყისი მნიშვნელობა, ხოლო  $a_1$  გვიჩვენებს, თუ რამდენი ერთეულით შეცვლის საშუალო მოვლენას მიზეზობრივი მოვლენის ერთი ერთეულით ცვლილება.

ანალიზის ჩატარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს დამოუკიდებელი და დამოკიდებული ცვლადების განსაზღვრას. ჩვენ შემთხვევაში დამოკიდებული ცვლადი (X) შემოსავლების მოცულობაა იმერეთის რეგიონში (ინფორმაცია მოვიძიეთ შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე), ხოლო დამოუკიდებელი ცვლადი, კი მთლიანი დამატებითი ღირებულება შესაბამისი რეგიონის მიხედვით 2006 -2014 წლებში (Y). ცხრილი N 1

**შემოსავლებისა და მთლიანი დამატებული ღირებულების განაწილება იმერეთის რეგიონის მიხედვით 2006 -2014 წწ (მილიონი ლარი)**

	მთლიანი დამატებული ღირებულება, სულ მიმდინარე ფასებში (მლნ. ლარი) Y	შემოსავლები, (მლნ. ლარი) X
2006	1,288.5	86,506
2007	1,670.8	143,685
2008	2,034.6	159,022
2009	2,018.5	149,660
2010	2,225.2	139,358
2011	2,551.9	150,885
2012	2,660.4	166,125
2013	2,670.4	179,920
2014	2,685.2	198,866

წყარო: [www. geostat.ge](http://www.geostat.ge), [www. rs.ge](http://www. rs.ge)

შემოსავლებისა და მთლიანი დამატებული ღირებულების განაწილება (მლნ.ლარი) ცხრილი N 2

	მთლიანი დამატებული ღირებულება, სულ მიმდინარე ფასებში, მლნ ლარი Y	შემოსავლები, მლნ. ლარი X	xy	(X-X)	(X-X) <sup>2</sup>	(Y-Y)	(Y-Y) <sup>2</sup>	X <sup>2</sup>	Y
2006	1,288.5	86,506	111462529	-66,164	4377630787	-912.1	831974	7483288036	1303.52
2007	1,670.8	143,685	240073441	-8,985	80724235.1	-529.8	280676.6	2.0645E+10	2078.8
2008	2,034.6	159,022	323550358	6,352	40352138.8	-166.0	27554.16	2.5288E+10	2286.75
2009	2,018.5	149,660	302084092	-3,010	9058093.44	-182.2	33179.25	2.2398E+10	2159.81
2010	2,225.2	139,358	310093527	-13,312	177200469	24.5	602.0567	1.9421E+10	2020.13
2011	2,551.9	150,885	385049344	-1,785	3185035.11	351.3	123424.6	2.2766E+10	2176.42
2012	2,660.4	166,125	441966007	13,455	181045995	459.8	211435.9	2.7598E+10	2383.06
2013	2,670.4	179,920	480465960	27,250	742580667	469.8	220732.1	3.2371E+10	2570.1
2014	2,685.2	198,866	533991852	46,196	21344101213	484.6	234801.7	3.9548E+10	2826.99
სულ	19,805.6	1,374,027	3128737110		7745878634		1964380	2.1752E+11	19805.6

ფუნქციის ამოსახსნელად ავაგეთ დამხმარე ცხრილი, რომლის მეშვეობითაც მივიღეთ  $a_0$  და  $a_1$  პარამეტრების მნიშვნელობები. მიღებული გაანგარიშებები გადავამოწმეთ სტატისტიკური პროგრამის - SPSS-ის დახმარებით.

$$\text{სადაც, } \overline{xy} = \frac{\sum xy}{n}, \quad \overline{x} = \frac{\sum x}{n}, \quad \overline{y} = \frac{\sum y}{n}, \quad \sigma_x = \sqrt{\frac{\sum(x - \overline{x})^2}{n}}; \quad \sigma_y = \sqrt{\frac{\sum(y - \overline{y})^2}{n}}$$

ანუ ჩვენი მონაცემებიდან მივიღეთ, რომ :

$$\overline{xy} = \frac{\sum xy}{n} = 347637457; \quad \overline{x} = \frac{\sum x}{n} = 152670; \quad \overline{y} = \frac{\sum y}{n} = 2200.6;$$

$$a_0 = \overline{y} - a_1 \overline{x} = 130.6; \quad a_1 = \frac{\overline{xy} - \overline{x} \cdot \overline{y}}{\overline{x^2} - (\overline{x})^2} = 0.0135588$$

ამრიგად, განტოლება შემდეგ სახეს მიიღებს:  $y_x = 130.6 + 0.0135588 X$

იმერეთის რეგიონში შემოსავლების 1 მილიონი ლარით გაზრდა წელიწადში გამოიწვევს მთლიანი დამატებული ღირებულების 0.0135588 მილიონი ლარით ზრდას, რაც თავისთავად განაპირობებს რეგიონის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას.

ამ განტოლების მეშვეობით ვიპოვეთ მოსწორებული ( $\hat{y}$ ) დონეები და დადგინდა, რომ მოსწორებული დონეების ჯამი ( $\sum \hat{y}$ ) უდრის 19 805,6-ს, ემპირიული დონეების ჯამიც ( $\sum y$ ) 19 805,6-ის ტოლია. ეს კი მიუთითებს ფუნქციის სიზუსტეზე, რადგან აკმაყოფილებს ამოცანის მინიმუზაციის პირობას (უმცირეს კვადრატთა მეთოდის პირობა).  $\sum (y - \hat{y})^2 = (19\ 805,6 - 19\ 805,6)^2 = 0$ .

ეკონომიკური მოვლენების ეფექტური ანალიზის მიზნით, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ მოვლენათა შორის ურთიერთკავშირის სიმჭიდროვის ხარისხი. არსებობს სიმჭიდროვის ხარისხის შეფასების რამდენიმე სახის კორელაციის კოეფიციენტი: კორელაციის წრფივი კოეფიციენტი, ფენერის კოეფიციენტი, სპირმენის რანგების კორელაციის კოეფიციენტი, დეტერმინაციის კოეფიციენტი, დ. იულას ასოციაციის კოეფიციენტი, კ. პირსონის კონტინგენციის კოეფიციენტი, ემპირიული და თეო-

რიული კორელაციის დამოკიდებულება და სხვა. მაგრამ ყველაზე ხშირად გამოიყენება კორელაციის წრფივი კოეფიციენტი, რომელიც მერყეობს (-1 დან +1 მდე). კორელაციური კავშირის სიმჭიდროვის ხარისხის დადგენა გულისხმობს, გაზომოს, თუ როგორ მოქმედებს საშედეგო მოვლენის განვითარებაზე ანუ ვარიაციის ცვლილებაზე მიზეზობრივი ფაქტორის (წყვილადი კორელაცია) ან ფაქტორების (მარავლობითი კორელაცია) ვარიაციული ცვალებადობანი.

წრფივი კავშირის შემთხვევაში, კორელაციის სიმჭიდროვის ხარისხს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გვიხასიათებს კორელაციის წრფივი კოეფიციენტი, რომელიც შემუშავებულ იქნა მე-19 საუკუნის 90-იან წლებში ინგლისელი სტატისტიკოსის, ბიოლოგისა და ფილოსოფოსის კარლ პირსონის (1857-1936 წწ) მიერ. კორელაციის წრფივი კოეფიციენტის გამოსათლელ ფორმულას აქვს შემდეგი სახე :

$$r = \frac{\overline{xy} - \bar{x} \cdot \bar{y}}{\sigma_x \sigma_y}$$

ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი ცხრილის მიხედვით, სადაც X - პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობაა იმერეთის რეგიონში, ხოლო Y - მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლები, ეს მონაცემები როგორც უკვე აღვნიშნეთ შეადგენს:

$$\overline{xy} = \frac{\sum xy}{n} = 347637457; \quad \bar{x} = \frac{\sum x}{n} = 152670; \quad \bar{y} = \frac{\sum y}{n} = 2200.6;$$

$$\sigma_x = \sqrt{\frac{\sum (x - \bar{x})^2}{n}} = 29336.891; \quad \sigma_y = \sqrt{\frac{\sum (y - \bar{y})^2}{n}} = 467.188$$

კორელაციის კოეფიციენტი კი შეადგენს:

$$r = \frac{\overline{xy} - \bar{x} \cdot \bar{y}}{\sigma_x \sigma_y} = \frac{347637457 - 152670 * 2200.6}{29336.891 * 467.188} = 0.8514$$



მსოფლიოს სტატისტიკაში მიჩნეულია, რომ თუ კოეფიციენტის მნიშვნელობა 0 დან 0.3 -მდეა - კავშირი სუსტია, 0.3-დან 0.6-მდე- ზომიერია, ხოლო თუ 0.6 დან 1-მდეა, მაშინ კავშირი ძლიერია. ჩვენს მაგალითზე კორელაციის წრფივი კოეფიციენტი  $r = 0.85$ -ის ტოლია, რაც ძლიერ კავშირს ასახავს და პროცენტებში 85%-ია, რაც მიუთითებს შემოსავლებისა და მთლიანი დამატებული ღირებულების ძლიერ კორელაციურ კავშირზე.

### **დასკვნა**

რეგიონის საბიუჯეტო-საგადასახადო სწორი პოლიტიკა უზრუნველყოფს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას, ეროვნული წარმოების განვითარების სტიმულირებას, მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს ფორმირებას და ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის საჭირო სხვა მნიშვნელოვან პოზიტიურ ცვლილებებს, რაც საბოლოო ანგარიშით უზრუნველყოფს საბიუჯეტო სისტემის ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლებას.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. კბილაძე დ., აბესაძე ნ., მეტრეველი შ.- „სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში“. გამომცემლობა „უნივერსალი“ თბ. 2008 წ. გვ. 244.
2. გაბიძაშვილი ბ., კბილაძე დ. - „ბიზნესმენტა ქცევის ტაქტიკა და სტრატეგია ეკონომიკურად განუსაზღვრელობის პირობებში“ თბ. 2010 წ.
3. ბარათაშვილი ე., ვეშეპიძე შ., რეგიონალური ეკონომიკური პოლიტიკა. თბილისის სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტი, 2002
4. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)
5. [www.rs.ge](http://www.rs.ge)

**REFERENCES:**

1. D.Kbiladze, N. Abesadze, SH. Metreveli - „Statistics in Economics and Business.” Publ.house „Universal”, Tbilisi, 2008, pg.244
- 2.”The Tactics and Strategy of Businessmen in Economically Uncertain Times.” Tbilisi 2010
3. E.Baratashvili, Sh.Veshapidze, „Regional Economical Policy.” Tbilisi, Social-Economic Institute. 2002.
4. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)
5. [www.rs.ge](http://www.rs.ge)

**ANALYSIS OF THE RELATIONSHIP BETWEEN ECONOMIC DEVELOPMENT AND TAX INCOMES IN IMERETI REGION**

**Beqa Bibiluri,**  
PhD Student, GTU

**RESUME**

While reasoning the issue about the definition of the role and place of the budget in the socio-economic development of the state, special attention in this article is paid to the dynamics of the budget expenses and income. Based on this we can clearly and easily estimate and analyse both positive and negative trends which occur in the socio-economic sphere. Today the goal of fiscal policy is enhancing the role (importance) of the budget, the rational use and distribution of the budget expenses and income and formation and functioning of the fiscal system in accordance with modern market requirements.

**Key words:** regional economy, government budget, tax income, dues, correlation, correlation-regressive analysis.



**კონტროლის ფუნქციის  
მეთოდოლოგიური ასაქტები  
საბაზრო აკონომიკის პირობებში**

**ბადრი დავითაია**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ასისტენტი-პროფესორი

**რეზიუმე**

სტატიაში აღნიშნულია, რომ კომუნიკაციის პროცესები, რომლებშიც მონაწილეობენ მართვის აპარატის მუშაკები, არის მნიშვნელოვანი დამაკავშირებელი რგოლი ხელმძღვანელსა და ხელქვეითებს შორის. ამასთან, ორგანიზაციის ხელმძღვანელის ოპერატიული ქმედება განსხვავდება მისი საქმიანობისაგან გადანყვეტილებათა მიღების სფეროში. საქმიანობის ეს ორი სახე არსებითად ურთიერთკავშირშია და დამოკიდებულია იმ ინფორმაციაზე, რომელიც მუშავდება და გადაიცემა ორგანიზაციის შიგნით. სტატიაში ასევე ხასგასმულია, რომ კომუნიკაციის პროცესები საშუალებას აძლევს ხელმძღვანელებს ეფექტურად შეასრულონ სამუშაო და მიიღონ ოპტიმალური გადანყვეტილებები დასახული მიზნების მისაღწევად. კომუნიკაცია ორგანიზაციულ კონტექსტში ნიშნავს ურთიერთქმედებას ადამიანებს შორის. ის არის როგორც პროცესი, ასევე მოვლენა. როგორც მოვლენა, კომუნიკაცია მოიცავს ორგანიზაციაში ადამიანთა შორის ურთიერთქმედების ნორმებს, ხოლო როგორც პროცესი, კომუნიკაცია ასახავს ადამიანთა შორის ურთიერთობის პრინციპებსა და კანონზომიერებებს. ასევე მითითებულია, რომ კომუნიკაცია არის ემოციონალური და ინტელექტუალური შინაარსის გადაცემის პროცესი.

**საკვანძო სიტყვები:** კომუნიკაცია, ინფორმაცია, გადანყვეტილებათა მიღება, მმართველობითი ფუნქციები, მართვის თეორიები

### **შესავალი:**

ისტორიის ანალიზის მიხედვით, კონტროლის შესახებ პირველი მოხსენიება ფიქსირდება ეგვიპტელებთან დაახლოებით 4000–2000წწ ჩვენს ერამდე, აგრეთვე ეს სიტყვა გამოყენებული იყო ბაბილონის მეფის მიერ მის კანონთა კრებულში დაახლოებით 1800 წელს ჩვენს ერამდე. კონტროლის როგორც მართვის ფუნქციის შესახებ მკაფიო განმარტება ეკუთვნის **ფ.უ. ტელიორს** (1900წ) და **ა. ფაიოლს** (1916წ)

### **ძირითადი ტექსტი:**

მენეჯმენტის თეორიაში არსებობს კონტროლის ცნების რამდენიმე განმარტება:

ა) ეს არის პროცესი, რომლის დახმარებითაც ორგანიზაციის ხელმძღვანელი განსაზღვრავს, მართებულია თუ არა მისი გადამწყვეტილებები და საჭიროებს თუ არა გარკვეულ კორექტირებას, ან ეს არის პროცესი ორგანიზაციის მიზნების მიღწევის უზრუნველსაყოფად. კონტროლის პროცესი შედგება სტანდარტების ფორმირების, ფაქტიურად მიღწეული შედეგების გაზომვისა და კორექტირების განხორციელებისაგან იმ შემთხვევაში, თუკი მიღწეული შედეგები არსებითად განსხვავდება დადგენილი სტანდარტებისაგან;

ბ) ეს არის შედეგების შედარება მიზნებთან;

გ) ეს არის მუშაობის შედეგების რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასება და აღრიცხვა. კონტროლი არის უკუკავშირის ელემენტი, ვინაიდან მისი მონაცემების საფუძველზე წარმოებს ადრე მიღებული გადამწყვეტილებების, გეგმების, წარმოებისა და სტანდარტების კორექტირება;

დ) ეს არის მმართველობითი საქმიანობა, რომლის ამოცანაა ორგანიზაციის მუშაობის შედეგების რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასება და აღრიცხვა. მასში გამოყოფენ ორ მთავარ მიმართულებას: დასახული გეგმებისა და სამუშაოს შესრულების კონტროლი, კორექციის ზომები გეგმიდან მნიშვნელოვანი გადახრებისას.

კონტროლის ფუნქციის შესრულების ძირითადი ინსტრუ-

მენტები: დაკვირვება, საქმიანობის ყველა მხარის შემონიშვნა, აღრიცხვა და ანალიზი. მართვის ზოგად პროცესში კონტროლი გვევლინება უკუკავშირის ელემენტად, ვინაიდან ეფექტურად გავრცელებულ კონტროლს აუცილებლად უნდა ჰქონდეს სტრატეგიული მიმართულება, იყოს ორიენტირებული შედეგებზე და თავისდროული, მარტივიც. ბოლო მოთხოვნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე პირობებში, როდესაც ორგანიზაციები ისწრაფვიან ააგონ თავიანთი მუშაობა ხალხის მიმართ ნდობის პრინციპზე. ეს კი იწვევს იმ საკონტროლო ფუნქციების მნიშვნელოვნად შემცირების შესაძლებლობასა და აუცილებლობას, რომლებიც უშუალოდ ხორციელდება მენეჯერების მიერ. ასეთ ვითარებაში კონტროლი არის ნაკლებად მკაცრი და მეტად ეკონომიური (იხ. ნახ. 1).


კონტროლი – ეს არის პროცესი, ეფექტური მუშაობის უზრუნველსაყოფად ინფორმაციის ფლობის საფუძველზე დაგეგმილი შედეგების მიღწევის კუთხით. არსებობს მმართველობითი კონტროლის სამი საფეხური:

პირველი – ეს სტანდარტის დადგენა, ე.ი. მიზანთა სწორი ფორმულირება, რომელიც მიღწეულ უნდა იქნას დროის გარკვეულ მონაკვეთში;

მეორე – ეს არის მიღწეულის გაზომვა მოცემულ პერიოდში და მიღწეულის შედარება დაგეგმილ შედეგებთან. ამ ორი საფეხურის წარმატებით განხორციელება საშუალებას აძლევს ხელმძღვანელს მკაფიოდ იცოდეს წარმოქმნილ პრობლემებსა და სირთულეებზე, მათ მიზეზებზე. ამ ორი საფეხურის მირმა იწყება წარმოქმნილი პრობლემების აღმოსაფხვრელად მეთოდების ძიება;

მესამე – საფეხური ეს არის ქმედება, რომელიც მიმართულია წარმოქმნილი პრობლემების კორექციისაკენ.

კონტროლი – როგორც მართვის ფუნქცია, მოიცავს შესაბამისობის ხარისხის გამოვლენას საგეგმო მარევენებლებთან. მართვის პროცესში კონტროლი ასრულებს უმნიშვნელოვანეს სოციალურ ფუნქციებს, საკუთრივ მართვის ეფექტურობისა და მდგრადობის ასამაღლებლად და ზოგადად საზოგადოებრივი სისტემის სტაბილიზაციისათვის. კონტროლი არის ცენტრალური მომენტი



ნახ.1  
მართვის ფუნქციის  
კონცეფცია.

გადანყვეტილებათა მიღებისა და რეალიზაციის პროცესში – ის ასრულებს მმართველობითი გადანყვეტილებების რეალიზაციის ერთ ციკლს. კონტროლის ეფექტურობა დამოკიდებულია:

ა) კონტროლის როგორც მართვის ფუნქციის მიმართ, მიღებულ თეორიულ მიდგომებზე;

ბ) კონტროლის ფუნქციის განხორციელების სისტემურობასა და კომპლექსურობაზე;

გ) კონტროლის ფუნქციის ინსტრუმენტულ საფუძველზე, მისი სიზუსტის ხარისხსა და დაშვებულ ცდომილებაზე.

დ) გადახრათა გამოვლენილი მიზეზების ანალიზის სისრულეზე.

კონტროლის არსი მდგომარეობს შემონმებაში – მიმდინარეობს თუ არა ყველაფერი პროგრამის,გაცემული მითითებებისა და დადგენილი პრინციპების შესაბამისად.მისი მიზანია დაფიქსირდეს შეცდომები და ცდომილებები,რათა შესაძლებელი იყოს მათი აღმოფხვრა და მსგავსი პრეცენდენტების არდაშვება.

კომერციული თვალსაზრისით აუცილებელია დადასტურდეს,რომ შემოსული და გასული მასალები ზუსტად შეფასდეს ხარისხის, რაოდენობისა და ღირებულების მიხედვით;

ადმინისტრაციული თვალსაზრისით აუცილებელია დადასტურდეს, რომ პროგრამა სრულდება, კორექტირდება დროის მოთხოვნების შესაბამისად. ტექნიკური თვალსაზრისით აუცილებელია ოპერაციის მსვლელობაზე თვალყურის დევნება (მანქანა-დანადგარების ფუნქციონირება)ფინანსური თვალსაზრისით კონტროლი ვრცელდება რესურსებზე, მოთხოვნებზე და ფონდების გამოყენებაზე. დარღვევის თვალსაზრისით აუცილებელია დადასტურდეს, რომ ქონებისა და პირთა დაზღვევის მიზნით მიღებული ზომები გამართულად მოქმედებს.

დასასრულს, აღრიცხვის თვალსაზრისით აუცილებელია აღინიშნოს, რომ დოკუმენტები სწრაფად აღსრულებადია და იძლევიან მკაფიო სურათს საწარმოს მდგომარეობის შესახებ.

ყველა ეს ოპერაცია ეკუთვნის ზედამხედველობის სფეროს, რამდენადაც ისინი შეიძლება ჩატარდეს საწარმოს სხვადასხვა რანგის მესვეურების მიერ. იმისათვის რომ კონტროლი იყოს

ქმედითი, აუცილებელია ის ჩატარდეს დროულად და თან ახლდეს სანქციები. აგრეთვე უნდა გამოირიცხოს ის საშიშროება, რომ კონტროლმა არ მიითვისოს განკარგულებითი და აღსრულებითი ფუნქცია. კონტროლი გაურკვევლობის მიმართ არის ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული ცნება ორგანიზაციის თეორიაში, რომელიც ახასიათებს ორგანიზაციაში ხელისუფლებაზე წვდომას. ამასთან ორგანიზაცია არის მაღალი გაურკვევლობისა და ნაკლებად პროგნოზირებად ვითარებაში. კონტროლი გაურკვევლობის მიმართ იგულისხმება ჯგუფის, ინდივიდის ან განყოფილების უნარი შეამციროს გაურკვევლობის ხარისხი ორგანიზაციაში და საწარმოთაშორის ურთიერთობებში და ამით უზრუნველყოფს კონტროლს საქმიან ურთიერთობებსა და ურთიერთქმედებაში.

რაც უფრო ფართოა დიაპაზონი და მაღალია კონტროლის ეფექტურობა, რომელიც შეიძლება დაანესოს სუბიექტმა ორგანიზაციის სხვა წევრებისათვის მნიშვნელოვან სფეროებში, მით უფრო მაღალია ორგანიზაციაში მისი ფაქტობრივი ძალმოსილება. ბრძოლა ხელისუფლებისთვის გაურკვევლობაზე კონტროლის დამყარების გზით, შეიძინოს ფაქტობრივი ძალმოსილება ორგანიზაციაში მით უფრო მაღალია, რაც უფრო მაღალია გაურკვევლობის ხარისხი იმ სფეროში, სადაც მას შეუძლია კონტროლის დამყარება. მენეჯმენტის თანამედროვე თეორიების მიხედვით სუბიექტის ფაქტობრივი ხელისუფლება დამოკიდებულია:

- ა) რამდენად მნიშვნელოვანია ეს სფერო სხვა სუბიექტებისათვის;
- ბ) როგორია მისი ფაქტობრივი უნარი მოკლე დროში მოახდინოს არსებული საშუალებების მობილიზება მოცემულ სფეროში გაურკვევლობაზე კონტროლის დამყარებისათვის;
- გ) რამდენად ახდენს მისი საქმიანობა გავლენას ორგანიზაციაში არსებულ წესებსა და შეზღუდვებზე;
- დ) რამდენია გაურკვევლობის სფერო და რა ვადაში შეუძლია ერთდროულად კონტროლის განხორციელება.

აქედან გამომდინარე, ყოველი სუბიექტი ფლობს ორგანიზაციაში ფაქტობრივი ხელისუფლების გარკვეულ ხარისხს, თუმცა რეალური ხელისუფლება არის იმ პირთა ხელში, ვისაც შეუძლია ეფექტურად გააკონტროლოს მნიშვნელოვანი სფეროები, რომ-



ლებიც ხასიათდებიან გაურკვევლობის მაღალი ხარისხით. კონტროლის დამოკიდებულება ხელისუფლებაზე ორგანიზაციაში პოულობს თავის შემდგომ განვითარებას. კონტროლი აღიქმება როგორც პროცედურათა ერთობლიობა, რომელიც უნდა გამოიყენოს ხელმძღვანელმა ხელქვეითებთან მიმართებაში, რათა უზრუნველყოს თავისი გავლენა გადაწყვეტილებათა მიღებაში და მიაღწიოს მათ შესრულებას. ამ განმარტების თანახმად მსჯელობა მიდის კავშირზე კონტროლის ფუნქციასა და ორგანიზაციის იერარქიული სტრუქტურის ხასიათზე.

სხვა თვალსაზრისით მიზანშეწონილია კონტროლის სისტემას ვუნოდოთ “მოგებათა კონტროლის სისტემა,” ვინაიდან მსჯელობა არის მონესრიგებული ინფორმაციის მიღებაზე იმის შესახებ, თუ რამდენად აღწევს დაკვირვების ობიექტი დასახულ მიზნებს. თუ კი ხელმძღვანელი ადგენს ხარისხის პარამეტრებს მომხმარებლის ინტერესებიდან გამომდინარე, რასაკვირველია მას შეუძლია გაზომოს და შეაფასოს ეს პარამეტრები ისე, რომ არ დატოვოს თავისი ორგანიზაციის პერიმეტრი, არ ჩაატაროს დაუსრულებელი გამოკლითხვები და არ გამოინვიოს მომხმარებელთა უარყოფითი ემოციები.

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული შეცდომა, რომელსაც ადგილი აქვს კონტროლის სისტემის კონტრუირების დროს, დაკავშირებულია სისტემის დიზაინერის მოჭარბებულ ამბიციებთან. ასეთი სისტემური შეცდომები ნაწილობრივ იწვევს ხანგრძლივ და სერიოზულ პრობლემებს, რომელთა გადაწყვეტა განსაკუთრებით რთულია.

აღსანიშნავია რომ კონტროლის ფუნქციას აქვს პირდაპირი კავშირი რეგულირების ფუნქციასთან, ვინაიდან ამ ფუნქციათა მიზანია მართვის ყველა ფუნქციის ეფექტური განხორციელების უზრუნველყოფა.

რეგულირება ეს არის მაკორექტირებელ ზომათა შემუშავებისა და მიღებულ ორგანიზაციულ-ტექნოლოგიური, ეკონომიკური და ტექნიკურ გადაწყვეტილებათა რეალიზაციის პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს იდენტიფიცირებული პრობლემების თავისდროულ აღმოფხვრას.

რეგულირების ამოცანაა – სტანდარტების, საგეგმო დავალე-

ბების, ნორმატივების განახლება და აქტუალიზაცია ორგანიზაციის მიზნების ეფექტური მიღწევისათვის. ამრიგად, კონტროლის ფუნქცია ტრანსფორმირდება რეგულირების ფუნქციად გადანყვეტილებათა მიღებისა და რეალიზაციის მომენტში გამოვლენილი გადახრების აღმოსაფხვრელად.

### **დასკვნა:**

კონტროლი გვევლინება როგორც უკუკავშირის ფუნქცია, მართვის პროცესში. ინფორმაციული ნაკადები მასში მიემართება ობიექტიდან სუბიექტისაკენ. კონტროლის ფუნქცია ასრულებს მმართველობით ციკლს და ობიექტის სასურველი მდგომარეობიდან გადახრათა ანალიზის შედეგებს აკავშირებს მართვის ყველა საგნობრივ ფუნქციასთან. კონტროლის მონაცემების მეოხებით ხორციელდება ადრე მიღებულ გადანყვეტილებათა კორექტირება, ე.ი. ხორციელდება უკუკავშირი მმართველობით ციკლში (იხ. ნახ.1).

### **REFERENCES:**

1. U. Breddik—“Management”—Textbook, Moscow “Finances and Statistics” 2015(in Russian language)
2. O.S. Vikhanski —“Management”—Textbook, Moscow “Finances and Statistics” 2015(in Russian language).


## **METHODOLOGICAL ASPECTS OF CONTROL FUNCTION IN THE CONDITIONS OF MARKET ECONOMY**

**Badri Davitaia,**

Akaki Tsereteli State University, Assistant-Professor

### **RESUME**

In the article is said that the main instruments of fulfillment of control function are: observing, checking of all sides of activities, registration and analysis. Also it's underlined, that in the process of ruling, control is an element of retreat as effective control must have a strategic direction by all means, must be oriented on result and also must be simple.



ნახ.2. კონტროლის ფუნქციის არსი და ცნებები.

This last demand is especially important in modern conditions, when the organization do want to build their work on the principles of the people’s trust. According to above article, control must be defined as the process, which provides effectiveness in reaching the purpose.

The function of control includes: registration and analysis of information in all divisions of the organization activities. Its goal is to fix all mistakes, in order to have opportunities to eradicate them and not to allow such precedent.

**Key words:** communication, information, decision-making, management functions, managment theories.

## ჯანმრთელობის დაცვის სისტემები

ლელა ინასარიძე,  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
დოქტორანტი

### რეზიუმე

სტატიაში განხილულია ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიოში ყველაზე უფრო გავრცელებული ოთხი სისტემა: აღმოსავლეთ ევროპის მოდელი („სემეშკოს“ მოდელი), ევროპის მოდელი („ბისმარკის“ და „ბევერიჯის“ მოდელები), შერეული მოდელი და პირველადი ჯანმრთელობის დაცვის მოდელი.

ნაშრომში დახასიათებულია თითოეული მათგანი და მსოფლიოში მათი გავრცელების ქვეყნები. განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი იმ მოდელის ნაკლოვანებებს, რომელიც საქართველოშია დანერგილი, რაც იმაში გამოიხატება, რომ სამედიცინო დანესებულებებს და მათ მომსახურე პერსონალს ის უბიძგებს იმისკენ, რომ ხელოვნურად გაზარდონ პაციენტთა ვიზიტების რიცხვი და საავადმყოფოში ავადმყოფთა დაყოვნების ვადა.

ნაშრომში მოცემულია ან ნაკლოვანების გამოსწორების ღონისძიებები.

**საკვანძო სიტყვები:** ჯანდაცვა, „ბევერიჯის“ მოდელი, „სემეშკოს“ მოდელი, „ბისმარკის“ მოდელი, შერეული მოდელი, პაციენტი, დაზღვევა.

### შესავალი

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ცნობით საქართველოში გაზრდილია მოსახლეობის ავადობის დონე როგორც მოზრდილებში, ისე ბავშვებში. ძველი დაავადებების გვერდით გაჩნდა ახალი დაავადებებიც. ასეთ დროს ქვეყნის მოსახლეობის 50%-ზე მეტი სიღარიბის ზღვარზეა და მათ იმ მცირე თანადაფინანსების გადახდაც არ შეუძლიათ, რომელიც ზოგიერთ დაავადებების მკურნალობას სჭირდება.

ამ ფონზე წინამდებარე სტატიაში ვიხილავთ მსოფლიოში მო-

ქმედ ჯანმრთელობის დაცვის ძირითად მოდელებს, ვახდენთ მათ ურთიერთშედარებას და ვიძლევიტ რეკომენდაციებს საქართველოს ჯანდაცვის მოდელის სრულყოფის მიმართულებით.

## **1. ჯანდაცვის სისტემების კლასიფიკაცია**

მსოფლიოში ჯანმრთელობის დაფინანსების მრავალი სისტემები გამოიყენება, თითოეულ სისტემაში კი მრავალი ქვესისტემა. ამასთან, განვითარებულ ქვეყნებში უპირატესად დაფინანსების ორი წყაროა გამოყენებული (სოცდაზღვევის შენატანები და საერთო გადასახადები), განვითარებად ქვეყნებში კი ერთი – პირადი შენატანები (ჯიბიდან გადახდა).

დღეის მდგომარეობით მსოფლიოში ჯანმრთელობის დაცვის ოთხი სისტემა არსებობს [1, გვ. 87]:

- პირველადი ჯანმრთელობის დაცვის სისტემა;
- აღმოსავლეთ ევროპის სისტემა;
- დასავლური სისტემა;
- ჯანმრთელობის დაცვის შერეული სისტემა;

ჯანდაცვის სისტემების ეს კლასიფიკაცია სამედიცინო მომსახურების დაფინანსების წყაროს (კერძო თუ სახელმწიფო) კრიტერიუმით არის ჩატარებული.

## **2. ჯანდაცვის სისტემების დახასიათება**

**პირველადი ჯანმრთელობის დაცვის სისტემა.** იგი გამოიყენება ღარიბ ქვეყნებში, განსაკუთრებით კი აფრიკის ქვეყნებში. ამ მოდელით მუშაობისას მეორეული და მესამეული ჯანდაცვიდან ხდება პირველად სამედიცინო მომსახურებაზე ფულადი სახსრების გადმონაწილება. ეს იძლევა დაავადებათა 80%-ის მკურნალობის საშუალებას.

**ჯანმრთელობის დაცვის აღმოსავლეთ ევროპის სისტემა,** რომელიც ცნობილია, აგრეთვე, როგორც „სემეშკოს“ მოდელი, თავის სახელწოდებას იღებს რუსი მეცნიერი ნ. სემეშკოდან. „სემეშკოს“ მოდელად მიიჩნევენ ჯანდაცვის იმ სისტემას, რომელიც საბჭოთა კავშირში არსებობდა 70 წლის განმავლობაში (1918-1991 წ.). იგი წარმოადგენდა ჯანდაცვის ცენტრალიზებულ სისტემას

სახელმწიფო დაფინანსებით. სამედიცინო დაწესებულებები და მომსახურების საშუალებები იყო სახელმწიფო საკუთრებაში და მთლიანად ფინანსდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან. სამედიცინო მომსახურება უფასო იყო ყველასთვის. და როგორც ქართველი მეცნიერი, პროფესორი თენგიზ ვერულავა წერს, – „მიუხედავად საბჭოთა ჯანდაცვის სისტემის კრიტიკისა, რაც ბევრ შემთხვევაში მკვლევარების მიერ სამართლიანადაა დასაბუთებული, „სემეშკოს“ მიერ შემოღებული მოდელი თავის დროზე წარმოადგენდა ჯანდაცვის ერთ-ერთ მონინავე მოდელს მსოფლიოში“ [2, გვ. 233]. მარტო ის რას ნიშნავდა, რომ უკვე ამ მოდელის დანერგვიდან, სულ რაღაც 4-5 წელიწადში, კერძოდ, 1922 წელს, ბავშვთა სიკვდილიანობა 1913 წელთან შედარებით 2-ჯერ შემცირდა [3, გვ. 235].

ჯანმრთელობის დაცვის **დასავლურ სისტემა** „სემეშკოს“ სისტემისგან განსხვავებით ოჯახის ექიმის მიერ განუვლი ზოგადი მკურნალობა და სხვა სამედიცინო პერსონალის მიერ განხორციელებული პრევენციული საქმიანობა, მიეკუთვნება მხოლოდ პირველად ჯანდაცვის კომპეტენციას. ყველა სხვა სპეციალიზებული მკურნალობა ხორციელდება მეორად დონეზე, ძირითადად საავადმყოფოებში. „სემეშკოს“ მოდელის მსგავსად, აქაც, პირველადი რგოლის ექიმები მოქმედებენ როგორც „მეჭიშკრეები“, რომელთა გაგზავნის გარეშე ჯანდაცვის მაღალ საფეხურზე (გარდა გადაუდებელი შემთხვევებისა), პაციენტი ვერ მოხვდება. ამ მოდელში სახელმწიფო ძირითადი დამფინანსებელია. ჩვეულებრივ უფასოა საბაზისო მომსახურება, ანუ პირველადი ჯანდაცვის დონე. უფრო მაღალ საფეხურებზე ზოგჯერ მოითხოვება პაციენტის მხრიდან მინიმალური თანაგადახდა. სამედიცინო მომსახურებას აწოდებენ როგორც სახელმწიფო, ისე კერძო დაწესებულებები. პაციენტს შეუძლია კლინიკის არჩევაც და ექიმის არჩევაც.

ჯანდაცვის დასავლური სისტემა ორი ქვესისტემისგან შედგება:

- „ბევერიჯის“ ქვესისტემა.
- „ბისმარკის“ ქვესისტემა.

**„ბევერიჯის“ სისტემას** მისი დამფუძნებლის ეკონომისტ – უილიამ ბევერიჯის სახელი ეწოდა. მან 1942 წელს შეიმუშავა ომისშემდგომი სოციალური უზრუნველყოფის სისტემის განვითარების გეგმა. ეს გეგმა, ანუ „ბევერიჯის ანგარიში“ დაედო საფუძვლად დიდი ბრიტანეთის ჯანდაცვის ნაციონალური სამსახურის (NHS) შექმნას. ამ დოკუმენტით სახელმწიფო გახდა სამედიცინო მომსახურების ძირითადი მიმწოდებელი. დიდ ბრიტანეთში შექმნილი ნაციონალური სამსახური ამჟამადაც წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ საყოველთაო, ყველასათვის ხელმისაწვდომ უნივერსალურ ჯანდაცვის სისტემას, რომელიც დაფუძნებულია საჭიროებაზე და არა გადახდის უნარზე და უზრუნველყოფს სამედიცინო მომსახურების ფართო სპექტრს, რომელიც ფინანსდება საერთო გადასახადებით [3, გვ. 23]. ამ განმარტებიდან ირკვევა, რომ „ბევერიჯის“ სისტემის ძირითად ნიშნებს წარმოადგენს:

- სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება;
- ჯანდაცვის სახელმწიფო რეგულირება;
- სამედიცინო მომსახურების საყოველთაო ხელმისაწვდომობა;
- კერძო სექტორის მცირე განვითარება;
- სახელმწიფოს ჩარევა მართვაში;
- ავადმყოფების მხრიდან მხოლოდ მცირე თანადაფინანსება.

ჯანდაცვის ეს სისტემა დანერგილია არა მხოლოდ დიდ ბრიტანეთში, არამედ, ნორვეგიაში, ფინეთში, შვედეთში, ესპანეთში, პროტუგალიაში და სხვაგან.

**„ბისმარკის“ სისტემა** განვითარდა გერმანიაში. გერმანია არის პირველი ქვეყანა, სადაც გამოცხადდა სახელმწიფო სოციალური უსაფრთხოების სისტემა. 1845 წელს პრუსიაში (გერმანიის ძველი სახელწოდება) შემოღებული იყო სავალდებულო სამედიცინო დაზღვევა. 1881 წელს გერმანიის კანცლერმა ოტო ბისმარკმა შეადგინა დასაქმებულთა და მათი ოჯახების ავადმყოფობებისგან სავალდებულო დაზღვევის პროგრამა. შემდეგ მიღებული იქნა შესაბამისი კანონიც და ჯანმრთელობის ასეთ სისტე-

მას „ბისმარკის სისტემა“ ეწოდა.

„ბისმარკის“ სისტემით იქმნებოდა სამედიცინო დაზღვევის ფონდები. დამქირავებლების და დაქირავებულების შენატანებით გაიხსნა „საავადმყოფოთა სალაროები“, რომელთაც ჰქონდათ საავადმყოფოების შერჩევის და კონტრაქტის დადების უფლება.

ამ სისტემით გერმანიაში 1885 წელს დაზღვეული იყო მოსახლეობის – 10%, 2003 წელს, კი – 88% [2, გვ. 310]. მოსახლეობის 88%-ის მოცვა უკვე იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობას მოსწონს ეს სისტემა და იგი მიაჩნია მისაღებად.

**ჯანმრთელობის დაცვის შიდაური მოდელი**, ეს არის აზიის მედიცინის ტრადიციულ სისტემებთან (ტიბეტური მედიცინა, ჩინური მედიცინა) შერწყმული ჯანდაცვის დასავლური მოდელი (ან აღმოსავლეთ ევროპის მოდელი). ასეთ დროს ქვეყანაში არსებობს ორი სახის სამედიცინო მომსახურება საკუთარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. მათ შორის თანამშრომლობის დონე მეტად მაღალია. შერეული სისტემა არსებობს ჩინეთში, ვიეტნამში, ინდოეთში. სამედიცინო მომსახურება ძირითადად ფასიანია.

ქვემოთ წარმოვადგენთ ჯანდაცვის ოთხივე ფორმის გავრცელების ქვეყნების, დაფინანსების წყაროს და ადმინისტრირების ფორმის ცხრილს (იხ. ცხრილი 1).

2013 წლის 1 ივლისიდან კი ქვეყანაში გავრცელდა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა (საბაზრო პაკეტი), რომელსაც სახელმწიფო ბიუჯეტი აფინანსებს. ამის პარალელურად, არის კერძო დაზღვევაც და თანადაფინანსებაც (იმ სამედიცინო მომსახურებებზე, რომლებიც საბაზრო პაკეტში არ შედის). ამ ღონისძიებების გატარების შემდეგ საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის დაფინანსებაში ბიუჯეტიდან დაფინანსებას (საერთო გადასახადების ხარჯზე დაფინანსება) 80-90% უკავია. ეს ხდება საქართველოში, რომელიც ჩვეულებრივი განვითარებადი ქვეყანაა. ასე რომ, ამჟამად, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის დაფინანსების სისტემა არის განვითარებული ქვეყნების დარი. ამ მოდელით საქართველოში ჯანდაცვა გახდა ყველასათვის ხელმისაწვდომი და აღმოიფხვრა ექიმთან მისვლის შიში, რომელიც გამოწვეული იყო იმით, რომ ადამიანებს ამისთვის საჭირო ფული არ ჰქონდათ.



ჯანდაცვის ფორმების გავრცელება მსოფლიოში

მოდელის დასახელება	დაფინანსების წყარო	ადმინისტრირების ფორმა	გავრცელებული ქვეყნებში
„ბევერიჯის“ მოდელი	სახელმწიფო გადასახადები და შემოსავლები	ცენტრალიზებული დაგეგმვა	ინგლისი ნორვეგია შვედეთი დანია ფინეთი ისლანდია იტალია ავსტრალია ზელანდია ესპანეთი კანადა პორტუგალია
„სემეკოს“ მოდელი	სახელმწიფო გადასახადები და შემოსავლები	ცენტრალიზებული დაგეგმვა	ყოფილი საბჭოთა კავშირი და სოციალისტური ქვეყნები
შერეული მოდელი	კერძო და საზოგადოებრივი	მინიმალური სახელმწიფო რეგულირება, კერძო სამედიცინო მომსახურება	აშშ საბერძნეთი სინგაპური ლათინური ამერიკის ქვეყნები
„ბისმარკის“ მოდელი	დაქირავებულების და დამქირავებლების სადაზღვევო შენატანები. სახელმწიფო დაზღვევა	სახელმწიფოს მინიმალური რეგულირება. საავადმყოფოთა სალაროებიდან დაფინანსება	გერმანია ისრაელი ნიდერლანდები საფრანგეთი იაპონია ავსტრია კორეა შვეიცარია

**დასკვნა**

მოცემულ სტატიაში წარმოდგენილი ჯანდაცვის სისტემების განხილვით და ურთიერთშედარებით აღმოჩნდა, რომ მათ აქვთ ნაკლოვანებებიც და დადებითი მხარეებიც. მათგან არცერთი არ არის უნივერსალური მოდელი. თითოეული ქვეყანა თვითონ ირჩევს მისთვის სასურველ სისტემას და იყენებს მას. ასე გააკეთა საქართველომაც.

**ლიტერატურა:**

1. Зенина Л., Шашунов И., Чертухина О., Экономика и управление в здравоохранении, М., 2014.
2. ვერულავა თ., ჯანდაცვის ეკონომიკა და დაზღვევა, თბ., 2009.
3. Ройк В., Обязательное медицинское страхование, М., 2013.

**REFERENCES:**

1. Zenina, L., Shashunov I., Chertukhina O., Health Care Economy and Management , M., 2014
2. Verulava T., Health Care Economy and Insurance, Tbilisi, 2009
3. Royik V., Compulsory Medical Insurance, M., 2013

**HEALTH CARE SYSTEMS**

**Lela Inasaridze**

PhD Student,  
Georgian Technical University

**RESUME**

The article discusses four most common health care systems in the world: East-European model (so-called Semashko model), European model (Bismarck and Beveridge models), mixed model and primary health care model.

The study describes each model and countries where they are used. Special attention is given to the model used in Georgia and its drawbacks, which lead medical institutions and their personnel to deliberately increase the number of patients' visits and extend patient's stay at the hospital.

The study offers some remedial measures for the mentioned drawbacks.

**Key words:** Health Care, „Beveridge” model, „Semashko” model, „Bismarck” model, „mixed” model, patient, insurance.

# აგროტურიზმი - სოფლის მულტიფუნქციური განვითარების გზა

ნინო შაფათავა

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

ლელა ხარტიშვილი

თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ

მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი

## რეზიუმე

სტატიაში განხილულია აგროტურიზმის რაობა, აგროტურის-ტული საქმიანობის ძირითადი პრინციპები და მისი შემადგენელი ძირითადი ელემენტები. რამდენადაც აგროტურიზმზე გაზრდილი მოთხოვნა დღეისათვის განიხილება როგორც შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო სასოფლო დასახლებების ფერმერთათვის და საკომლო მეურნეობებისთვის, ის სოფლის მულტიფუნქციური განვითარების ერთ-ერთ უმთავრეს გზას წარმოადგენს.

სოფლის მრავალფუნქციური განვითარება გულისხმობს სოფლის გააქტიურებას, დასაქმების ახალი შესაძლებლობების შექმნას, უმუშევრობის დაძლევას და სოფლის რესურსების გამოყენებით ბიზნეს საქმიანობის დივერსიფიკაციას, როდესაც სოფლის საზოგადოება დაკავშირებულია როგორც სოფლის მეურნეობასთან, ასევე სხვა ალტერნატიულ ეკონომიკურ დარგებთან.

სოფლის მრავალფუნქციური განვითარება წარმოადგენს „თემატური

სოფლების განვითარების“ საფუძველს, რაც, ბოლო დროს, ასე ხშირად გვესმის სხვადასხვა საერთაშორისო პროექტების და ღონორების მხრიდან.

მრავალფეროვანი მიმართულების მქონე სოფლის განვითარების სტრატეგია მოიცავს სოფლის ეკონომიკის დივერსიფიკაციას, რაც ემიჯნება მონოფუნქციონირებას, რომელიც როგორც წესი, გულისხმობს მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის წარმოებას.

**საკვანძო სიტყვები:** აგროტურიზმი, ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, ფერმერული მეურნეობა, სასოფლო განვითარების პოლიტიკა

### **შესავალი**

აგროტურიზმი წარმოადგენს ტურისტებისა და ვიზიტორების მოზიდვის პრაქტიკას ისეთ ზონაში, რომლის პირველად დანიშნულებასაც სოფლის მეურნეობა წარმოადგენს, ამდენად, აგროტურიზმის ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით, აგროტურისტული მომსახურების/პროდუქტის მომწოდებელს უნდა ჰქონდეს:

1. სანახაობა, ანუ რაღაც, რასაც ვიზიტორი ნახავს;
2. აქტივობა, ანუ საქმე, რასაც ვიზიტორი დააკვირდება / გააკეთებს / მიიღებს მონაწილეობას;

3. პროდუქტი, ანუ რაღაც, რასაც ვიზიტორი იყიდის ადგილზე.

ამ პრინციპების გათვალისწინებით, ზოგადად, აგროტურისტული საქმიანობის განხორციელების დროს რეგიონის/თემის ადგილობრივი მკვიდრი მომხმარებელს სთავაზობს ტურს საკუთარ მეურნეობაში, რათა ვიზიტორმა გამოცდილება მიიღოს / ნახოს თუ როგორ ითესება, იზრდება ესა თუ ის კულტურა, როგორ ხდება მოსავლის აღება, ან როგორ ხდება ადგილობრივად მოყვანილი პროდუქტის დამუშავება (მაგ. ყველის / სულგუნის ამოყვანა, ჩურჩხელის, მურაბის / ჯემის, ტყემლის სანებლის და სხვ. მომზადება) ანუ, ისეთი გამოცდილებისა და შთაბეჭდილების მიღებას, რასაც მომხმარებელი ვერ მიიღებდა თავის ჩვეულ საცოვრებელ გარემოში. ხშირად აგროტურისტულ მეურნეობაში მომხმარებელს სთავაზობენ დაბინავებასაც და მეურნეობის ზოგიერთ ასპექტში ცოდნის მიღებასა და უნარების ათვისებასაც.

### **ძირითადი ტექსტი**

აგროტურიზმი ხელს უწყობს გლეხისა თუ ფერმერის შემოსავლების ზრდას და სასოფლო თემების ცხოვრების დონის გაუმჯობესებას. ამავდროს, ის ხელს უწყობს ადგილობრივი სასოფლო სამეურნეო პროდუქტის რეალიზაციას პირდაპირი მარკეტინგის

საშუალებით და ბიძგს აძლევს თემებსა და სასოფლო დასახლებებში მომიჯნავე ეკონომიკური საქმიანობების განვითარებას. გარდა დაბინავების, კვებისა თუ სხვა მომსახურების საშუალებით მიღებული მატერიალური სარგებელისა, აგროტურიზმს არამატერიალური სარგებელიც მოაქვს, როგორიცაა: ადგილობრივი ბუნების, კულტურისა თუ ისტორიული ღირებულებების პოპულარიზაცია და აღიარება. შესაბამისად, აგროტურიზმზე გაზრდილი მოთხოვნა დღეისათვის განიხილება როგორც შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო სასოფლო დასახლებების ფერმერთათვის და საკომლო მეურნეობებისთვის.

აგროტურიზმის საშუალებით სოფლის მეურნეობა მჭიდროდ უკავშირდება მომსახურების ისეთ უმსხვილეს სექტორს, როგორც ტურიზმია. აგროტურიზმში პირველი რიგის საქმიანობას სოფლის მეურნეობა წარმოადგენს, ამდენად, მისი ძირითადი შემადგენელი ელემენტებია:

1. ფერმერი / გლეხი / აგრო მენარმე,
2. სოფელი, და
3. სოფლის მეურნეობა

სოფლის მრავალფუნქციური განვითარება გულისხმობს სოფლის გააქტიურებას, დასაქმების ახალი შესაძლებლობების შექმნას, უმუშევრობის დაძლევას და სოფლის რესურსების გამოყენებით ბიზნეს საქმიანობის დივერსიფიკაციას, როდესაც სოფლის საზოგადოება დაკავშირებულია როგორც სოფლის მეურნეობასთან, ასევე სხვა ალტერნატიულ ეკონომიკურ დარგებთან.

პროფესორ მ. შნაიდერის თანახმად „მრავალფუნქციური განვითარება მოიცავს სოფლად მზარდი რაოდენობის ახალი არასასოფლო-სამეურნეო ფუნქციების დანერგვას, როგორიცაა წარმოება, ვაჭრობა და მომსახურებები. სოფელი არ არის მხოლოდ ტრადიციული ფერმერებით დასახლებული ტერიტორია, სადაც მხოლოდ სოფლის მეურნეობის პროდუქტი იწარმოება, არამედ ეროვნული ეკონომიკის ინტეგრირებული (კომპლექსური) ნაწილია, ადგილი სადაც მოსახლეობა ჩართულია მეურნეობის ალტერნატიულ დარგებში, აქვთ სამუშაოს ფართო არჩევანი და მეტი შემოსავალი“.

სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინი „აგრობიზნესი“ დანერგეს დეივისმა და გოლდბერგმა 1957 წელს, რომლებმაც ის პირველად გამოიყენეს ნაშრომში „აგრობიზნესის ცნება“. აგრობიზნესით ისინი აღნიშნავენ „ფერმერთა ინტეგრაციის სისტემას“ კვების პროდუქტების მიწოდებისა და გადამუშავების ღირებულების ჯაჭვთან.

სოფლის მრავალფუნქციურ განვითარებაზე ზრუნვა ევროპაში 1960–იანი წლებიდან შეიმჩნევა, როცა ქალაქებში გაიზარდა არასამეურნეო ბიზნეს ინიციატივები, რამაც პატარა ქალაქების დეგრადაცია გამოიწვია. ტექნოლოგიისა და ინდუსტრიის სწრაფმა განვითარებამ, დემოგრაფიულმა ცვლილებებმა, ბევრი ევროპული ქვეყნის პროგრესულმა ურბანიზაციამ, სოფლის მოსახლეობის ქალაქების მიმართულებით მიგრაციამ, ასევე დაბერების პროცესებისა და ეკონომიკური ცვლილებების შედეგად მცირე ზომის დასახლებების დეპოპულაციამ დიდი გავლენა მოახდინა საასოფლო ტერიტორიების, სოფლისა და სოფლის მეურნეობის ტრადიციულ სურათზე.

სოფლის მრავალფუნქციური განვითარება წარმოადგენს „თემატური სოფლების განვითარების“ საფუძველს რაც, ბოლო დროს, ასე ხშირად გვეხმის სხვადასხვა საერთაშორისო პროექტების და დონორების მხრიდან.

მრავალფეროვანი მიმართულების მქონე სოფლის განვითარების სტრატეგია

მოიცავს სოფლის ეკონომიკის დივერსიფიკაციას, რაც ემიჯნება მონოფუნქციონირებას, რომელიც როგორც წესი, გულისხმობს მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის წარმოებას.

სოფლის მრავალფუნქციური განვითარების საწყის ელემენტებში მოიაზრება: (კამინსკი, 1995):

- სასოფლო-სამეურნეო სანარმოო საქმიანობა (ფერმერული საქმიანობა, ე.ი. მემცენარეობა და მეცხოველეობა).
- არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობა, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული სოფლის მეურნეობასთან:
- სოფლის მეურნეობის მასალებისა და საშუალებების უზ-

რუნელყოფა;

- წარმოების მომსახურება (მ.გ. მექანიზაცია, აღდგენითი და სამშენებლო საქმიანობა, და სხვ.);

- სამეურნეო პროდუქციის შექმნა, შენახვა ტრანსპორტირება და ვაჭრობა.

არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობა, რომელიც არაპირდაპირ კავშირშია სოფლის მეურნეობასთან, მათ შორის:

- სოფლის ტურიზმი და აგროტურიზმი (დასვენებისა და დღესასწაულების ორგანიზება, კვების პროდუქტებითა და სამეღებით მომსახურება, განთავსება);

- სატყეო მეურნეობა

- ლანდშაფტის მოვლა და გარემოს დაცვა.

ყველა სხვა პროდუქცია და მომსახურება, რომელსაც არ აქვს კავშირი სოფლის მეურნეობასთან (საჯარო, საზოგადოებრივი მომსახურება და საქმიანობები, მცირე და საშუალო ზომის საწარმოები, რომლებიც სხვადასხვა ბიზნესს აწარმოებენ). ევროპის სასოფლო განვითარების პოლიტიკა - „საყოველთაო სოფლის მეურნეობის პოლიტიკა“ (CAP, 1980 წ) ითვალისწინებს წარმოების ინტენსიურ გაძლიერებას, გამოუყენებელი მიწების ათვისებას, სოფლად ახალი არასასოფლო-სამეურნეო ფუნქციების შემოღებას, მეურნეობის ალტერნატიული დასაქმების ფორმების წახალისებასა და სტრუქტურული პოლიტიკის მხარდაჭერას.

საქართველოს სოფლის განვითარების პოლიტიკაც ევროპის სასოფლო განვითარების პოლიტიკას ეფუძნება, რომლის მიზანი ქვეყნის რეგიონალური განვითარებაა, რეგიონების მხარდაჭერისა და განვითარების დონეში არსებული დისბალანსის შემცირების გზით. საქართველო, სხვა სახელმწიფოების მსგავსად ცდილობს დააბალანსოს რეგიონებს შორის არსებული განსხვავებები სტრუქტურული ფონდების საშუალებით. ამგვარად, სტრუქტურული ფონდები წარმოადგენს დაფინანსების მთავარ წყაროებს სასოფლო განვითარების პოლიტიკისთვის.

იმის გათვალისწინებით, რომ ტურიზმი, მათ შორის აგროტურიზმი, განსაკუთრებულ როლს ასრულებს რეგიონულ განვითარებაში, ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორცაა

მსოფლიო ბანკი, ევროკავშირი და სხვ. რომლებსაც შესწევთ ძალა დაეხმარონ ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს ტურისტული პოტენციალის განვითარებაში, საშუალებას აძლევს სასოფლო ტერიტორიებს მიიღონ ფინანსური დახმარება ევროპის რეგიონული განვითარებისა და საგრანტო ფონდების ფარგლებში.

ევროპის ქვეყნების გამოცდილება აჩვენებს, რომ სოფლის მრავალფუნქციური

განვითარების პროცესი მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს სახელმწიფოებისა და რეგიონების განვითარების სტრატეგიების ჩამოყალიბებისთვის და ამავდროულად აბათილებს დამკვიდრებულ ილუზიას, თითქოს ქალაქსა და სოფელს შორის არსებული განსხვავებები ავტომატურად ბალანსდება.

სოფლის ტურიზმი, აგროტურიზმი და რეკრეაცია სოფლად მომხმარებელთა მოთხოვნის ზრდასთან ერთად განვითარდა. სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო სფეროებში დასაქმება მნიშვნელოვანი შემოსავლის წყარო გახდა მრავალი სასოფლო დასახლებისთვის, განსაკუთრებით ევროპაში, სადაც უკვე თვალნათლივ შესამჩნევია ტურიზმის განვითარებით მიღებული სარგებელი.

აგროტურისტული საქმიანობისთვის შესაფერის რეგიონებს, სადაც აგროტურისტული ფერმები და სანარმოები ფუნქციონირებს, შეიძლება ვუწოდოთ აგროტურისტული რეგიონები. ტურისტულ ლიტერატურაში ისინი ხშირად აგროტურისტულ დესტინაციებად მოიხსენიება და დაყოფილია ორ ჯგუფად:

1. ერთგვაროვანი პროფილის/ფოკუსის მქონე ტურისტული რეგიონები, სადაც ყველა აგროტურისტული სანარმო ერთ-სადაიმავე ან ძალიან მსგავს პროდუქტებს / მომსახურებებს სთავაზობს მომხმარებელს.

2. დივერსიფიცირებული აგროტურისტული რეგიონები, სადაც სანარმოები მრავალფეროვან აგროტურისტულ პროდუქციას / სერვისს სთავაზობენ მომხმარებელს.

საქართველოს მაგალითით თუ ვიმსჯელებთ, აგროტურისტული მენარმეების უმეტესობა ერთი ფოკუსის მქონე დესტინაციაზე



მდებარეობს. თვალსაჩინო მაგალითია კახეთის რეგიონი, სადაც ადგილობრივი საზოგადოების კონსოლიდაციით შეიქმნა ღვინის აგროტურისტული რეგიონი. ერთგვაროვანი პროფილის მქონე რეგიონების სისუსტეს ინვესტორებს მრავალფეროვანი პროდუქტის / სერვისების სიმცირე და ფერმებს შორის მიმდინარე მძაფრი კონკურენცია. ფერმებს შორის კონკურენცია უფრო ინტენსიური ხდება ტურისტების რიცხვის კლების დროს, რაც უპირველეს ყოვლისა აგროტურისტულ სერვისებზე ფასების შემცირებით ვლინდება. ერთგვაროვანი პროფილის სერვისები ასევე არახელსაყრელია სეზონის გახანგრძლივების თვალსაზრისით.

დივერსიფიცირებული ტურისტული პროდუქტის მქონე რეგიონში აგროტურისტული მენარმეები არ უწევენ ერთმანეთს პირდაპირ კონკურენციას. აქ დარგობრივი სპეციალიზაციისა და თანამშრომლობის მეტი საშუალებაა. ასევე მეტია აგროტურისტული სერვისების ხანგრძლივად გამოყენების შესაძლებლობა.

თუ გავითვალისწინებთ მსოფლიოში დამკვიდრებულ აგროტურისტულ პრაქტიკას, რაც ორი დიდი ინდუსტრიის - სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის კომბინაციით მიიღება, თამამად შეგვიძლია ვთქვათ რომ საქართველოს აგროტურიზმის განვითარების დიდი პოტენციალი აქვს. საქართველოს სოფლებში სოფლის მეურნეობის პროდუქტების მოყვანა და მოვლა-შენახვა დღემდე ტრადიციული მეთოდებით ხდება. ამის კარგი მაგალითია ქვევრში ღვინის დაყენებისა და შენახვის უძველესი ტრადიციები, რაც 2013 წლიდან იუნესკოს არა-მატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობად იქნა აღიარებული.

ტურიზმის მრავალი მკვლევარი აღნიშნავს ხაზგასმით, რომ ბოლო დროს დრამატულად შეიცვალა ტურისტთა მოტივაცია დესტინაციის არჩევის დროს და ამჟამად მათი ინტერესის საგანს უფრო მეტად კონკრეტული და სპეციფიკური ტურისტული პროდუქტი, ენთუზიაზმით სავსე აქტივობა და, რაც მთავარია, უფრო ხარისხიანი გამოცდილების მიღება წარმოადგენს. უფრო მეტიც, სათემო და სოფლის ტურიზმი დღეს ევროპის ტურისტული ბაზრის ერთ-ერთი წამყვანი ტენდენციაა. ამ მიმართულებით არსებული სტატისტიკური მონაცემები ადასტურებს, რომ

სასოფლო ტურიზმის წილის ზრდა ბაზარზე სამჯერ აღემატება ზოგადად ტურიზმის ზრდის მაჩვენებელს. ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის გათვლებით ყოველწლიურად მოსალოდნელია ამ სეგმენტში 6%-ანი ზრდა, მაშინ როცა ზოგადად ტურიზმის ზრდის წლიური მაჩვენებელი 2%-მდეა ნავარაუდები.

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემებით საქართველოში ტურიზმის გავლცელებული სახეებიდან აგროტურიზმს 1% უჭირავს. თუ გავითვალისწინებთ ქვეყანაში შემოსული ტურისტების რაოდეობას (2016 წელს - 6 მლნ-ზე ვიზიტორი, მათ შორის 43% შემოსულია დასვენების მიზნით), აქედან გამომდინარე, შეგვიძია ვივარაუდოთ, რომ აგროტურისტული მიზნით ქვეყანაში 30 000 ადამიანი ჩამოვიდა.

### **დასკვნა**

თუ გავითვალისწინებთ, რომ აგროტურიზმი მდგრადი სასოფლო ტურიზმის ისეთ ფორმას წარმოადგენს, რომლის საშუალებითაც ტურისტს შესაძლებლობა ეძლევა გაცნოს სოფლის მეურნეობის სფეროს, კონკრეტული არეალის სასოფლო-სამეურნეო სპეციალიზაციას, ადგილობრივ პროდუქციას, ტრადიციულ სამზარეულოს, რენვისა და ხელსაქმის ნიმუშებს, ადგილობრივი მოსახლეობის კულტურას, ტრადიციებს, და ყოველდღიური ცხოვრების ყოფით ელემენტებს, და ამავდროულად ფოკუსირებას მოვახდენთ აგროტურიზმის სამ ძირითად პრინციპზე, დავინახავთ, რომ საქართველოს აგროტურისტული რეგიონების პოტენციალი საკმაოდ მიმზიდველი და შთამბეჭდავია სოფლების მრავალფუნქციური განვითარებისთვის, რაც ჯეროვანი დაგეგმვისა და სათანადო ღონისძიებების გატარების შედეგად პოზიტიურ სოციალურ-ეკონომიკურ ცვლილებებს მოუტანს ქვეყანას, ხელს შეუწყობს რეგიონული ბრენდების ჩამოყალიბებას და შემოსავლის დამატებითი წყაროების შექმნას აგრომეურნეობისთვის.

### **გამოყენებული ლიტერატურა / REFERENCES:**

1. M. Shnaider, Agritourism, 2008. CAB International
2. Davis, Goldberg, «Notion of Agritourism», 1957

3. Travel and Tourism: a Job Creator for Rural Economies, 2000
4. Kaminsky, Elements of Multifunctional Development of Rural Communities, 1995
5. The European Agricultural Fund for Rural Development: Europe Investing in Rural Areas, July, 2011

## **AGRITOURISM - THE WAY OF MULTIFUNCTIONAL DEVELOPMENT OF RURAL COMMUNITIES**

**Nino Shapatava** - PhD in Business Administration

**Lela Khartishvili** - PhD Student, TSU Faculty  
of Social and Political Sciences

### **RESUME**

The present article refers to the notion of agritourism, its key principles and key elements. While increased demand on agritourism today it is foreseen as one of the important sources of income generation for rural farmers and households, it represents a significant way of multifunctional development of rural communities.

The multifunctional development of rural communities entails activation of rural settlements, creation of new employment opportunities, fighting unemployment and diversification of business activities through utilization of rural resources, where the rural population is engaged in both: agriculture and alternative economic sectors.

The multifunctional development of rural communities creates grounds for “development of thematic villages” - frequently referred to different international projects and donors.

The multifunctional development strategy of rural communities involves diversification of rural economies apart from mono-functioning that in turn considers production of only agricultural products and raw materials.

**Key words:** agritourism, tourism, agriculture, farming, rural development policy.



**მენეჯმენტის კომუნიკაციური პროცესების  
მეთოდოლოგიური ასპექტები**

**ბადრი დავითაია**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ასისტენტი-პროფესორი

**რეზიუმე**

სტატიაში აღნიშნულია, რომ კონტროლის ფუნქციის შესრულების ძირითადი ინსტრუმენტებია: დაკვირვება, საქმიანობის ყველა მხარის შემოწმება, აღრიცხვა და ანალიზი. აგრეთვე ხაზგასმულია, რომ მართვის ზოგად პროცესში კონტროლი გვევლინება უკუკავშირის ელემენტად, ვინაიდან ეფექტურად განხორციელებულ კონტროლს აუცილებლად უნდა ჰქონდეს სტრატეგიული მიმართულება, იყოს ორიენტირებული შედეგზე და მარტივი. ბოლო მოთხოვნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე პირობებში, როდესაც ორგანიზაციები ისწრაფვიან ააგონ თავიანთი მუშაობა ხალხის ნდობის პრინციპზე. კონტროლი შეიძლება განიმარტოს როგორც პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზაციის მიზნის მიღწევის ეფექტურობას. კონტროლის ფუნქციაში შედის აღრიცხვა და ინფორმაციის ანალიზი ორგანიზაციის ყველა ქვეგანყოფილების საქმიანობის ფაქტობრივ შედეგებზე; მისი მიზანია დაფიქსირდეს შეცდომები და ცდომილებები, რათა შესაძლებელი იყოს მათი აღმოფხვრა და მსგავსი პრევენდენტების არდაშვება.

**საკვანძო სიტყვები:** კონტროლის არსი, ფუნქციები. სტრატეგიული კონტროლი, ინფორმაციის აღრიცხვა და ანალიზი, გაურკვეველობის სფერო.

**შესავალი:**

მენეჯმენტის თეორიის მიხედვით კომუნიკაცია ეს არის ინფორმაციის გაცვლის პროცესი ორ ან მეტ ადამიანს შორის. მართვის ყველა ფუნქციის შესრულებისათვის აუცილებელია გადანყვეტილებათა მიღება (მართვის არსიდან გამომდინარე) და ინფორმაციის გაცვლა გადანყვეტილებათა შემუშავებისათვის.

კომუნიკაციისა და ინფორმაციის ცნება ერთმანეთთან კავშირშია, მაგრამ კომუნიკაცია მოიცავს არა მხოლოდ იმას, რაც უნდა გადავცეთ, არამედ იმასაც, თუ როგორ უნდა გადავცეთ. კომუნიკაციის დროს მონაწილეებს უნდა შესწევდეთ შეტყობინების აღქმის უნარი, აგრეთვე უნდა ფლობდნენ ურთიერთგაგების გარკვეულ ხარისხს.

**ძირითადი ტექსტი:**

კომუნიკაციის პროცესში ინფორმაცია გადაიცემა ერთი სუბიექტიდან მეორეზე, სუბიექტების როლში შეიძლება მოგვევლინონ ცალკეული პიროვნებები, ჯგუფი და ორგანიზაციები. პირველ შემთხვევაში კომუნიკაცია ატარებს პიროვნებათშორის ხასიათს და ხორციელდება იდეების, ფაქტების, აზრების გადაცემის გზით ერთი პიროვნებიდან მეორეზე ზეპირი, წერილობითი ან რომელიმე სხვა ფორმით სასურველი რეაქციის მიღების მიზნით. რიგი მიზეზების გამო ეფექტური პიროვნებათშორისი კომუნიკაცია მნიშვნელოვანია ორგანიზაციის წარმატებისათვის:

ა) ბევრი მმართველობითი ამოცანის გადანყვეტა ეფუძნება ადამიანთა უშუალო ურთიერთკავშირს სხვადასხვა მოვლენების ფარგლებში.

ბ) შესაძლებელია, რომ პიროვნებათშორისი კომუნიკაცია არის საუკეთესო მიდგომა იმ საკითხების განსჯისა და გადანყვეტისათვის, რომლებიც ხასიათდებიან უშუალოებითა და ორაზროვნებით.

კომუნიკაციის პროცესები, რომლებშიც მონაწილეობენ მართვის აპარატის მუშაკები, არის მნიშვნელოვანი დამაკავშირებელი რგოლი ხელმძღვანელსა და ხელქვეითებს შორის. ორგანიზაციის ხელმძღვანელის ოპერატიული ქმედება გასხვავდება მისი საქმიანობისაგან გადანყვეტილებათამიღების სფეროში. საქმიანობის

ეს ორი სახე არსებითად ურთიერთკავშირშია და დამოკიდებულია იმ ინფორმაციაზე, რომელიც მუშავდება და გადაიცემა ორგანიზაციის შიგნით.

კომუნიკაციის პროცესები საშუალებას აძლევს ხელმძღვანელებს ეფექტურად შეასრულონ სამუშაო და მიიღონ გადაწყვეტილებები მოქმედების საუკეთესო კურსის შესახებ დასახული მიზნების მისაღწევად. კომუნიკაცია ორგანიზაციულ კონტექსტში ნიშნავს ურთიერთქმედებას ადამიანებს შორის. კომუნიკაციები განიხილება როგორც პროცესი და მოვლენა.

როგორც მოვლენა კომუნიკაცია წარმოადგენს ორგანიზაციის ფარგლებში ადამიანთა შორის ურთიერთქმედების დადგენილ ნორმებს (წესები, ინსტრუქციები, დებულებები,) ხოლო როგორც პროცესი კომუნიკაცია ასახავს ადამიანთა შორის ურთიერთობის პრინციპებსა და კანონზომიერებებს. ეს ურთიერთობები შეიძლება დახასიათდეს ან კოლეგების სრული მხარდაჭერით, ან ხელმძღვანელებსა და დაქვემდებარებულებს შორის წინააღმდეგობების არსებობით.

კომუნიკაცია შეიძლება განისაზღვროს როგორც ემოციონალური და ინტელექტუალური შინაარსის გადაცემის პროცესი. ახალ ვითარებაში კომუნიკაციამ შეიძინა დიდი მნიშვნელობა, ვინაიდან სწორედ ეს ვითარება განსაზღვრავს მეურნეობრივ განვითარებასა და მენარმეობას. წარსულის ტექნოკრატიული მენეჯმენტი მიისწრაფოდა შეენარჩუნებინა თავისი კორპორატიული მიზნები, მისიები და განვითარების გეგმები უმკაცრეს რეჟიმში. დღეს კი პირიქით ღიაობა გახდა საგანგებო. კომუნიკაციამ შეიძინა მნიშვნელობა საქმიანი აქტიურობისათვის ორი მიზეზის გამო:

პირველი – ხელმძღვანელები იღებენ ინფორმაციებს ორგანიზაციის შიგნით მათ გარემოცვასთან ურთიერთობის გზით. გასაოცარია, რომ არაიშვიათად ეფექტური განვითარების გზები შეიძლება მოიძებნოს ორგანიზაციის შიგნით.

მეორე – კომუნიკაცია წარმოადგენს მენეჯმენტის შემუშავებულ სტრატეგიაში მაღალი ეფექტურობის მიღწევის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ინსტრუმენტს.

კომუნიკაცია ითვალისწინებს ინფორმაციის ორმხრივი ნა-

კადის არსებობას, როცა ერთი მხარე იღებს ინფორმაციას და პასუხობს მასზე დაუყოვნებლივ ან გარკვეული დროის შემდეგ. ინფორმაციის გადაცემის დროს, მართვის მაღალი დონიდან გამომდინარე, აუცილებელია იყოს:

ა) შეტყობინების მაღალი ხარისხი როგორც ფორმით ასევე შინაარსით;

ბ) ღირსეული შუამავლის შერჩევა შეტყობინების გადაცემისათვის.

სტრატეგიულად ადრესატებისათვის სტრატეგიული მნიშვნელოვანი შეტყობინების გადაცემისას საჭიროა შესაბამისად მოხდეს ფორმულირებათა ვარირება. მართვის საშემსრულებლო აპარატის ხელმძღვანელი გამოდის უფრო ღირსეულ დუბლიორად, რომელსაც შეუძლია შეასრულოს ამოცანა, რომელიც უშუალოდ დაკისრებულია წამყვან მუშაკზე.

ურთიერთობის ფორმები შეიძლება იყოს განსხვავებული – ენერგიული ლოზუნგებიდან ვრცელ დაწვრილებით დოკუმენტამდე. ერთ-ერთი იმ წესებიდან, რითაც შესაძლებელია ორგანიზაციის სტრატეგია გასაგები გახდეს, აუცილებელია მისი თარგმნა ოპერატიული ტერმინებით.

თუ კი მართველობითი მისია მიმართულია კონკურენტულ უპირატესობათა შექმნისაკენ და პროდუქციის მოდერნიზაციისაკენ, მაშინ ორგანიზაციულ ცვლილებათა არსი ხდება მნიშვნელოვნად მკაფიო. ეს ეხება, ორგანიზაციულ სტრუქტურასა და საინვესტიციო პოლიტიკაში სანარმოთა გაყიდვისა და შექმნის დროს ცვლილებათა განხორციელებას, დანახარჯების სტრუქტურისა და კაპიტალდაბანდების ცვლილებას, მენეჯმენტის ფილოსოფიაში ძვრებს, აგრეთვე მიზნობრივი განწყობებისა და გასაღების ბაზრების გადახედვას, ამრიგად, კომუნიკაციის ეფექტურობა შეიძლება ავამაღლოთ მეტ-ნაკლებად დაწვრილებითი ინფორმაციის ადრესატთა ერთი და იგივე ჯგუფზე გადაცემის გზით დროის განსხვავებული ინტრვალით.

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული შეცდომაა საგანგებო კომუნიკაციების პრაქტიკა, რომელიც ხორციელდება ამისათვის შეუფერებელ დროს. სხვა მხვრივ, ამჟამად კომუნიკაცია ფლობს

საშუალებათა მდიდარ არსენალს, მაგრამ არც ერთი მათგანი არ შეიძლება შევადაროთ პიროვნების უშუალო მიმართვას, რომელიც წარმოადგენს ორგანიზაციულ ცვლილებათა პროცესს. სწორედ ამიტომ ურთიერთობის უნარი, კომუნიკაბელურობა, არის ნამდვილი ხელმძღვანელის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი. კომუნიკაციის გარეშე შეუძლებელია ერთობლივი საქმიანობა, აგრეთვე მართვა, ვინაიდან ის იყენებს ერთი მხრივ, კომუნიკაციის არსებულ და ჩამოყალიბებულ ფორმებს, ხოლო, მეორეს მხრივ, აყალიბებს კომუნიკაციის იმ ფორმებს, რომლებიც ამარტივებენ როგორც ერთობლივ საქმიანობას, ასევე მის მართვას. არსებობს კომუნიკაციის ორი ასპექტი:

ა) ინფორმაციული, რომელიც ახასიათებს ინფორმაციის მოძრაობის პროცესს.

ბ) პიროვნული რომელიც ახასიათებს პიროვნებების ურთიერთქმედებას.

ეს ორი ასპექტი მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან. პიროვნებათშორისი კავშირი მნიშვნელოვნად ხორციელდება ინფორმაციის მოძრაობის მეოხებით, მაგრამ მთლიანად ინფორმაციულ პროცესებამდე არ დაიყვანება, ვინაიდან კომუნიკაცია ითვალისწინებს არა მხოლოდ ინფორმაციის გადაცემასა და მიღებას, არამედ ამ ინფორმაციის ინდივიდუალურ ინტერპრეტაციებს.

კომუნიკაციის მიზნები:

ა. სუბიექტებს შორის ინფორმაციის ეფექტური გაცვლის უზრუნველყოფა.

ბ. ინფორმაციის გაცვლის პროცესში პიროვნებათშორისი ურთიერთობის სრულყოფა.

გ. ინფორმაციის გაცვლისათვის ცალკეულ მუშაკებსა და ჯგუფებს შორის ინფორმაციული არხების შექმნა.

დ. ინფორმაციული ნაკადების რეგულირება და რაციონალიზაცია.

კომუნიკაციის მნიშვნელობა და ფუნქციები.

კომუნიკაციები საჭიროა ორგანიზაციის ხელმძღვანელებისათვის შემდეგი პრინციპების მიხედვით:



ა. ხელმძღვანელები ხარჯავენ ძალიან დიდ დროს კომუნიკაციებზე. ბევრი ექსპერტის მონაცემთა მიხედვით ამაზე მოდის ორგანიზაციის ხელმძღვანელთა დროის 75-95%. ამიტომ ისინი უნდა იყვნენ ორიენტირებულნი ამ საქმიანობის გაუმჯობესებაში.

ბ. კომუნიკაციები აუცილებელია მართვის ეფექტურობისათვის.

გ. კომუნიკაციის ხელოვნება აუცილებელია იმისათვის რომ გამოვლინდეს ხელმძღვანელის ავტორიტეტი.

დ. კარგად ორგანიზებული კომუნიკაციები ორგანიზაციული ეფექტურობის ამაღლებას უწყობს ხელს. თუ კი ორგანიზაცია ეფექტურია კომუნიკაციაში, ის ეფექტურია დიდი ალბათობით საქმიანობის ყველა ასპექტში.

ჯგუფში ან ორგანიზაციაში მთლიანად განასხვავებენ კომუნიკაციის ოთხ ძირითად ფუნქციას:

ა) კონტროლი და მოტივაცია. კომუნიკაცია აკონტროლებს ჯგუფის წევრთა ქცევას სხვადასხვა გზით. ორგანიზაციაში არსებობს იერარქია და ფორმალური თანადაქვემდებარება, რომელსაც მუშაკები უწევენ ანგარიშს. როდესაც მაგალითად, მუშაკს პირველად მიმართოს მის უშუალო ხელმძღვანელს ან მიუსადაგოს თავისი მოქმედებები ორგანიზაციის სტრატეგიას, კომუნიკაციურობა ასრულებს მაკონტროლებელ ფუნქციას. იმავედროულად ის ხელს უწყობს მოტივაციების დაყვანას მუშაკამდე (რა უნდა გაკეთდეს, როგორ გაუმჯობესდეს მუშაობა და აშ.)

ბ) ემოციონალური გამოხატვა და ინფორმაციული უზრუნველყოფა.

ადამიანთა უმრავლესობისათვის მათი სამუშაო არის სოციალური ურთიერთქმედების პირველადი წყარო, კომუნიკაციურობა, რომელიც ხორციელდება ჯგუფში, არის ის მექანიზმი, რომლის მეოხებითაც ჯგუფის წევრები გამოხატავენ თავიანთ დამოკიდებულებას მიმდინარე პროცესებთან. სწორედ ამის კომუნიკაციურობა ხელს უწყობს გრძნობების ემოციუნალურად გამოხატვას და უზრუნველყოფს სოციალური მოთხოვნების დაკმაყოფილებას. არსებითი მნიშვნელობა აქვს კომუნიკაციურობის იმ ფუნქციას, რომელიც დაკავშირებულია გადაწყვეტილებათა

მიღების პროცესში მის როლთან. ის საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია ცალკეული სუბიექტებისა და ჯგუფებისათვის გადანყვეტილებათა მიღების მიზნით.

არცერთს ამ ფუნქციათაგან არა აქვს პრიორიტეტები სხვა დანარჩენ ფუნქციებთან მიმართებაში. ეფექტური ფუნქციონირებისათვის ჯგუფმა უნდა განახორციელოს კონტროლი მის ნევრებზე, აღძრას ისინი მოქმედებისაკენ და უზრუნველყოს საშუალებები გრძნობების ემოციონალური გამოსახვისა და სოციალური ამოცანების შესრულებისათვის.

მართვისა და ორგანიზაციის თეორიის მიხედვით კომუნიკაციები ორგანიზაციაში განიხილებიან როგორც გადაწყვეტილებათა მიღების წინამძღვარი და როგორც სოციალური სისტემის ფუნქციონირებისა და არსებობის წესი. გარდა ამისა, კომუნიკაციები განიხილება როგორც მდგრადი ურთიერთქმედების მიღწევის, მუშაკთა ქცევის მოდიფიკაციის საშუალება და როგორც ინფორმაციის გადაცემის პროცესის ელემენტი. ის არის აგრეთვე იმ დამახინჯებათა და წინაღობათა წყარო, რომლებიც აღმოცენდებიან ინფორმაციის გადაცემის პროცესში. კომუნიკაციების საფუძველზე ხდება ორგანიზაციის სტრუქტურის ფორმირება, განახლება და შეცვლა. ადრეულ ეტაპზე კომუნიკაციების გამოკვლევის ორგანიზაციაში მკვლევარები ყურადღებას ამახვილებდნენ წყაროდან მიმღებამდე ინფორმაციის გადაცემის ერთვექტულ პროცესსა და კომუნიკაციის ერთჯერად აქტზე, კომუნიკაციის სტრუქტურასა და უკუკავშირის პროცესს, როგორც წესი არ განიხილავდნენ.

პირველი გამოკვლევები ფორმალური კომუნიკაციის სფეროში ეკუთვნით მართვის კლასიკური სკოლის წარმომადგენლებს. ერთ-ერთი მათგანი ვინც ცდილობდა ორგანიზაციაში სამიანი ფორმალური კომუნიკაციების და პრინციპების ფორმირებას, იყო **ა.ფაიოლი**. კომუნიკაციები ორგანიზაციაში გვევლინებოდნენ როგორც ფორმალური სტრუქტურის იერარქიულ ვერტიკალში ინფორმაციის გადაცემის ერთვექტორული მიმართულება.

კომუნიკაციის სტრუქტურის შესწავლაში ახალი ეტაპი დაკა-

ვშირებულია კომუნიკაციის არაფორმალური სისტემის პრობლემატიკასთან. ადამიანურ ურთიერთობათა სკოლის წარმომადგენლები (ე.მეიო, დ. მაკგრეგორი, რ.ლაიკერტი და სხვა) პირველ რიგში ყურადღებას აქცევენ იმას, რომ ორგანიზაციაში კომუნიკაციები არ შეიზღუდება ოფიციალური (ფორმალური) შეტყობინებებით. გარდა ამისა მათ მიუთითეს ორგანიზაციაში ურთიერთობათა არაფორმალური სტრუქტურის მთავარ როლსა და კომუნიკაციის ორმხრი ხასიათზე.

### **დასკვნა:**

საქმიანი ინფორმაციის გადაცემის დროს ფორმალური კომუნიკაციის მთავარ როლს ხაზს უსვამდნენ:

ა) ემპირიული სკოლის (ე.მეიო) წარმომადგენლები – ისინი კომუნიკაციის სისტემას უკავშირებდნენ ხელმძღვანელის საქმიანობას და განმარტავდნენ კომუნიკაციებს ორგანიზაციაში იდეების, ინფორმაციის და ბრძანებათა გადაცემის პროცესს და სწორედ ისე რომ ადრესატს ზუსტად გაეგო მათი მნიშვნელობა.

ბ) სოციალურ სისტემათა სკოლები:

ისინი გამოყოფდნენ არაფორმალურ ორგანიზაციათა როლს ააროფიციალურ შეტყობინებათა გადაცემაში.

გ) ორგანიზაციის სოციოტექნიკური კონცეფციის წარმომადგენლები ხაზს უსვამდნენ არაფორმალური არხების მნიშვნელობას საქმიან კომუნიკაციის რეალიზაციისათვის.

### **REFERENCES**

1. U.Breddik – “Management” – Textbook, Moscow “Finances and Statistics” 2015 (in Russian language)
2. O.S. Vikhanski – “Management” – Textbook, Moscow “Finances and Statistics” 2015 (in Russian language)

## METHODOLOGICAL ASPECTS OF COMMUNICATION PROCESSES OF MANAGEMENT

**Badri Davitaia,**

Akaki Tsereteli State University, Assistant-Professor

### RESUME

In this article is mentioned, that the process of communication, in which ruling operations take part, is very important linking ring between principals and their subordinates. Operating acting of authorities differs from their activities in the sphere of getting any decisions. These two kinds of activities are essentially in intercommunication and depend on that information, which is worked out and transmitted inside the organization.

Besides, in the article is underlined, that the process of communication gives opportunities to the authorities effectively fulfill their work and accept optimum decisions in order to reach their aims. Communication in organizing context means interaction among people.

It is a process as well as an event. Communication in the organization includes the norms of relations among people, but as a process, communication reflects principles of mutual relationships among people and natural phenomena. Also, it is underlined that communication is the process of transmission of emotional and intellectual content.

**Key words:** Essence of Control, functions, strategic control, accounting and analysis of information.

# ადამიანური რესურსების მართვის თეორიული ასპექტები

ნანო ნინუა

კავკასიის საერთაშორისო  
უნივერსიტეტის დოქტორანტი

## რეზიუმე

ქვეყანაში განხორციელებული რადიკალური ეკონომიკური გარდაქმნები, სამეურნეო და სანარმოო საქმიანობის ყველა სფეროში მიმდინარე დინამიკური ინოვაციური პროცესები, ასევე საბაზრო კონკურენციის გამწვავება და ეკონომიკის გლობალიზაცია ადამიანური ფაქტორის აქტივიზაციის მსოფლიო გამოცდილება ორგანიზაციის ეფექტიანობისა და კონკურენტუნარიანობის მისაღწევად სამამულო მეცნიერების და მართვის პრაქტიკის დიდ ინტერესს იწვევს.

მე-20 საუკუნის საკადრო მენეჯმენტის განვითარების ევოლუციურ გზაზე ორი ძირითადი მიდგომა შეიძლება გამოვყოთ: 1. ტექნოკრატიული (რაციონალისტური); 2. სოციალური (ჰუმანისტური).

„ადამიანური რესურსების მართვის“ კონცეფცია (HR-human resource) თეორიული გაგებით, პირველ რიგში, ა. მასლოუს, ფ. ჰერცბერგის, დ. მაკგრეგორის და სხვათა სახელებთანაა დაკავშირებული და წარმოადგენს საზოგადოებაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური რევოლუციის შედეგს, რომელიც ტექნოლოგიური პროცესების გართულებას და წარმოების ინტელექტუალიზაციის ზრდას შეესაბამება.

ადამიანური კაპიტალის თეორიის საფუძვლები ჯერ კიდევ XVIII-XIX საუკუნეებში ინგლისური პოლიტიკური ეკონომიის კლასიკოსების შრომებში იყო ჩადებული. მეთოდოლოგიურ მიდგომას, რომლის მიხედვითაც სხვადასხვა ქვეყნებში განხორციელებული ცოდნა, უნარი და სიახლეები განიხილება როგორც კაპიტალის სპეციფიკური ფორმა, გასული საუკუნის წამყვანი ეკონომისტების უმრავლესობა აღიარებდა ა. მარშა-

ლიდან ლ. ვალრასსა და ი. შუმპეტერამდე.

თუმცა ადამიანური კაპიტალის თეორია ერთიან სისტემად მხოლოდ გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ეკონომიკური აზროვნების ჩიკაგოს სკოლის წარმომადგენელთა (ტ. შულცი, გ. ბეკერი, ჯ. მინცერი, ბ. ვეისბროდა და ე. დენისონი) შრომებში ჩამოყალიბდა. სოციალური კაპიტალის კონცეფციის სათავეებთან დგანან სოციოლოგები პ.ბურდე, დ. კოულმანი და რ. პატენმი.

მოყვანილია ცნობილი ინგლისელი სოციოლოგის რ. როუზის და ამერიკელი სოციოლოგის ფ.ფუკუიამის სოციალური კაპიტალის პოპულარული განსაზღვრებები.

ადამიანური რესურსების მართვის თეორიის წარმოშობასთან დაკავშირებით მეცნიერების აზრები იყოფა. მაგალითად, რ. შულერი აღნიშნავს, რომ ადამიანური რესურსების მართვის დისციპლინა გამოჩნდა 1970-იანი წლების ბოლოს. მ. არმსტრონგის აზრით, ადამიანური რესურსების მართვის კონცეფცია საბოლოოდ 1980-იანი წლების ბოლოს ჩამოყალიბდა. ისეთი ავტორები, როგორებიც არიან მ. არმსტრონგი და ჯ. კოული თვლიან, რომ ადამიანური რესურსების მართვა ახალ მეცნიერებას კი არა, არამედ პერსონალის მართვაში განვითარების ახალ ეტაპს წარმოადგენს.

**საკვაძო სიტყვები:** ადამიანური რესურსები, ადამიანური კაპიტალი, საკადრო მენეჯმენტი, პერსონალის მართვა, ტექნოკრატიული მიდგომა, სოციალური მიდგომა, სოციალური კაპიტალი.

## შესავალი

ნებისმიერი სოციალური მმართველობა არის ადამიანების მართვა, ამიტომაც ადამიანური რესურსების მართვა მჭიდროდაა დაკავშირებული მენეჯმენტის ისტორიასთან. თუმცა, მრავალი საუკუნის მანძილზე, თითქმის XX საუკუნის დასაწყისამდე, ადამიანური რესურსების მართვა, როგორც სპეციფიკური ფუნქცია, არ გამოყოფილა სოციალური მართვიდან. შრომას უპირატესად ინდივიდუალური ხასიათი ჰქონდა და წა-

რმოებრივი საქმიანობის მთავარ რგოლად გამოდიოდა ოჯახი, რომლის მეთაური ახორციელებდა როგორც მმართველობით, ასევე წარმოებრივ ფუნქციებს.

ადამიანური რესურსების მართვა როგორც სპეციალიზებული ფუნქცია ორგანიზაციებში ოფიციალურად ჩამოყალიბდა დაახლოებით 1900 წელს. ამ დრომდე დასაქმების, განთავისუფლების, პროფესიული მომზადებისა და სახელფასო საკითხების რეგულირების საკითხებთან დაკავშირებით გადანყვეტილებების უმრავლესობას იღებდნენ ცალკეული მენეჯერები.

XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე მართვის თეორიასა და პრაქტიკაში მოხდა საკადრო მენეჯმენტის კონცეფციების ცვლილება, რომელიც განპირობებული იყო საზოგადოების ეკონომიკური, სოციალური, ტექნიკური განვითარებით.

საკადრო მენეჯმენტის როგორც პროფესიული საქმიანობის ჩამოყალიბებაში XX საუკუნის განმავლობაში საკმაოდ მკაფიოდ გამოიყოფა პერიოდები, რომლებიც დაკავშირებულია საკადრო მუშაობაში პრინციპულად ახალი იდეების, დოქტრინებისა და მიდგომების წამოყენებასთან.

## **ძირითადი ტექსტი**

ქვეყანაში განხორციელებული რადიკალური ეკონომიკური გარდაქმნები, სამეურნეო და საწარმოო საქმიანობის ყველა სფეროში მიმდინარე დინამიკური ინოვაციური პროცესები, ასევე საბაზრო კონკურენციის გამწვავება და ეკონომიკის გლობალიზაცია ადამიანური ფაქტორის აქტივიზაციის მსოფლიო გამოცდილება ორგანიზაციის ეფექტიანობისა და კონკურენტუნარიანობის მისაღწევად სამამულო მეცნიერების და მართვის პრაქტიკის დიდ ინტერესს იწვევს.

მე-20 საუკუნის საკადრო მენეჯმენტის ევოლუციურ გზაზე ორი ძირითადი მიდგომა შეიძლება გამოვყოთ:

1. **ტექნოკრატიული** (რაციონალისტური) - როცა ორგანიზაციის სტრატეგიული მიზნების მიღწევის უზრუნველყოფა ხდება პერსონალთან მუშაობის ფორმების დრეკადობით, მომუშავეთა შრომის ინტენსიფიკაციით.

2. **სოციალური (ჰუმანისტური)** - რომლის დროსაც ხდება ორგანიზაციის თანამშრომელთა აქტიური ჩართვა მისი ბიზნეს-სტრატეგიის რეალიზაციაში ისეთი ფაქტორების ხარჯზე, როგორცაა სანარმოო და საკადრო სტრატეგიის ინტეგრაცია, ეფექტური კორპორაციული კულტურა, მაღალი მოტივაცია და მოქნილი ხელმძღვანელობა.

ტექნოკრატიული მენეჯმენტის ეტაპი ხასიათდება კადრების მართვის რაციონალური პროცედურების და შრომის ანაზღაურების ტოლფასი სისტემის დანერგვით, გარე კონტროლის გაძლიერებით. ტექნოკრატიული მართვის რეალიზაციის კონკრეტული ინსტრუმენტები მეცნიერული მართვის სკოლის მიერ იქნა მოცემული, რომლის ფუძემდებელსაც ფ. ტეილორი წარმოადგენს. ტეილორის კონცეფცია თვლიდა, რომ შრომა - უპირველეს ყოვლისა, ინდივიდუალური საქმიანობაა, და ამიტომ კოლექტივის თანამშრომელზე ზემოქმედება დესტრუქციულ ხასიათს ატარებს და მუშის (მშრომელის) შრომას ნაკლებად მწარმოებლურს ხდის. მუშისგან არ მოითხოვებოდა არც მაღალი კვალიფიკაცია, არც ინიციატივის გამოვლენა, შემოქმედებითი უნარის გამოვლენა სამუშაო ადგილზე. სამუშაო ძალა განიხილებოდა ორგანიზაციული მიზნის მიღწევის საშუალებად, მანქანების, მონყობილობების, ნედლეულის მსგავსად. ამიტომ ამ ეტაპზე კადრების მართვის ისეთი სისტემა ყალიბდება, სადაც ადამიანის პიროვნების ნაცვლად მხოლოდ მისი ფუნქცია - შრომა განიხილება, რომელიც იზომება სამუშაო დროის დანახარჯით. კადრების სამსახური ძირითადად სააღრიცხვო-საკონტროლო და ადმინისტრაციულ-გამანაწილებელ ფუნქციას ასრულებდა.

1950-60 წლებიდან, როცა ტექნოკრატიული მიდგომა მართვაში თმობს თავის პოზიციებს, კადრების მართვის კონცეფციის შემცვლელად გამოდის პერსონალის მართვის ახალი კონცეფცია. ამ კონცეფციის სხვადასხვა თეორიული ასპექტები შემუშავებული იქნა მ. ვებერის, ე. მეიოს და სხვა მკვლევარების მიერ. პრაქტიკაში ეს მიდგომა ვლინდება შრომის გართულებასთან და წარმოების მძაფრ ტექნიკურ განვითარებასთან



ერთად. ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვამ ორგანიზაციის და შრომის მართვის კარდინალური გარდაქმნა მოითხოვა: რთულდება შრომითი მოტივაციის მექანიზმი შემოქმედებით უნარზე გადასვლასთან დაკავშირებით, კვალიფიკაციის ამაღლება; იქმნება უწყვეტი პროფესიული განათლების სისტემა; ვითარდება სოციალური პარტნიორობა, მაღლდება ორგანიზაციული კულტურის როლი; გადაიხედება დასაქმებულის პრინციპები, რომლის დროსაც აქცენტი კეთდება შრომითი საქმიანობის მოქნილ და ინდივიდუალურ ფორმებზე. ამ პირობებში პერსონალის მართვის სისტემა მმართველობითი პრობლემების ფართო წრეს მოიცავს: ახალი თანამშრომლების შერჩევა და პროფესიული ადაპტაცია, სოციალური პროგრამების შემუშავება, თანამშრომელთა ჩართვა წარმოების მართვაში, წარმოებითი და შემოქმედებითი შრომის სტიმულირების სისტემის შემუშავება. მოცემულ კონცეფციაში ადამიანი განიხილება არა როგორც უბრალო შრომითი ფუნქციის შემსრულებელი, არამედ როგორც ორგანიზაციის ელემენტი, შრომითი ურთიერთობის სუბიექტი. ამასთან ერთად, პერსონალის მართვის მიდგომის რეალიზაციისას საწარმოში თანამშრომლის პერსონიფიცირება მოხდა თავისი თანამდებობის (საშუალებით) მიხედვით, ხოლო მისი მართვა ხორციელდებოდა ძირითადად ადმინისტრაციული მექანიზმის საშუალებით (პრინციპები, მეთოდები, უფლებამოსილება, ფუნქციები).

კატეგორია „საწარმოს პერსონალი“ განსაზღვრავდა რაღაც, თუნდაც ფორმალურ, მაგრამ ყველა დაქირავებული თანამშრომლისათვის ერთიან სტატუსს, მიუხედავად სამსახურეობრივი იერარქიის დონეზე მათი მდგომარეობისა. საწარმოო და მმართველობითი პროცესების რაციონალიზაციამ თავისი ასახვა ჰპოვა შრომის ფუნქციონალური დანაწილების განმტკიცებაში, მართვის ორგანიზაციული სტრუქტურების სრულყოფაში, ხელმძღვანელობისა და მისადმი დაქვემდებარებული თანამშრომლების საქმიანობის უფრო მკაფიო რეგლამენტაციაში. ამავე დროს პირადი ინიციატივა, კოლექტიური თვითმმართველობა, თანამშრომელთა ინიციატიური აქტიურო-

ბა ჯერ კიდევ არ განიხილებოდა პერსონალის მართვის სისტემის საბაზისო ელემენტად. ეფექტური მართვა უკავშირდებოდა პირველ რიგში ორგანიზაციის სტრუქტურის რაციონალური რეგლამენტირების სურვილს, მიეღნია მისი საქმიანობის გრძელვადიანი სტაბილურობისა და მდგრადობისათვის.

„ადამიანური რესურსების მართვის“ კონცეფცია (HR-human resource) თეორიული გაგებით, პირველ რიგში, ა. მასლოუს, ფ. ჰერცბერგის, დ. მაკგრეგორის და სხვათა სახელებთანაა დაკავშირებული და წარმოადგენს საზოგადოებაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური რევოლუციის შედეგს, რომელიც ტექნოლოგიური პროცესების გართულებას და წარმოების ინტელექტუალიზაციის ზრდას შეესაბამება.

1970-იანი წლების ეკონომიკური კრიზისის შემდეგ აშშ-ის, დასავლეთ ევროპის და იაპონიის საწარმოებში მართვის ბიუროკრატიულ სისტემასა და დაჩქარებულ სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს შორის წინააღმდეგობები გამწვავდა. ამ პერიოდში გააქტიურდა ტრადიციული ტექნოკრატიული მართვის ძირითადი პრინციპების გადახედვა, რომელიც 1980 წ. ადამიანური რესურსების მართვის მეცნიერული კონცეფციის (Human Resource Management) ფორმირებით დამთავრდა, პერსონალის მართვაში ტექნოკრატიული მიდგომა ჰუმანისტურით შეიცვალა. ასეთი მიდგომისას ადამიანური რესურსების მართვის ფუნქციის როლმა ადმინისტრირების სფეროდან და საბაზისო სოციალური უზრუნველყოფიდან სტრატეგიისა და კორპორაციული პოლიტიკის სფეროში გადაინაცვლა.

ადამიანური რესურსების მართვის კონცეფციის გამოვლენა, რომელმაც მენეჯმენტის პრაქტიკა პროგრესული მეთოდებით, რთულ ინოვაციურ გარემოში ადამიანების მართვის ტექნოლოგიებით, გაამდიდრა, 1970-80 წლების შემდეგი ტენდენციებით იყო გამოწვეული:

- 1) წარმოების მასიური ხასიათიდან კლიენტზე ორიენტირებულ, ინდივიდუალურ წარმოებაზე გადასვლა;
- 2) მსოფლიო გლობალიზაციით და ტრანსნაციონალური კორპორაციების გავრცელებით;

3) შიდა და საერთაშორისო ბაზრებზე კონკურენციის ზრდით:

4) კორპორაციული (ორგანიზაციული) კულტურის ცნების, როგორც წარმოების მართვის მექანიზმის წარმოშობა;

ტექნოკრატიული (რაციონალური) მიდგომიდან სოციალურ (ჰუმანისტურ) მიდგომაზე გადასვლა, სადაც ორგანიზაციის პერსონალი განიხილება როგორც ადამიანური რესურსი, გულისხმობს:

- პირველ რიგში, მის პერსონალიზაციას და ყველა თანამშრომლისადმი ინდივიდუალურ მიდგომას ფირმისა და თანამშრომელთა ინტერესების შეთანხმების ფარგლებში;

- მეორეს მხრივ, ასეთი მიდგომა კვალიფიციური და მაღალკვალიფიციური პერსონალის დეფიციტს აღიარებს, რაც იწვევს ცოდნის, სიახლის, უნარებისათვის კონკრეტულ ბრძოლას შრომის ბაზარზე;

- მესამე, ადამიანური რესურსების მართვაზე გადასვლა გულისხმობს პერსონალის როგორც „უფასო კაპიტალზე“ შეხედულებზე უარის თქმას, რაც არ მოითხოვს არც ფინანსურ, არც შრომით, არც ორგანიზაციულ, არც დროით და სხვა დანახარჯებს დამსაქმებელთა მხრიდან.

ადამიანური რესურსების მართვის თეორიაში ძირითადს წარმოადგენს „ადამიანური რესურსების“ (ფრანგ.ressorce - რეზერვი, მარაგები) ცნება, რომელიც არ არის ახალი ცნება და ძირითადად ორ კონტექსტში გამოიყენება - ეკონომიკური და სოციოლოგიური. ეკონომიკურ კონტექსტში ადამიანური რესურსები წარმოადგენენ წარმოების სამი შემადგენელი ფაქტორიდან ერთ-ერთს, შრომას. სოციოლოგიურ კონტექსტში, ადამიანური რესურსები შეიძლება გასაზღვრულნი იყვნენ როგორც ორგანიზაციის შრომითი ფუნქციების განმახორციელებელი ინდივიდის ან ინდივიდთა ჯგუფის შესაძლებლობები, რომელთაც მისთვის გარკვეული ფასეულობა გააჩნიათ[1].

ადამიანური კაპიტალის თეორიის საფუძვლები ჯერ კიდევ XVIII-XIX საუკუნეებში ინგლისური პოლიტიკური ეკონომიის კლასიკოსების შრომებში იყო ჩადებული. ასე, მაგალითად, ა.

სმიტი ადამიანის სასარგებლო უნარებს განსაზღვრავდა როგორც „ძირითად კაპიტალს, რომლის რეალიზება ხდება მის პიროვნებაში“, და რომლის მოპოვება შესაბამის დანახარჯებს მოითხოვს.[2]

მეთოდოლოგიურ მიდგომას, რომლის მიხედვითაც სხვადასხვა ქვეყნებში განხორციელებული ცოდნა, უნარი და სიახლეები განიხილება როგორც კაპიტალის სპეციფიკური ფორმა, გასული საუკუნის წამყვანი ეკონომისტების უმრავლესობა აღიარებდა ა. მარშალიდან ლ. ვალრასსა და ი. შუმპეტერამდე.

თუმცა ადამიანური კაპიტალის თეორია ერთიან სისტემად მხოლოდ გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ეკონომიკური აზროვნების ჩიკაგოს სკოლის წარმომადგენელთა (ტ. შულცი, გ. ბეკერი, ჯ. მინცერი, ბ. ვეისბროდა და ე. დენისონი)[3] შრომებში ჩამოყალიბდა. ადამიანური კაპიტალის თეორეტიკოსებმა ყურადღება გაამახვილეს ადამიანში დაბანდებულ განსაზღვრული ტიპის კავშირებზე, უპირველეს ყოვლისა განათლების დანახარჯებზე, მისი მომავალი შემოსავლებით და ეკონომიკური ზრდით, გამოყვეს და ყოველმხრივ გამოიკვლიეს ადამიანის განვითარებაზე განეული დანახარჯების ინვესტიციური ასპექტები.

თუმცა ადამიანური კაპიტალის თეორიის პოზიციიდან მიდგომა სრულად არ მოიცავს ადამიანური რესურსების კვლავწარმოების პრობლემატიკას. ეს დაკავშირებულია როგორც კვლევის საგანთან, ისე მეთოდოლოგიის თავისებურებებთან.

პირველ რიგში, ამ თეორიის ფარგლებში მხოლოდ ადამიანის საწარმოო უნარებს იკვლევენ, ადამიანური კაპიტალის ღირებულებითი ფორმის უკან დგას არა საზოგადოების ან ორგანიზაციის ადამიანური კაპიტალი, არამედ მხოლოდ შრომითი პოტენციალი. ამით განხილვიდან ამოვარდება მოთხოვნილების სტრუქტურისა და დინამიკის საზოგადოებრივი წარმოების განვითარებაზე ზემოქმედების არსებითი აღდგენითი ასპექტი.

მეორე, კაპიტალი-არის ცნება, პოლიტეკონომიკურ წარმოდგენებში ურთიერთობის ღირებულებით ფორმასთან დაკავშირებული. ამავდროულად, არსებობს არასაბაზრო წარმოება

(ოჯახური, ტრადიციული სექტორი), სექტორი, სადაც არ ხდება სამუშაო ძალის დაქირავება (თვითდასაქმება), სექტორები, სადაც შესუსტებულია საბაზრო ურთიერთობები (არაკომერციული, სახელმწიფო). ამ სექტორების განვითარება უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე განპირობებულია საქმიანობის „ობიექტურად არასაბაზრო“ სფეროების გაფართოებით პოსტინდუსტრიული საზოგადოების პირობებში.[4]

ადამიანური ფაქტორის ზრდის კვლევის და შეფასების კიდევ ერთ ახალ მიმართულებას წარმოადგენს ცნება „სოციალური კაპიტალი“.

პირდაპირ უნდა აღინიშნოს რომ სოციალური კაპიტალის ერთიანი ზოგადად აღიარებული განსაზღვრება დღემდე არ არსებობს. მხოლოდ გამოყოფილია მისი ძირითადი ელემენტები, რომლებსაც მიეკუთვნება ისეთი ტევადი და მრავალ მხრივი ჯგუფური მახასიათებლები, როგორცაა ნდობა, ფასეული ღირებულებითი დადგენილებები და სოციალური კავშირების კვეთა (თანამედროვე ტერმინოლოგიით, სოციალური ქსელები). ეს ელემენტებიც კი სოციალური კაპიტალის ცნობილი თეორეტიკოსების კონცეფციებში არსებობს შერჩევით.

სოციალური კაპიტალის კონცეფციის სათავეებთან დგანან სოციოლოგები პ.ბურდე, დ. კოულმანი და რ. პატნემი. პ. ბურდე სოციალურ კაპიტალს განსაზღვრავს, როგორც არსებული და პოტენციური რესურსების ერთობლიობას, დაკავშირებულს ურთიერთნაცნობობისა და აღიარების ურთიერთობის მდგრად ქსელთან, დაფუძნებულს ნდობაზე. რ. პატნემის განმარტებაში სოციალური კაპიტალი მიეკუთვნება „სოციალური ორგანიზაციის მახასიათებლებს, კერძოდ, სოციალურ კავშირებს, ნორმებს და ნდობას, რომლებიც ხელს უწყობენ კოორდინაციას და თანამშრომლობას ურთიერთსარგებლიანობისათვის“[5].

ინგლისელი სოციოლოგის რ. როუზის აზრით „სოციალური კაპიტალი ინსტრუმენტულად შეიძლება განისაზღვროს როგორც სოციალური ქსელების მარაგი საზოგადოებაში, რომელიც გამოიყენება საქონლისა და მომსახურების წარმოებაში“[6]. სხვა მკვლევარები ყურადღებას ამახვილებენ, უპირველეს ყო-

ვლისა, ნორმატიულ მითითებებსა და ფასეულობებზე. ამერიკელი სოციოლოგის ფ. ფუკუიამის პოპულარული განსაზღვრების თანახმად სოციალური კაპიტალი არის „არაფორმალური ფასეულობების და ნორმების ნაკრები, რომლებიც ჯგუფის წევრებს შორის ნაწილდება და შესაძლებელს ხდის ამ ჯგუფის შიგნით თანამშრომლობას“ [7].

სოციალური კაპიტალის კონცეფციის სისუსტე (როგორც ზევით განხილული ადამიანური კაპიტალის კონცეფცია) იმაში მდგომარეობს, რომ კაპიტალი წარმოადგენს ცნებას, რომელიც დაკავშირებულია საბაზრო სისტემისათვის დამახასიათებელი ღირებულებითი ფორმის ცვლილებასთან. ამიტომ ნებისმიერი მისი კონცეფცია აბსტრაგირებას განიცდის ადამიანური ურთიერთობის მომენტიდან, რომელიც ბაზრის ფარგლებს სცილდება. თუ ჩვენ საზოგადოების ან ორგანიზაციის სოციალურ რესურსს დავახასიათებთ როგორც კაპიტალს, მაშინ ჩვენ მას „მოვამწყვედევთ“ საბაზრო ურთიერთობის არეში და მხედველობიდან ვუშვებთ იმ გარემოებას, რომ მოცემული რესურსის ეკონომიკური მნიშვნელობა ამ ჩარჩოებს სცდება.

ამ გაგებით ცნება „ადამიანური რესურსები“ აფიქსირებს სპეციფიკურ ნიშნებს, რომლებიც უშუალოდ ადამიანის ბუნებიდან გამომდინარეობს და გამოარჩევს მათ რესურსის ყველა სხვა სახისაგან.

ეს ნიშნები გამოხატულია ადამიანური რესურსების არსებითი და სტრუქტურული თავისებურებების კომპლექსში. არსებითი თავისებურებები დაკავშირებულია ადამიანის როგორც ფსიქიკისა და ცნობიერების სიმბიოზის უნიკალური მფლობელის მახასიათებელთან, ახდენს რა მათ რეალიზებას, ის ახდენს განსაკუთრებულ გავლენას საზოგადოებრივი კვლავწარმოებისა და პროცესისა და მთლიან განვითარებაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მატერიალური, ფინანსური, ინფორმაციული და სხვა სახის რესურსებისაგან განსხვავებით ადამიანებს ახასიათებთ ემოციები და ინტელექტი; შეუძლიათ მუდმივი განვითარება და დამოუკიდებელი სრულყოფა; განახორციელოს მიზანმიმართული საქმიანობა.

ადამიანური რესურსების სტრუქტურული თავისებურებები იმაში მდგომარეობს, რომ მათ სტრუქტურაში გამოიყოფა ორი ურთიერთდაკავშირებული შემადგენელი - გენეტიკური და სოციალური, რომელთა სპეციფიკა აუცილებლად გასათვალისწინებელია მართვის მეცნიერებასა და პრაქტიკაში.

ადამიანური რესურსების მართვის თეორია ზოგიერთი მეცნიერის აზრით წარმოიშვა 1970-იანი წლების ბოლოს, ხოლო სხვათა აზრით - 1980-იანი წლების შუადან.

მაგალითად, რ. შულერი აღნიშნავს, რომ ადამიანური რესურსების მართვის დისციპლინა გამოჩნდა 1970-იანი წლების ბოლოს და ეყრდნობოდა იმ სპეციალისტთა მეთოდოლოგიურ პრინციპებს, რომლებიც დაკავებული იყვნენ პიროვნების ფსიქოლოგიით, ორგანიზაციულ და ინდუსტრიულ ფსიქოლოგიას.

მ. არმსტრონგის აზრით, ადამიანური რესურსების მართვის კონცეფცია საბოლოოდ 1980-იანი წლების ბოლოს ჩამოყალიბდა და მისი წარმოშობა დაკავშირებულია იმ წლებში წარმოშობილ ორგანიზაციული და კორპორაციული კულტურის ცნებით ხელმძღვანელობის დაინტერესებასთან, რომელიც ორგანიზაციის თანამშრომელთა ქცევის რეგულატორს წარმოადგენს და ხელს უწყობს ორგანიზაციის მიზნებისადმი თანამშრომელთა ერთგულების წარმოშობას.

„ადამიანური რესურსების“ შემოღება ასახავს თანამედროვე წარმოდგენას იმაზე, რომ თანამშრომელთა პროფესიული ცოდნა, გამოცდილება, შემოქმედებითი და სამენარმიეო უნარი, ეკონომიკური რესურსების სხვა სახეებთან ერთად უზრუნველყოფს ორგანიზაციას კონკურენტული უპირატესობით.

ისეთი ავტორები, როგორებიც არიან მ. არმსტრონგი და ჯ. კოული თვლიან, რომ ადამიანური რესურსების მართვა ახალ მეცნიერებას კი არა, არამედ პერსონალის მართვაში განვითარების ახალ ეტაპს წარმოადგენს. მ. არმსტრონგი წერს: „პერსონალის მართვა ვითარდებოდა, დამატებითი იდეების შესრუტვით, იმისათვის რომ უფრო გამდიდრებულიყო გამოცდილება, და ადამიანური რესურსების მართვა წარმოადგენს არა რევოლუციას, არამედ მისი მრავალმხრივი როლის კიდევ

ერთ საზომს. ჯ. კოული საუბრობს რა, ადამიანების მართვაზე, იყენებს ტერმინს „პერსონალის და ადამიანური რესურსების მართვას“, ასეთი სახით აჩვენებს, ორივე კონცეფციის ტოლმნიშვნელოვნებას“.

### დასკვნა

დღეს, ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში, ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს ორგანიზაციის შიდა რესურსების მობილიზაცია, ინოვაციური პროცესების განვითარება, ადამიანური რესურსების მართვის ახალი სოციალური ტექნოლოგიების შექმნა და დანერგვა, რომელიც მიმართული იქნება მინიმალური მატერიალური დანახარჯებით შესაძლო მაქსიმალური ეფექტის მიღწევისაკენ.

ადამიანური რესურსების მართვის ინოვაციური ტექნოლოგიების პრაქტიკული გამოყენების შედეგები, მიკრორევიოლუცია საკადრო მენეჯმენტში უკანასკნელ წლებში თითქმის ყველა ქვეყანაში სწრაფად ვითარდება და ეს მიკრორევიოლუცია ახალ მოთხოვნებს უყენებს კომპანიათა ადამიანური რესურსების მართვის სისტემების ინოვაციურ განახლებას.

### ლიტერატურა

1. См.: Статья «Человеческие ресурсы» Интернет-энциклопедия «Википедия» [Электронный ресурс] доступен на: [http://en.wikipedia.org/wiki/Factors\\_of\\_production](http://en.wikipedia.org/wiki/Factors_of_production)

2.См.: Смит А. Исследование о природе и причинах богатства народов. - М.: Соцэкгиз, 1962. - С. 208.

3.Первая публикация сторонников теории человеческого капитала - The Journal of Political Economy. 1962. Vol. 70, № 5, Pt 2: Investment in Human Beings.

4.См.: Bell D. The Coming of Post-Industrial Society. A Venture in Social Forecasting. N.Y., Basic Books, Inc., 1973.

5.Putnam R. The Prosperous Community. Social Capital and Public Life // The American Prospect. 1993. Vol. 4, № 13. P. 1.

6.Rose R. How Much Does Social Capital Add to Individual Health?



A Survey Study of Russians // Social Science and Medicine. 2000. Vol. 51. P. 1422-1423.

7. Fukuyama F. The Great Disruption: Human Nature and Reconstitution of Social Order. N.Y.: Free press, 1999. P. 30.

8. ადამიანური რესურსების მენეჯმენტი: [სახელმძღვ. უმაღლესი სტუდენტებისათვის] / ნ. პაიჭაძე, ე. ჩოხელი, ნ. ფარესაშვილი; [რედ.: ნ. პაიჭაძე]. - თბ.: გამ-ბა "სიტყვა", 2011.

9. გიორგი გოროშიძე "ადამიანური რესურსების მართვის ეფექტიანი მოდელის ფორმირება"

**REFERENCES:**

1. See Article.: "Human Resources" online encyclopedia "Wikipedia" [Electronic resource] available on: [http://en.wikipedia.org/wiki/Factors\\_of\\_production](http://en.wikipedia.org/wiki/Factors_of_production).

2. See.: Smith, A. The Wealth of Nations. - M.: Sotsekgiz, 1962. - S. 208.

3. The first publication of the supporters of the human capital theory- The Journal of Political Economy. 1962. Vol. 70, № 5, Pt 2: Investment in Human Beings.

4. SEE: Bell D. The Coming of Post-Industrial Society. A Venture in Social Forecasting. N.Y., Basic Books, Inc., 1973.

5. Putnam R. The Prosperous Community. Social Capital and Public Life // The American Prospect. 1993. Vol. 4, № 13. P. 1.

6. Rose R. How Much Does Social Capital Add to Individual Health? A Survey Study of Russians // Social Science and Medicine. 2000. Vol. 51. P. 1422-1423.

7. Fukuyama F. The Great Disruption: Human Nature and Reconstitution of Social Order. N.Y.: Free press, 1999. P. 30.

8. Human Resource Management: [guiding and. Supreme. Academic. Students] / N.

Paichadze, e. Chokheli, n. Paresashvili; [Ed.: N. Paichadze]. - Tb.: Ex-Ba "word", 2011

9. George goroshidze: "Human resource development model".

## **THEORETICAL ASPECTS OF HUMAN RESOURCE MANAGEMENT**

**Nano Ninua**, Caucasus International University  
PhD Student of Business Administration

### **RESUME**

Ongoing radical economic transformation, dynamic innovation processes in all areas of economic and industrial activity, as well as the aggravation of market competition and globalization of the economy cause a deep interest in the national science and management practices to the world experience intensification of the human factor to achieve the efficiency and competitiveness of organizations.

In the evolutionary path of development of personnel management of the XX century there are two basic approaches: 1. tehnokratichesky (rationalist); 2. The social (humanistic).

The emergence of "human resources management" concept (HR - human resource) theoretically due, primarily, with the names of Maslow and F. Herzberg, D. McGregor and others, and is a consequence of the ongoing social scientific and technological revolution, the corresponding complexity technological processes and production growth intellectualization.

Fundamentals of human capital theory were laid in the works of the classics of English political economy in the XVIII- XIX centuries.. The methodological approach, according to which the knowledge, skills and innovations are considered as a specific form of capital shared by the majority of leading economists of the last century before A.Marshall L.Walras and Schumpeter.

However, as an integrated system of human capital theory consists only in the 60s of the last century in the work of representatives of the Chicago school of economics (T. Schultz, H. Becker, G.. Mintzer, B. Weisbrod and E. Denison). At the root of the concept of social capital are sociologists Bourdieu, D. Coleman and R. Putnam.

Delivered definitions of social capital of the English sociologist are related to R. Rose and American sociologist Francis Fukuyama.

Opinions of the science are divided according to the origin of Human Resources Management theory. For example, R. Schuler notes that the human resource management discipline emerged in the late 1970s. According to M. Armstrong, human resources management concept is fully developed in the mid-1980s. Authors such as M. Armstrong and John. Cole believe that human resource management is not a new science and is a new stage of development in human resource management.

**Key words:** Human resources, human capital, human resources management, personnel management, technocratic approach, social approach, social capital.

## სარეიტინგო კომპანიები და რეიტინგული შეფასების მეთოდები

ნინო ხიდირბეგიშვილი  
სტუ დოქტორანტი

რატი ბურდიაშვილი  
მეცნ. ხელმძღვანელი, სტუ პროფესორი

### რეზიუმე

აშშ-ს ფასიანი ქაღალდების კომისიის (SEC) მიერ სარეიტინგო სააგენტოებისთვის მინიჭებულია „ეროვნულად აღიარებული სტატისტიკური სარეიტინგო ორგანიზაციის“ სტატუსი. სიაში პირველ რიგში შეტანილი იქნა სამი უმსხვილესი სარეიტინგო სააგენტო.

**Standard&Poor's.** განსაზღვრავს ეროვნული სახელმწიფოს საერთო კრედიტუნარიანობის, როგორც რაოდენობრივ შეფასებას ასევე ხარისხობრივ შეფასებას. **Moody's Investors Services.** ძირითადი ფაქტორები, რომლებსაც იკვლევენ აღნიშნული სააგენტოს ანალიტიკოსები სტანდარტულია ანუ თანხვედრაშია იმ ძირითად ინდიკატორებთან, რომლებსაც იყენებენ სხვა სარეიტინგო სააგენტოების ექსპერტები. ასევე **Moody's Investors Services-ის** იყენებს თითქმის იგივე მახასიათებლებს (მაჩვენებლის შინაარსი და/ან მისი ზღვრული (ოპტიმალური) მნიშვნელობა), რომლებსაც აქვთ ისეთივე გავლენა ქვეყნის რისკის დონეზე. **Fitch IBCA.** **Fitch IBCA-ს** ექსპერტების ქვეყნის რისკის დონის შეფასების მეთოდოლოგია ეფუძნება ფარდობითი მაჩვენებლების დინამიკის ანალიზს.

**საკვანძო სიტყვები:** სარეიტინგო სააგენტო, რეიტინგი, კრედიტუნარიანობა, რისკები, Standard&Poor's, Moody's Investors Services, Fitch IBCA.

## **შესავალი**

ფულადი სახსრების ეფექტურ განაწილებასა და გადანაწილებისათვის, ეკონომიკაში პირდაპირი და პორტფელური ინვეტიციების განსახორციელებლად ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში წარმოიშვა ისეთი სპეციალური დანესებულებების შექმნის საჭიროება, რომლებიც უზრუნველყოფდნენ აღნიშნული პროცესების მონაწილეებისათვის ინფორმაციის მიწოდებას. როგორც წესი, ევროპელი ინვესტორები ინფორმაციის მოსაპოვებლად მიმართავდნენ პრესას და შედეგად ღებულობდნენ პოსტფაქტუმ ინფორმაციას, ანუ ინფორმაციას მომხდარი მოვლენების შესახებ (ორგანიზაციების გაკოტრება, თაღლითობა და ასე შემდეგ).

რეიტინგული სააგენტოების (როგორც ერთ-ერთი ინსტიტუტის) წარმოშობამ, გადანყვიტა ბაზარზე საინფორმაციო ასიმეტრიის პრობლემა. პირველი რეიტინგული სააგენტო შეიქმნა ევროპელი ინვესტორებისათვის ამერიკული კომპანიების საქმიანობის შესახებ გამჭვირვალობის ასამაღლებლად. ფინანსური ბაზრების განვითარების პერიოდში, მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს და მეოცე საუკუნის დასაწყისში სარეიტინგო სააგენტოების მომსახურებაზე მოთხოვნა მკვეთრად გაიზარდა, მაგრამ მეოცე საუკუნის მეორე ნახევრამდე აღნიშნულებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მხოლოდ აშშ-ში.

## **ქირითაღი ტექსტი**

1975 წელს აშშ-ს ფასიანი ქაღალდების კომისიამ (SEC) ზოგიერთ სარეიტინგო სააგენტოს მიანიჭა „ეროვნულად აღიარებული სტატისტიკური სარეიტინგო ორგანიზაციის“ სტატუსი. სიაში პირველ რიგში შეტანილი იქნა სამი უმსხვილესი სარეიტინგო სააგენტო.

**Standard&Poor's.** განსაზღვრავს ეროვნული სახელმწიფოს საერთო კრედიტუნარიანობის, როგორც რაოდენობრივ შეფასებას ასევე ხარისხობრივ შეფასებას. ანალიზის რაოდენობრივი ასპექტები მოიცავენ ეკონომიკური საქმიანობის მაჩვენებლებს, მაშინ როდესაც მონაცემების ანალიზი მათ ერთობლიობა-

ში წარმოადგენს ხარისხობრივი შეფასების საგანს. ანალიზის ხარისხობრივი მახასიათებლები განპირობებულია არიან პოლიტიკური და სტრატეგიული მოვლენების მნიშვნელოვნებით და ასევე იმ ფაქტორით, რომ Standard&Poor's-ის რეიტინგების მეშვეობით შესაძლებელია მივიღოთ წარმოდგენა სახელმწიფო-ებრივი ვალის მომსახურების სამომავლო პოტენციალზე.

საკრედიტო რეიტინგები ასახავენ Standard&Poor's-ის საკრედიტო რეიტინგების სამსახურის აზრს სუვერენული სახელმწიფოების მიერ საკუთარი ვალდებულებების დროულად და სრული მოცულობით შესრულების მზაობისა და უნარის შესახებ. Standard&Poor's-ი განსაზღვრავს დაახლოებით 113 ქვეყნის სუვერენულ რეიტინგს.

სტრუქტურა, რომლის ჩარჩოშიც მიმდინარეობს ეროვნული მთავრობების ანალიზი შედგება ცხრა კატეგორიიდან. სარეიტინგო კომიტეტის მუშაობის პროცესში ყოველი ეროვნული მთავრობის შეფასება მიმდინარეობს ერთიდან (ყველაზე მაღალი შედეგი) ექვს ქულამდე ანალიზის ყოველი ცხრა კატეგორიის მიხედვით. ამასთანავე არ არსებობს რეიტინგების განსაზღვრისათვის ქულების ამგვარად დაწერის აგრეგირების ზუსტი ფორმულა. ანალიტიკური ცვლადები ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული, ხოლო ხვედრითი წონები კი არ არის ფიქსირებული არც ეროვნული მთავრობების მიხედვით და არც დროითი ინტერვალების მიხედვით. კატეგორიების უმრავლესობა ითვალისწინებს ეკონომიკურს და პოლიტიკურ რისკებს, როგორც საკრედიტო რისკის განმსაზღვრელ ძირითად ფაქტორებს. ეკონომიკური რისკი გამოხატავს მთავრობის მიერ საკუთარი სავალ ვალდებულებების დროულად შესრულების უნარს. ამგვარი რისკი ფუნქციონალურ დამოკიდებულებაშია, როგორც რაოდენობრივ, ასევე ხარისხობრივ ფაქტორებთან. პოლიტიკური რისკი კი ასახავს ეროვნული მთავრობის ვალდებულებების შესრულების მზაობას.

**პოლიტიკური რისკი:**

- პოლიტიკური ინსტიტუტების სტაბილურობა და ლეგიტიმურობა;

- საზოგადოების მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესებში;
- ქვეყნის ხელმძღვანელობაში პოლიტიკური მემკვიდრეობის პასუხისმგებლობა;
- ეკონომიკური პოლიტიკის, მისი გადაწყვეტილებებისა და მიზნების გამჭვირვალობა;
- საზოგადოებრივი უსაფრთხოება;
- გეოპოლიტიკური რისკი.

**ეკონომიკის შემოსავალი და სტრუქტურა:**

- დივერსიფიკაციისა და საბაზრო ორიენტაციის ხარისხის განვითარების დონე;
- ეკონომიკური უთანასწორობა;
- ფინანსური სექტორის ეფექტიანობა; კრედიტებით უზრუნველყოფის უნარი;
- კონკურენტუნარიანობა და არაფინანსური კერძო სექტორის რენტაბელობა;
- სახელმწიფოებრივი სექტორის ეფექტიანობა;
- პროტექციონიზმი და სხვა არასაბაზრო ფაქტორები;
- შრომითი ბაზრის მოქნილობა.

**ეკონომიკური ზრდის პერსპექტივები:**

- დანაზოგები და ინვესტიციები;
- ეკონომიკური ზრდის ხარისხი და მოდელი.

**ფინანსური მოქნილობა:**

- სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები და ხარჯები, პროფიციტის ან დეფიციტის ტენდენციები;
- შემოსავლების ეფექტიანობისა და მოქნილობის ამაღლება;
- ხარჯების ეფექტიანობა;
- ანგარიშგების დროულობა, მოცულობა და გამჭვირვალობა;
- საპენსიო ვალდებულებები.

**სახელმწიფოს სავალ ვალდებულებები:**

- სახელმწიფოს ვალდებულებები (ბრუტო და ნეტო), როგორც მშპ-ს პროცენტი;
- ვალდებულებების მომსახურება (შემოსავლების წილი);
- ვალდებულებების სტრუქტურა (ვალუტისა და დაფარვის ვადების მიხედვით);

- კაპიტალის ეროვნული ბაზრის მოცულობა.

**ოფშორული და პირობითი ვალდებულებები:**

- საზოგადოებრივი სექტორის არაფინანსური სანარმოების სიდიდე და მდგომარეობა;

- ფინანსური სექტორის მდგრადობა.

**მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობა:**

- ეკონომიკურ ციკლებზე დამოკიდებული საფასო პოლიტიკა;

- ფულად-საკრედიტო პოლიტიკა;

- სავალუტო რეჟიმი და მონეტარული პოლიტიკის მიზნები;

- ინსტიტუციონალური ფაქტორები, კერძოდ ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობა;

- მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების სტრუქტურა და ეფექტიანობა.

**საგარეო ლიკვიდურობის მაჩვენებლები:**

- საგარეო ანგარიშებზე ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის გავლენა;

- მიმდინარე ოპერაციების ანგარიშების სტრუქტურა;

- რეზერვების ადექვატურობა.

**საგარეო ვალები:**

- საგარეო ვალდებულებები (ბრუტო და ნეტო), დეპოზიტებისა და სტრუქტურირებული ვალების ჩათვლით;

- ვალდებულებების დაფარვის სტრუქტურა, ვალუტის მიხედვით ვალის სტრუქტურა, საპროცენტო განაკვეთში ცვლილებებისადმი მგრძობიარობა;

- ვალების მომსახურება.

Standard&Poor's-ის გრძელვადიანი რეიტინგები აფასებენ ემიტენტის მიერ საკუთარი ვალდებულებების დროულად შესრულების უნარს. აღნიშნული რეიტინგები ვარირებენ უმაღლესი AAA კატეგორიიდან ყველაზე დაბალ D კატეგორიამდე. რეიტინგებში AA-დან CCC-მდე ინტერვალში შესაძლებელია დამატებული იქნას პლიუს (+) და მინუს (-) მნიშვნელობები, რომლებიც ძირითადი კატეგორიების მიმართ აღნიშნავენ გარდამავალ სარეიტინგო კატეგორიას. AAA, AA, A და BBB კატე-



გორიები წარმოადგენენ საინვესტიციო კლასის რეიტინგებს. BB, B, CCC, CC და C სარეიტინგო კატეგორიები მნიშვნელოვანი სპეკულაციური მახასიათებლების მატარებლები არიან.

განასაზღვრული მნიშვნელობა გააჩნიათ სარეიტინგო პროგნოზებსაც, ანუ კონკრეტული რეიტინგის დინამიკის შეფასება მომავალში. არსებობს საშუალო და გრძელვადიანი პროგნოზული შეფასებები. აღნიშნულები ასახავენ ცვლილებების პოტენციურ მიმართულებას, მაგრამ არ წარმოადგენენ მის ვალდებულო პირობას. მაგალითად **Standard&Poor's**-ი აფასებს რეიტინგის დინამიკის ტენდენციას, რომელიც წარმოაჩენს მის შესაძლებელ მიმართულებას ორი-სამი წლის განმავლობაში, ოთხი კატეგორიის მიხედვით: 1. „პოზიტიური“ - შესაძლებელია რეიტინგის აწევა; 2. „ნეგატიური“ - შესაძლებელია რეიტინგის დაწევა; 3. „სტაბილური“ - ცვლილების ალბათობა დაბალია; 4. „განვითარებადი“ - შესაძლებელია რეიტინგის აწევა და დაწევა.

**Moody's Investors Services.** ძირითადი ფაქტორები, რომლებსაც იკვლევენ აღნიშნული სააგენტოს ანალიტიკოსები სტანდარტულია ანუ თანხვედრაშია იმ ძირითად ინდიკატორებთან, რომლებსაც იყენებენ სხვა სარეიტინგო სააგენტოების ექსპერტები. ასევე **Moody's Investors Services-ის** იყენებს თითქმის იგივე მახასიათებლებს (მაჩვენებლის შინაარსი და/ან მისი ზღვრული (ოპტიმალური) მნიშვნელობა), რომლებსაც აქვთ ისეთივე გავლენა ქვეყნის რისკის დონეზე.

ქვეყნის რისკის დონის რაოდენობრივი ანალიზი **Moody's Investors Services-ის** ექსპერტები წარმართავენ ექვსი ცალკეული ფაქტორის მნიშვნელობების განსაზღვრის გზით, რომლებიც ახასიათებენ ქვეყნის შესაძლებლობას სრული მოცულობითა და ვადებში შესრულებული იქნას მათი ვალდებულებები.

**1. ლიკვიდურობა.** ახასიათებს ვალის მომსახურების მიმდინარე უნარს:

- რეზერვების სიდიდეს პროცენტებში საგადამხდელი ბალანსის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტთან მიმართებაში;
- რეზერვების სიდიდე (დინამიკაში) დეფიციტის დაფარვისათვის იმპორტის მიხედვით.

**2. ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობა.** ფაქტორი, რომელიც გამოიყენება ვალის მომსახურების მიმდინარე და პერსპექტიული უნარის განსაზღვრისათვის. აღნიშნულ ანალიტიკურ ბლოკში გამოითვლება შემდეგი მაჩვენებლები:

- მშპ-ს ზრდა (კლება) ერთ სულ მოსახლეზე;
- მშპ-ს ფაქტიური ზრდა (კლება);
- ბიუჯეტის შევსების წყაროების და მისი ხარჯების სტრუქტურა. სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი არ უნდა აღემატებოდეს მშპ-ის წლიური სიდიდის 3%-ს;
- ელექტროენერჯის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე;
- საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების მოსწავლეების პროცენტი.

**3. ფინანსური სტაბილურობის დონე** სტატისტიკაში, დინამიკაში და პროგნოზის ელემენტებით:

- სამომხმარებლო საქონელზე ფასების ინდექსის დინამიკა;
- მშპ-სთან მიმართებაში ფულადი რეზერვებისა და ფულადი მასის სიდიდე პროცენტებში.

**4. საგადამხდელო ბალანსის მდგომარეობა.** ახასიათებს ნაღდი ფულის ნაკადებისა და ფინანსური ურთიერთკავშირების შეფასებას:

- ექსპორტის დონის ზრდა (კლება);
- საგარეო ვაჭრობის სტრუქტურა და სალდო;
- წმინდა პირდაპირი ინვესტიციების სიდიდე, როგორც პროცენტი, საგადამხდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტთან.

**5. ფინანსური სტიმულები.** ამ ფაქტორის დონე ამოწმებს ქვეყნის ხელმძღვანელობისა და ფულად-საკრედიტო ხელისუფლების უნარს მიმართონ სავალუტო რესურსები პროდუქტიულ ბაზრებზე ქვეყნიდან კაპიტალის გადინების საწინააღმდეგოდ. ხორციელდება შემდეგი მაჩვენებლების ანალიზი: ყველა სახის საპროცენტო განაკვეთების ფაქტიური დონე. საპროცენტო განაკვეთები საბანკო კრედიტების მიხედვით, მაგალითად, ექვემდებარებიან ისეთი ფაქტორების კომბინირებულ გავლენას, როგორცაა საკრედიტო რესურსებზე მოთხო-

ვნა-მინოდების ცვლილებები.

**6. შიდა და საგარეო ვალების სიდიდე და მომსახურება.** ამ ფაქტორის სიდიდე ასახავს მიმდინარე ვალის მნიშვნელობას მიმდინარე შემოსავლებთან და სავალუტო რესურსებთან შედარებით:

- სახელმწიფო საგარეო ვალი პროცენტებში მშპ-თან მიმართებაში;
- საგარეო ვალის მომსახურების კოეფიციენტი (სავალო გადახდების მოცულობის შეფარდება საქონლისა და მომსახურების ექსპორტთან).

**Fitch IBCA.** Fitch IBCA-ს ექსპერტების ქვეყნის რისკის დონის შეფასების მეთოდიკა ეფუძნება ფარდობითი მაჩვენებლების დინამიკის ანალიზს: **16** ეკონომიკური, **5** სოციალური და **7** პოლიტიკური. ანალიზი ხორციელდება ფინანსური ანგარიშგების მონაცემების მიხედვით დაანგარიშებული მაჩვენებლების საფუძველზე.

ეკონომიკურ ფაქტორებს შორის ყველაზე არსებითებს წარმოადგენენ:

- მეპ-ს განაწილებისა და გადანაწილების სტრუქტურისა და სიდიდის დინამიკა;
- ინფლაციისა და ფაქტორების დინამიკა, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა გააჩნიათ სამომხმარებლო ფასების ინდექსზე;
- მნიშვნელოვანი საქონლისა და მომსახურების წარმოებისას დანაკარგები;
- საინვესტიციო კლიმატი ქვეყანაში;
- ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობის ხარისხი;
- ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი და შუალედური მიზნები და მათი მიღწევადობის ხარისხი და ალბათობა;
- საგარეო და შიდა სახელმწიფოებრივი და არასახელმწიფოებრივი ვალდებულებების სტრუქტურა;
- საგადამხდელო ბალანსის სტრუქტურა;
- სავაჭრო ბალანსის სტრუქტურა.

უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ ფაქტორებს მიეკუთვნები-

ან პოლიტიკური სტაბილურობის დონე და აუნაზღაურებადი ნაციონალიზაციის საშიშროება. მნიშვნელოვანი სოციალური ფაქტორებია:

- ერთ სულ მოსახლეზე მეპ-ის სიდიდე;
- სამომხმარებლო და იპოთეკური კრედიტების მიღების პირობები.

სავალო რეიტინგების სიმბოლოები და აღნიშვნები არის რთული იდეების მარტივი წარმოდგენა. თავისი არსით ისინი წარმოადგენენ განზოგადებულ აზრს. ფინანსური ბაზრის მონაწილეებისათვის მსხვილი სააგენტოები იყენებენ მსგავს სიმბოლოებს. ობლიგაციების რეიტინგებში ერთადერთ განსხვავებას წარმოადგენს Moody's მიერ ზოგიერთ რეიტინგებში გამოყენებული დიდი და პატარა ასოების ნაკრები (მაგალითად Moody's იყენებს – Aaa, ყველა დანარჩენი კი - AAA).

**გრძელვადიანი ვალდებულებების სარეიტინგო შკალები (ცხრილი 1)**

S&P, Fitch	Moody's	ინტერპრეტაცია
საინვესტიციო რეიტინგები		
AAA	Aaa	საკუთარი სავალო ვალდებულებების დროულად და სრულად შესრულების უმაღლესი უნარი
AA+	Aa1	საკუთარი სავალო ვალდებულებების დროულად და სრულად შესრულების მაღალი უნარი
AA	Aa2	
AA-	Aa3	
A+	A1	საკუთარი სავალო ვალდებულებების დროულად და სრულად შესრულების ზომიერად მაღალი უნარი
A	A2	
A-	A3	
BBB+	Baa1	საკუთარი სავალო ვალდებულებების დროულად და სრულად შესრულების საკმარისი უნარი, მაგრამ უფრო მაღალია მგრძობელობა არასასურველი ცვლილებების ზემოქმედების მიმართ კომერციულ, ფინანსურ და ეკონომიკურ პირობებში.
BBB	Baa2	
BBB-	Baa3	

სპეკულაციური რეიტინგები		
BB+	Ba1	მოკლევადიან პერსპექტივაში უსაფრთხო, მაგრამ უფრო მაღალია მგრძობლობა არასასურველი ცვლილებების ზემოქმედების მიმართ კომერციულ, ფინანსურ და ეკონომიკურ პირობებში.
BB	Ba2	
BB-	Ba3	
B+	B1	არასასურველი კომერციული, ფინანსური და ეკონომიკური პირობების არსებობის დროს უფრო მაღალია დაუცველობა, მაგრამ არსებულ მომენტში გააჩნია შესაძლებლობა შეასრულოს სავალო ვალდებულებები ვადაში და სრული მოცულობით.
B	B2	
B-	B3	
CCC+	Caa1	მოცემულ მომენტში არსებობს ემიტენტის მიერ საკუთარი სავალო ვალდებულებების პოტენციური შეუსრულებლობის შესაძლებლობა; სავალო ვალდებულებების დროული შესრულება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია კომერციულ, ფინანსურ და ეკონომიკურ ხელსაყრელ პირობებზე.
CCC	Caa2	
CCC-	Caa3	
C	Ca	ემიტენტის მიმართ აღძრულია გაკოტრების პროცედურა ან დანყებულია ანოლოგიური მოქმედება.
D	D	სავალო ვალდებულებების მიმართ დეფოლტი

**დასკვნა**

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაში უმნიშვნელოვანესია ინფორმაციის მოპოვება და შემდგომ მისი დამუშავება. აღნიშნულის დამოუკიდებლად განხორციელება რთულია მსხვილი კომპანიებსათვისაც კი, ვინაიდან არც მათ არ გააჩნიათ რესურსების საკმარისი რაოდენობა ამგვარი ოპერაციების ჩასატარებლად. ასეთ სიტუაციაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ფასიანი ქაღალდებისა და კომპანიების რისკების დამოუკიდებელი შეფასებები. რეგულარული ექსპერტიზის ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენენ სარეიტინგო სააგენტოების რე-

იტინგები, რომლებშიც ბიზნეს გადაწყვეტილების მიღებისას გამოქვეყნებულია რისკის დამოუკიდებელი და კომპლექსური შეფასებები.

რეიტინგის მაჩვენებლები კომპაქტურ და მოცულობით ფორმაში ახასიათებენ ქვეყნის რისკის მდგომარეობასა და ცვლილებების პერსპექტიულ ტენდენციებს, რომლებიც გადაწყვეტილებების მიღებისას და საქმიანი ურთიერთობების დამყარებასა და განვითარებაში თამაშობენ ინდიკატორების როლს. რეიტინგის მიმდინარე დონე და მისი ცვალებადობის დინამიკა ერთგვარი სიგნალია თანამშრომლობის დასამყარებლად, გასაღრმავლებლად და შესანყვეტად.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. ინგოროყვა ა., ჩხაიძე ზ., ცაავა გ. საბანკო ინფორმაციული სისტემები და ტექნოლოგიები. თბილისი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2009, გვ. 400.

2. Risk management Foundations for Changing Financial World Walter v. „Bud” Haslett Jr., CFA, Editor p. 800.

3. [https://books.google.ge/books?id=hKJLCgAAQBAJ&pg=PA116&dq=Risk+Management+fitch+2016&hl=ru&sa=X&ved=0ahUK EwiA\\_5zQxqrSAhVJIMAKHbGYDMMQ6AEIGDAA#v=onepage&q=Risk%20Management%20fitch%202016&f=false](https://books.google.ge/books?id=hKJLCgAAQBAJ&pg=PA116&dq=Risk+Management+fitch+2016&hl=ru&sa=X&ved=0ahUK EwiA_5zQxqrSAhVJIMAKHbGYDMMQ6AEIGDAA#v=onepage&q=Risk%20Management%20fitch%202016&f=false) უკანასკნელად იქნა გადამონმებული -11.02.2017.

4. [https://books.google.ge/books?id=km8A81WgIN4C&pg=PA24&dq=Risk+Management+S%26P&hl=ru&sa=X&ved=0ahUKEwip4NfexarSAhVIjCwKHe\\_GCjEQ6wEIKDAC#v=onepage&q=Risk%20Management%20S%26P&f=false](https://books.google.ge/books?id=km8A81WgIN4C&pg=PA24&dq=Risk+Management+S%26P&hl=ru&sa=X&ved=0ahUKEwip4NfexarSAhVIjCwKHe_GCjEQ6wEIKDAC#v=onepage&q=Risk%20Management%20S%26P&f=false) უკანასკნელად იქნა გადამონმებული -11.02.2017.

### **REFERENCES:**

1. Ingorokva A., Chkhaidze Z., Tsaava G. Banking information systems and technologies. Tbilisi: Georgia Tech University, 2009, p. 400.

2. Risk management Foundations for Changing Financial World

Walter v. „Bud” Haslett Jr., CFA, Editor p. 800.

3. [https://books.google.ge/books?id=hKjLCgAAQBAJ&pg=PA116&dq=Risk+Management+fitch+2016&hl=ru&sa=X&ved=0ahUKEwiA\\_5zQxqrSAhVJIMAKHbGYDMMQ6AEIGDAA#v=onepage&q=Risk%20Management%20fitch%202016&f=false](https://books.google.ge/books?id=hKjLCgAAQBAJ&pg=PA116&dq=Risk+Management+fitch+2016&hl=ru&sa=X&ved=0ahUKEwiA_5zQxqrSAhVJIMAKHbGYDMMQ6AEIGDAA#v=onepage&q=Risk%20Management%20fitch%202016&f=false)

4. [https://books.google.ge/books?id=km8A81WgIN4C&pg=PA24&dq=Risk+Management+S%26P&hl=ru&sa=X&ved=0ahUKEwip4NfexarSAhVljCwKHe\\_GCjEQ6wEIKDAC#v=onepage&q=Risk%20Management%20S%26P&f=false](https://books.google.ge/books?id=km8A81WgIN4C&pg=PA24&dq=Risk+Management+S%26P&hl=ru&sa=X&ved=0ahUKEwip4NfexarSAhVljCwKHe_GCjEQ6wEIKDAC#v=onepage&q=Risk%20Management%20S%26P&f=false)

## RATING COMPANIES AND THEIR ASSESSMENT METHODS

**Nino Khidirbegishvili**, PhD student, GTU

**Rati Burdiashvili**, Professor, GTU

### RESUME

The U.S. Securities and Exchange Commission granted the rating agencies with the status of Nationally Recognized Statistical Rating Organization. The top three major agencies were added to the list. Standard&Poor’s. Defines the states national general creditworthiness, such as both quantity and qualitative assessments. Moody’s Investors Services. The main factors which are investigated by the analysts of the mentioned agencies are standard, that is, they are consistent with the main indicators, which are used by the other rating agencies and experts. In addition, Moody’s Investors Services uses almost the same characteristics (content of the index and/or the marginal(optimal) value), which have the same impact on the risk level of the country.

Fitch IBCA. Fitch IBCA The assessment methods of risk levels by experts are based on the analysis of the ratio of dynamics,

**Keywords:** Rating agency, rating, creditworthiness, risks, Standard & Poor’s, Moody’s Investors Services, Fitch IBCA.

## კორპორაცია და კორპორაციული მართვა

სალომე ჯინჯოლია,  
კავკასიის საერთაშორისო  
უნივერსიტეტის დოქტორანტი

### რეზიუმე

სტატიაში – „კორპორაცია და კორპორაციული მართვა“ – განხილულია კორპორაციული მართვის ანგლოსაქსური და გერმანული მოდელები. ანგლოსაქსურ მოდელში კორპორაციად მიჩნეულია მხოლოდ სააქციო საზოგადოება, გერმანულ მოდელში კი მის გარდა, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაც.

დღევანდელ პირობებში კორპორაციის ერთიანი განმარტება არ არსებობს. ასევეა კორპორაციული მართვაც.

სტატიაში წარმოდგენილია კორპორაციული მართვის საერთაშორისო დოკუმენტები და აგრეთვე მოცემულია საქართველოს კორპორაციული სექტორის თავისებურებები. მისი მუშაობის გაუმჯობესების მიზნით შემოთავაზებულია წინადადებებიც.

**საკვანძო სიტყვები:** კორპორაცია, კორპორაციული მართვა, ანგლოსაქსური მოდელი, გერმანული მოდელი, აქციონერები, აქციების პაკეტის მფლობელობა, დივიდენდი.

### შესავალი

კორპორაციული სისტემა თანამედროვე ეკონომიკის ახალი ორგანიზაციულ-მმართველობითი ფენომენია. მსხვილი კორპორაციული გაერთიანებები მაღალგანვითარებული ინდუსტრიული ქვეყნების ტექნოლოგიურ პროცესს და ეკონომიკურ ზრდას უზრუნველყოფენ. ამჟამად მთელ მსოფლიოში დაგროვილია კორპორაციული სისტემის შექმნა-განვითარების დიდი გამოცდილება, დამუშავებულია მათი სხვადასხვა ორგანიზაციული ფორმით ფორმირების ვარიანტები, რომლებიც ასეთ სტრუქტურებს დამატებით კონკურენტულ უპირატესობებს აძლევენ.

კორპორაციულ სისტემებში ერთიანდებიან უნივერსალური მრავალდარგობრივი კომპლექსები, რომელშიც ინტეგრირ-



რებულია სამრეწველო და საფინანსო კაპიტალი. ის შეიძლება მოიცავდეს სამრეწველო სანარმოსაც, სავაჭრო და სადაზღვევო კომპანიებსაც და მრავალ სხვას. ეს დაახლოებით ყოფილი საბჭოთა დროინდელი სავაჭრო-სამრეწველო და აგროსამრეწველო, საფინანსო-სამრეწველო ჯგუფების დარი გაერთიანებაა. ასეთ გაერთიანებაში შემავალი კომპანიები თუ ისინი მსხვილი სტრუქტურებია (სააქციო საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება) ფაქტიურად კორპორაციებია.

### **1. კორპორაციები და კორპორაციული მართვა**

საქართველოში კორპორაციად მიიჩნევა სააქციო საზოგადოება. ხშირად ტერმინი „კორპორაცია“ სააქციო საზოგადოების სინონიმად გამოიყენება, თუმცა, არის შემთხვევები, როცა მას იყენებენ ნებისმიერი მსხვილი საწარმოს სინონიმად. აქედან გამომდინარე, ირკვევა, რომ ქვეყანაში არა გვაქვს კორპორაციის ზუსტი განმარტებაც კი, არათუ კორპორაციად წოდებული იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, რომელსაც თანამედროვე საზოგადოებაში ექნებოდა განსაკუთრებული ინსტიტუციონალურ-სამართლებრივი სტატუსი. ეს იმას არ ნიშნავს, რომ საქართველოში კორპორაციები არა გვაქვს. რეგისტრირებულ სააქციო საზოგადოებათა რიცხვი საქართველოში 2178-ია [1, გვ. 25]. არ არის საბოლოოდ დამუშავებული მათი მართვის უნიფიცირებული წესი. ეს საკითხი საერთაშორისო დონეზეც კი ჯერაც სადისკუსიო საკითხია.

საერთოდ კორპორაცია და კორპორაციული მართვაც ისტორიულად დიდ ბრიტანეთში და აშშ-ში წარმოიშვა. კორპორაციული მართვის ანგლოსაქსურ მოდელში კორპორაცია, როგორც ტერმინი განმარტებულია ბიზნესის ორგანიზაციის ფორმად, რომელსაც ახორციელებს სააქციო საზოგადოება [2, გვ. 20]. ამ მოდელის მიხედვით კორპორაციის საწესდებო კაპიტალი იქმნება იმ გამოშვებული და გაყიდული აქციების ნომინალური ღირებულების ჯამით, რომელიც შეიძინეს აქციონერებმა. ასეთი გაგებით შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ანგლოსაქსურ მოდელში არ არის კორპორაცია.

განსხვავებულია ამ საკითხის მიდგომა კორპორაციული მართვის გერმანულ მოდელში. მასში კორპორაციად ითვლება სააქციო საზოგადოებაც და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაც. საქართველოს კანონით „მენარმეთა შესახებ“ კაპიტალურ საზოგადოებად მიჩნევა სააქციო საზოგადოებაც და შეზღუდული საზოგადოებაც, მაგრამ პრაქტიკულად კორპორაციად მაინც სააქციო საზოგადოებას თვლიან.

კორპორაციულ მართვას მრავალი განმარტება აქვს. განმარტებათა ამ სიმრავლიდან ჩანს, რომ ეს არის სისტემა, რომლის მონაწილეები არიან აქციონერები, როგორც კორპორაციის მესაკუთრეები, მენეჯერები, როგორც აქციონერთა უფლებების რეალიზატორები, დირექტორთა საბჭოები – კორპორაციის საქმიანობის საერთო მმართველები [3, გვ. 143].

კორპორაციულ მართვას აქვს ფუნდამენტური პრინციპები, რომლებიც უნდა დაიცვას თითოეულმა კორპორაციამ, ეს პრინციპებია [4, გვ. 90]:

- კორპორაციული მართვა აქციონერებს უნდა აძლევდეს საკუთარი უფლებების გამოყენების რეალურ შესაძლებლობას;
- კორპორაციული მართვა უნდა ითვალისწინებდეს ყველა აქციონერისადმი თანასწორ დამოკიდებულებას;
- კორპორაციული მართვა უნდა ავალბდეს სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშვალდებულებას აქციონერების წინაშე;
- კორპორაციული მართვა უნდა უზრუნველყოფდეს კეთილსინდისიერ ყოველდღიურ საქმიანობას;
- კორპორაციული მართვა უნდა უზრუნველყოფდეს ინფორმაციის სრულ, დროულ და ზუსტ გამჟღავნებას.

## 2. კორპორაციული მართვის

### მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტები

კორპორაციული მართვის თაობაზე მრავალი მნიშვნელოვანი აქტიდან აუცილებელია ორის გამოყოფა და მათზე შეჩერება. ერთია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მიერ შემუშავებული კორპორაციული მართვის პრინციპები, ხოლო მეორე – ევროპის კავშირში საკორპორაციო სამარ-

თლის მოდერნიზაციისა და კორპორაციული მართვის გაუმჯობესების მოქმედებათა გეგმა“ [4, გვ. 13].

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ, რომელიც აერთიანებს 30 სახელმწიფოს, კორპორაციული მართვის პრინციპები შეიმუშავა 1999 წელს. ამ პრინციპებმა ფართო გავრცელება ჰპოვა როგორც ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ნევრ ქვეყანებში, ისე სხვა ქვეყნებშიც. ეს ისეთი დოკუმენტია, რომელსაც სახელმძღვანელოდ იყენებენ მსოფლიო ბანკი, სავალუტო ფონდი, აგრეთვე კერძო ინვესტორები და მენარმეები [5, გვ. 3].

აღნიშნული პრინციპების მნიშვნელოვან აღიარებად უნდა მივიჩნიოთ ფინანსური სტაბილურობის ფორუმის მიერ მისი მიჩნევა 12 სტანდარტიდან ერთ-ერთ იმ უმნიშვნელოვანეს სტანდარტად, რომელიც ხელს შეუწყობს ფინანსური სისტემის სტაბილურობას.

1999 წელს მიღებული კორპორაციული მართვის პრინციპების შესაბამისად მრავალ ქვეყანაში შემუშავდა კორპორაციული მართვის სტანდარტები და პირობები.

პრინციპები განამტკიცებენ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ნევრ სახელმწიფოებში კორპორაციული მართვის საუკეთესო წესების განვითარების საერთო სიფუძველს. იგი აუცილებელი წინაპირობაა ქვეყანაში საინვესტიციო გადანყვევტილებების მისაღებად, იმ ქვეყნებში სადაც არ ხორციელდება ამ პრინციპების დაცვა უცხოელი ინვესტიციები არ მიედინება. სწორედ ამიტომ, იმის მიუხედავად, რომ ეს პრინციპები არ წარმოადგენდა ნევრ-სახელმწიფოებისთვის სავალდებულო დოკუმენტს, ამ ქვეყანაში იგი მაინც გავრცელდა. ამ ქვეყნების მთავრობები მიხვდნენ, რომ შემოთავაზებული სტანდარტების გარეშე, ქვეყანაში არ შეიქმნება კონკურენტუნარიანი სამართლებრივი ჩარჩო-პირობები. ამის გარეშე კი არ მოხდება კორპორაციული მართვის გაუმჯობესება საფინანსო თუ არასაფინანსო ორგანიზაციებში და, როგორც ზემოთ ავლნიშნეთ, არც ფართომასშტაბიანი ინვესტიციური პროექტების განხორციელება.

კორპორაციული მართვის პრინციპებით ვიგებთ, რომ არ არსებობს კორპორაციული მართვის უნივერსალური მოდელი (თვით

ამერიკული მოდელიც კი რომელიც მსოფლიოში საუკეთესოდ ითვლება, ვერ გადაურჩა ფინანსურ სკანდალებს, ბალანსების გაყალბებასა და მასობრივ გაკოტრებებს. მაგალითად, კომპანია „ენრონის“ აქციების კურსის ვარდნის შედეგად მისმა აქციონერებმა დაკარგეს დაახლოებით 60 მილიარდი დოლარი [6]. ეს ხდება იმის მიუხედავად, რომ არსებობს კორპორაციული მართვის ისეთი საერთო ელემენტები – ეფექტური და გამჭვირვალე ბაზრის უზრუნველყოფა, აქციონერების უფლებების დაცვა, საქვეყნოობა და გამჭვირვალობა და ა. შ., – რომელთაც მართვის ყველა განვითარებული სისტემა ეყრდნობა.

ამ ვითარებიდან გამომდინარე, ზემოთდასახელებული პრინციპები კორპორაციულ მართვასთან მიმართებაში უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს. მასში შემოთავაზებულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან სიახლეს და თავისებურებას წარმოადგენს „ზედმეტი საკანონმდებლო რეგულირების თავიდან აცილება და სარეკომენდაციო“ ხასიათის კოდექსებისა და სტანდარტების მნიშვნელობის გაზრდა, რომელთა დაცვა თვით ბაზრის მონაწილეთა მიერ ხდება“ [7, გვ. 30].

კორპორაციულ მართვასთან მიმართებაში მეორე მნიშვნელოვანი დოკუმენტია **ევროპის კავშირის მოქმედებათა გეგმა**. ეს გეგმა ითვლება უკანასკნელი წლების მანძილზე ევროპის საკორპორაციო სამართალში მიღებულ ყველაზე მნიშვნელოვან დოკუმენტად [8]. იგი მიღებული იქნა 2003 წლის 21 მაისს ევროპის თანამეგობრობის კომისიის მიერ სახელწოდებით „ევროპის კავშირში საკორპორაციო სამართლის მოდერნიზაციისა და კორპორაციული მართვის გაუმჯობესების მოქმედებათა გეგმა. 2004 წლის 211 აპრილს ევროპის პარლამენტმა მოიწონა ეს გეგმა და მხარი დაუჭირა მის დანერგვას.

ამ გეგმაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კორპორაციულ მართვას. ამ საკითხის წინა პლანზე წამოიწვია გამოიწვია თანამედროვე პირობებში გლობალიზაციის პროცესის გაღრმავებამ, რის გამოც კომპანიებს მეტად მკაცრი საერთაშორისო კონკურენციის პირობებში უწევთ მუშაობა. ასევეა ევროპაშიც. ევროპაში კონკურენციის პირობებს ევროკავშირი განსაზღვრავს. ამ მიზნით

მას მრავალრიცხოვანი დოკუმენტები აქვს შექმნილი. კომპანიებს, ცხადია, ევალუბათ ამ პირობებით და თამამის იმ წესით იმოქმედონ, რომლებიც ამ დოკუმენტებშია ჩადებული.

ზემოაღნიშნულ მოქმედებათა გეგმის მიხედვით, კორპორაციული მართვის საუკეთესო წესები ეკონომიკის გაუმჯობესება-განვითარების პირობას წარმოადგენს, ხოლო კორპორაციული მართვის დინამიური და მოქნილი ჩარჩო-პირობები – თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოების სასიცოცხლოდ აუცილებელ პირობას.

ამ ღონისძიებების პრაქტიკული გატარების მიზნით შემუშავდა ორი რეკომენდაცია. პირველი 2004 წლის 14 დეკემბერს და ითვალისწინებდა წესების შემუშავებას ბირჟაზე კოტირებადი კომპანიების ხელმძღვანელთა შრომის ანაზღაურებაზე და მეორე 2005 წლის 15 თებერვალს, რომელიც ეხებოდა არამენეჯერი დირექტორების (ე. ი. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების) ამოცანებსა და გამგეობასა და სამეთვალყურეო საბჭოს მუშაობის წესს.

ევროპის თანამეგობრობათა კომისიის მიერ შემუშავებული მოქმედებათა გეგმით კორპორაციული მართვის სფეროში შემოთავაზებული რეკომენდაციები ოთხ ჯგუფად იყოფა [9. გვ. 12-17]:

1. კორპორაციული მართვის გახსნილობის გაუმჯობესება;
2. აქციონერთა უფლებების გაძლიერება;
3. მმართველი ორგანოების მოდერნიზაცია;
4. ევროპის კავშირის წევრი სახელმწიფოების ძალისხმევათა კოორდინაცია კორპორაციული მართვის გასაუმჯობესებლად.

### **3. კორპორაციული მართვის თავისებურებები და ბაზა საქართველოში**

მიუხედავად იმისა, რომ განვლილი წლების მანძილზე საქართველოში მნიშვნელოვანი სამართლებრივი და ეკონომიკური რეფორმები განხორციელდა და კანონმა „მენარმეთა შესახებ“ სრულყოფის მიმართულებით რამდენჯერმე განიცადა ცვლილება, ჩვენს ქვეყანას ჯერ კიდევ ბევრი რამ სჭირდება თანამედროვე მართვის სისტემის დასანერგად. საქართველოს ეკონომიკური

წარუმატებლობის ერთ-ერთ მიზეზად ის სახელდება, რომ ქვეყანას არა აქვს კორპორაციული მართვის კარგი სისტემა. კორპორაციების დირექტორები არ თვლიან საკუთარ თავს აქციონერების წარმომადგენლებად, მათ წინაშე ანგარიშვალდებულად და ხშირად პირად გამორჩენას იღებენ აქციონერების და კომპანიების ხარჯზე [11, გვ. 11].

2008 წელს საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია IFC – ჩაატარა საქართველოში კორპორაციული მართვის კვლევა. გამოკვლელი იქნა 150 კომპანია და აღმოჩნდა, რომ „ქართული კომპანიების კორპორაციულ მართვაში სასურველი ცვლილებები განხორციელდა ბოლო 4 წლის განმავლობაში, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა კორპორაციული მართვის შესახებ ცოდნა და ერთგულება“ [18, გვ. 8]. კვლევამ ასევე გამოავლინა პროგრესი კორპორაციული მართვის ძირითად კომპონენტებში, როგორცაა სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის პრაქტიკა, აქციონერთა უფლებები, ფინანსური ანგარიშგება და ინფორმაციის გამჟღავნება. ამის მიუხედავად ქართულმა კომპანიებმა უნდა განაგრძონ მუშაობა კორპორაციული მართვის მიმართულებით, რათა მიაღწიონ საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას. გაუმჯობესებას კვლავაც საჭიროებს სამეთვალყურეო საბჭოს პრაქტიკა, შიდა კონტროლი, ინფორმაციის გამჟღავნება და აქციონერთა უფლებები.

და მაინც როგორია დღეს კორპორაციული მართვის ბაზა საქართველოში?

საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია IFC-ის მიერ განხორციელებული პროექტებით [12, გვ. 25] საქართველოს კორპორაციული სექტორის ზოგადი მახასიათებლები ასეთია:

**1. კონცენტრირებული მფლობელობა.** 1990-იანი წლების დასაწყისში კომპანიებში გვხვდებოდა შედარებით დისპერსული მფლობელობის სტრუქტურა. მეორე მხრივ, კომპანიების უმრავლესობაში აქციების გადაცემა მეორად ბაზარზე განაპირობებდა მფლობელობის კონცენტრირებას აქციონერთა მცირე ჯგუფის – ძირითადად სახელმწიფო კომპანიების ყოფილი დირექტორების ხელში. ბევრ ქართულ კომპანიას ამჟამადაც აკონტროლებს აქ-

ციონერთა მცირე ჯგუფი. ასეთი კონცენტრირებული მფლობელობის სტრუქტურა ხშირად არღვევს მცირე აქციონერთა უფლებებს. ინსაიდერთა დომინირებამ და გარე აქციონიერების დაცვის სუსტმა მექანიზმებმა მნიშვნელოვნად განაპირობა ის, რომ საქართველოში ვერ განვითარდა კაპიტალის ბაზარი. ეს ბაზარი შედგება მხოლოდ საქართველოს საფონდო ბირჟაზე კოტირებული კომპანიებისაგან, თუმცა შეიძლება აღინიშნოს ეპიზოდური, პირველადი საჯარო შეთავაზება უცხოურ ბაზრებზე და ამგვარად უფრო მეტად დისპერსიული მფლობელობისკენ მიმავალი ახალი ტენდენცია.

**2. მფლობელობა და კონტროლის გაყოფა.** მაკონტროლებელი აქციონერების უმრავლესობა ისევე მოქმედებს, როგორც კომპანიის გენერალური დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭოშია წარმოდგენილი. იმ კომპანიებსაც კი, რომლებიც ერთმანეთისაგან გამოყოფენ მფლობელობას და კონტროლს, ხშირად ეს მხოლოდ ქალაქში გადააქვთ. ასეთ კომპანიებს, როგორც წესი, ანგარიშვალდებულებისა და კონტროლის სუსტი სტრუქტურები (მაკონტროლებელი აქციონერების უმრავლესობა დერექტორის და მენეჯერის როლში ზედამხედველობას უწევს საკუთარ თავს), დაკავშირებული მხარის გარიგებები და ინფორმაციის გამჟღავნების სუსტი მექანიზმები (ინსაიდერებს აქვთ წვდომა ყველა ინფორმაციასთან და არ არიან მოტივირებულნი, რომ ეს ინფორმაცია გარეშე პირებს გაუმჟღავნონ).

**3. მოუქნელი ჰოლდინგური სტრუქტურები.** ძირითადი ბიზნესჯგუფები, ჰოლდინგური კომპანიების სახით, აკონტროლებენ კომპანიებს დარგების უმრავლესობაში. მიუხედავად იმისა, რომ ჰოლდინგური სტრუქტურები შეიძლება ემსახუროდნენ სამართლებრივ მიზნებს, კომპლექსურ ბიზნესსტრუქტურებს, აქციების ჯვარედინ მფლობელობას, პირამიდის სტრუქტურებს და სხვა მექანიზმებს, ისინი მფლობელობის ბუნდოვან სისტემას ქმნიან, რის გამოც კომპანია რთულად გასაგები ხდება აქციონერებისა და ინვესტორებისთვის. ასეთი სტრუქტურები ხშირად გამოიყენება ცალკეული აქციონერების უფლებების ჩამორთმევისა და დარღვევის მიზნით. არასათანადოდ კონსოლიდირებული ბუღალტრული აღრიცხვა ან მისი არარსებობა კორ-

პორაციული მართვის კიდევ ერთი საკითხია, რომელიც გადანყვეტას საჭიროებს.

**4. გამოუცდელი და არაადექვატური კორპორაციული ორგანოები.** საქართველოს 1994 წლის კანონმდებლობით კორპორაციებს მკაცრად ევალებოდათ სამეთვალყურეო საბჭოსა და აღმასრულებელ საბჭოს არსებობა. 2008 წელს კანონში „მენარმეთა შესახებ“ სამეთვალყურეო საბჭოს არსებობა სავალდებულო გახდა მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში: თუ სააქციო საზოგადოება „ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით არის ანგარიშვალდებული სანარმო, რომლის ფასიანი ქალაქები სავაჭროდ არის დაშვებული ფასიანი ქალაქების ბირჟაზე, ან სააქციო საზოგადოება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ არის ლიცენზირებული, ან სააქციო საზოგადოების აქციონერთა რაოდენობა აღემატება 100-ს, სავალდებულოა სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა არანაკლებ 3 და არაუმეტეს 21 წევრისაგან. ყველა სხვა შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა არ არის სავალდებულო“ [20].

ასე რომ, ყველა სხვა შემთხვევაში, კომპანიამ თვითონ უნდა გადანყვიტოს შექმნას თუ არა სამეთვალყურეო საბჭო. გარდა ამისა, თუ კომპანიის წესდება ამის საშუალებას იძლევა, დირექტორები შეიძლება იყვნენ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებიც. კანონში „მენარმეთა შესახებ“ (მუხლი 55, პუნქტი 2) პირდაპირ ვკითხულობთ: „სამეთვალყურეო საბჭოს წევრი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, წესდებით შეიძლება განისაზღვროს, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი (წევრები) იყოს ამ სააქციო საზოგადოების დირექტორი (დირექტორები)“.

აღსანიშნავია ისიც, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს მოეთხოვებათ გამოცდილება და საქმის ცოდნა (ხელმძღვანელობა, კონტროლი). ასეთი კადრი საქართველოს კომპანიებს ნაკლებად ყავთ. ხშირად, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა თავისი ფუნქციებიც კი არ იციან. აქედან გამომდინარე, მართალი ვიქნებით თუ ვიტყვით, რომ საქართველოს კორპორაციებს იშვიათად აქვთ სიცოცხლისუნარიანი და დამოუკიდებელი კორპორაციული ორგანოები.



**5. სამართლებრივი და მარეგულირებელი ბაზა.** საქართველოს კორპორაციული მართვის სამართლებრივი ბაზა ჩამოყალიბების სტადიაშია. მართალია არსებობს მთელი რიგი ნორმატიული დოკუმენტები – კანონი „მენარმეთა შესახებ“, კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, რომლებსაც იცავენ და ასრულებენ საქართველოს კორპორაციები, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ეს კანონები და კანონქვემდებარე აქტები საბოლოოდ სრულყოფილი არ არის და, მეორე, ის რომ საქართველოს ბანკების ასოციაციის მიერ შეიქმნა „კორპორაციული მართვის კოდექსი კომერციული ბანკებისთვის [14] რომელიც კომპანიებისთვისაც გამოსადეგია და სასურველია თუ ქართული კომპანიები მასში მოცემულ რეკომენდაციებს პრაქტიკულად გამოიყენებენ.

საქართველოს კომპანიების კორპორაციულ მართვაში არის მთელი რიგი დარღვევები და სადავო საკითხები. მაგალითად:

1. საქართველოს კანონით „მენარმეთა შესახებ“, „სამეთვალყურეო საბჭოს წევრები შესაძლებელია იღებდნენ ანაზღაურებას შესრულებული სამუშაოსთვის. ასეთი ანაზღაურების ოდენობას განსაზღვრავს აქციონერთა საერთო კრება (მუხლი 54, პუნქტი 6<sup>ე</sup>). საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია IFC-ის გამოკვლევებით დადგინდა, რომ საქართველოს კორპორაციათა 50%-ის სამეთვალყურეო საბჭოს წევრები იღებენ ყოველთვიურ ფიქსირებულ ანაზღაურებას, 34%-ში კი იგი საერთოდ არ ხდება [12, გვ. 89]. არ არის გამოკვლეული რამდენია ეს ანაზღაურება და რასთან იყო იგი დაკავშირებული. უფრო სარწმუნოა, რომ იგი სამეთვალყურეო საბჭოს წევრების საამებლად და ინტერესების დასაკმაყოფილებლად იქნებოდა გადაწყვეტილი.

2. აღმასრულებელ პირთა (დირექტორები) ანაზღაურება მათ საქმიანობასთან უნდა იყოს დაკავშირებული (კერძოდ გამოცდილება, კვალიფიკაცია, საქმიანი თვისებები). აგრეთვე, იგი უნდა უკავშირდებოდეს კომპანიის მუშაობის მაჩვენებლებს. ასეთ დროს, საქართველოში კომპანიების 88%-ში დირექტორების ანაზღაურება ფიქსირებულია, 12,7%-ში დამოკიდებულია მუშაობის ხარისხზე, 8%-ში დამოკიდებულია კომპანიის მოგებაზე) [12, გვ. 102].

3. როგორც წესი, დივიდენდების გადახდის შესახებ გადან-ყვეტილება უნდა მიიღოს აქციონერთა კრებამ, სამეთვალყურეო საბჭოსა და აღმასრულებელი საბჭოს რეკომენდაციების საფუძ-ველზე. IFC-ის გამოკვლევით დადგინდა, რომ გადანყვეტილება კანონით დადგენილი ფორმით მიიღო კომპანიათა 40,7%-მა, 53,3%-ში გადანყვეტილება მიიღო სამეთვალყურეო საბჭომ, ხოლო 8%-სი აღმასრულებელმა საბჭომ.

#### **4. კორპორაციული მართვის პრობლემები და მათი გადაჭრის გზები**

საქართველოს კორპორაციების მართვაში ძირითადი პრობ-ლემა ის არის, რომ დაუცველია წვრილი აქციონერების უფლე-ბები, მათთვის ინფორმაცია არ არის გამჭვირვალე, ძირითად შემ-თხვევაში არ ნაწილდება დივიდენდები. საქართველოს საფონდო ბირჟაც მეტად სუსტია, იქ არც ყველა სააქციო საზოგადოებების აქციებია კოტირებული და ვისიც არის მათი სავაჭრო კურსებიც მეტად დაბალია.

ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად საჭიროა:

- გაძლიერდეს საქართველოს საფონდო ბირჟა;
- შემოღებულ იქნეს კორპორაციული მართვის ხარისხის რე-იტინგები და დაწესდეს ჯილდოები;
- გადმოღებული იქნეს იაპონიის კორპორაციების მართვის პრაქტიკა, სადაც თუ კორპორაციამ შეამცირა გაცემული დივი-დენდები, ანდა გააჩერა გაცემა, მაშინ, კორპორაციის აღმას-რულებელ დირექტორებსაც უმცირდებათ ან აღარ ეძლევათ ბო-ნუსები [15, გვ. 452].

#### **დასკვნა**

სტატიაში განხილული საკითხით ის დასკვნა კეთდება, რომ საქართველოში კორპორაციული სისტემა, კორპორაცია და კო-რპორაციული მართვა ახალი, ნაკლებად დამუშავებული საკით-ხებია. სამართალშიც და ეკონომიკაშიც უკანასკნელ წლებში დაინყო ამ თემატიკის დამუშავება და ჯერ-ჯერობით ბევრი რამ დაზუსტებული არ არის.

**ლიტერატურა:**

1. მენარმეობა საქართველოში, სტატისტიკური პუბლიკაცია, თბ., 2015.
2. Петров В., Генезис и основные проблемы развития корпоративного сектора, Екатеринбург, 2006.
3. Иванова Е., Шишкина Л., корпоративное управление, учебное пособие, Ростов на Дону, 2007.
4. ლაზვიაშვილი ნ., კორპორაციული მენეჯმენტი, თბ., 2013.
5. OECD Principles of Corporate Governance, OECD, 2004, Foreword by Donald J. Johnston.
6. Los Angeles Times, 14.06.2002.
7. Annotations to the OECD Principles of Corporate Governance. OECD, 2004.
8. Hopt Klays J., Europaishes Gesellschaftsrecht und deutschce Unternehmensverfassung – Aktionsplon und Interdependenzen. ZIP, 11. 2005.
9. Modernising Company Law and Enhancing Corporate Governance in the European Union A plan to Move Forward. Brussels, 25.5.2003 (Com(203)), 284, final.
10. Corporate Governance in Eurasia: A comparative Overwiw. OECD. 2004.
11. კორპორაციული მართვის კვლევა საქართველოს კომპანიებში, IFC, 2008.
12. კორპორაციული მართვის სახელმძღვანელო, IFC – საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, საქართველო, სექტემბერი, 2010.
13. საქართველოს კანონი „მენარმეთა შესახებ“, მუხლი 55, პუნქტი 1.
14. კორპორაციული მართვის კოდექსი კომერციული ბანკებისთვის, საქართველოს ბანკების ასოციაცია, სექტემბერი, 2009.
15. Жусупова Ж., К вопросу и корпоративном управлении в республике Казахстан, საერთაშორისო კონფერენციის მასალების კრებული – „ინოვაციური ეკონომიკა და მისი ფორმირების პრობლემები პოსტკომმუნისტურ ქვეყნებში“, 1-2 ივლისი, 2016 წელი, თსუ, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, თბ., 2016.

**LITERATURE:**

1. Entrepreneurship in Georgia, Statistic publication, Tb. 2015.
2. Petrov V., Genesis and the basic problems for developing corporate sector, Ekaterinburg, 2006.
3. Ivanova I., Shishkina L., Corporate Governance, the ways of teaching, Rostov, 2007.
4. Lazviashvili N., Corporate governance, Tb. 2013.
5. OECD Principles of Corporate Governance, OECD, 2004, Foreword by Donald J. Johnston.
6. Los Angeles Times, 14.06.2002.
7. Annotations to the OECD Principles of Corporate Governance. OECD, 2004.
8. Hopt Klaus J., Europaisches Gesellschaftsrecht und deutsche Unternehmensverfassung – Aktionsplan und Interdependenzen. ZIP, 11. 2005.
9. Modernizing Company Law and Enhancing Corporate Governance in the European Union A plan to Move Forward. Brussels, 25.5.2003 (Com(203)), 284, final.
10. Corporate Governance in Eurasia: A comparative Overview. OECD. 2004.
11. The research of Corporate Governance in Georgian companies, IFC, 2008.
12. The guide-book in corporate governance, IFC \_International financial corporation, Georgia, September, 2010.
13. Georgian law about “entrepreneurship”, paragraph 55, point 1.
14. The code of corporate governance for commercial banks, Georgian bank association, September, 2009.
15. Jusupova J., The questions of Corporate governance in Kazakhstan Republic.
16. The collection of International Conference materials, “Innovative Economics and its formation problems in post-communism countries, 1-2 July, 2016, TSU, The Economical institute named after Paata Gugushvili, Tb., 2016.

## CORPORATION AND CORPORATE GOVERNANCE

**SALOME JINJOLIA,**

PhD student,  
Caucasus International University

### RESUME

The article *Corporation and Corporate Governance* studies Anglo Saxon and German models of corporate governance. According to Anglo Saxon model, only Joint stock company (JSC) is considered a corporation, while German model includes both JSC and limited liability company (LLC).

Nowadays, there is no common definition of corporation; the same applies to corporate governance.

The article analyzes some international documents of corporate governance and characteristics of Georgian corporate sector. The author also suggests some recommendations for improving the performance of Georgian corporate sector.

The author summarizes the article in a conclusion.

**Keywords:** corporation, corporate governance, Anglo Saxon model, German model, shareholders, holding a packet of shares, dividend.

## მარკეტინგული კომუნიკაციების არსი და მნიშვნელობა

სანდრო ყანდაშვილი  
სტუ-ს დოქტორანტი

### შესავალი

თანამედროვე პირობებში ფინანსური ბაზარი და კერძოდ საბანკო მომსახურების სფერო წარმოადგენს ყველაზე რთულ სეგმენტს მომხმარებელთა მოზიდვის და პროდუქტის წინნაწევის თვალსაზრისით. ბანკის მიერ შეთავაზებული საქონელი, წარმოადგენს საკმაოდ რთულ პროდუქტს, რომელსაც მრავალი პარამეტრი გააჩნია და წინნაწევის სტრატეგიის შემუშავებისას აუცილებელია თითოეული კრიტერიუმის გათვალისწინება.

ბანკისთვის საკმარისი არ არის უბრალოდ მიაწოდოს მომხმარებელს თავისი პროდუქციის შესახებ ინფორმაცია, აუცილებელია ასევე გამოყოს ის მრავალრიცხოვანო კონკურენტების ანალოგიური მომსახურების ფონზე. ყოველივე ამან მიიყვანა ბანკის ხელმძღვანელობა იმის შეგნებამდე, რომ კომუნიკაციური სისტემები ისე ააგონ, რომ მისი ყოველი ელემენტი ავსებდეს წინა ელემენტების ნაწილობრივ დაკარგულ ეფექტიანობას, ხოლო მათი კომპლექსური ურთიერთქმედება მრავალჯერადად გააძლიეროს წინნაწევის საერთო ეფექტი, რაც საშუალებას მისცემს მიზანმიმართულად იმოქმედოს ცალკეულ აუდიტორიაზე და რაც უფრო მნიშვნელოვანია მომსახურების სფეროსთვის, კონკრეტულად მიმართოს ინდივიდუალურად მომხმარებელს.

**საკვანძო სიტყვები:** საბანკო მარკეტინგი, საბანკო პროდუქტი და მომსახურება, ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები, რეკლამა, ინტეგრირებული მიდგომა.

### ქირითადი ტექსტი

ჯერ კიდევ 1962 წელს ტ. ლევიტმა შემოგვთავაზა „ცენტრისკენული მარკეტინგის“ კონცეცია, რომელშიც „ბიზნესით

დაკავებულმა კომპანიამ სისტემატიურად და შეგნებულად უნდა შეაფასოს თავისი კომერციული გზავნილი, რომელსაც ის აგზავნის გარე სამყაროში, იმისგან დამოუკიდებლად, ეხება თუ არა ეს მის სარეკლამო შეტყობინებებს, პროდუქციის დიზაინს, შეფუთვას, გამყიდველების ტანსაცმელს, გაყიდვების ადგილის გაფორმებას, სატვირთო მანქანების იერს, რომელშიც გამოიფინება გაყიდვებისა და დათვალიერების მიზნით. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს და მსგავსი შეტყობინებები ერთმანეთს შორის მკაცრად იყოს კოორდინირებული, რათა ისინი ერთმანეთს აძლიერებდნენ და ქმნიდნენ კომპანიის ერთიან და დამაჯერებელ სახეს“.[2, გვ.276]

სპეციალური ტერმინი „ ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები“ (იმკ) წარმოიშვა მე-20 საუკუნის 90 - იან წლებში. დიდხანს იმკ-ს ტერმინში გულისხმობდნენ მხოლოდ მარკეტინგული კომუნიკაციების სხვადასხვა სახეების კომბინირებულ გამოყენებას - პერსონალურ გაყიდვებს, რეკლამას, ვაჭრობის სტიმულირებას, საზოგადოებასთან ურთიერთობას, აგრეთვე სინთეზურ მარკეტინგულ კომუნიკაციებს - სპონსორობას, მერჩანდაიზინგს, გამოფენებს, ბრენდინგს და სხვა. სარეკლამო სააგენტოების ამერიკული ასოციაციის განმარტებით, იმკ არის მარკეტინგული კომუნიკაციების დაგეგმვის კონცეფცია, გამომდინარე მისი ცალკეული მიმართულებების სტრატეგიული როლის შეფასების აუცილებლობიდან (რეკლამა, გასაღების სტიმულირება, პაბლიქ რილეიშენი, პირადი გაყიდვები) და მკაფიოობის უზრუნველყოფისათვის მათი ოპტიმალური შეხამების ძიება[2, გვ.278]. და მაინც, მსოფლიო პრაქტიკამ დაგვანახა, რომ მნიშვნელოვანი კომუნიკაციური ეფექტი გააჩნია კომპანიის მარკეტინგ-მიქსის ყველა ელემენტს.

რადგანაც საბანკო პროდუქტი წარმოადგენს მომსახურებას, ამიტომ ბანკის ინტეგრირებულ მარკეტინგულ კომუნიკაციებში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მომსახურების მარკეტინგის კომპლექსის სამი დამატებითი ელემენტი: ადამიანები, ფიზიკური გარემოცვა და პროცესი. მაგალითად, და-

ბალკვალიფიციური პერსონალი, მომსახურების დაბალი დონე, კლიენტისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების და საკონსულტაციო დახმარების განევის უუნარობა და სხვა მიუთითებს იმაზე, რომ ბანკი სათანადოდ არ ზრუნავს კლიენტის ინტერესებზე. ბანკის ფილიალის, სერვისცენტრის გარეგნული სახე, დიზაინი, ოფისის შიდა გაფორმება იძლევა ინფორმაციას პრესტიჟულობაზე, ინვესს კლიენტის ნდობას ან შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს ბანკის სანდოობა.

გარდა იმისა, რომ არსებობს მარკეტინგული კომპლექსის თითოეული ელემენტის კომუნიკაციური ეფექტის გამოყენების უნარი, უნდა გვახსოვდეს, რომ იმკ-ს არსი სწორედ ფირმის მარკეტინგული საქმიანობის ელემენტების მჭიდრო კავშირში მდგომარეობს. ისინი ერთიანი მიზნითა და სტრატეგიით უნდა იყოს გაერთიანებული. მაგალითად, იმისათვის, რომ მომხმარებელმა ძალიან კარგად იცოდეს ბანკის ბრენდი და სასურველად აღიქვას იგი, აუცილებელია სარეკლამო მასლების მომზადებისას განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ერთიანი დიზაინის გამოყენებას, სიმბოლიკას ოფისების გაფორმებისას, ბანკომატებს და კორპორაციულ ტრანსპორტს, პერსონალის ჩაცმულობას. წინწანევის რამდენიმე არხის გამოყენებისას აუცილებელია მათი ერთი კონცეფციის ქვეშ გაერთიანება, რომელიც ასახავს ბანკის სახესა და მისიას.

მარკეტინგმა და მარკეტინგულმა კომუნიკაციებმა განვითარების რთული გზა განვლო და დღეისათვის განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა. მწარმოებლებს საშუალება მიეცათ გამოიყენონ მარკეტინგული კომუნიკაციის ის საშუალებები, რომელთაც წლების წინ მხოლოდ ვიწრო სეგმენტი - რამდენიმე კომპანია იყენებდა. ძირითადად, დიდი შემოსავლების მქონე, ძლიერ კომპანიებს შეეძლოთ სატელევიზიო რეკლამით სარგებლობა. თანამედროვე რეალობაში სატელევიზიო რეკლამას ანაცვლებს სოციალური მედია, რაც, მსხვილი კომპანიების მსგავსად, მცირე კომპანიებსაც აძლევს საშუალებას - ეფექტურად, მცირე დანახარჯით გამოიყენონ მარკეტინგული კომუნიკაციები. ვინაიდან კომუნიკაციის ელექტრონული ფორმების გამოყენება საგრძნობლად



ამცირებს ორგანიზაციულ ხარჯებს, ონლაინ მარკეტინგისთვის დამახასიათებელია ფორუმების, სოციალური ქსელებისა და სხვა საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით მომხმარებელთან პირდაპირი ურთიერთობის ჩამოყალიბება.

როცა მომხმარებელს მიეწოდება ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია მარკეტინგული კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებების მიერ, როცა რეკლამას, საზოგადოებასთან ურთიერთობას, პერსონალურ გაყიდვებსა და გასაღების სტიმულირებას სხვადასხვა მესიჯები აქვს, რომლებიც მომხმარებლის მისამართით სხვადასხვა დროს იგზავნება, ცხადია, მომხმარებელი კარგავს ნდობას პროდუქტის მიმართ. ამიტომ, პროდუქტის შეფუთვისას, კომპანიის მარკეტინგის სამსახური უნდა ეცადოს ერთიანი კომუნიკაციის კომპლექსის გამოყენებას, რათა პროდუქტის გაყიდვა ეფექტურად განხორციელდეს. კომპანიამ უნდა გააერთიანოს სტიმულირების საშუალებები და შექმნას კოორდინირებული მასტიმულირებელი კომპლექსი.

კოორდინირებული მასტიმულირებელი კომპლექსის შექმნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს მსგავსი განვითარებადი ქვეყნისთვის, სადაც ერთი კონკრეტული მიმართულების გამოყენებამ შესაძლოა კომპანიის ეფექტურობა ეჭვქვეშ დააყენოს. ხოლო იმისთვის, რომ ნეგატიური შედეგი არ გამოიღოს, ბევრი ასპექტია გასათვალისწინებელი.

მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებები რეკლამას, მარკეტინგსა და პიარს შორის კარგად არის განსაზღვრული, მაინც არსებობს უამრავი მოსაზრება, რომ ორგანიზაციებში მიზნების მიღწევა უკეთ იქნება შესაძლებელი ინტეგრირებული მიდგომების მეშვეობით.

დღესდღეობით ნებისმიერი კომპანიისათვის და კერძოდ საბანკო მომსახურების ბაზარზე იმკ წარმოადგენს კონკურენტუნარიანობის მნიშვნელოვან ფაქტორს. საქართველოს საბანკო ბაზრის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქართული ბანკების უმრავლესობა აქტიურად იყენებენ და სრულყოფენ საკუთარი პროდუქციის წინწანევისთვის ინტეგრირებული ტექნოლოგიების მიდგომებს.

## დასკვნა

თანამედროვე პირობებში, როცა სულ უფრო და უფრო მძაფრდება კონკურენტული გარემო საბანკო მომსახურების ბაზარზე, ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების გამოყენებას სულ უფრო მეტი სარგებელი მოაქვს საკრედიტო ორგანიზაციებისათვის. იკვეთება ტენდენცია, რომ კომერციული ბანკები სულ უფრო მეტად ინტერესდებიან მარკეტინგული კომუნიკაციის ინტეგრირებით და არ სჯერდებიან მხოლოდ მედიაში რეკლამის განთავსებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციის საშუალებები, მათი განვითარების ეტაპები და ერთმანეთთან ურთიერთობის სპეციფიკა მუდმივად წარმოადგენს მარკეტოლოგთა დაკვირვების საგანს.

## ლიტერატურა :

1. ფ. კოტლერი, გ. არმსტრონგი. „მარკეტინგის საფუძვლები“. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. 2015.
2. დ. ვაშაყმაძე. „მომხმარებელთან ურთიერთობის მენეჯმენტი (CRM) და მისი მნიშვნელობა ინტეგრირებული კომუნიკაციის გამოყენების პროცესში“. ჟურნალი „ეკონომიკა“ - #10-12, 2014
3. ე.ხახუტაშვილი, თ. ქობლიანიძე, ლ. კოჭლამაზაშვილი. „რეკლამა და სტიმულირება. სახელმძღვანელო. გამომცემლობა „გრანალი“. 2013
4. ნ. კუპრაშვილი პროდუქტის განთავსება - კომუნიკაციის ინოვაციური ტექნიკა“, ჟურნალი „ბიზნესი“, #1, 10 იანვარი, 2008.
5. Кренделл Р. «1001 способов успешного маркетинга». Пер.с английского. М.,-2001  
Krendell R. 1001 ways of successful marketing... / Per with English K. Tkachenko - М • FAIR-PRESS, 1999 (in Russian)
6. Меркатор. Теория и практика маркетинга.. Автор: Ландреви Ж., Леви Ж., Линдон Д. 2006.
7. Лаврушин О., «Банковское дело». Кнорус \* Москва. 2013
8. Басова С.Н., Какурина А.А. Интегрированные маркетинговые коммуникации банка как фактор его конкурентоспособности

на рынке финансовых услуг. Перспективы науки и образования . №1 (7).2014

9. Schmidt, W. C. (1997): World-Wide-Web Survey Research: Benefits, Potential Problems and Solutions: Behavior Research Methods, Instruments & Computers. 1997.

10. Schultz, D E. (2000): Marketers Still In Need Of Basic Training. Marketing News. Chicago. Feb14, 2000.

11. <https://www.nbg.gov.ge>

### REFERENCES:

1. f. Kotler, c. Armstrong. „Marketing Basics”. Bakur Sulakauri publishing house.2015.

2. d. Vashakmadze. „Customer Relationship Management (CRM) and its meaning in the use of integrated communication.” Journal „Economics” - # 10-12, 2014

3.E.Khakhutashvili, T. Koblianidze, L. Kochlamazashvili. „Advertising and stimulation. Guide. Publishing house „Grail”. 2013

4. N. Kuprashvili Product Placement - Innovative Communication „Journal” Business „, # 1, 10 January 2008.

5. Krendell R. 1001 ways of successful marketing... / Per with English K. Tkachenko — М • FAIR-PRESS, 1999 (in Russian)

6. Merkator, Theory and practice of marketing, Volume 1, Landrevi., Levi Zh., Lyndon D., 2006 (in Russian)

7. Lavrushin O., „Banking”. Knorus \* Moscow. 2013 (in Russian)

8. S. N. Basova A. A. Kakurina Integrated marketing communications of the Bank as a factor of its competitiveness on the market of financial services Prospects of science and education. No. 1 (7).2014 (in Russian)

9. Schmidt, W. C. (1997): World-Wide-Web Survey Research: Benefits, Potential Problems and Solutions: Behavior Research Methods, Instruments & Computers. 1997.

10. Schultz, D E. (2000): Marketers Still In Need Of Basic Training. Marketing News. Chicago. Feb14, 2000.

11. <https://www.nbg.gov.ge>

## THE MEANING AND SIGNIFICANCE OF MARKETING COMMUNICATIONS

**Sandro kandashvili**

PhD Student, GTU

### RESUME

The need for integrated marketing communication is gradually understood by commercial organizations. They believe that the success of the company depends on the effectiveness of marketing communication. Integrated marketing communication for businesses is an opportunity to increase sales and to maximize its revenue by using correct marketing of integrated marketing communications forms.

**Keywords:** bank, banking product, complex of marketing communications, integrated approach, competitiveness, advertizing campaign, social activity.



**ბანკითარებული ძვეყნების სამედიცინო  
დაზღვევის მოდელების ემპირიული ანალიზი და  
მათი გამოყენების შესაძლებლობა საქართველოში**

**ასიე ცინცაძე,**  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის პროფესორი

**ლილით მელოიანი-ფუტკარაძე**  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ასისტენტი პროფესორი

**რეზიუმე**

ნაშრომის მიზანია, სამედიცინო დაზღვევის სფეროში არსებული მოდელების გამოყენების ეფექტიანობის ანალიზი, მათი დადებითი მხარეების გამოყენების შესაძლებლობა საქართველოს სამედიცინო დაზღვევის სისტემაში და ღონისძიებათა ჩამოყალიბება არსებულ მოდელში სხვადასხვა ქვეყნის მოდელების სინთეზის საფუძველზე სრულყოფისა და ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

**საკვანძო სიტყვები:** საყოველთაო დაზღვევა, საშუალო ხელფასი, ჩართვის ბარიერი, სადაზღვევო შენატანი, დასაქმების და შემოსავლების თანაფარდობა.

**ძირითადი ტექსტი**

თანამედროვე მსოფლიოში სამედიცინო დაზღვევა აღარ მიეკუთვნება ფუფუნებას. მაგრამ ადამიანთა 40% ჯერ კიდევ შემოსავლის დიდ ნაწილს ხარჯავს გართობაზე, ექსკურსიებზე და ა.შ, ხოლო იშვიათად სამედიცინო დაზღვევის პოლისის შექმნაზე. ჯერ კიდევ ადამიანთა ფსიქოლოგიაში რჩება გამართლება მათი ქმედებისა, რითაც ისინი თვლიან რომ სამედი-

ცინო პოლისის ღირებულება მეტია იმ სამედიცინო მომსახურებაზე, რასაც ლებულობენ სამედიცინო დანესებულებებში. ეს ფსიქოლოგიური ბარიერი განვითარებული ქვეყნებში გადაილახა და თითოეული მოქალაქისათვის სამედიცინო დაზღვევა ცენტრალურ „პროდუქტად“ გადაიქცა. ისტორიულად სამედიცინო დაზღვევის ფორმები და დაფინანსების მექანიზმები იცვლებოდა, მიზანი კი უცვლელი რჩებოდა: დაეცვა ოჯახები სამედიცინო მომსახურების ანაზღაურების მიღებული მატერიალური ზარალისაგან. მსოფლიოში მოქმედი ყველა ქვეყნის სამედიცინო დაზღვევის ეკონომიკური მექანიზმი დაფუძნებულია ცნობილ ოთხ მოდელზე: ბისმარკის, ბევერიჯის, ეროვნულ სამედიცინო დაზღვევასა და საკუთარი ჯიბიდან გადახდის მოდელებზე. აღნიშნული მოდელები წმინდა სახით მათი შექმნის პერიოდში გამოიყენებოდა, ხოლო შემდგომ, როგორც მათ სამშობლოში, ასევე სხვა ქვეყნებში ცალკეული მოდელების ელემენტების სინთეზის საფუძველზე იქმნებოდა საკუთარი მოდელები. ნებისმიერი ქვეყნის ხელისუფლება საკუთარ თავზე ლებულობს სოციალური პოლიტიკის გატარების სიმძიმეს, ამიტომ ხელისუფლების გადასახედიდან ბისმარკის მოდელი მისაღებია, რადგან მისით განიტვირთება სახელმწიფო ბიუჯეტი ჯანდაცვის ხარჯების ნაწილისაგან, ბევერიჯის მოდელი კი სახელმწიფოს შემოსავლებიდან უზრუნველყოფას ექვემდებარება. ეროვნული სამედიცინო დაზღვევის მოდელი, როგორც ბისმარკის, ასევე ბევერიჯის მოდელების სინთეზია. განსხვავებული ელემენტებისაგან შემდგარი სისტემა ქმნის სირთულეს ბენეფიციარების სწორად განსაზღვრისათვის. ცხადია, მოდელთაშორის მისაღები საკუთარი ჯიბიდან დაფინანსებაა, მაგრამ 200 ქვეყნიდან ამგვარი მოდელის ჯანდაცვის სისტემა, მხოლოდ 40 ქვეყანაშია. მსოფლიოში მოსახლეობის განსხვავებული ცხოვრების დონე, დაავადების სხვადასხვა სახის რისკები, უმუშევრობა/დასაქმების დონე, ინტელექტი არ იძლევა საშუალებას ერთი რომელიმე მოდელის დამკვიდრებისა და ჯანდაცვის პრობლემის გადაწყვეტისათვის. თვით ერთ სახელმწიფოშიც კი ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმები განსხვა-

ვებულია, ამიტომ ხელისუფლების როლი არა მხოლოდ ჯანდაცვის სისტემის ადმინისტრირებაში უნდა გამოიხატოს, არამედ შექმნას პირობები, რომლითაც მოსახლეობა შეძლებს ისარგებლოს კერძო სამედიცინო დაზღვევით და პარალელურად მონაწილეობა მიიღოს სოციალურად დაუცველთა სამედიცინო მომსახურების დაფინანსებაში. ამ პრობლემის გადაჭრისათვის მნიშვნელოვანია წარმატებული სამედიცინო დაზღვევის მქონე ქვეყნების მექანიზმების შესწავლა, მათი შედარება განვითარებული ქვეყნების სამედიცინო დაზღვევის მექანიზმთან და პრობლემების გამოკვეთა, რაც აფერხებს მოსახლეობის ჯანდაცვის სრულყოფილი მოდელის ჩამოყალიბებას. გამომდინარე იქედან, რომ გერმანიის კანცლერი ბისმარკი იყო პირველი, ვინც ჩამოაყალიბა სოციალური დაცვის და კერძო დაზღვევის მოდელი, განვიხილავთ ამ ქვეყანაში დღეისათვის მოქმედ სამედიცინო დაზღვევის სისტემას, ხოლო ბევრიჯი, რომელიც უპირატესად სამედიცინო დაზღვევის დაფინანსებას ავალდებულებდა სახელმწიფოს, მნიშვნელოვანია განვიხილოთ დიდი ბრიტანეთის სამედიცინო დაზღვევის მექანიზმი. რაც შეეხება განვითარებულ ქვეყნებს, მიმაჩნია, რომ ესტონური მოდელი, როგორც პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყანა, საინტერესო იქნება განვითარების გზაზე მყოფი ქვეყნისათვის. მოცემული ქვეყნების სამედიცინო დაზღვევის მონაცემების ემპირიული ანალიზის მეთოდებით გამოიკვეთება მიზეზები, რომელიც აფერხებს სამედიცინო დაზღვევის ეფექტიანობას.

დღეისათვის გერმანიაში მოქმედებს სამედიცინო დაზღვევის ორმაგი სისტემა: სავალდებულო სახელმწიფო დაზღვევა და კერძო სამედიცინო დაზღვევა. სავალდებულო დაზღვევა დაშვებულია ყველა პირისათვის ვინც გააკეთებს განაცხადს განევრიანებისათვის, ხოლო კერძო დაზღვევა მოითხოვს განსზღვრული პირობების შესრულებას. სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის საფუძველია სოლიდარობის პრინციპი. ყოველი დაზღვეული ე.წ. საავადმყოფოს სალაროში იხდის სახელფასო შემოსავლის 15.5%, რომელიც დამსაქმებლის შეხედულებით შეიძლება გადანაწილდეს დასაქმებულზე. ყველა დაზღვეული ღებულობს სამედიცინო

მომსახურებას სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნორმების მიხედვით. ამ ფონიდან ფინანსდება აგრეთვე მონაწილეთა ოჯახის წევრი ბავშვი და მეუღლე. სავალდებულო დაზღვევაში მონაწილეობის ვალდებულება აკისრია აგრეთვე: მოსამსახურეებს, რომელთა წლიური შემოსავალი დაბალია დაზღვევაში ჩართვისათვის საჭირო მინიმუმის დონეზე: მათ შორის, პენსიონერები და უმუშევრები. სავალდებულო დაზღვევაში ჩართვისათვის შემოსავლის დონე თითქმის ყოველწლიურად იცვლება, 2017 წლისათვის ეს პარამეტრი შეადგენს 57 600 ევროს. ამ რაოდენობაზე მეტი შემოსავლის შემთხვევაში პირს უფლება ეძლევა აირჩიოს კერძო დაზღვევა, მაგრამ ის ვერ ისარგებლებს სახელმწიფო დაზღვევით. სავალდებულო შემოსავლის დონის ზრდა მიმართულია სულ უფრო მეტი ადამიანის ჩართვისათვის სახელმწიფო დაზღვევაში. რაც შეეხება ზემოთ ხსენებულ პენსიონერთა ჩართვას, ისინი ვალდებული არიან ჩაერთონ დაზღვევაში, მაგრამ მათ მიერ გადასახდელი განაკვეთი არის დაბალი და დამოკიდებულია გამოქვეყნებული პენსიის სიდიდეზე. უმწეოები და უმუშევრები დაზღვეული არიან სახელმწიფოს მიერ.

კერძო სამედიცინო დაზღვევაში ჩართვის უფლება აქვს პირებს, რომელთა შემოსავალი მაღალია სავალდებულო დაზღვევაში ჩართვისათვის დადგენილ წლიური შემოსავლის დონეზე, ასევე საჯარო მოხელეებს და კერძო მენარმეებს, პირებს, რომლებიც თავის პროფესიული უნარებით მტკიცებულ შემოსავლებზე ემსახურებიან მრავალრიცხოვან მომხმარებელს. გერმანიაში საკმაოდ მრავალმხრივი მიმართულებების სამედიცინო დაზღვევა (არსებობს სხვადასხვა მიდგომები უცხოქვეყნის მოქალაქეების, სტუდენტების, მკვლევარების, დასაქმებულების, მოგზაურების დაზღვევაზე) და მსოფლიოში ყველაზე წარმატებულად ითვლება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ნაკლოვანებების გარეშე, კერძოდ სავალდებულო დაზღვევაში ჩართვის ვალდებულება ადამიანებს უზღუდავს არჩევანის გაკეთებას უკეთესი სამედიცინო მომსახურების მისაღებად.

ბევერიჯის სისტემის სამშობლო დიდი ბრიტანეთია. სამედიცინო მომსახურება უფასოა. ყველა ინგლისელი მიმაგრებულია



საერთო პრაქტიკის ექიმთან, რომელიც გამოწერს რეცეპტებს და განსაზღვრავს: სჭირდება თუ არა პაციენტს ვინრო სპეციალისტის კონსულტაცია. საჭიროების შემთხვევაში მომსახურებას მიიღებს „18 კვირის“ ვადაში. ამ სქემაში დევს ხარჯების შეკვეცის მექანიზმი, ანუ იგულისხმება, რომ, თუ პაციენტი არ არის მძიმედ დაავადებული, 18 კვირის განმავლობაში იგი შეიძლება გამოჯანმრთელდეს და საჭიროება იმისა, რომ სახელმწიფომ გაიღოს ვინრო სპეციალისტის დაფინანსების ხარჯი აღარ იარსებებს. „18 კვირის“ კანონს აქვს თავისი დადებითი მხარე. ამ ვადაში აუცილებლად უნდა გაუკეთდეს პაციენტს ქირურგიული ოპერაცია თუ საჭიროა, და მას არ მოუწევს წელიწადი და მეტი ვადით მოცდა. როგორც სამედიცინო მომსახურების სქემები აჩვენებს, დიდი ბრიტანეთში სავალდებულო სამედიცინო დაზღვევა არ არსებობს. რაც შეეხება კერძო სამედიცინო დაზღვევას, იგი წარმოდგენილია 12 სადაზღვევო კომპანიის სახით და მოსახლეობის მხოლოდ 13% არის ჩართული. კერძო დაზღვევით სარგებლობენ პირები, რომელთა შემოსავალი 11000 ფუნტ სტერლინგზე მაღალია. კერძო დაზღვევით მოსარგებლე პირებს საშემოსავლო გადასახადში შეღავათი არ აქვთ, უფრო მეტიც, დაზღვევით მიღებული კომპენსაცია იბეგრება, როგორც ნატურით მიღებული შემოსავალი. ბოლო წლებში შემოღებული იქნა კანონი, მოქალაქეები, რომლებიც 60 წელზე მეტი ასაკის არიან და ერთვებიან კერძო დაზღვევაში უწესდებათ შეღავათი გადასახადებში, როგორც მონაწილეებს, ასევე მზღვეველებს. განხილული ქვეყნები: გერმანია და დიდი ბრიტანეთი, როგორც ვხედავთ, ინარჩუნებენ ბისმარკისა და ბევერიჯის მოდელების პრინციპებს, მაგრამ ეკონომიკური განვითარების შესაბამისად შეტანილია რიგი ცვლილებები.

პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყანაა ესტონეთი, რომელიც სწრაფი გარდაქმნების საფუძველზე მიუახლოვდა ევროპულ ღირებულებებს. ესტონეთმა პირველ რიგში დაანესა სოციალური გადასახადი 33%, რომლის 13% მიიმართება სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევის ფონდში, ხოლო 20% საპენსიო დაზღვევის ფონდში. ამავე დროს, სამედიცინო დაწესებულებე-

ბის დეცენტრალიზაციას შეუწყო ხელი. ბოლო მონაცემებით ესტონეთში ფუნქციონირებს მხოლოდ ერთი სახელმწიფო სა-დაზღვევო კომპანია. კერძო დაზღვევამ აქ ფეხი ვერ მოკიდა, რომლის მიზეზად ესტონელი მკვლევარები ცხოვრების დონის შეუსაბამობას ასახელებენ კერძო დაზღვევის მოთხოვნებთან. განხილულ ქვეყნებს შორის ესტონეთში სამედიცინო დაზღვევა არის სახელმწიფოს ხელში, ხოლო სამედიცინო დანებსებუ-ლებები კი კერძო საკუთრების ფორმისაა. ჩვენი აზრით, სა-კუთრების ორ რადიკალურ ფორმას შორის თანამშრომლობა ბევრ სირთულეებს წარმოქმნის და ამავე დროს თაღლითობის შესაძლებლობასაც ქმნის. კერძო დანებსებულებები სახელმწი-ფოსაგან ქარბი ფინანსების მიღების მიზნით პაციენტის მდგო-მარეობის შეუსაბამო მკურნალობას დაუნიშნავენ და ასევე მომსახურების ფასებს გაზრდიან. ე.ი. სახელმწიფო ფინანსე-ბი, მობილიზებული სოციალური გადასახადით ძირითადი მიზ-ნის-ჯანმრთელობის დაცვის- სანაცვლოდ მოემსახურება, პი-რიქით არასწორ მკურნალობას.

განხილული ქვეყნების ჯანდაცვის სისტემები და მათში კონ-კრეტულად სამედიცინო დაზღვევის როლი ბევრ კითხვას აჩენს, რომელიც უშუალოდ ეხება განეული ხარჯების შესაბამისობას სა-მედიცინო მომსახურების დონესთან. პრობლემების წრე შემცირ-დება, თუ თითოეული ადამიანი იზრუნებს დაიცვას ცხოვრების ჯანსაღი წესი.ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) გან-მარტებით: „ჯანმრთელობა არის სრული ფიზიკური, სოციალური და სულიერი კეთილდღეობა“, რომლის მონაცემებით:

- ჯანმრთელობა 49-53% -- დამოკიდებულია ცხოვრების წესზე;
- 18-20%--მემკვიდრეობითობაზე;
- 17-20%--გარემოს(ეკოლოგია) გავლენაზე;
- 10%-ჯანდაცვის მიწოდებაზე (სამედიცინო დახმარების აღმოჩენა).

(წყარო://studydoc.ru/doc/312921/zdorovyj-obraz-zhizni-dolzhen-stat.\_-normoj-dlya-teh—kto-- **Доклад начальника Управления здравоохранения Исполнительного комитета г. Казани Р.У. Ахметова на аппаратном совещании 14.09.2009**)

ჯანმრთელობის ხარისხი და ფიზიკური განვითარება-სამუშაო ძალის ხარისხობრივი შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა. ინდივიდუალური ადამიანის ჯანმრთელობა ქმნის საზოგადოების ჯანმრთელობას, რომელიც აისახება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. აქედან გამომდინარე, ზრუნვა თითოეული ადამიანის ჯანმრთელობაზე გარკვეულწილად სახელმწიფოს ვალდებულებაა. ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე იულიუს ცეზარმა თქვა: “მოქალაქეთა ჯანმრთელობა- სახელმწიფოს უდიდესი საზრუნავია“. თუმცა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ სახელმწიფოს როლი შეამცირა და დამოკიდებული დარჩა ადამიანის მატერიალურ მდგომარეობაზე, შესაბამისად ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებში გართულდა ცხოვრების ჯანსაღი წესის დაცვა. ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში კი ეკოლოგიური ფაქტორი ქმნის საფრთხეს.

ეკონომიკაში არსებული და მიმდინარე პროცესების ადექვატური და შესატყვისი პრაქტიკული ხასიათის სიტუაციური მოცემულობების, საწარმოო-სამეურნეო თუ სამენარმეო სფეროსთვის მახასიათებელი მოვლენების სასწავლო აუდიტორიაში ან თუნდაც ეკონომიკურ ლაბორატორიაში გაანალიზებას და შესწავლა-გააზრებას მაღალი მოხმარებითი ღირებულება გააჩნია. ამიტომაცაა, რომ უცხოეთში მიკროეკონომიკური ანალიზის მეცნიერების სწავლების პროცესი თეორიის ნორმატიული წესების და პრაქტიკის მოთხოვნებიდან წარმოშობილი მოცემულობების სინქრონიზირებულად სწავლის არეალში მიმდინარეობს. ამ სახის ქმედებით კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებით დაინტერესებული უმაღლესი სასწავლებელი რეალურ საშუალებას იძლევა თანამედროვე ეკონომიკის მოთხოვნის შესატყვისი სპეციალისტის მომზადების კუთხით.

ეკონომიკური ანალიზის არსებითი და ღირებული თეორიული პოსტულატების საწარმოო-სამეურნეო პრაქტიკასთან მისადაგების, ან/და, პირიქით, ამ პრაქტიკის მოთხოვნიდან თეორიისკენ “უკუსვლის” დროს არსებული დაბრკოლებების გადანყვეტის

<sup>1</sup> ჩვენთან ეკონომიკური ანალიზის საგნის სწავლების კუთხით მეტად არაორდინალური და პარადოქსული სიტუაცია გვაქვს; უმაღლეს სასწავლებლებში ხომ ეკონომიკური ანალიზის საგნის სწავლების დონე და ხარისხი კრიტიკას ვერ უძლებს. ამ საკითხს ჩვენ სპეციალური სტატიაც კი მიუძღვნით. (იხ. სამეცნიერო ჟურნალი “ეკონომიკა” 2015, № 10-12 გვ. 98-106). ამ სახის ვითარების ფონზე ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დღევანდელი ეტაპი და მომავლის პერსპექტივა უბრალოდ ვერც და არც შესატყვისება უმაღლესი სასწავლებლის ეკონომიკური პროფილის კურს-დამთავრებულთა ცოდნის ნიშნულს, მათ უმრავლეს შემთხვევაში ზედაპირული და ემპირიული წარმოდგენა აქვთ ეკონომიკური ანალიზის სფეროში არსებულ საკითხებზე და პრობლემებზე; არადა ამ დროს ერთიან ევროპულ ეკონომიკურ სივრცეში ქვეყნის ინტეგრაციის, საივესტიციო აქტივობისა და ეკონომიკური სტაბილიზაციის ზრდის პირობებში ანალიტიკური ანალიზის უნარ-ჩვევების გამომუშავება და შემდგომში მისი რეალიზაცია ძალზე მომგებიანია როგორც უშუალოდ მომავალი სპეციალისტისათვის ისე მთლიანად ჩვენი ქვეყნისათვის.

ყველა შესაძლო ვარიანტის ან სავარაუდო გზის მისაღები “რეცეპტურის” მომზადების წესის გაცნობა და მისი რეალიზაცია ძალზე არსებით საჭიროებას წარმოადგენს. სხვა შემთხვევაში ხომ ეკონომიკის სფეროს ანალიტიკოს-სპეციალისტის პროფესიონალური კომპეტენცია თანამედროვეობის მოთხოვნებს არც და ვერც შეესაბამება, მისი ცოდნის რეიტინგი დეველპირებული გახდება, რაც საბოლოო ჯამში კონკურენციული გარემოს პირობებში დასაქმების პერსპექტივის ნიველირების მაპროვიცირებელ ფაქტორად იქცევა.

თანამედროვე მოთხოვნის შესატყვისი მიკროეკონომიკური ანალიზის მეთოდოლოგია მთელი რიგი მეცნიერებების — ფილოსოფიის, ლოგიკის, ეკონომიკის, იურისპუდენციის მეცნიერებათა მიღწევებს ეყრდნობა. ამ გარემოების ფონზე შესაძლოა ვივარაუდოთ რომ ეკონომიკური ანალიზის სწავლების ზოგადი მეთოდოლოგია ამოსავალი დებულებებით სრულადაა განსაზღვრული(!). ამასთან, ეკონომიკური მეცნიერების სწავლების მხოლოდ ზოგადი მეთოდოლოგია კონკრეტულის, სწორედ ამ მეცნიერებისათვის დამახასიათებელი კონკრეტული მეთოდოლოგიის გარეშე აშკარად “მოიკოჭლებს”; მოვლენათა განვითარების ფონზე დასაბამი ეძლევა თეორიის პრაქტიკის რეალობისგან ჩამოცილებას. ამდენად, თანამედროვეობის მოთხოვნის ადექვატური სწავლების მეთოდოლოგიის ზოგადისა და კონკრეტულის სრული შესატყვისობა და მათი ჰარმონიზაცია მომავალი ეკონომისტის, როგორც სპეციალისტის პროფესიონალური კომპეტენციის მიღწევის გზაზე აუცილებელ და საკმარისი მოცემულობას წარმოადგენს.

ამრიგად, უმაღლესი სასწავლებლის ფარგლებში ეკონომიკური ანალიზის კუთხით ბიზნეს-ანალიტიკოსის ან ბიზნეს-ადმინისტრატორის პროფესიონალური დონის ფორმირების ერთ-ერთ ქმედითი გზა პრაქტიკული ხასიათის სასწავლო და სიტუაციური ამოცანებზე გადის. ამიტომაც უმაღლეს სასწავლებელში ეკონომიკური ანალიზის სწავლის პროცესში სასწავლო და სიტუაციური ამოცანების დასმა, მათი გადანყვეტის ყველა შესაძლო გზების მოძიება, შემდგომში ანალიტიკური ჩვევებისა და ინტუიციური უნარის ჩამოყალიბება და საბოლოო ჯამში ეკონომიკური



ანალიზის ყველა შესაძლო პერიპეტეიის სრულად გათავისება მომავალი სპეციალისტის წარმატებული წინსვლის მნიშვნელოვან ბერკეტად წარმოჩინდება. სწავლის პროცესში აღნიშნული ამოცანების გადაწყვეტის პროცედურაში სტუდენტთა აქტიური მონაწილეობა ან თუნდაც, უკიდურეს შემთხვევაში, მასში მეტი ჩართულობის მიღწევა “კეთილსასურველ” გავლენას ახდენს მომავალი სპეციალისტის პროფესიონალური რანგის კომპეტენტურობაზე.

ეკონომიკური ანალიზის როგორც სასწავლო ისე სიტუაციური ხასიათის მქონე ამოცანის გაანალიზება და გადაწყვეტა სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს შეიცნოს და დაიმახსოვროს ეკონომიკის ძირითადი კანონები და მოდელები, მათი მახასიათებელი თავისებურებები და პრაქტიკული გამოყენების წესი და ფარგლები. ამიტომაც სასწავლო აუდიტორიის ფარგლებში სტუდენტს პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე კონკრეტული ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტით უნვითარდებათ ეკონომიკური განვითარების საერთო კანონების პრაქტიკის მოცემულობაში გამოყენების უნარ-ჩვევები; მოვლენათა სასურველი განვითარების კვალობაზე საბოლოო ჯამში უმაღლესი სასაწავლებლის კურსდამთავრებულს წარმატება მომავალში პოტენციურად გარანტირებულიც კი აქვს.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით სავსებით კანონზომიერია მივანიშნოთ რომ უმაღლეს სასწავლებელში ეკონომიკური ანალიზის საგნის სწავლების პროცესში სასწავლო ან/და სიტუაციური ამოცანები აქტიურად უნდა იქნეს დანერგილი. ამ სახის ამოცანების არა თუ “ზრდილობის” თუ “მოდის” სახით გამოყენება ფუჭი და არაფრის მომცემია; იგი უცილობლად სავალდებულო სახით უნდა იქნეს ჩართული ეკონომიკური პროფილის სტუდენტთა მომზადების პროცესში. ობივატელი ამ მოთხოვნას მარტივად გადაწყვეტს — ჩვენთან ხომ ძალიან ბევრი საკითხი ერთი ხელის მოსმით წყდება: ის ფინანსური ან უკეთეს შემთხვევაში საბუღალტრო აღრიცხვის შინაარსის მქონე ან მსგავსი ხასიათის ამოცანას დასვამს ან წარმოადგენს და ზემოთ დასმულ საკითხსაც ადვილად გადაწყვეტს(!). ამ სახის ან მსგავსი დატვირთვის

მქონე ქმედება უბრალოდ ან პედაგოგიურ “ყალთაბანდობას” ან დილეთანტიზმს წარმოადგენს. ამიტომაც ეს რომ არ მოხდეს სასწავლო ან სიტუაციური ამოცანები უსათუოდ დატვირთული უნდა იყოს ან მათ უნდა გააჩნდეს ანალიტიკური მუშაობის თეორიული საფუძვლების, მონაცემების ანალიტიკური დამუშავების თანამედროვე მეთოდების და ხერხების, “ანალიტიკური ინფორმაციის მომხმარებლების დაკმაყოფილების მიზნით ანალიზის შედეგების მართებულად დოკუმენტირებისა და გაფორმების უნარის” შექმნის პრეტენზია.<sup>1</sup>

ამდენად ეკონომიკური ანალიზის შესწავლის დროს სასწავლო ან/და სიტუაციური ამოცანების უმაღლესი სასწავლებლის აუდიტორიის ფარგლებში დასმა და შემდგომში კი მათი “ამოხსნა” მარტივი სრულებით არაა; აქ ამ პროცესში ქმედების სირთულე არა მხოლოდ ეკონომიკური ანალიზის საგნის სწავლების ხელმძღვანელი და წამყვანი სპეციალისტებიდან მოდის; ამოცანათა სირთულეს და სიმძიმეს სტუდენტთა მხრიდან წამოსული მოცემულობა ჰქმნის და ის გარკვეული სახის დაბრკოლებად წარმოჩინდება. კერძოდ, მათი მომზადების დონე და მათი მარგი ქმედების კოეფიციენტის ხარისხი თითქოს-და ამოცანის სირთულის პროვოცირებას ახდენს. აღნიშნულის ფონზე სავსებით კანონზომიერად საკმაოდ საყურადღებო და ღირებული ხასიათის მქონე მთელი რიგი “წინალობები” წარმოიშვება:

- ამოცანის გადანყვევების პროცესში სტუდენტი ვერ გეზულობს დასმული ამოცანის მოცემულობას, ამდენად ის შესაბამისი დონით ვერ წვდება ან ხვდება უშუალოდ მისი საქმიანობის მიზანს;
- ის ყოველთვის ვერ აანალიზებს დასმული ამოცანის შინარსს, ვერ ახერხებს მის გააზრებას და დასაბუთებას;
- სტუდენტი ხშირად ეკონომიკურ კატეგორიებს, ტერმინებს და განსაზღვრებებს, და ასევე მათემატიკურ ქმედებებს არამართებულად იყენებს.

აღნიშნული რეალობა ასე თუ ისე გამოსწორებადია, მაგრამ ეს

---

<sup>1</sup> ამ აზრს ჩვენ მივიწინებდით ეკონომიკური ანალიზის კურსის საგანზე შედგენილ სახელმძღვანელოში. იხ. ა. აბრალავა ზ. ჯორბენაძე ეკონომიკური ანალიზი. სახელმძღვანელო თბილისი, 2016 წელი. გვ. 7-8.

ისე უნდა მოხდეს შესაბამისი გზისა და საშუალების მოძიებით. ამ მიმართებით ყველაზე მისაღები და რეალური გზაა სწავლების ხარისხის ამაღლება ისეთ საგნებში როგორც არის ეკონომიკური თეორია, სტატისტიკა, ბუღალტრული ან ფინანსური აღრიცხვა და ა.შ. მართალია თავისი არსით და დატვირთვით ეკონომიკური ანალიზის სასწავლო ან/და სიტუაციური ხასიათის მქონე ამოცანის “ამოხსნა” მარტივ ქმედებას სრულებით არ წარმოადგენს; აქ საჭიროა რამდენიმე აუცილებელი ეტაპის - როგორც მოსამზადებელი ხასიათის ისე უშუალოდ საკითხის გადანყვეტის დატვირთვის მქონე ეტაპების გავლა:

- თავდაპირველად უნდა გაანალიზდეს ამოცანის პირობა და შემდეგ კი მისი ცხრილის ან სქემის სახით თვალსაჩინო ინტერპრეტაცია მოხდეს. ეს ეტაპი რაღაცა დოზით მოსამზადებელ ეტაპია. აქვე უნდა მივანიშნოთ, რომ იმ შემთხვევაში თუ შესასწავლი მოვლენა ან პროცესი საკმაოდ ნათელი და გასაგებია, მაშინ აღნიშნული ეტაპი შეიძლება არც იქნეს გამოყენებული, მაგრამ ანალიზისას საწყისი/ამოსავალი დებულებების მომზადების საკითხი დღის წესრიგიდან სრულებით არაა მოხსნილი.

- შემდეგ ეტაპზე შედგენილი უნდა იქნეს დასმული ამოცანის (პრობლემის) ე.წ. ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი (ფორმულა). ამ სახის მოდელით შესასწავლი მოვლენის მახასიათებელი მაჩვენებლები რაოდენობრივ მხარესთან დაკავშირება უნდა მოხდეს. ეს ეტაპი ეკონომიკური ანალიზის ამოცანის გადანყვეტის გზაზე მთავარ სირთულეს წარმოადგენს - აქ ეკონომიკური კანონებისა და წარმოდგენილი ამოცანის პირობების მიმართ მათემატიკური ფორმულის გამოყენება მიმდინარეობს, ხოლო თვით ამ ჩანაწერით ის მოდელი იქმნება, რომელშიც საძიებო სიდიდე უცნობია, ხოლო ეკონომიკური ხასიათის ამოცანა მათემატიკურ ამოცანამდე დაიყვანება. ეკონომიკური ამოცანის მათემატიკურ ამოცანად “გარდაქმნის” შემდეგად დასახული მიზნის მიღწევა მეტის სიზუსტითაა შესაძლებელი - გაანგარიშების მიღებული მოდელი საკმაოდ მყარ და სანდო მოცემულობას წარმოადგენს. მიღებული მოდელის გაანალიზება შესაძლებლობას იძლევა სხვა სიდიდეების ცვლილების დროს მეტის სიზუსტით დადგინდეს

საძიებო საკითხის (მონაცემის) ცვლილების არეალი.

- მესამე ეტაპზე ხდება ციფრული გაანგარიშების ჩატარება და მისი შესაბამისი დონით ინტერპრეტაცია, ანუ ტექსტური დასკვნის ჩამოყალიბება. ამ დროს მთავარ მიზანს გაანგარიშების შედეგების ინტერპრეტაცია, მონაცემების ცვლილების შეფასება, შემდგომში ანალიზის მიმართულებით რეკომენდაციების შემუშავება წარმოადგენს.

წარმოდგენილი პირობების დაცვის დროს ეკონომიკური ანალიზის სასწავლო და სიტუაციური ხასიათის მქონე ამოცანის “ამოხსნის” პროცესი ადექვატურად მარტივდება; ამავე მიმართულებით გარკვეული დონით მოქმედებს საგნის სწავლების წამყვანის სპეციალისტის კვალიფიკაციური დონე და თვით ამ ამოცანათა შერჩევის არეალი და სივრცე. ამიტომაც მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ სასწავლო ან/და სიტუაციური ამოცანები “ეკონომიკური ანალიზის” კურსის რამდენიმე განყოფილების და არა ყველა შესაძლო თემის მიხედვით შერჩეული უნდა იქნეს. აღნიშნულის გათვალისწინებით ამოცანები შედგენილი და სასწავლო პროცესში ისინი შესაძლოა წარმოდგენილი იქნეს ეკონომიკური ანალიზის თეორიის საფუძვლების, ხარჯებისა და მოგების, გაყიდვების ურთიერთკავშირის ანალიზის, გეგმიური მაჩვენებლების შემუშავების და მონიტორინგის ანალიზის, ფირმის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის კომპლექსური ანალიზის მიმართულებით.

## დასკვნა

ამრიგად, ეკონომიკური ანალიზის სწავლებისას ზემოთაღნიშნული მოცემულობის, არსებული ვითარებისა და ჩამოყალიბებული სიტუაციის ფონზე უცილებელად საჭიროა სწავლების პროცესის სტრუქტურული და შინაარსობრივი გარდაქმნა; აქ დაყოვნება და დროის გაშვება თანამედროვეების არსებით მოთხოვნას-კვალიფიციურ ანალიტიკოსზე მოთხოვნას აღუსრულებელს ჰქმნის. ამიტომაც სწორედ ეკონომიკური ანალიზის საგნის სწავლების შემდგომი გაუმჯობესებისკენ არსებით ნაბიჯს თეორიის და პრაქტიკის სრულ ერთიანობაში და “ცოცხალ” კავშირის უზრუნ-

ველყოფა წარმოადგენს. ეს რთული და საინტერესო პროცესი ხომ სრულად განივადება პროფესიონალურად მოაზროვნე და მოთხოვნად ანალიტიკოსად ჩამოყალიბების გრძელ გზაზე; ეკონომიკური პროფილის მქონე უმაღლესდამთავრებულთა პროფესიონალიზმი ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერის უზრუნველყოფის ერთ-ერთ მაგისტრალია.

**ლიტერატურა:**

1. Экономический анализ: учебное пособие / Л. В. Павлова И. А. Маслова, Е. Л. Малкина Б. Г. Маслов, М.: Дело и Сервис, 2013, 336 с.
2. ზ. ჯორბენაძე, რ.შენგელია, ჟ. წიკლაური-შენგელია, ნ. შენგელია. ეკონომიკური ანალიზის საგნის სწავლების საკითხისათვის. ჟურნ. "ეკონომიკა" 2015, № 10-12.
3. ა. აბრალავა, ზ. ჯორბენაძე. ეკონომიკური ანალიზი. სახელმძღვანელო. თბილისი. 2016 წელი. 364 გვ.

**REFERENCES:**

1. Economic analysis: study book /L. B. Pavlova, I. A. Maslova, E. L. Malkina, B. G. Maslova, M.: case and services, 2013, 336 p.
2. Z. Jorbenadze, R. Shengelia, Zh. Tsiklauri – Shengelia, N. Shengelia. The issue of teaching for subject of economic analysis. Journal . "Economics" 2015, # 10-12.
- 3.A. Abbralava, Z. Jorbenadze. Economic analysis. Guidebook. Tbilisi. 2016. 364 p.

**THE ISSUE FOR IMPROVEMENT  
OF TEACHING ECONOMIC ANALYSIS**

**Anzor Abralava, D**

Doctor of Economic Sciences, Professor of GTU

**Zurab Jorbenadze,**

Doctor of Economics, Professor of GTU

**RESUME**

In the modern microeconomic analysis, particularly in the economic analysis, on the background of the established international standards, the financial, investment, innovation, management analysis, and other kind of issues and directions came to the fore. From the future perspective of Georgia, for the students of economic profile, forming analytical skills and the issue of phenomenon of adequate “understanding” about the processes taking place in practice is of great value. Improved teaching of the economic analysis science and subject canonical rules and demands, the theoretical and practical aspects are not a matter of prestige only of higher education institutions- at the same time, it will present as a strong stimulator and factor for forming a specialist with adequate modern knowledge in the future economy. Hence, the tomorrow’s Georgian analyst is in dire need of economic analysis as comprehending of its theory completely, as well as discussing and analyzing our country’s current economic practical events in the virtual space - in the learning auditorium, so-called in the virtual economic laboratory, and as a result developing proper professional skills. Therefore, it is necessary to work on more situational economic cases in order to become the economic analysis study process and subject more „materialized“. Only afterwards a complete strategy and tactics, the solutions will be presented. Furthermore the types of teaching of modern requirements are given in the article in our firm belief in the economic analysis and also there is provided the adequate guidance in principle

to transform unnecessary practices that this topic is for today. Thus, cases and situational analysis will improve the internal structure of learning process and will facilitate to form a qualified specialist that is the most important and valuable issue in all directions.

**KEY WORDS:** the subject of economic analysis, teaching methodology, Economic analysis theory and practice, analytical thinking, training and situational tasks, target problem areas and solution methodology.

## საქართველოს საინვესტიციო მიმზიდველობა: ანალიზი, პრობლემები, პერსპექტივები

**რევაზ შენგელია**  
ემდ, სტუ პროფესორი  
**ჟუჟუნა ნიკლაური-შენგელია**  
ემდ, სტუ პროფესორი  
**მეგი ანანიძე,**  
სტუ დოქტორანტი  
**ნათია შენგელია**  
ედ, სტუ ას. პროფესორი

### რეზიუმე

სწრაფცვალებად კონკურენციის პირობებში ქვეყანა რომ ვაქციოთ ინვესტირებისათვის მიმზიდველად, აუცილებელია: ქვეყნის სწრაფი ტემპით ზრდა. მართალია არის ობიექტური შემაფერხებელი ფაქტორები (ბაზრის პატარა მოცულობა, დედაქალაქის სიახლოვეს ოკუპანტი ქვეყნის შეიარაღების არსებობა და ა.შ.), რომლის გამოსწორება მოკლე დროში პრაქტიკულად არ შეიძლება, ან თითქმის შეუძლებელია. მაგრამ არის ისეთი ფაქტორებიც, რომელთა გამოსწორება მოკლე დროში შესაძლებელია. მაგალითად: ჩვენი მსგავსი განვითარებული ქვეყნების განვითარების გზების შესწავლა და ადგილობრივი თავისებურებების გათვალისწინებით დანერგვა; ინფრასტრუქტურის შედარებით მოკლე დროში განვითარება; მუშახელის კვალიფიკაციის დონის ამაღლება; სახელმწიფო ბიუროკრაციის შენახვაზე ნაკლები ფულის ხარჯვა და ეკონომიკისათვის მეტი ფულის დატოვება; ნაკლები ვალების აღება; მიმოქცევაში სანდო ფულის არსებობა; სახელმწიფოს ხელში დარჩენილი ქონების (მინა, უძრავი ქონება და ა.შ.) პრივატიზაცია; ეკონომიკის დეკრიმინალიზაცია; სოციალური დახმარების ეფექტიანი სისტემა; განათლების რეფორმა; ინოვაციური ატმოსფეროს შექმნა უწყვეტი განათლების სისტემის დასაწერად, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საგანმანათლებლო დაწესებულებ-



ბებში მიღებული ცოდნის გამუდმებით განახლება, ქვეყანაში განათლების საერთო დონის ამაღლება. ამისათვის საჭიროა ბევრი კერძო ინიციატივები, ნაკლები რეგულაციები სახელმწიფოს მხრიდან და ფინანსების სწორი მიმართულებით, მიზნობრივი ხარჯვა და ა.შ.

**საკვანძო სიტყვები:** ინვესტიცია, პრობლემები, პრივატიზაცია, მიმზიდველი საინვესტიციო გარემო, პერსპექტივები, უწყვეტი განათლება, საინვესტიციო პოლიტიკა, ინფრასტრუქტურა.

### **შესავალი**

გარდამავალ ეტაპზე მყოფმა ბევრმა ქვეყანამ ეკონომიკური განვითარების მაღალ დონეს უმოკლეს დროში ინვესტიციების ზრდის შედეგად მიაღწია. ისეთი მცირე განვითარებადი ქვეყნისთვის კი, როგორც საქართველოა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, რადგანაც შიდა ინვესტიციები, როგორც წესი, დეფიციტურია. ყოველივე ეს, ხელსაყრელი, რაციონალური, სასურველი, მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნის გარეშე წარმოუდგენელია. მიმზიდველი საინვესტიციო გარემო კი იმ ფაქტორების ერთობლიობაა, რომლებიც კომპანიებს, ქვეყნებს აძლევს შესაძლებლობებს, სტიმულებს თავისუფალი კაპიტალის ავანსირების გზით გააფართოონ საქმიანობის სფეროები, ბიზნესის მასშტაბები. მხოლოდ მიმზიდველი საინვესტიციო გარემო ამაღლებს კერძო სექტორის საინვესტიციო აქტივობას, ეროვნული და უცხოური ინვესტიციების მოზიდვას და ქვეყნის მასშტაბით ინვესტიციების მოცულობის ზრდას.

### **ძირითადი ტექსტი**

საინვესტიციო მიმზიდველობა საკმაოდ სუბიექტური ცნებაა. ამიტომ აუცილებელია ვიცოდეთ, როგორი ფაქტორები, რანაირი საინვესტიციო გარემო ხდის ქვეყანას მიმზიდველად ინვესტირებისათვის.

რატომ უნდა გავხადოთ საქართველო ინვესტირებისათვის

ყველაზე მიმზიდველ ქვეყნად?

ჯერ ერთი, იმიტომ, რომ თუ გვინდა ქვეყანა წინ წავიდეს, განვითარდეს, აუცილებელია იგი გახდეს მიმზიდველი, უწინარეს ყოვლისა ინვესტირებისათვის, ბიზნესის კეთებისათვის. და ეს ყველაფერი უნდა მოხდეს უმოკლეს დროში, რადგან დროის ფაქტორი ამ შემთხვევაში გადამწყვეტ როლს ასრულებს. ხშირად ამბობენ, რომ იბერია ერთ დროს გაბრწყინდებოდა, მაგრამ ამას შეიძლება ათასი, ორი ათასი წელი დასჭირდეს. სწორედ ამიტომ საჭიროა ქვეყნის სწრაფი განვითარება. სხვა გზა სწრაფცვალებად კონკურენტულ სამყაროში უბრალოდ არა გვაქვს;

მეორე, ბიზნესისათვის, ინვესტირებისათვის მიმზიდველი გარემო ზოგადად რომ ვთქვათ, ნიშნავს იმას, რომ ეკონომიკა ვითარდება სწრაფად, სამუშაო ადგილები იქმნება, უპირველეს ყოვლისა, კერძო სექტორში, ანუ ბიზნესში და არა სახელმწიფო სექტორში. სამუშაო ადგილების მატება სახელმწიფო სექტორში, რასაც ხშირ შემთხვევაში საქართველოში, სამწუხაროდ, ადგილი აქვს, ეკონომიკის გაჩერებას უფრო ნიშნავს, ვიდრე მის სწრაფ განვითარებას. ფაქტიურად, ამ სექტორში დასაქმებულები იღებენ შემოსავალის სახით ფულს, რომელიც ეფექტიანად მომუშავე ეკონომიკის, ბიზნესის სექტორში დასაქმებულების საშემოსავლო, მოგების და სხვ. გადასახადებიდან მიიღება. სხვანაირად რომ ვთქვათ სამუშაო ადგილების ზრდა ბიზნეს სექტორში უფრო სწრაფად უნდა ხდებოდეს, ვიდრე სახელმწიფო სექტორში;

მესამე, საქართველო ინვესტირებისათვის ყველაზე მიმზიდველ ქვეყნად იმიტომ უნდა გახდეს, რომ ჩვენ ვართ ღარიბი ქვეყანა. სიღარიბის გამო არ იქმნება კაპიტალი, რომელიც საკმარისი იქნება საინვესტიციო საქმიანობისათვის. მოსახლეობის არსებული შემოსავლები კი თითქმის მთლიანად იხარჯება მიმდინარე საჭიროებებზე. ასეა ქართული ოჯახების აბსოლუტური უმრავლესობა. ყოველთვიური შემოსავლები სხვადასხვა ფორმით (ხელფასები, შემოსავლები გაქირავებიდან, იჯარიდან და ა.ს.), რასაც თვიდან თვემდე შოულობენ, თითქმის მთლიანად

იხარჯება და ვერ ხერხდება რალაც ნაწილის გადადება, დაზოგვა მომავლისთვის. არადა ეკონომიკა იზრდება და ვითარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ადამიანები ახერხებენ დანაზოგების გაკეთებას და ეს დანაზოგები გარდაიქმნება ინვესტიციებად. ყოველივე ეს ხდება მდიდარ ქვეყნებში. ჩვენ კი რადგან ვართ ღარიბი ქვეყანა და მოსახლეობის შემოსავლები თავისი ოდენობით ვერ ქმნის საინვესტიციო კლიმატს, ბუნებრივია ამიტომ შიდა ინვესტიციები ძალიან ცოტაა. იგი საქართველოში დაახლოებით 3.6 მლრდ. აშშ დოლარამდეა. სასარგებლო წიაღისეულით, ტერიტორიული მდებარეობით თუ სხვა მაჩვენებლებით საქართველოს მსგავს ისეთ ქვეყანაში, როგორც, მაგალითად, შვეიცარიაა, შიდა ინვესტიციები წელიწადში 155 მლრდ აშშ დოლარამდეა. ეს ნიშნავს იმას, შვეიცარიას მეტი რესურსები გააჩნია ეკონომიკის სწრაფი განვითარებისათვის, რაც კარგი ბიზნესგარემოს დამსახურებაა.

გამომდინარე იქიდან, რომ ღარიბი ქვეყანა ვართ, ეკონომიკის სწრაფი განვითარებისათვის საჭიროა სხვა მდიდარ ქვეყნებში უცხო ადამიანების მიერ გაკეთებული დანაზოგები მოვიზიდოთ, მაგალითად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სახით. ამ შემთხვევაში ჩვენ როგორც ქვეყანა ვართ კონკურენციაში დედამიწაზე არსებულ სხვა, თუნდაც ჩვენსავით ღარიბ (განსაკუთრებით ამიერკავკასიის პოსტსოციალისტურ) ქვეყნებთან. ე.ი. ქვეყნის სწრაფი განვითარებისათვის გადამწყვეტი ფაქტორი არის დრო: შეგვიძლია განვითარდეთ სწრაფად და გავხდეთ განვითარებული ქვეყანა ცხოვრების იმ დონით როგორც ჩვენ გვსურს, ან განვითარდეთ იმ ტემპით, როგორც დღეს არის (2.5%), რაც არაფერს არ ნიშნავს. ამ ტემპით ეკონომიკური ზრდისას საქართველოს დასჭირდება საუკუნე მიაღწიოს ევროპის განვითარებული ქვეყნების დონეს და ადვილი წარმოსადგენია საუკუნის შემდეგ ევროპის ეს ქვეყნები რა დონეზე იქნებიან, მიუხედავად იმისა, რომ მათ დაბალი ეკონომიკური ზრდა აქვთ.

ისმება კითხვა: სად, რა ტიპის ქვეყნებში აინტერესებთ უცხოელ ინვესტორებს ფულის ჩადება? კრიტერიუმი ამისა

ბევრია, დაწყებული წმინდა ეკონომიკური პარამეტრებიდან დამთავრებული ბევრი სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორებით, როგორცაა-სტაბილურობა, მშვიდობა, მიუკერძოებელი სასამართლოების არსებობა, სამართლიანობა და ა.შ. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, რომელიც კომპლექსურად ზომავს და ადგენს სად არის ინვესტირებისათვის ხელსაყრელი ადგილი, არის გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი. რაღაცა ფაქტორების მიხედვით საქართველოს აქვს კარგი მაჩვენებლები, რაზეც ქვემოთ ავლიშნავთ, მაგრამ ასევე არის ფაქტორები, სადაც გვაქვს ცუდი მაჩვენებლები, რომელთა გამოსწორება მოკლე დროში შეუძლებელია. მაგალითად:

1. **ქართული ბაზრის სიდიდე** საქართველოს მოსახლეობის სიმცირიდან გამომდინარე (3.7 მლნ.) არის ძალიან პატარა. პოტენციურ ინვესტორს კი ურჩევნია ფული ჩადოს ისეთ დიდ ქვეყნებში, როგორც არის ჩინეთი, ბრაზილია, რუსეთი და ა.შ., სადაც ცხოვრობს დიდი რაოდენობით მოსახლეობა და არის პროდუქციის გასაღების დიდი ბაზარი;

2. ქვეყნის დედაქალაქის სიახლოვეს ოკუპანტი ქვეყნის, რუსეთის შეიარაღებული ძალების ყოფნა, ანუ **რისკფაქტორის არსებობა**. ინვესტორი, რასაკვირველია, ამას ითვალისწინებს, რაც აფერხებს ქვეყანაში ინვესტიციების შემოსვლას. ამ ფაქტორის სწრაფად გამოსწორება წარმოუდგენელია, თუმცა ამ შემთხვევაშიც რაღაც სხვა გამოსავალი უნდა ვეძებოთ, კერძოდ, იგი ისეთი რამით უნდა დავაბალანსოთ, რომელიც სხვა ქვეყანას არ ექნება და ამით ინვესტორი დაინტერესდეს. მაგალითად, როცა უცხოელი ინვესტორი ფიქრობს ფული ჩადოს, ვთქვათ, პოლონეთში ან საქართველოში, აკვირდება, რომ პოლონეთში უკეთესი ინფრასტრუქტურაა, სამუშაო ძალაც უფრო კვალიფიციურია და ბევრი რამით სჯობია საქართველოს, მაგრამ ამასთანავე აკვირდება იმ უპირატესობებსაც, რასაც ჩვენი ქვეყანა ფლობს: **უკეთესი გეოგრაფიული მდებარეობა** (ამ მხრივ საქართველოს შეუძლია შეასრულოს რეგიონული არამარტო სატრანსპორტო, არამედ სავაჭრო ჰაბის ფუნქციაც); ნაკლებად კვალიფიციური, მაგრამ **იაფი მუშახელი** (ეს

რესურსი ინვესტორს, მართალია, კონკურენტული პროდუქციის სანარმოებლად შეიძლება ნაკლებად გამოადგეს, მაგრამ მას თუ უხდება ტექნოლოგიურად მარტივი, ყოველდღიური მოხმარების საგნის წარმოება, შეუძლია რეგიონში დაიმკვიდროს დანახარჯების მიხედვით ლიდერობის პოზიცია. ამიტომ ნებისმიერ ახალ კონკურენტს ამ სფეროში შემოსვლისას იძულებით მოუწევს წარმოების ყველაზე დაბალი დანახარჯებით წარმართვის მეთოდების მოძიება); შედარებით **დაბალი გადასახადები** (თუმცა, რამდენად დაბალიც არ უნდა იყოს გადასახადების განაკვეთი, თუ ქვეყანაში არ იქნება სტაბილური საკანონმდებლო და პოლიტიკური გარემო, შეუძლებელი იქნება ვისაუბროთ განვითარებულ და მიმზიდველ გარემოზე) და ბევრი სხვა რამ, რამაც შეიძლება ინვესტორს გადაწყვეტინოს ფული ჩადოს საქართველოში, რადგან: ვთქვათ, მაგალითად, აქ ჩადებული 10 000 აშშ დოლარი რისკის ფასად იძლევა 500 აშშ დოლარით მეტს, ვიდრე დაბალრისკიან პოლონეთში-200 აშშ დოლარს.

მართალია, ზოგიერთ მაჩვენებლებს საქართველო სწრაფად ვერ გაზრდის, უფრო მეტიც, პრაქტიკულად შეიძლება ეს თითქმის შეუძლებელიც აღმოჩნდეს, მაგრამ არ უნდა დაგვაფიქვდეს, რომ ასევე არის ფაქტორები, რომელთა გამოსწორება მოკლე დროში შესაძლებელია. მაგალითად:

1. ინფრასტრუქტურა, რომელიც წინანდელ ათი წელთან შედარებით უფრო განვითარებულია, შეიძლება ამის მიღწევა, ვთქვათ, 5 წელიწადში;

2. მუშახელის კვალიფიკაცია (საერთოდ, ადამიანისეული კაპიტალის განვითარების ხარისხობრივი დონე). ნებისმიერ ინვესტორს ურჩევნია ფული დააბანდოს ისეთ ქვეყანაში, სადაც სამუშაო ძალა უფრო კვალიფიციურია, კონკურენტუპირატესობის მატარებელია, მისი დაქირავება უფრო იოლია იმ საქმის შესასრულებლად, რა საქმის გაკეთებაც ინვესტორს ადგილზე სურს. ამ მხრივ კი ჩვენში პრობლემებია, თუმცა რალაც ვადებში გამოსწორებადი და ა.შ.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, ჩვენი საინვესტიციო პოლიტიკა უნდა წარმართოთ იქეთკენ, რომ სა-

ინვესტიციო მიმზიდველობისათვის საჭირო გამოსწორებადი რალაც შემაფერხებელი ფაქტორები გამოვასწოროთ რაც შეიძლება სწრაფად, ხოლო ბუნებრივად არსებული შეზღუდვები, რომელთა გამოსწორება მოკლე დროში შეუძლებელია და დიდ დროს ითხოვს, ნელ-ნელა ვეცადოთ გამოსწორდეს, თუკი ობიექტური გარემოება ამის საშუალებას მოგვცემს. ე.ი. დროის ფაქტორი ამ შემთხვევაში გადამწყვეტ როლს ასრულებს.

კიდევ რა ტიპის რეფორმებია განსახორციელებელი საქართველოში იმისათვის, რომ იგი გახდეს საინვესტიციოდ მიმზიდველი ქვეყანა?:

**ჯერ ერთი.** ჩვენს მიერ აღებული კურსი დასავლეთისკენ-გავხდეთ ევროკავშირის, ნატოს წევრი-სავსებით სწორია. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ გადმოვწეროთ ის კანონები, რომლებიც არეგულირებენ ევროპის ეკონომიკას და ამით ვიცხოვრებთ ევროპულად. სინამდვილეში ეს ასე არ არის. ევროზონაში მოქმედი ზოგიერთი კანონი, რომელიც დაკავშირებულია ერთიან ვალუტასთან და ა.შ., ზოგიერთი მათთაგანი სინამდვილეში შემაფერხებელია ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით. ეს არის ის ეკონომიკური რეგულაციები, რომელიც ევროპამ მიიღო მხოლოდ მას შემდეგ, რაც გახდა მდიდარი ქვეყანა. ამ რეგულაციების (მაგ., ბანანის სიგრძის, სიგანის, დახრილობის და სხვა რეგულაციები) გადმოღება საქართველოს ეკონომიკას არაფერში წაადგება. **მეორე,** არის ისეთი რეგულაციები, რომელიც სასარგებლოა განვითარებული ეკონომიკისათვის, რაც ქართული განუვითარებელი ეკონომიკისათვის ნაკლებად შედეგიანია. მაგ., საქონლის დანომრვა-ყურებზე ნომრის ჩამოკიდება, რომელიც სათითაოდ ჯდება 10 ლარი, ჩვენი კანონმდებლობის ევროპულთან ჰარმონიზაციის მიზნით გავაკეთეთ, მაგრამ ხარჯი ხარჯად დარჩა და არაფერს არ იძლევა, რადგან ოჯახს ყავს 1 ან 2 საქონელი. ევროზონაში კი ასეთი რეგულაციები განვითარებული ბაზრის პირობებში გამართლებულია, კომპანიები ხშირად ხორციით მთელ ევროპას ამარაგებენ და, მაგალითად, ხორციით მონამვლის შემთხვევაში იდენტიფიცირების, ნაყიდი ხორცის წარმომავლობის დადგე-

ნის, მონამღვის მიზეზების აღმოფხვრის საშუალებას იძლევა. ვინაიდან ევროპა დატვირთულია უამრავი ასეთი რეგულაციებით, მისი ეკონომიკა ძალიან ნელა იზრდება, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი ჩამოიქცნენ. პირიქით, დარჩნენ ისევე მდიდრები, როგორც იყვნენ. მაგალითად, 2007-2011 წწ. როცა ბრაზილია, ჩინეთი, რუსეთი და სხვა ქვეყნები სწრაფად იზრდებოდნენ (დაახლოებით 8-10 %), ევროზონის ქვეყნებში მხოლოდ 0.2-1.5 %-ნი ზრდა დაფიქსირდა. საქართველო თუ ასეთი ზრდის ტემპით ივლის, ის ისევე იგივე განუვითარებელი დარჩება, როგორც დღეს არის და ევროპის დონეს 50-100 წლის შემდეგ მიაღწევს. არადა საქართველომ სწორად თუ ხარჯა ფული, თავისუფლად შეუძლია ორნიშნა ციფრებში ეკონომიკურ ზრდას მიაღწიოს (მაგ., 2007 წ. იყო 13 %-ნი ზრდა). ასეთ შემთხვევაში შეგვიძლია ალბანეთს სწრაფად გავასწოროთ, 6-7 წწ. თურქეთს, 8-9 წწ. გავხდეთ პოლონეთი, უნგრეთი, ჩეხეთი და ა.შ. ე.ი. მალე შეიძლება საქართველო საცხოვრებლად კარგი ქვეყანა გახდეს, მაგრამ ძალიან მდიდარი არ იყოს;

რა ტიპის რეგულაციები, გამოცდილებები შეიძლება გადმოვიღოთ განვითარებული ევროზონის და სხვა ქვეყნებიდან, რომ ჩვენც შევძლოთ იგივე განვითარების დონეს მივაღწიოთ და გავხდეთ ინვესტირებისათვის საინტერესო ქვეყანა? ხომ არსებობენ ტერიტორიების, მოსახლეობის, ნიაღისეულის მარაგის, წყლის რესურსების და სხვ. მიხედვით ჩვენი მსგავსი ქვეყნები, რომლებიც ჩვენსავით არ ყიდნიან გაზს, ნავთობს, მაგრამ შეძლეს ერთ დროს მიეღწიათ სწრაფი ტემპით განვითარებისათვის და გახდნენ მდიდრები? დიახ არსებობენ. საჭიროა ასეთი განვითარებული ქვეყნების განვითარების გზების შესწავლა და ადგილობრივი თავისებურებების გათვალისწინებით დანერგვა;

მეორე, ისედაც მცირე ბიუჯეტის პირობებში საჭიროა ნაკლები ვხარჯოთ სახელმწიფო ბიუროკრატიის შენახვაზე და მეტი ფული დავუტოვოთ ეკონომიკას, ბიზნესს, სადაც რეალურად იქმნება პროდუქცია. ასეთ პირობებში საჯარო სამსახურებში დასაქმებულების ზრდა, რასაც დღევანდელ სიტუაცია-

ში ხშირად ადგილი აქვს, სხვა არაფერია, თუ არა წარმოებაში დასაქმებულებისაგან, წარმატებული მენარმეებისაგან ფულის წართმევა საშემოსავლო, მოგების გადასახადების და სხვ. სახით იმათი შესანახად, რომლებიც არაფერ მატერიალურს არ ქმნიან. უფრო კარგი იქნება სახელმწიფო ნაკლებად ჩაერიოს ეკონომიკაში, ბიზნესში, დაუტოვოს ეკონომიკას მეტი ფული თუნდაც გადასახადების შემცირებისა და არა მისი გადიდების გზით. კერძო სექტორი უფრო ეფექტიანად გამოიყენებს ასეთ რესურსებს. ამ მხრივ მოგების გადასახადის დაბეგვრის ესტონური მოდელის შემოღებამ საქართველოში შეიძლება მნიშვნელოვანი შედეგები მოგვცეს. ესტონური მოდელი ეს არის მოგების გადავადებული გადასახადი, რომელიც იძლევა საშუალებას, გვეკონდეს საუკეთესო საინვესტიციო გარემო, დამატებით თანხა დავუტოვოთ ქვეყანას ბიზნესისათვის, რომელიც მობილიზებული იქნება ისევ ბიზნესში, გამოიყენებას ჰპოვებს როგორც შიდა, ისე უცხოური ინვესტირებისთვის. ეს უნიკალური მოდელია რეგიონში, რომელიც ხელს შეუწყობს როგორც ახალი ინვესტიციების მოზიდვას, ასევე შიდა ინვესტიციების წახალისებას და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებას;

**მესამე,** თუ გვინდა გავხდეთ წარმატებული ქვეყანა, **საჭიროა ნაკლები ვალები ავიღოთ.** ამ მხრივ მოცემულ ეტაპზე საგანგაშო მდგომარეობა არა გვქვს (მშპ-ს 40-45 % მდგეა), მაგრამ ბოლოდროინდელ მზარდ ტენდენციას თუ გავაგრძელებთ, ადვილი შესაძლებელია ევრო ზონის სტანდარტებს (მშპ-ს 60 %) დავუახლოვდეთ;

მეოთხე, ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობას ასევე გაზრდის **მიმოქცევაში სანდო ფულის არსებობა.** ის ფაქტი, რომ დეპოზიტებში, სესხებში, ბინების, მანქანების ყიდვა-გაყიდვისას და ა.შ. აშშ დოლარი გვხვდება სხვა არაფერია, თუ არა ლარისადმი უნდობლობა. თუ ჩვენ არ ვენდობით ლარს, მაშინ რატომ არის აუცილებელი, რომ უცხოელი ინვესტორი ენდოს მას. ინვესტორს ინვესტირებისას სახელმწიფო ავალდებულებს ოპერაციები აწარმოოს ლარებში. შემდეგ იგი განახორციელებს ტრანზაქციებს, ლარებს ისევ ახურდავებს და ყიდულობს



დოლარს, ევროს ან სხვა ვალუტას. ამის შემდეგ იგი ან მოიგებს ან წააგებს, რაც გადამწყვეტია მისი შემდგომი საქმიანობის გასაგრძელებლად. ამ ტრანზაქციებში, ვფიქრობთ, ძირითადად იგებენ საფინანსო ინსტიტუტები, ხოლო ინვესტორები უფრო მეტად ზარალდებიან. გამოსავალი აქიდან ალბათ შეიძლება იყოს თავისუფალი სავალუტო რეჟიმის არსებობა, როცა შესაძლებელი გახდება იმ ვალუტის გამოყენება, რომელიც უფრო მოსწონთ და ენდობიან;

მეხუთე, მნიშვნელოვანი რეზერვი ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობის გასაზრდელად, სწრაფი განვითარებისათვის არის ჯერ კიდევ **სახელმწიფოს ხელში არსებული ქონების** (მინა, უძრავი ქონება და ა.შ.) **პრივატიზაცია**. ეს ქონება, გარდა სტრატეგიული ობიექტებისა, აუცილებელია გადავიდეს კერძოს ხელში. მათ პატრონი უნდა გამოუჩნდეს, რაც სტიმული იქნება ეკონომიკის შემდგომი განვითარებისათვის;

მეექვსე, ბიზნესგარემოს გაუმჯობესებას ასევე შეუწყობს ხელს **ეკონომიკის დეკორმინალიზაცია**. მცირეოდენი ფინანსური დანაშაულისთვის ადამიანები ციხეში ნაკლებად უნდა ხვდებოდნენ. ამ მხრივ შიში ინვესტორების მხრიდან ჯერ კიდევ არსებობს. მაგრამ მთლად უინტერესო არ იქნება ჩინური გამოცდილების გაზიარება, სადაც შემოსავლების დამალვა სიკვდილითაც კი ისჯება. ეტყობა, ჩინეთის ეკონომიკურ წარმატებებში, სახელმწიფოს გაძლიერებაში ამ ფაქტორს არანაკლები წვლილი მიუძღვის;

მეშვიდე, ქვეყნის წინსვლისათვის აუცილებელია არსებობდეს **სოციალური დახმარების ეფექტიანი სისტემა**. ზოგადად საყოველთაო მიდგომები ვერ ამართლებს. საყოველთაო დაზღვევა თითქმის იმის ანალოგიურია, რომ, მაგალითად, საზოგადოებრივი კვების ობიექტებში შეუშვა მოსახლეობა და უთხრა ყველაფერი გადახდილიაო. ბუნებრივია, ამ შემთხვევაში თითოეული მათგანი აიღებს იმაზე მეტ საკვებს, ვიდრე აიღებდა თვითონ რომ გადაეხადა. და თუ ეს ასე არ არის, მაშინ რატომ არ დავინწყეთ უფასო საყოველთაო კვებით-პროდუქტების მომარაგებით?, ჯანმრთელობის დაცვამდე ხალხს უფრო

საკვები არ სჭირდება?. სინამდვილეში საყოველთაო დაზღვევა უფრო მაშინ არის გამართლებული, როცა სახელმწიფო დაეხმარება იმათ, ვისაც ეს რეალურად სჭირდება და არა იმას, ვისაც ფიზიკურად შრომა შეუძლია, მაგრამ სოციალური დახმარების იმედით მთელი თვის განმავლობაში არაფერს აკეთებს. თუ ეს სისტემა შეიცვლება დავზოგავთ მეტ ფულს და გაცილებით მეტად დავეხმარებით იმათ, ვისაც უფრო უჭირს (არანაკლებ ეფექტიანი იქნება ფულის დაზოგვა ისეთ ღონისძიებებში, როგორცაა თბილისობა, ცნობილი უცხოელი არტისტების ჩამოყვანა საქართველოში, მაშინ როცა მათზე ნაკლები ხელოვანები, მუსიკოსები ადგილზე არ არიან). ე.ი. სოციალური დახმარების ეფექტიანი სისტემაზე მსჯელობისას არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ აუცილებელია არსებობდეს მინიმალური უსაფრთხოების ბაღე გაჭირვებული ადამიანებისათვის და არ ვეხმარებოდეთ იმათ, ვისაც ეს ნამდვილად არ სჭირდება;

მერვე, ვინაიდან ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობის გასაზრდელად მნიშვნელოვანი ფაქტორია მუშაკის კვალიფიკაციის დონე, ბუნებრივია რამხელა მნიშვნელობა აქვს **განათლების რფორმას**. პრობლემა იმაშია რომ არ არის ნამდვილი კონკურენცია ამ სფეროში. არადა კონკურენცია საბაზრო ეკონომიკის პირობებში ყველა მიმართულებით უნდა არსებობდეს. ფაქტიურად კონკურენცია არსებობს კერძო და საჯარო სკოლებს, სასწავლებლებს, ინსტიტუტებს შორის, მაშინ როცა კონკურენცია სინამდვილეში უნდა იყოს სახელმძღვანელოებს, მასწავლებლებს, სასწავლო პროგრამებს, სწავლების მიდგომებსა და მეთოდებს შორის. სამწუხაროდ ასეთი კონკურენცია ჩვენთან არ არის ამ სფეროში სახელმწიფო რეგულაციების სიჭარბის გამო. ფაქტიურად განათლების სისტემა წააგავს საბჭოთა სისტემას ოდნავი ცვლილებებით. სკოლებში და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში მსჯელობაა იგივე პრობლემებზე, რაც იყო სსრკ-ის დროს. ეს იმაზე მიუთითებს, რომ განათლებაზე დახარჯული ფულით ვერ ვაღწევთ იმ მიზანს, რა მიზანსაც ვისახავდით. საშუალო განათლება ნაკლებად უშვებს სკოლიდან გონებაგახსნილ, ახალი კრიტიკული, კრეატიული აზროვნები-

სუნარიან ახალგაზრდებს. უმაღლესი განათლების სისტემა ცნობილად ამზადებს კადრებს, რომლებიც აღჭურვილნი არიან ისეთი ცოდნითა და უნარებით, რომელიც მათ საშუალებას მისცემს საზოგადოებაში იარსებონ, იყვნენ კონკურენტუნარიანობის მატარებელი მუშაკები, დასაქმდნენ თავისუფლად. ასეთი კადრები კი ნაკლებად შექმნის ახალს, ხოლო ვინც არ ქმნის რაიმე ახალს, ის მხოლოდ სხვის მიერ შექმნილს იმეორებს და/ან მოიხმარს.[5.გვ.9.]. ყოველივე ამის გამო ჩვენ ვამდიდრებთ იმ „სხვას“, ამით, ნებისთი თუ უნებლიედ ხელს ვუწყობთ ჩვენი ქვეყნის სულ უფრო ჩამორჩენას და გაღარიბებას. როგორც დიდი ილია ჭავჭავაძე თავის დროზე აღნიშნავდა, „ქვეყანა იმით კი არ არის უბედური, რომ ღარიბია, არამედ იმით, რომ მცოდნე, გონებაგახსნილი, გულანთებული კაცები არ ყავს“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მხოლოდ შემოქმედ, მცოდნე, არატრადიციულ, არასტანდარტულ, ახლებური აზროვნების, უფრო სწორად კრეატიული კონკურენტუნარიანი ცოდნის მატარებელ მუშაკს შეუძლია უშუალოდ შექმნას ახალი, სხვისგან განსხვავებული პროდუქტი [6.გვ.18.].

ასეთი დონის კონკურენტუნარიანი ცოდნა განსაკუთრებით საჭიროა საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავებისას, მაშინ, როცა საკითხი ინვესტიციების მიმართულეების განსაზღვრას ეხება, რა დონეზეც არ უნდა ხდებოდეს გადაწყვეტილების მიღება. ყოველგვარი ინვესტიცია როგორ შეიძლება ეკონომიკური და სოციალური შედეგების მომტანი იყოს; ინვესტირებისას გამორიცხული არ არის სერიოზული ხარვეზებიც. ფირმამ (თუ პიროვნებამ), სახელმწიფო დაწესებულებამ ინვესტიციების მიმართულეების განსაზღვრისას შეიძლება გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვას, მაგალითად, დააფინანსოს ისეთი უპერსპექტივო ტექნოლოგია (თუნდაც ისეთი, რომელიც შეიძლება ეკონომიკურად არ იყოს ნამგებიანი, მაგრამ სოციალური შედეგანობის -ეკოლოგიური, უსაფრთხოების თვალსაზრისით- იმიჯის შემლახველი) და ა.შ., საქმიანობა, რომელიც მოგების მატების ნაცვლად ინვესტორს გააკოტრებს, იმიჯს დაუკარგავს. ყოველივე ამის მიზეზია გადაწყვეტილების მიმღების არა-

კომპეტენტურობა, ან არასწორი ინფორმაცია ეკონომიკის, და-  
 რგის თუ კონკრეტულად ამა თუ იმ საქმიანობის შესახებ, მაგ.,  
 ტექნოლოგიის ნამდვილ სარგებლიანობაზე, ალტერნატიულ  
 შესაძლებლობებზე. სხვანაირად რომ ვთქვათ, მას არ აღმოაჩ-  
 ნდა ადამიანისეული კაპიტალისათვის აუცილებელი **ცოდნა და  
 უნარი**, რომელიც საჭიროა კომპეტენტური გადანყვეტილების  
 მისაღებად. შეცდომით გაცემული ინვესტიციები კი სოციალუ-  
 რ-ეკონომიკური მომგებიანობის სანინაალმდეგო მოვლენაა,  
 ეს ფაქტობრივად რესურსების უაზრო ხარჯვაა. ასე, რომ საე-  
 რთაშორისო სტანდარტების შესაბამის მეცნიერულ-ტექნიკურ  
 ცოდნას-ახალ ტექნოლოგიებზე, სამეურნეო კონიუნქტურის  
 პერსპექტივებზე, მოთხოვნის მომავალ ცვლილებებზე და ა.შ.,  
 უდიდესი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური ზრდის და მოსა-  
 ხლეობის კეთილდღეობის ამალღების უზრუნველყოფისათვის.  
 ეს ეხება როგორც უშუალოდ კომპანიის ხელმძღვანელობას,  
 ასევე მასში მომუშავე მთელ პერსონალს: რაც უფრო კვალი-  
 ფიციური და ახალი ტექნიკის ათვისებისათვის მომზადებული,  
 კომპეტენტური სამუშაო ძალა იქნება მოზიდული ფირმაში,  
 მით უფრო გარანტირებული და მყარი იქნება: სიახლეების  
 სწორად (შედეგიანად) კრეატიულად გამოყენება და არა სხვის  
 მიერ უკვე შექმნილის ავტომატურად გადმოღება, მექანიკუ-  
 რად განმეორება; შრომის მწარმოებლურობის ზრდა და წარმო-  
 ებული პროდუქციის მაღალი ხარისხი, შესაბამისად, ფირმის და  
 ქვეყნის კონკურენტუნარიანობა, ეკონომიკური წარმატებები,  
 იმიჯი[7.გვ.37-38.]. ამრიგად, სწრაფცვალებად კონკურენციის  
 პირობებში ქვეყანა რომ ვაქციოთ ინვესტირებისათვის მიმ-  
 ზიდველად, აუცილებელია შეიქმნას ინოვაციური, კრეატიუ-  
 ლი ატმოსფერო უწყვეტი განათლების სისტემის დასაწერგად,  
 რომელმაც უნდა უზრუნველყოს საგანმანათლებლო დაწესე-  
 ბულებებში მიღებული ცოდნის მეცნიერულ-ტექნიკური პროგ-  
 რესის ტემპის კვალდაკვალ გამუდმებით განახლება, ქვეყანაში  
 განათლების საერთო დონის ამალღება. ყოველივე ამისათვის  
 საჭიროა ბევრი კერძო ინიციატივები, ნაკლები რეგულაციები  
 სახელმწიფოს მხრიდან და ფინანსების სწორი მიმართულე-

ბით, მიზნობრივი ხარჯვა. ე.ი. საბოლოო ჯამში, განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმის მიზანია განათლება როგორც ბიზნესი ნაკლებად პრიორიტეტული იყოს და იგი უფრო მეტად გახდეს საზოგადოებრივი სიკეთე.

### **დასკვნა**

ამრიგად, ქვეყნის სწრაფი ტემპით განვითარებისათვის, საინვესტიციო მიმზიდველობისათვის მართალია, არის ობიექტური შემაფერხებელი ფაქტორები, რომლის გამოსწორება მოკლე დროში პრაქტიკულად არ შეიძლება, ან თითქმის შეუძლებელია. მაგრამ არის ისეთი ფაქტორებიც, რომლებიც მოკლე დროში შესაძლებელს გახდის მოვიზიდოთ მეტი ინვესტიციები და მივალნოთ ორნიშნა ციფროვან ეკონომიკურ ზრდას: დაბალი საგადასახადო წნეხი, საინტერესო გეოგრაფიული მდებარეობა, თავისუფალი ვაჭრობა-თურქეთთან, ევროპასთან, ყოფილ სსრ კავშირის ქვეყნებთან, განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი მოსახლეობით ცნობილ დიდ ქვეყანა-ჩინეთთან, რაც კიდევ უფრო საინტერესოსა და მიმზიდველ ქვეყანად გახდის საქართველოს მსოფლიოში. რაც შეეხება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში არსებულ პრობლემებს, მათი ზეგავლენა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაზე, ინვესტიციების მოზიდვაზე, რასაკვირველია, იქნება, მაგრამ ეს გავლენა შეიძლება იყოს მინიმალური, ხელისუფლების სწორი რეფორმების შედეგად. თუ რომელიმე რეგიონში კრიზისია, ბუნებრივია, მას რაღაც უარყოფითი გავლენა ექნება, მაგრამ იგი ასევე ქმნის ახალ შესაძლებლობებს, რომელსაც ნებისმიერი სახელმწიფო და მათ შორის საქართველოც უნდა იყენებდეს. მაგ., თუ კრიზისის გამო რომელიმე ქვეყანაში არ შედის თავისუფალი კაპიტალი-ინვესტიციები, მაშინ სწორი საინვესტიციო პოლიტიკით იგი შეიძლება ჩვენს ქვეყანაში გადმოამისამართო.

**ლიტერატურა:**

1. აბრალავა ა., კერესელიძე დ. ინვესტიციების ზოგიერთი აქტუალური საკითხი საქართველოში. ჟურნ. „ეკონომიკა“, # 9-10, 2011;
2. ბარათაშვილი ე., მაგრაქველიძე დ., საქართველოში საინვესტიციო გარემოს სრულყოფის პრინციპები. თბ., 2009;
3. გ. ჯოლია, ცოდნის ეკონომიკა, თბ., 2015;
4. ჟურნალი „ეკონომიკა“, №3-4, 2016წ.;
5. გ. ჯოლია. კრეატიული ეკონომიკა და განვითარება. თბ., 2015.;
6. ჟურნალი „ეკონომიკა“, №5-6, 2014წ.;
7. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, №3, 2016წ.;
8. Guenter Faltin, Kopf Schlaegt Kapital, Carl Hanser Verlag, Munchen, 2008.

**REFERENCES:**

1. A. Abzalava, D. Kereselidze, Some Actual Investment Issues in Georgia. Journal “Economics”, # 9-10, 2011;
2. E. Baratashvili, D. Magraqvelidze., The Improvement Principles of Investment Environment in Georgia. Tb., 2009;
3. G. Jolia, Knowledge Economics, Tb., 2015 (in Georgian Language).
4. Journal “Economics”, №3-4, 2016 y. (in Georgian Language).
5. G. Jolia. Creative Economy and Development. Tb., 2015 (in Georgian Language).
6. Journal “Economics”, №5-6, 2016 y. (in Georgian Language).
7. Journal “Economics and Business”, №3, 2016 y. (in Georgian Language).
8. Guenter Faltin, Kopf Schlaegt Kapital, Carl Hanser Verlag, Munchen, 2008. (in German Language).

**INVESTMENT ATTRACTIVENESS OF GEORGIA:  
ANALYSIS, PROBLEMS, PERSPECTIVES**

**Revaz Shengelia**, PhD, Professor of GTU,  
**Jujuna Tsiklauri-Shengelia**, PhD, Professor of GTU,  
**Megi Ananidze**, Phd Student of GTU  
**Natia Shengelia**, PhD, As. Professor of GTU

**RESUME**

Investment and investment environment play a crucial role in the economic development of a country. If the country is attractive for investors, then more financial resources are directed to this country. But if we want to make the country more attractive it is essential to have a stable economic growth. Truly, there are some hindering factors which cannot be changed in a short time but there are also many issues that can be improved. For example: to study the ways of development of our developed countries and to introduce local peculiarities, to develop infrastructure; Raising the level of worker's qualification; Spending less money on keeping state bureaucracy and leaving more money for economy; Take less debt Reliable money in circulation; Privatization of property; An effective system of social assistance; continuous education reform; develop more type of services; All of this requires a lot of private initiatives and fewer regulations from the state, the right direction of finances, targeted expenditure and etc.

**Key words:** Investment, problems, privatization, attractive investment environment, perspectives, continuing education, investment policy, infrastructure.

**ახალგაზრდა მეცნიერ-ეკონომისტის  
ნათია შენგელიას წარმატება ოქსფორდის  
უნივერსიტეტში (დიდი ბრიტანეთი)**

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორმა ეკონომიკაში, სტუ-ს ბიზნეს ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასისტენტი-პროფესორმა – **ნათია შენგელიამ** 2017 წ. 20 მარტს ოქსფორდის უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტი დაამთავრა და მას შესაბამისი ხარისხი მიენიჭა.

იგი პროფესიული სტაჟირებით იმყოფებოდა დიდ ბრიტანეთში, ქ. ლონდონში. 2016 წლის იანვარში ნათია შენგელიას გადაეცა საერთაშორისო სერტიფიცირებულ ნაფიც ბუღალტერთა ასოციაციის (ACCA) საერთაშორისო დიპლომი (დიდი ბრიტანეთი) აღრიცხვასა და ბიზნესში.

აღსანიშნავია ისიც, რომ სტუ-ს წარდგინებით 2014 წ. მან მოიპოვა **საქართველოს პრეზიდენტის გრანტი ახალგაზრდა მეცნიერთათვის**. იგი არის მონოგრაფიების და 45-მდე სტატიის ავტორი და თანაავტორი ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე.

ჟურნალ „ეკონომიკის“ სარედაქციო კოლეგია ულოცავს რედაქციის წევრს-ნათია შენგელიას ამ დიდ წარმატებებს.



## სამეცნიერო სტატიის წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი:

ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია უნდა მოიცავდეს მეცნიერული კვლევის **ახალ** შედეგებს ეკონომიკის შემდეგ თეორიულ და გამოყენებით სფეროებში:

ეკონომიკური რეფორმა; ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები; ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია; საბაზრო ეკონომიკის სამართლებრივი უზრუნველყოფა; ფინანსები, ბანკები, ბირჟები; რეგიონული ეკონომიკა; დარგობრივი ეკონომიკა; ბიზნესის, მარკეტინგის, მენეჯმენტის აქტუალური საკითხები; მსოფლიო ეკონომიკა; რეცენზიები ბოლო პერიოდში გამოქვეყნებულ მონოგრაფიებსა და სახელმძღვანელოებზე.

მიღებულ სტატიებს იხილავს რედკოლეგია და დადებითი რეცენზიის შემთხვევაში აქვეყნებს, ასევე განათავსებს ინტერნეტში – ელექტრონულ ჟურნალში.

სტატიები მიიღება ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ და ესპანურ ენებზე, ქვეყნდება ორიგინალის ენაზე.

### სტატიის გაფორმების წესი

სტატიის მინიმალური მოცულობა 5 გვერდი A4 ფორმატის;

**რეზიუმე** ქართულ, რუსულ და/ან **ინგლისურ** (აუცილებლად) ენებზე (100-250 სიტყვა);

**საკვანძო სიტყვები** ქართულ და ინგლისურ ენებზე;

სტატიის დასახელება ქართულ და ინგლისურ ენებზე;

ავტორის (ავტორთა) სახელი, გვარი, აკად. ხარისხი ქართულ და ინგლისურ ენაზე, ელექტრონული მისამართი და ტელეფონის ნომერი;

სტატიის **შესავალი**, **ძირითადი ტექსტი** და **დასკვნითი** ნაწილი;

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა ქართულ და ინგლისურ ენებზე;

ქართული ტექსტისთვის გამოიყენეთ ქართულ შრიფტი Acadnusx; ხოლო ინგლისური და რუსული ტექსტების შრიფტი – Times New Roman; შრიფტის ზომა 12, ინტერვალი 1,5, ყველა კიდიდან დაშორება იყოს 2 სმ.



შპს ჟურნალი „ეკონომიკა“  
მისამართი: თბილისი – 0171, მ. კოსტავას ქ. 63.  
ტელ: 599 56-90-78.  
**economics.bpengi.com**  
**E-mail: economica\_2008@yahoo.com**  
**E-mail: economica\_1918@yahoo.com**

**ООО журнал «ЭКОНОМИКА»**  
**Адрес Тбилиси - 0171, ул. М. Костава 63**  
**Тел. 599 56-90-78**  
**economics.bpengi.com**  
**E-mail: economica\_2008@yahoo.com**  
**E-mail: economica\_1918@yahoo.com**

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
ბიზნესტექნოლოგიების, საინჟინრო ეკონომიკის,  
მედიატექნოლოგიებისა და  
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტები

გადაეცა ასაწყობად 5.04.2017 წ.  
ხელმოწერილია დასაბეჭდად 15.04.2017 წ.  
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 17,125.